

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

8

აგვისტო
2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო სადღობელაშვილი
გვანცა ჯობაგა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

გენო კალანდია. ლექსები	5
გიორგი კეკელიძე. პოემა ცრუ თავლაზე	9
დალი კახიანი. ლექსები	11

მსატვრული პროზა

გურამ მეგრელიშვილი. მღვდელი	13
------------------------------------	-----------

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

ფრიდონ ხალვაში. გადამმეთელ (თურქეთელ)	16
ჩვენებურებში გურამ ფანჯიკიძესთან ერთად	
ივანე ამირხანაშვილი. ომრი გრძელდება	16
ნინო ხოფერია. არისტოკრატიული საგა	23

კრიტიკა

არჩილ ფირცხალავა. ორი წერილი	28
-------------------------------------	-----------

კინო

ოლიკო ჟღენტი. „მრისხანების მტევნები“ 70 წლის შემდეგ	31
--	-----------

უტრისეპი პორტრეტისათვის

მაკა ჯოხაძე. ენდროსფერი სამყარო	38
--	-----------

მწერლის არქივიდან

- 40 დიდთა სიყვარული.** ივანე მაჩაბელი და მაკო საფაროვა
(*ნოდარ გრიგორაშვილის პუბლიკაცია*)

უკანასკნელი ინტერვიუ

- 49 მუხრან მაჭავარიანი.** ჩემი ყველა ლექსი ექსპრომტია!
(*ესაუბრა ნუციკო დეკანოზიშვილი*)

ჩანაწერები

- 51 გიორგი გოგოლაშვილი.** მინირეცენზიები

ნოპელიანტი

- 52 ანრი ბერგსონი.** სანობელო სიტყვა
(*თარგმნა ილია გასვიანმა*)

ასალი თარგმანები

- 54 იოჰან ვოლფგანგ გოეთე.** ნოველა
(*გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა*)
- 67 ანტონიო მაჩადო ი რუისი.** ხუან დე მაირენა
(*ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ*)

ერთი ლექსის ისტორია

- 70 ნინო სადღობელაშვილი.** გურამ რჩეულიშვილს

თვალსაზრისი

- 71 ცირა ყურაშვილი.** რას ფიქრობთ მაიაკოვსკიზე?

უკვდავი სახელები

- 75 თამაზ ჯოლოგუა.** შეთქმული ქალები (თამარ ბატონიშვილი)

პოეზია

გენო კალანდია

საველე ჩანთა

ანუ კომპოზიცია მარო მაყაშვილის პორტრეტისთვის

მოდის, ჭრილობა შეგიხვიო, დაო ქალწულო, –
მაყაშვილების დიდი გვარის მწარე წარსულო!

კოჯრის ქედზე რომ ღვთაებრივი სხივი ანთია,
შენი თვალ-წარბის, შენი შუბლის ათინათია.

რა ცოტა იყვნენ შენებრ მარჯნი, თავდადებულნი
მაშინაც... დღესაც მომავლისთვის დაბადებულნი.

აგერ თამარის დიდ დარბაზში სხედან მოწყენით
წმინდა ომების, ლაშქრობების ძველი მოწმენი.

ბჭობდნენ, ომობდნენ, ხმალს იქნევდნენ ღამის ელვაში,
შვენიოდან ჩოხა, შევერცხლილი თეთრად უღვაში.

შენც მათი ფიცი და ლაშქრული ყველას არჩიე,
ჭირთათმენის და თავშენირვის შეგხვდა არჩივი.

გვარდიელების, იუნკრების ხმალთა ჟღარუნი
თმაში, ვით ელვა ბლუჯა-ბლუჯა გქონდა ჩანწული.

აღვა იყავი, ცა იყავი ვარსკვლავიანი, –
ორი ზარდახშით, ორი ბუდით, – შუქით სიამის.

ვერხვის ფოთლებში მოციმციმე წყაროს ზვირთივით, –
ერთი საველე ჩანთა იყო შენი მზითევი –

სავსე იოდით, საბლინდაჟე კვარით, ქაფურით, –
გაზაფხულივით ალუბლისფრად ამოქარგული.


ტყის კაცებივით გაუნძრევლად იდგნენ მუხები,
იასამნისფერ ჭრილობებს რომ ბიჭებს უხვევდი.

ასე არასდროს არ ყოფილა ცა გალურსული,
როცა გათავდი, როცა შეწყდი, როგორც რუსხმული.

ოდეს ყაყაჩოს ველზე განყდა მთელი მხედრობა,
უფალს, ვით მამას, სამუდამო სთხოვე შენდობა.

.....

მეც საქართველოს მინდა ვუთხრა ჩემი სახელით,
არ დაივიწყო ანგელოზი შენი მფარველი!





არ გამახსენო ის ზაფხული, ის მკვდარი სახლი,
ის დიდი ეზო თეთრი კარვით, პატარა ძაღლით.

არ გამახსენო თუ გიყვარდე, არ მომკლა უცებ,
ვერც ხედავ, ძაძით მოსილივით ვედარ ვხსნი ტუჩებს.

ვერც ხედავ, ჭლექით სნეულივით ვახველებ მხოლოდ,
ვერც ტყვეს ვპოულობ, ვერც ფიჭვების შარშანდელ კორომს.

ვერც შენ იპოვი, შე კერკეტო, ხსნასა და შველას,
სანამ იმ ჩვენი სახლის ნახშირს არ შეჭამს ყველა.

არ გამახსენო ის ზაფხული, ის მკვდარი სახლი.

თრიმლი

ჩვენ ეს ზაფხული ვიქნებით ერთად,
ვერცხლის წყაროზეც სულ ერთად ვივლით,
გამოხვალ გარეთ... და უცხო სევდას
მოგიკლავს უმალ პატარა თრიმლი.

ნახავ, მიაპყრობ ალერსით თვალებს,
რომ უკეთ იგრძნო თრიმლი და ჰავა,
შედგები ბორცვზე და სოფლის მთვარეს
შეხედავ, როგორც საკუთარ მამას.

ბალადა კრავზე

მშვიდად შეგაბეს კისერზე თოკი,
მთელი დღე ტყე-ტყე გატარეს ხელით,
მერე მოვიდნენ ცეკვით და როკვით
და ღვთის სახელით გამოგჭრეს ყელი.

შენ ხომ არა ხარ ის მატა ჰარი,
ან სტიუარტი ცეცხლივით ღია,
რომელსაც ძელზე მოკვეთეს თავი,
ხოლო იმ სანყალს აკმარეს ტყვია.

რა დააშავე ასეთი, კრავო? –
რისთვის ამგვარი ვნებით და ამოდ?!
მე მთელი ღამე ვტიროდი, კარგო,
შენი სისხლის და კანკალის გამო.

დაუმთავრებელი გალადა სევდაზა

მოდის და მოდის არქივიდან, საცავებიდან,
დიდი ვახტანგის წიგნებიდან, ხელნაწერიდან,
ბერი თევდორეს თავდადებიდან,
მეფის, დედოფლის საიდუმლო ზარდახშებიდან.

გუდიაშვილის,
ფიროსმანის სურათებიდან.
მამა დავითის ფსალმუნებიდან,
უზენაესის წმინდა კვართიდან.

მოდის მოხუცი თავდადების თეთრი ლხინიდან,
სოლოლაკიდან,
მთანმინდიდან,
ორთაჭალიდან,
მოდის დოქიდან, ხელადიდან, ოქროს თასიდან,
ლოყანთელი სპილენძიდან, ვერცხლეულიდან,
მოდის ხაშიდან – ჭიქა არყიდან,
პატარ-პატარა დუქნებიდან, სარდაფებიდან.

მოდის სოსო გრიშაშვილიდან,
ავთო ვარაზის სახის კანიდან,
მოდის გოგირდის აბანოდან – ცხელი ორთქლიდან,
ძველი ტფილისის ნოხებიდან, ფარდაგებიდან,
ფორთოხლისფერი კრეპდემინის სურნელებიდან, –
ოცნებასავით ქალებიდან,
ორბელიანის,
გოლოვინის ღია სარკმლიდან, –
მტრედის ფრთასავით მოფართქალე აბრეშუმიდან,
კაი ყმის შავი უღვაშიდან – მაყვლის ბუჩქიდან,
მტკვრიდან, მეთევზის თვალებიდან, ფიჭვის ტივიდან,
ღვინოგამჯდართა ღილინიდან, მუხის კასრიდან,
მზიდან,
მთვარიდან,
ვარსკვლავებიდან.

მოდის ტაძრიდან – ანჩისხატის ამბიონიდან,
უფლის ერთგული მორჩილიდან, ბერმონაზვნიდან,
წამებულთაგან, ტანჯულთაგან, განწირულთაგან, –
წყალში დამხრჩვალთა სხეულთაგან, – მყრალი გვამიდან,
პანაშვიდიდან,
გასვენებიდან,
ქელებიდან – მწუხრის სუფრიდან,
საფლავის ქვიდან,
კვიპაროსიდან.





მოდის შაბათის ცოდვა-მადლიდან,
მოდის მეტეხის ქვაფენილიდან,
ნარიყალას დიდი კედლიდან,
აბო თბილელის თბილი ნიშიდან.

მოდის ომიდან, – სამაჩაბლოს მინდვრის ფერიდან,
მოდის მთებიდან, ქედებიდან, მწვერვალებიდან,
შეჩვენებული სოფლებიდან, ქოხმახებიდან.

მოდის და მოდის ჩემი ტვინიდან,
ჩემი თვალების ვერცხლის ჩქერიდან...
და თუ ამ ფიქრში უცებ მოკვდები,
თქვი, სევდასავით მარტოდმარტო დარჩა საფლავზე, –
ერთი პატარა ლოდის ამარა!

აფხაზური

ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –
ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!

სანამ დევნილის სახელით ვივლი,
სანამ ათონის კარი და მღვიმე,
ვით მკვდართა სახლი იქნება ჩემთვის,
ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –
ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!

ბზიფის, ბიჭვინთის, გაგრის გარეშე,
კიპარისების, ბზების, აგავას,
ევკალიპტების ვერცხლის გარეშე,
ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –
ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!

მაგნოლიების, კამელიების,
კივის, ფორთოხლის, პალმის გარეშე,
ძონის, ქათიბის, შუქის გარეშე,
ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –
ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!

ერთი მაგარი ლხინის გარეშე,
ყანწის, თამადის, ლექსის გარეშე,
ჯუმა ახუბას, თარბას გარეშე,
ჟანგისფერია ჩემი სიცოცხლე, –
ჩემი ცხოვრებაც ჟანგისფერია!

გიორგი კეკელიძე
პოემა ცრუ თავლაზე

მარტივი გამოცანა ძმათათვის და დათათვის,
რომელნიც ცაათ სასუფეველს მოელიან


– სული ცხენზე –

გადააფურთხე თხის სისხლი,
ირბინე ნაპირზე პირში ქვებით,
ირბინე ქვებზე პირში ქვებით,
ირბინე ქვებზე მხრებზე ჩემით –
ეს მე ვარ ნაცარქექია,
ჩემს ცოლს მივაჭენებ
და ჩავძახი:
დაგახრჩობს ჩაბრუნებული წამწამი – ცრემლის ჩატეხილი ბენვის ხიდი,
დაგახრჩობს ჩაბრუნებული დარდი – ცრემლის ჩატეხილი ბენვის ხიდი,
დაგახრჩობს ჩაბრუნებული ცრემლი –
ამოაფურთხე,
ამოაფურთხე ცრემლი –
თხის სისხლი
და უთხარი – ამწიონ.

– ცხენი –

როგორც ოკეანის წყალს აქვს ერთი გემო
ბუღა

ჩემი გვამი აქვე გდია,
ცოლის მხრებიდან ვუყურებ – სამი ჭია ეპარება,
სანამ შეჭამენ, თვითონ სიზმრის ნარჩენებს ჭამს
და ველარ ყვება,
მე ვიცი მისი სიზმარი,
სიზმრის თავი ვიცი
მე დაუტოვე:
მოდოდა შავი წყალი,
შავ წყალზე თეთრი ტივები და ტივზე ნისლი ტივტივებდა,
ლამეც შავი იყო –
შავი, როგორც მზის ძვლები –
ოდესმე მზე როცა მოკვდება.
სადღაც, მეორე ნაპირის ნაპირზე,
სახლების წინ კოცონი ენთო –
მოცეკვავე საფრთხობელა ავი ბნელისთვის.
მოდოდა შავი წყალი,
წყალს ნაფოტიც ჩამოჰქონდა.



გიორგი კეკელიძე დაიბადა ქალაქ ოზურგეთში 1984 წელს. სწავლობდა ოზურგეთის ეგნატე ნინოშვილის სახელობის I საშუალო სკოლაში. იყო ახალგაზრდული გაზეთის „რვას + 1“ რედაქტორი. 2001-2009 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი). 2006-2008 წლებში მუშაობდა რუსთავის № 2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად, 2007-2009 წლებში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროექტის კოორდინატორად. არის ელექტრონულ ბიბლიოთეკა ლიბ.გე-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ლიტერატურ კონკურს ლიბ.გე-ს და ჟურნალ ლ'ილ-ის დამფუძნებელი. 2009 წლიდან არის ალტერნატიულ გამომცემლობა „ფოკუსის“-ს საგამომცემლო ჯგუფის წევრი და მენეჯერი, ამავდროულად „რადიო-ქალაქის“ ლიტერატურული გადაცემის – „ლიტერატურული ქალაქი“ – ერთ-ერთი წამყვანი (დავით ქართველიშვილთან და ნესტან-ნენე კვინიკაძესთან ერთად).



მიჰყავს რუბრიკა „პრო და კონტრა“, რომელიც ითვალისწინებს ცნობილი კირიტკოსების, თეორიტიკოსების ორი (ან მეტი) განსხვავებული აზრის მოსმენას ერთ ლიტერატურულ მოვლენაზე. 2010 წლიდან მისი ინიციატივით ლიტერატურული პორტალი ლიბ-გე „როკ-კლუბთან“ ერთად აარსებს ყოველკვირეულ არტ-სალამოებს.

თარგმნილი აქვს რამდენიმე ავსტრიელი პოეტი, მსოფლიოს ლიტერატურული ზღაპრები („ჯადოსნური კარი“), სერგეი დორენკოს „რომანი 2008“. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. შეტანილია ქართული პოეზიის აზერბაიჯანულ ანთოლოგიაში.

2008 წელს გამოსცა პოეტური კრებული „ოდები“ (ლიტერატურული პრემია „საბა“ – წლის დებიუტი), რომლის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილი ავტორის სახელის ნაცვლად მითითებულია ოდების ჟანრის ფუძემდებლის პინდარეს ბიოგრაფია. წიგნში ლექსებთან ერთად გაბნეულია სხვადასხვა ცნობილი კირიტკოსის (გაგა ლომიძე, ზაზა შათირიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, რევაზ სირაძე, ლევან ბრეგაძე, ზურაბ კიკნაძე, თენგიზ კიკაჩიშვილი, გივი ალხაზიშვილი) მარგინალია კრებულის შესახებ და გაფორმებულია დავით მესხის ფოტოებით.

– ცხენი ნომერი 2 –

ნაფოტი მეგონა და მტრის გვამი ყოფილა,
გვამი მეგონა და ცოცხალი ყოფილა,
ცოცხალი მეგონა და სიზმარი ყოფილა,
ოღონდ ბოლომდე ველარ ვნახე,
კისერი მეტკინა.

დაგახრჩობს ჩაბრუნებული ცრემლი –
ამოაფურთხე,
ამოაფურთხე ცრემლი –
თხის სისხლი
და უთხარი – ამნიონ.

ან იქით გამიშვი,
ამ ტყეს გადაღმა ჩემი სახლია –
თავზე ხავსით, თხელი, წლობით განაცვენნი
ცამ ცივი ოფლივით რომ დაასხა.
ამ ტყის გადაღმა მკვდარი სახლია
ერთ დღესაც ანუ
ჭაღები კბილებივით ანაკნაკდენენ,
წვიმა მოცახცახე ბოძებიდან
მინისკენ შარდვით გაეპარა
და მერე ნელ-ნელა ქრილობებზე
შეეხსნა ჭუჭყიანი ფიცრები და
სითბოსგან სისხლივით დაიცალა,
ტანში გასაყინი წამალივით,
ავვისტოს მკვდრებს რომ ინახავენ –
ნოემბრის ცივი ქარი ჩადგა.
... ცოტა ხანს კარზე ჯიუტ მაჯასავით,
მეზობლის მიკიდული ნალი ცემდა,
მერე კი მოხამხამე ფანჯრებიც ჩამოვარდენენ
ანუ
ღია დარჩა თვალი.
ამ ტყის გადაღმა ჩემი სახლია,
მივალ და მის გვამში დავიძინებ.

– მათრახი –

„მატლი მოუკლებელი და ცეცხლი დაუშრეტელი“ (მარკ. 9, 44)

იღიმის ჩემი ცოლი,
ამომცინის
და დარბის.

დალი კახიანი

უიარალოდ ვინც იგებს ომებას

ვუძღვნი ნიკო გომელაურის ნათელ ხსოვნას

ო, ეს ავსული ბედისწერა კლანჭებს ილესავს,
მეძებარით ძუნძულით დარბის,
მას არ ღალატობს ავი გუმანი,
თვალი აქვს ხარბი, ნდომა გურმანის,
არად დაგიდევს ლიფსიტების უსახურ ლაშქარს,
და არას ერჩის ფილისტერებს, სატანის კერძებს,
მხოლოდ უზადო, მხოლოდ კაშკაშა,
ის უამათოდ ერთ დღესაც ვერ ძლებს,
ემეგობრება ჩაუქებს, ზორბებს,
ხარებს და ლომებს, არწივებს, ორბებს,
უიარალოდ ვინც იგებს ომებს.
...ვინც კი მოსჭამა ნუთისოფლის წამი ყოველი,
ვინც არ ინვოდა და გასაღები ვინც არ გაიღო,
ვინ რას ენია ან რა წაიღო?..
ვინმე ავყიამ და თვითმარქვიამ,
დროსი აზღუდი ვინც გაარღვია,
რამე გაიგო, რა გაარკვია?
მე ის მახარებს, რომ ჩემებრ სხვანიც,
თაყვანს სცემთ ხარებს და ლომებს,
სულაც არ შვენით მღვიმეში ყოფნა რომლებს,
უტყუარი აქვთ მამრის გეში
და ურჩევნიათ ქართა თარეში წარმტაც მხარეში.



დალი კახიანი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ხელოვნებათმცოდნე, მრავალი სამხატვრო გამოფენის მონაწილე და მხატვარ-ილუსტრატორი. მუშაობს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში, არის არაერთი საინტერესო ნაშრომის (სამეცნიერო ჟურნალები – „საზრისი“, „პრომეთე“), სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორი („სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დანყებით კლასებში“). მისი ლექსები იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში („მწერლის გაზეთი“, „ქართული სიტყვა“ და სხვ.).

შიქრები წინაპართა სურათებითა

ან გარდასული დროების ნასხლეტს –
წინაპრის აჩრდილს ვუმზერ და ვტკბები.
გამოხედვა – დაკვირვებული
და თითქოს გაკვირვებული,
ტუჩის კიდესთან შერღვეული ოდნავი ღიმილი,
კეთილადნაგი ქართული ხიბლით,
მიხვრა-მოხვრით რაინდულით
და ცოტა დარდიმანდულით.
თავის აღმართვა მიმინოს ჯიშის,
მიუღებლობა მდაბიურ ნების, ვითარცა სნების,
შემომცქერიან მიმდევარნი კანონების დანერღვის
და უფრო დაუნერღვის.
თხემით ტერფამდე მატარებელნი



განძეულის ალუნერელის,
 ურთიერთ ნდობით ღვთისმოსავურით,
 და გამტანობით ნათესავურით.
 თითქოს ჩამესმის
 ფაეტონების თქარათქურის აურზაური...
 ჩარჩოებიდან თვალს მისწორებენ
 დარბაისელნი ოდნავი ღიმით.
 დრომ უეცარმა თან წარიტანა
 დღესასწაული გენის და ჯიშის,
 ...კარგა ხანია დაიცალა საათი ქვიშის
 ამოუვსებელ ნაპრალს მაგონებს
 შეუვსებლობა მათი ნიშის.

ომის შვილებო

*ვუძღვნი 1993 და 2008 წლებში
 საქართველოს მთლიანობისთვის ომში დაცემულ რაინდებს –
 აჩიკო მიშველაძეს, გოჩა ყარყარაშვილს, ლევან აბაშიძეს,
 საშკა იოსელიანს, ვახტანგ თედიაშვილს, დათო დვალისშვილს და სხვებს.*

ჯარისკაცებო, კარგო ყმანო, ომის შვილებო,
 ჯერ კიდევ ჩვილებს (ვერც კი გამართა ზოგმა ფარაჯა),
 სამშობლოს კარზე მდგარო კარისკაცებო, ქვეყნის დარაჯად,
 სიცოცხლითა და ტრფობით მშივრებო,
 ბედის მზაკვრობით ზვარაკივით განანირებო,
 გულზვიადნო და გულჩვილებო,
 ნატრფობი ცრემლით დანატირებო,
 ომმა გიშვილათ, გადაგაფარათ ქაობისფერი ფარაჯის კალთა,
 ვაგლახ... დაგრჩათ უხმარი ვერცხლის ქამარი

და ვერცხლის ბალთა,

თქვენს სიჩაუქეზე ყვებიან ლეგენდებს,
 როგორ ენატრებით მშობლიურ ქედებს,
 ზესკნელის კარნი განიხვნენ უმალ
 და მიეახლეთ სამოთხის ედემს.
 ამიერიდან თქვენ გაემიჯნეთ სამდურავს ამა სოფლისას,
 და გადასახლდით ქარში, წვიმაში, და ცის ნათელში,
 სუნთქვად, ცრემლად და აღმაფრენად,
 მთვარისფერი ზამბახის სევდად
 და მზისსადარი ღილილოს ღიმად.
 გჯეროდეთ მარად, იმათ გულშიც ხართ,
 ვინც ვერ გიხილათ.
 მართვეებო, აფრენილებო თბილი ბუდიდან,
 ჯერ მთლად ნორჩებო, არა გვიანნო,
 არაგვიანთა მოდგმისა,
 ნატირლებ ანატირებო ქარით მოტანილ მოთქმისა,
 გეორგიანნო,
 გაუმადლარნო სიცოცხლითა და ტრფობით მშივრებო,
 ომის შვილებო...

მხატვრული პროზა

გურამ მეგრელიშვილი

მღვდელი

გამგებელმა ჯერ მარჯვენით მარცხენა ჩექმაზე ჩამოიცილა ტალახი და მერე პირიქით, ხოლო როცა ოთახში შედიოდა, სანამ ხალიჩაზე ფეხს დადგამდა, წამით შეჩერდა.

ზაქრო ბუხართან იჯდა, სტუმრის მოსვლაზე არც შემოტრიალებულა, ჩაფიქრებული კაცის სახე ჰქონდა.

გამგებელმა მოგიზგიზე ცეცხლს რომ შეხედა, შეშურდა. ეს ერთადერთი ოჯახი იყო, ოქტომბრის ბოლოდან რომ შეეძლო ცეცხლის დანთება.

– გაუმარჯოს ზახროს!

ზაქრომ დაბნეულ-გაკვირვებული კაცის სახე მიიღო და სტუმარს ჯორკო დაუდგა. ცოლისთვის თვალის შევლებაც მოასწრო და ქალმა გამზადებული ყველი, ლორი, ორი ცხელი ლობიანი და ექვსად გაჭრილი კიტრის მწნილი შემოიტანა. ბიჭმა ბორჯომის ბოთლში ჩამოსხმული ჭაჭის არაყიც შემოაყოლა და გაშლილ სუფრაზე, თევზებს შორის, ჩადგა.

გამგებელმა არაყს მოკიდებულ „ჯაჭვს“ შეავლო თვალი და ჯერ უკან გაიხედა, ხომ არავენ მისმენსო და მერე თქვა:

– არ იქცევი სწორად.

ზაქრო ისე სწრაფად წამოხტა ჯორკოდან, მესამე თვალი ვერ დაიჯერებდა ეს მრავალჯერ გათამაშებული თეატრალური სცენა რომ არ იყო და პირველად ხდებოდა.

– თქვენ ვინა გკითხამთ, ბოშო? ჩემი ოჯახის ამბები რათ უნდა ვარკვიო სოფელთან?

გამგებელმა თხლად დაჭრილი ყველი ქაღალდით გადაკეცა და პირში ჩაიდო, მერე ორთქლიანი ლორის ნაჭერიც ზედ მიაყოლა და როცა არყის ჭიქებს აესებდა, სხვათაშორის ჩაილაპარაკა:

– მე სოფლის სახელით არ მოვსულვარ, ზახრო. ნათელ-მირონები ვართ და ქე უნა მეთქვა ჩემი სათქმელი, შენი საქმისა შენ იცი!

გადაჰკრა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ზაქრო ისევ ცეცხლს შეუბრუნდა, გრძელი საჩხრეკით ნედლი შება ჩხრეკდა.

განცხადებასთან ნახევარი სოფელი შეკრებილიყო, რომლის შინაარსიც გამგებლისგან უკვე ყველამ იცოდა. ხალხი ერთმანეთს უყურებდა და ელოდა პირველი ვინ გააკეთებდა კომენტარს, რომ მერე აჰყოლოდა და ჩაერთოთ. ასეთი პირველი სოფლის მღვდელი აღმოჩნდა. შექუჩებული სოფლები რომ დაინახა, გაჯგიმულმა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მისწინა მოსწია ყველანი და განცხადებას ცხვირით აეკრა.

მაღალი კაცი იყო, ჭაღარა. წვერს ყოველთვის ერთნაირად ატარებდა. ანაფორა ქერტლით ჰქონდა ხოლმე დაფარული და წამით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს გრძელთმიანი ყოფილიყო. გაღურვებულ ტუჩებს ხშირად ილოკავდა, რაც ხარბი ადამიანის შესახედაობას აძლევდა, თუმცა სინამდვილეში მთლად ასეც არ იყო. ფულის ალებაც უყვარდა და გაცემაც. განსაკუთრებით სიმთვრალის დროს.

ბავშვებს უხაროდათ ხოლმე მღვდლის დანახვა და თავიანთი უფროსებით სულ არ ენალვლებოდათ მანამდე კაცი წინა მღვდლის მძლოლი და ბრაკონიერი იყო თუ სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული. მთავარია, რომ კაცი მეგობრობდა მათთან.

მღვდელმა სახე მოაშორა განცხადებას, ირგვლივ მდგომნი შეათვალიერა და თავისივე ხელით ჩამოხია ქაღალდი.

– ხუმრობს ზაქრო თუ როგორაა? – თქვა და თვითონვე გაიღიმა იმ იმედით, რომ სხვებიც გაიცინებდნენ და ყველაფერი ხუმრობა აღმოჩნდებოდა, მაგრამ სულელი ნესტორას მეტს არავის გაუცინია.

– რასა ხუმრობს, მართალია რაც მანდა წერია. აგე, გამგებელი იყო წუხელი და ჩემი საქმისა მე ვიცივო.



დავიბადე თბილისში 1980 წელს. დავამთავრე თსუ-ს ბიზნესის ფაკულტეტი.

2002 წელს ფსევდონიმით ზემბა გამოიცა ჩემი მოთხრობების კრებული „10+2“, 2005 წელს კი მეორე კრებული „შენ“. 2008 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა ჩემი მოთხრობების კრებული „მრავალჯერადი ბოთლები“. სხვადასხვა წლებში ვიბეჭდებოდი ჟურნალებში „ლიტერატურული პალიტრა“, „ჩვენი მწერლობა“, „ცხელი შოკოლადი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „არილი“, „New Wave“, „Крешатик“.

სექტემბერში იგეგმება ჩემი რომანის „iratta.ru“ და მოთხრობების კრებულის – „ადამიანის ქალაქის“ გამოცემა.



მღვდელმა განუყრელი ჯოხი ხელში შეათამაშა და ხალხს გადახედა. ყველას ერთმა აზრმა გაუელვა – ახლა ნავა და ზურგს აუჭრელებს ზაქროსო, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა სიტყვით ვერაფერს აგებინებდა ადამიანს. აკი მრუშობაზე წასწრებული მარუსა და ტრაქტორისტი ვახტანგაც ეგრე სცემა ყანებში, მერე მარუსას ქმარიც ზედ მი-აყოლა, ცოლისთვის ვერ მიგიხედავსო, მერე კი სამივენი თავისთან დაიბარა და აღსარება ჩააბარებინა, ეპიტემია უნდა დაგადოთო.

სოფელს ეშინოდა მღვდლის. ერისკაცობაშიც კაი მოჩხუბარი ვინმე იყო და იცოდნენ იმ თავის ხელჯოხს იაპონელი ნინძასავით მარჯვედ რომ ხმარობდა. ამიტომაც განცხადების ჩამოხვევის მერე ერთიანად გაიტრუნა სოფელი.

ზაქროც კაი მძიმე შემთხვევა იყო, ეგრე ადვილად თავს მღვდელს კი არა, პოლიციის უფროსს ყურშა დათიკას არ დააჩაგვრინებდა. ზაქროს არც ფული აკლდა და არც გავლენა. ნახევარ სოფელს მისი ვალი ჰქონდა და როგორც ასეთ დროს ხდება, ზაქარასთან შეკამათებას ერიდებოდნენ. მღვდელსაც ემართა მისი და ეს ყველამ იცოდა. ეკლესიის მოსახლავი ფული სწორედ ზაქრომ ასესხა მამაოს და ერთგვარი პრივილეგიითაც სარგებლობდა ტაძარში შესული, რადგან აღსარების ჩაბარებისას, რიგში დგომა არ უნევდა ხოლმე.

– მაშ, ნაგუთნევის მხარის მიწას და ძველ სახლსაც მივცემ მზითევშიდაო, არა? – ისე იკითხა მღვდელმა, თითქოს განცხადება თავად არ ეჭირა ხელში.

– ხოვო! – ერთხმად უპასუხა რამდენიმე კაცმა.

– აბა, უყურე მაგ შეჩვენებულს. ღმერთისა აღარა სწამს მაგ უბედურსა? ზიარება მონატრებია, თუ?

ხალხი წამქეზებლურად უყურებდა და მღვდელმაც ვალდებულად იგრძნო თავი, პირდაპირ ზაქროს ეზოსკენ წასულიყო. შორიდანვე დაინახა კაცი, ეზოში ტრიალებდა. წამით შეხედეს ერთმანეთს. ჯერ ეს იყო მევალისა და მოვალის შეხედვა, მერე გადაიქცა მღვდლისა და მრევლის შეხედვად, მერე კი იოანე ნათლისმცემელივით მიადგა და ჭიშკრიდანვე გასძახა:

– ზაქროოო!

ზაქრო ბოსელში შეიმალა და წინსაფრიან ცოლს ანიშნა – აქ არ ვარო.

– ზაქრო არ არის, მამაო, შემობრძანდით! – გაეგება ქალი. მღვდელმა თამამად შეაბიჯა და კაბის ქვეშიდან ჯინსის შარვალი გამოუჩნდა. ქალმა ისე გააპარა თვალი ჯინსისკენ, უცოლო ბიჭებს რომ გაექცევით ხოლმე თვალი მოშიშვლებული მკერდისაკენ.

– სცოდავო, შვილებო, სცოდავო! – ქალს უთხრა მღვდელმა და თვალი კი ბოსლისკენ გაექცა.

– რას იტყვის ხალხი, ღმერთს რა პირით უნდა შახედოთ?

დიასახლისმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ მღვდელმა არ დააცალა.

– შენ ქალი ხარ და რო მაგენდომებინა, შაგედლო გადაგეთქმევინა ქმრისთვის ეგ სისუნელი.

ქალს სიცილი წასკდა. როცა მღვდელი ნერვიულობდა, თავის კუთხურ კილოზე იწყებდა მოქცევას და აქეთ, მათ მხარეში, ეს განსაკუთრებით სასაცილოდ ჟღერდა. მამაომ შეუბღვირა დიასახლისს, თუმცა ქალს უკვე მოესწრო სერიოზული სახის მიღება და მღვდელი წამით დაეჭვდა, მართლა გაეცინა მასპინძელს თუ არა.

ზაქრო კართან იყო ატუზული და ჭუჭრუტანიდან უყურებდა ორივეს. იცოდა, რომ გამოსულიყო, მოძღვარი არ დაინდობდა და ისეთებს ეტყოდა, ჩხუბი მოუვიდოდათ. სხვა დროს იქნებ სდომებოდა კიდეც ეს ჩხუბი, მაგრამ ახლა, როცა მთელი სოფელი მასზე ჭორაობდა ზურგს უკან, არ აპირებდა ამბის გამძაფრებას, ამიტომაც მორჩილად ელოდა როდის წავიდოდა მღვდელი მათი სახლიდან.

– გადაეცი ზაქროსა, შამაიარათქო ჩემზე. ტვინიდან ამაიგდოს ეგ სისულელები, სამასხროთ ნუ გაიხდის თავსა, თორე არც ერთსა ზიარებას აღარ მოგცემთ, იცოდეთ. აჰა, ეს განცხადება კიდე... გამაიყენებთ ერთ ადგილასა... არ შაიგინოს ჩამამხევეზე, მე ჩამავხიე! – მამაომ ერთიც გახედა ბოსელს და როცა ეზოდან გადიოდა, ისევ აწინა კაბა და ისევ გამოუჩნდა ჯინსის შარვალი.

როცა ზაქრო ბოსლიდან გამოვიდა, ცოლს ორი თითით ეჭირა განცხადება და ხელიდან გამოგლიჯა. ისეთი გაავებით შეხედა, თითქოს ქალს ჩამოეხიოს.

შენი ბრალია, ასეთ დღეში რომ ვარო, შეუღრინა ცოლს და სახლში შევიდა.

ღამით კი, როცა საბნის ქვეშ შეუძვრა, მეც არ მინდა, მაგრამ უკვე შარდის

სუნიტაა გაჟღენთილი მთელი სახლიო, დაინუნუნა. მერე, მერეო, რბილი ტონით თქვა ზაქრომ და გახდა დაუნყო. ცოლმა იყუჩა, შესაფერის მომენტს დაელოდა საუბრის გასაგრძელებლად.

– რას ჩაიცმევ ხოლმე ამ ბანდაჟს, შექალო, ან როგორ იცმევ? – გაბრაზდა ზაქრო, ჯაჯგურით რომ ვერაფერი უყო. ცოლმა ოდნავ ასნია ტანი და უცბად გაიძრო.

– ქალაქში რო წაგვეყვანა, აჯობებდა, ხალხიც ვეღარ გაიგებდა.

ზაქრომ წაუყრუა და ხენეშა დაიწყო. ცოლმაც დაიწყო, ქმრისთვის რომ ეამებინა, და მერე ჯერ ქმარს დაეძინა, შემდეგ ცოლს.

ხუთშაბათ დღეს ნოტარიუსი ამოიყვანა გვერდით სოფელმა ვაჟიკომ. სეირის მაყურებლები იმაზე მეტი მოგროვდნენ, ვიდრე ზაქრო ელოდა. ლობესთან ჩამწკრივებულიყო ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი თვალს ადევნებდნენ, როგორ ამზითვებდა დედამისს ზაქრო.

რალაც საბუთებზე ქალის ხელმონერა დასჭირდათ და ვერაფრით გააგებინეს რა ჭირდებოდათ. მოხუცს ბოლო სამი წელი იყო არც ყურში ესმოდა და ვეღარც კარგად ხედავდა, ამდენი ხალხი რომ ნახა, იფიქრა რალაცა საშინელებაზე მანერინებენ ხელსო და ვირზე შეჯდა. ნოტარიუსი ბრაზობდა, რალაცა საქმეზე მიეჩქარებოდა რაიონის ცენტრში და დროს მაკარგვინებთო. ბოლოს, როგორც იქნა, რძალმა აიძულა დედამთილს საბუთებზე ხელი მოენერა და სამოქალაქო ქორწინებაც გაფორმდა. სიძეს, ოცდათხუთმეტი წლის კაცს, ნაგუთნევის ორი სამოსახლო ნაკვეთი და ექვსთვალაინი ხის სახლი, თავისი ხეხილიანი ბაღით, საკუთრებაში გადაეცემოდა მოხუცის სიკვდილის შემდეგ. კაცი, თავის მხრივ, ვალდებული იყო, მოეველო და მიეხედა ახლადშერთული მეუღლისთვის. ნოტარიუსმა ბეჭდები დაარტყა საბუთებს და ჩქარა გაეცალა იქაურობას.

სოფელი გასუსული უყურებდა როგორ უსვამდა ვაჟიკო მოხუცს ხელს თავზე. გამგებელი ეზოში იდგა, ცდილობდა ხალხისკენ არ გაეხედა, ამიტომ პირდაპირ ეზოში გაშლილი სუფრისკენ იყურებოდა. მოძღვარი არ მოსულა, წყველა-კრულვა შემოუთვალა ზაქროს

და მის ცოლს და სიდედრ-სიმამრთან გადავიდა მეზობელ სოფელში.

სუფრა მალე დაიშალა. წვიმამ დასცხო. სტუმრებმა ჩქარ-ჩქარა, განსხვავებულებით დალიეს სადღეგრძელოები და დაიშალნენ. ნოტარიუსის წასაყვანად გაშვებული მანქანა იგვიანებდა და შექეფიანებულმა სიძემ, ხელით გადავიყვან დედაბერსო, დაიჭინა. სულელმა ნესტორამ მოგეხმარებით და ვაჟიკომ ცივი უარი უთხრა, აქაოდა, აგერ, როგორ ვუვლი დედაშენსო, გახედა ზაქროს და ხელში აიტაცა მოხუცი. ქალმა გაკვირვებით და საცოდავად შეხედა ვაჟიკოს, ისედაც დამანჭული სახე კიდევ უფრო დამანჭა და სახეზე დაპკურებულმა წვიმის წვეთებმა პირი შოშიასავით დააღებინა. ვაჟიკოც დაიჯღანა, დედაბერს ისეთი სუნი ასდიოდა, მთელი სახლი ყარდა, არათუ ხელში დაგეკავებინა და მიგეხუტებინა. დაიჯღანა, მაგრამ გაუძლო და წვიმას რომ გარიდებოდა, სწრაფი ნაბიჯით გავიდა ეზოდან. გზა ატალახიანებულიყო და ვაჟიკოს იმ დღისთვის საგანგებოდ გაპრიალებული ტყავის ფეხსაცმელი მალე კალოშებს დაემსგავსა. შარვალი, ჯერ ტალახის წინკლებით, ცოტა ხანში კი მთლიანად ტალახით დაიფარა და მუხლს ქვემოთ გაუყავისფრდა.

მოხუცი რალაცას ბუტბუტებდა, მაგრამ არც არავინ უსმენდა და ისედაც, ვერც გაიგებდი რას ამბობდა.


ვაჟიკო სწრაფი ნაბიჯებით მიიჩქაროდა თავდაღმართში თავისი სოფლისკენ.

მღვდელთან პირველი სულელი ნესტორა მივარდა. მთვრალ ვაჟიკოს ბონდზე გადასვლისას ხელიდან გავარდნია მოხუცი და ქალიც დაიხრჩოო. თვითონ ვაჟიკოც წყალში აპირებდა გადახტომას, ანი ვინდა დამიჯერებს რომ დედაბერი მე არ მოვკალი ძალითო? ზაქროს ლამის სიკვდილამდე უცემია ცოლი, ყველაფერი შენი ბრალიაო და სოფელი კიდევ უარს ამბობს დამხრჩვალის მოძებნაზეო.

მღვდელი სუფრასთან იჯდა. დიაბეტი ჰქონდა და საათში ერთხელ მაინც რომ არ გაელუკმა რამე, ცუდად ხდებოდა. თავდახრილმა მოუსმინა სულელ ნესტორას, მხრებიდან ქერტილი გადაიფერთხა, პირფვარი გადაინერა და მძიმედ ადგა მაგიდიდან.



ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა



ოთარ ბრაკაძე

დღე, როგორც თარიღი – 11 ივლისი 2010 წლისა. მტრედისფერი ცა თითქოს კიდევ უფრო ამალღებულყო. ხის კენწეროები ნახატივით გაშუშებულიყვნენ. ნოტიო, ცხელი ჰაერი მოლოდინით შეგუბებულყო. მნათემ სამრეკლოდან გადმოხედა ერს. ყველამ იცოდა, ვისთვის რეკდა ზარი. ის თეთრ ჩოხასა და შავ წულებში გამოწყობილი იწვა მათ თვალწინ. ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ეზოში ხდებოდა ის, რასაც ახალი საკულტო ტრადიციისთვის უნდა დაედო სათავე.

ფრიდონ ხალვაში – გამორჩეული სახელი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, თხემით ტერფამდე პოეტი, შემოქმედი და კიდევ ოდნავ მეტი იმაზე, ვიდრე თვითონ იყო ან ჩვენ წარმოგვედგინა. მან შექმნა თავისი სახე, თავისი სტილი და თავისი მითი, რომელიც არსებობს როგორც სახასიათო ფორმა და შინაარსი, როგორც ადვილსაცნობი ისტორია, როგორც ტრადიცია, წინაპართა კვალის გამგრძელებელი.

ბოლო ხანებში ხშირად ამბობდა, იქ, ზემოთ, გველიძეებში, მეუღლის გვერდით... მეც იქ წარმომედგინა, თხემის ადგილივით მწუხარე და თვალშეუდგამ სიმაღლეზე, საიდანაც მთიანი აჭარის მწვანე ლანდშაფტი და ლურჯი ჰორიზონტები ტკივილამდე მშვენდებოდა. ოღონდ ეს უნდა ყოფილიყო „ასი წლის შემდეგ“, დიდ ხანს უნდა გაეყოლო, ბევრი რამ უნდა მომხდარიყო და თვითონაც მოეხდინა, ეფიქრა, ეწერა, ეღვანა, ემუშავა.

ფრიდონ ხალვაში

გადამეთელ (თურქეთელ) ჩვენებურაჰში
გურამ ფანჯიკიძესთან ერთად

(დასასრული. დასაწყისი №7)

ბოსფორზე ხიდს რომ მივადექით (აზიური მხრიდან) პოლიცია გვაჩერებს. ჯერ ჩვენი გამტვერიანებულ-გატალახიანებული, იქაურ, მოცქრიალე ლიმუზინების გვერდით დასაცოდავებული ჩვენი „ნოლ-შვიდი“ გარედან შეათვალიერეს. მერე შიგმსხდომთ გადაგვხედეს. რალაც აიმრიზნენ, თითქოს არ მოვეწონეთ თუ იეჭვიანეს? (ჯერ, მაშინ, მისვლამოსვლა მაგრა კონტროლდებოდა). ხიდზე გავლა თქვენი არ შეიძლებაო, მიგავხვედრეს. რატომ – დღესაც არ მესმის (სხვათაშორის, ახლაც, აი, ხომ თითქოს ყველაფერი უკვე ღიაა და, ვითომ, მისვლა-მოსვლაც გაადვილდა, სამწუხაროდ, თურქი მაინც უნდობლად, ეჭვით შეათვალიერ-შეამომემებს საქართველოდან ჩასულსა).

გამოვივართ გარეთ. შეფორიაცადა გურამი. რაიო, რას ამბობს? – მეკითხება იგი. მე ჩემებური თურქულით ვუხსნი პოლიციელს, გურჯისტანელი მწერლები ვართ, აქ თურქეთელი მწერლების მოწვევით ვართ-მეთქი. რა ვიცი რანაირი რალაცეები არ დავახეთქე. „იაზილიჯი, იაზილიჯი...“ – ვიძახი, მწერლების ხსენებამ ცოტა მოალობო.

– გურჯი? გურჯისტან? – დაიჩემა იმ ერთმა და უცებ, ზედ ხიდის ქენერთან მდგარ მეორე ყენტერა პოლიციელს დაუძახა, – გელ, გელ, სენიმ ჰისიმლერ გელმიშ-ო (მოდი, მოდი, შენი ნათესავეები მოსულანო). ყავარით თხელი და ისე მაღალი რომ წონოლა თავსახურავს მოიძრობს, რათა ცოტა ჩვენამდე დადაბლდეს, მართლა ჩვენებურა, ყურებამდე გაღიმებული ბიჭი, მოგვადგა.

– გამარჯვება, გაგიმარჯვონ! ჩვენებური გინდანან? – ზეგურა უქცევს. – ვარ, ვარ, ჩვენებური ვარ. ჰოდა, რა გინდანან, ჰად მიხვალთ?..

გურამი მივა, მოეხვევა. შემომხედავს, სიტყვა ეჩხირება ყელში, თვალზე თქორი უკრთის. ჰოდა, ყურში ჩამიჩურჩულებს, ბიჭო, ასე ალერსიანს პოლიციელს ჩოლოქზე, ასლანის ბიჭებში ვერ ვნახულობო.

– შაირ?! შაირ?! – შაირის, ესე იგი, ლექსის მწერლები ხართ? გვეკითხება. ისე ხაზგასმულად ჩვენებურობს ეს მაღალი, ყენტერა, თურქი პოლიციელი, ეტყობა საგანგებოდ შეარჩიეს და აქ დააყენეს საქართველოდან მოსულები რომ ხანჯერ ვითარებაში გაარკვიოსო. ის, მეორე, ნამდვილი თურქი, გაქრა, ჩვენებურს შეგვატოვა. მგონი ეს ბიჭი, მაღალი ჩვენებური, ჩინითაც მაღალია.

გურამი ვიბიდან რალაცნაირ თბილისურ სამკერდე სუვენირებს ხაჭახუჭით იღებს და პოლიციელს გაუნოდებს. ამაზე მემლექეთიაო? ეკითხება პოლიციელი ფანჯიკიძეს. კი, აბა! – უდასტურებს გურამი და კიდევ რალაც უნდა გადასცეს. აქეთიქით ხელბარგებს მოათვალიერებს. მერე მომიბრუნდება, – წიგნი მიმეცა, თუმცა ამას ქართული კითხვა საიდან ეცოდინებაო.

ის, ჩვენებური თურქი პოლიციელი, სამეგიეროდ ფანქრით ტელეფონის ნომერს დანერს და გადასცემს გურამს, „აქეთობას რომ წამოხვალთ, თუ რამე დაგჭირდებათ, ამაზე ხებერი მომეცით, მაშინვე აქნა მუვდენაო“ – სიტყვა სიტყვით ასე ჩაუკაკლა გურამს და „უკაცრავლათ, უკავრავლათ“ – ბოდიშიც მოიხადა (შეჩერებისათვის ალბათ). ევროპული სტამბულის ქუჩის პოლიციელებიც ისე ყურადღებით და მოფერებით გვეპყრობიან, დაბეჯითებით მიგვასწავლიან ცენტრის ერთ ყრუ უძველეს ქუჩაზე მიმალულ რასიმ ხალვაშის პატარა ჰოტელს „უდუ“-ს, მივხვდით, ამაში იქნებ იმ

გადმედი ჩვენებური ბიჭის ხელიც ერია.

ლამით ტელეფონით ჩემი ძველი „თანში“ იქაური ჩვენებური, მუსტაფა (გურამ) ხიმშიაშვილი, ვეძებე, სახვლიოდ რომ აზიზ ნესინთან შეხვედრაში დაგვხმარებოდა. შარშან სწორედ მუსტაფა ხიმშიაშვილი (გურამ ხიმშიაშვილი) მიმყვა თურქ მწერალთა ასოციაციაში, სადაც ძველი უბნის ძველი სახლის მეცხრე სართულზე, ნაქირავებში, დამალულად (ჰუქუმათს ანუ მთავრობას არ აწყობს მწერლების კავშირად ყოფნა. ახლა ჩვენც ისეთი არ გვჭირს?) რომ იკრიბებინან. და, აი, იქ დამხვდა მაშინ აზიზ ნესინი. სხვათაშორის, ნე-სინ თურქულად ნიშნავს, – რა ხარ, ვინ ხარ, რას წარმოადგენო. ერთ ნოველაში აზიზი მასხარობს, გვარებს რომ არიგებ-ირჩევდენ, მე ჩემ თავზე ვთქვი, ვინ ხარ შენ, რას წარმოადგენ, გვარი რომ მიიღო – მეთქი. ჰოდა, ამნაირად შემერჩა გვარად ნესინი (ვინ ხარ). დიდი სიყვარულით და აზიზად, მაშინ, ილაპარაკა აზიზმა საქართველოზე. ბევრჯერ ჩვენთან ნამყოფია, სახსოვრად სურათებიც გადავიღეთ, სამომავლო რამე-რუმეებიც დავთქვით. მარა, ახლა, ფანჯიკიძესთან ერთად, უფრო დადასტურებული გახდებოდა ყველაფერი.

სასტუმროში ფანჯიკიძის ოთახში ვიყავი, ერთად ვგეგმავდით სახვლიოდ-სახეგოვებს. ჰოდა, ამ დროს, ეს ჩვენი სტამბოლელი ხიმშიაშვილი აზიზ ნესინის შესახებ ისეთ რაღაცას გვეუბნება, გურამსაც კი თმა ყალყზე დაუდგა (თუმც ოდნავ მელოტი იყო). თლათ ყველაფერს თილიფონით ვერ გეტყვიო, მომიწყვიტა მუსტაფამ. ხვალ დილას მუვალ „ულუსში“ და ყოლიფერს კარქა გაცოდიწებო. აზიზსო მგონიაო ვედარ ნახავთო: – აი, რაღაცა ბოლო ამნაირიც მოაყოლა.

დილაიალუნზე, მართლაც, გვეწვია ხიმშიაშვილი. ჩაიზე ვიჯექით. გურამს, კარქაი გიცნობო, მაშინვე მიეხალისა, ძალიან ბედნიერი ვარ, გნახეო. აზიზის ამბავით ვერნა გაგახაროთო, მოიწყინა. კარი მოგვახურია და მართო ჩვენს გასაგონად დაიწყო: მაგანო, აზიზ ნესინმაო, თურმი იმ ცნობილი ჰინდო მუსლიმი მწერლის, ასე მგონია, სახელათ, რუმდის მიერ, ბრიტანეთში, ყურანზე დანერილი რომანი

– „სატანური ლექსები“ თურქულა უთარგმნიაო. ამის გამო, აქ, თურქეთში, უმფო სტამბულში, მოისლამისტო ახალგაზრდობა აბობოქრდა. თავისი სახლიდან აზიზმა ძლივია გაასტრა, თვარა იქვენაინა ჩიექოლ-შეეჭიჭყეს უნდაო. გნასტრა და საცხან, შორ, სამხრეთის ქალაქ, მგონია, მერსინთან ახლო ერთ ჰოტელში დეიმალა და ყოფილა იქა კაიგაყოლა დღეები. ჰამა (მაგრამ) ამ აჯანყებულ-გაჯავრებულმა, შურისმაძიებელმა ახალგაზრდებმა, ბოლოს, გეიგეს ჰაცხანაც იმაღებოდა ნესინი და ჩევდენ იქა და მიადგენ იმ სასტუმროს. გამოვიდეს გარეთო აზიზიო, აყვირებულან. ორი დღელამ ასე ალყაში იყო საცოდავი ჰოტელი თავისი უბედური მდგმურით. ჰოდა, წალან, აქეთ რომ მოვდიოდი, გზაში მითხრეს, ნუხელი თუ დღე დილაი, არ ვიცი, ცეცხლი ნუუკიდეს თურმი იმ ჰოტელს. ისე იყო შეკრული, გარეთ ვერვინ გევდოდა. აღარ ვიცი. ჰელბეთ აზიზი, ნესინი, აღარაა... დეინვა თუ გამოსლიხან გულმა გასკდა, ეს აღარ ვიცი. (რამდენიმე დღეში პრესამ ყველაფერი ეს დაადასტურა).

ამის შემდგომ, იქაური მწერლები-სკენ, ჩვენი, მით უმეტეს ქრისტიანულ ქვეყნელებისა, ნაბიჯის გადადგმაც კი, არა თუ სასურველი, იქნებ სახიფათოც ყოფილიყო.

ამიტომ, მუნისად, უხმაუროდ, მხოლოდ უკვე დაახლოებული, შეჩვეული სტამბოლელი ჩვენებურები, ოჯახ-ოჯახ მოვინახულეთ. ალაგ, მგონი, კაი-კაი საუბრების გადაღება-ჩანერაც შეეძელით, რაც ხელუხლებლად (ვიმეორებ), ჯერ კიდევ, სერვეთ ვერძაძეს შენახული აქვს.

ერთ-ერთი საუბრისას მოკლევადი ვიტყვი. ჰაიდარ ზენგინ-კორტანიძესთან ვიყავით. წინა „ომრში“ ვრცლადაა ხუთი ძმის – ზენგინების (კორტანიძეების) ამბავი.

1968 წელს, ქართველ მწერალთა ჯგუფი (ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი, გურამ ბათიაშვილი, არჩილ სულაკაური, მე და სხვები, ზოგნი მეუღლეებით) პირველად, აქ, ხომ ამ ოჯახს ვენვით.

უფროს ძმას (ხუთნი არიან) ხასანს დიდი სამშენებლო კერძო ფირმა ჰქონდა (ხასანი, სამწუხაროდ, აღა-




გურამ ფანჯიკიძე

იყო მის ბუნებაში რაღაც ისეთი, რაც მისიონერის ხასიათს მოგვაგონებდა. არა მარტო იმიტომ, რომ ბედმა თავიდანვე დააკისრა საგანგებო პოეტური როლი ქართულ სინამდვილეში, არამედ იმიტომაც, რომ პრაქტიკული ინტელექტის ამოწურავი შესაძლებლობები უბოძა ღმერთმა და ამ პოტენციალს უკანასკნელ დღემდე ცხებულის ზემთავონებითა და თანმიმდევრობით ახორციელებდა ქვეყნისა და ერის ინტერესებისათვის.

ხანდაზმულობის მიუხედავად, საოცარ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდა. მუშაობდა, წერდა, კითხულობდა, დადიოდა სხვებდრებზე, სალამოებზე, ჰშირად იყო მშობლიურ სოფელში, ბათუმში. ხანდახან, შუა საუბარში, დაფიქრებოდა და იტყოდა, ეჰ, დავბერდი, ჩემი დროც მოვიდაო. „რა დროს ეგეთებია, – ვეტყვი, – ძმა ხომ გყავთ ოთხმოცდათორმეტის“. „ჰო“, – მეტყვიდა. „და ხომ არის მასზე უფროსი“. „ჰო, იმათ მე ბალანად ვეკუთვნი“. ჰოდა, სანამ „ბალანა“ ხართ, სიბერეზე ნუ ილაპარაკებთ-მეთქი. შემწყნარებლურად ჩაიღიმებდა. თანხმობის იარაღად ღიმილი ჰქონდა.

ეს იყო ადამიანი, რომელიც მუდმივად იწყებდა რაღაც ახალს, რაღაც მოულოდნელს, მნიშვნელოვანს. ზოგჯერ იწყებდა ისეთ რამესაც, რისი შესრულებაც, ერთი შეხედვით, არ ძალუძდა, მაგრამ აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ეს ყოფილიყო მისი საქმე, მისი ხვედრი, მისია, ვალი. სამშობლოზე ზრუნვის გარეშე ერთი დღე არ დაუღამებია. საქართველო



იყო მისი მაცოცხლებელი წყარო, იმედი და არსებობის გამართლება. ამქვეყნად მოვიდა იმისათვის, რათა თავისი ადგილი დაეკავებინა, დამდგარიყო იქ, სადაც მის გარდა ვერავინ დადგებოდა, ეკეთებინა ის, რასაც სხვა ვერ გააკეთებდა, ეთქვა ის, რასაც სხვა ვერ იტყოდა. იცოდა, რა უნდოდა და რას აკეთებდა.

სიკვდილს არასოდეს ახსენებდა, ოღონდ დაუძღურებდა, „ჩავარდნის“ ეშინოდა. ყველაზე მეტად იუბილე აფიქრებდა. წინააღმდეგ და-მირეკა, რესტორანში, მოლაპარაკებაზე, წაყოლა მთხოვა. განახლებულ „ქალაქურში“ ელევანტურად გამოწყობილი დამხვდა. საქმეს რომ მორჩა, ვკითხე, სიტყვით ვინ გამოვს-მეთქი. პირველი მუხრან მაჭავარიანი ახსენა... ჩამოთვალა კიდევ რამდენიმე გვარი, ცოტა ხნით შეჩერდა, თქვა: „ღვინჯილია“ და გაჩუმდა. გამომცდელად შემომხედა. მიხვდა, გამახსენდა ათი წლის წინანდელი ამბავი, ჭაბუა ამირეჯიბის ოთხმოცი წლის იუბილეზე ჯანსუღ ღვინჯილია რომ წაიქცა იმავე სცენაზე...

მოვალეობის შეგნება და მაღალი პასუხისმგებლობა გამოარჩევდა ფრიდონ ხალვაშის სიტყვას და საქმეს. მას ჰქონდა უნარი, ეროვნული ენერჯია შეეკრიბა თავის თავში და თვით ყველაზე ძლიერი ემოციაც კი რაციოდ, სამომავლოდ გასათვალისწინებელ აზრად ჩამოყალიბებინა. ეტყობოდა, დაბადებიდან მოსდგამდა ზომიერების გრძნობა, რომელსაც ყოველთვის ამჟღავნებდა, როცა საჭირო იყო ოქროს შუალედის დაცვა თვითშეფასებასა და ობიექტურ

რას). მთელი ერთი ქუჩის სახლები აუშენებია სტამბულში და ქალაქის თავკაცობას, ამ ქუჩისათვის, „ზემკარდამ-სოქაქი“ (ხუთი ძმის ქუჩა) დაურქმევია.

ახლა შინ მარტო ჰაიდარი, უმცროსი ძმა, დაგვხვდა. ჰაიდარი, რავარც იტყვიან, მემასხარეცაა და ყველაზე ენამოლესილი მექართულეც. დაგვინახა და აქოთქოთდა, გაშეღლიგდა (გამხიარულდა). უფრო, რაღა თქმა უნდა, საქართველოს მწერლების ბაშკაცის მისვლამ გააამაყა. ახლო, ნეტაიო, რაც გამორჩენილი ძმაკაცები მყავან ამ შეჰერში (ქალაქში) შევყრიდე და დავანახებდე ვინები მყავან მუსაფირებო (სტუმრები).

გურამსაც მოუყვა ჩემი „გენაცვალეს“ ამბავი, ამ ათი წლის წინ, თიბლისიდან ბათუმ, მატარებელში, კუბეში ორ რუსულა მოლაპარაკესთან მოვხვდიო. რანდა მექნა და ფრიდონის ნაჩუქარი წიგნი გამოვჩხრიყე ბარგში. წამოვწეკი ზეით, ჩემ სექვსზე და მაიც-და მაიც „გენაცვალეს“ კითხვა ავიტყეო. დაძინებამდე, მემრე დილასაც ვიკითხე და ეს ლექსი კარქა დევსტავლე ეზბერაი (ზეპირად) ბოლომდი. გინდებიან გითხრო? – ეკითხება უფრო ფანჯიკიქეს. კიო, ძალიან საინტერესო იქნებაო, გურამმაც. და ამოთქვა და ამოთქვა ჰაიდარმა ისეთი, გამუსლიმანებული ქართული ხმით (მართლაც, შემინიშნავს, „ყურანი“ არაბული ტექსტის ხშირი კითხვა უცნაურად შესამჩნევად აჩვილ-არბილეს, იქნებ ერთგვარად, ატკილებს კიდეც ქართულს) რომ თითქოს ლექსმა თავისივე ენა სხვა ენის მუსიკაზე ააჟღერა. სერვეთი კამერით იღებდანიერდა ამას ყველაფერს.

ლექსი თქვა და კიდევ ერთხელ თავისი ყოვლისმომცველი ღიმილით (ერთხელ ვუთხარი, ჰაიდარ, შენ ყურებითაც იცინი-მეთქი) გადაგვათვალეო. გურამს აშკარად შეეტყო ჰაიდარისადმი თავისი აღტაცება. ეს იმანაც, ჰაიდარმაც, იგრძნო. ჰოდა, უცებ აცხადებს, – ბატონო გურამ, იმერხევეში, ზეთ არტანუჯთან ახლო, ერთი სოფელია, იქ ფანჯიკიქეები არიან. ზაფხულში კარჩხალის მთისკენ ჩემ ძველ ფაცხაში რომ წავალ, ე, მაშინ, ერთ ჩემ ძმაკაცს, აზირ ფანჯიკიქეს, ვხვდები. გადასარევი, ჯუმბუში ბიჭია.

ვნახონა, ვუთხრანა, რამხელა ემიაშვილი (ბიძაშვილი) გყოლია მეტქნი, საქართველოს დედაქალაქში.

გამიგონიო, ფანჯიკიქეებზე, აქაურებზეო, გაეხარდა გურამს. ოჰ, შემახვედრებდეთ მაგ კაცს, იქნებ ჩამოიყვანოთ თბილისშიო.

ჰაიდარი მეუბნება, – მაიცო, რატომ არ გინდებიან, თქვენაც, საქართველოში, ლათინურ ანბანზე გადახვიდეთო. კილამ მთელი კულტურული მსოფლიო დღეს ლათინურით წერს-კითხულობსო. ძნელია გასაცნობ-მიხახვედრია ქართული შრიფტი უცხოელისთვისო და... აი, აქ, ჩვენთან, ათათურქმა, თურქული დამწერლობა, დროზე, ევროპულ კულტურულზე გედევინანო.

ფანჯიკიქეს შევცქერი. მეც მაინტერესებ მისი პასუხი, მაგრამ ის დუმს. ის, ვგრძნობ, მე მითმობს, მას მგონი ურჩევნია ჰაიდარს მე გავეპასუხო, ალბათ, გურამის აზრით, ეს უფრო სწორი იქნება და მისაღები ჰაიდარისთვის. მეც ხომ სამსაუკუნოვანი ოსმალურ-თურქული ისტორიის შთამომავალისა მაცხია.

– ჩემო ჰაიდარ, – ვეუბნები, – ნუ მიწყენ ახლა, ჯერ ერთი, თურქს თავისი საკუთარი ანბანი არ გააჩნია. შენს მემლექეთ-საქართველოს, შენს ხალხს კი, მეტხეთე საუკუნიდან და, ეგება უფრო ძველიდანაც, თავისი ანბანი, თავისი დამწერლობა, აქვს. როგორ შევცვალოთ ამხელა ასაკის მქონე ანბანი, ის ანბანი, რომელიც ერთ-ერთი დამოუკიდებელია დღეს მომუშავე თოთხმეტ მსოფლიო დამწერლობაში?!

თავი ჩალუნა. ისე ქვეშევეშურა ჩაიღიმილა, მეგონა ერთგვარად ჰაიდარს კიდეც შევეცოდე, რომ ასე, მისი აზრით, ვინროდ ვაზროვნებ. დამატებით ვამბობ: თურქი არაბული „ესრე-უსტუნით“ წერდა, ათათურქმა ევროპისკენ შემოაბრუნა ქვეყანაც და კულტურაც, ეს დიდი წინსვლაა (თუნდა პროგრესი დავარქვათ), მარა ქართველს რა ხნით ადრე თავისი საკუთარი აქვს... თანაც როგორი სრულყოფილი, მარტივი, ზუსტი, სადა, ლამაზი...

– კაი, კაი!.. ჰამა (მარა) ერთი რამე მაინც რატომ არ გინდებიან, თავის თუნდაც მოსაწონათ, ალიაროთ... –

ისევ მე მომიბრუნდა ჰაიდარი.

- ჰო, ჰო, რაი, ჰაიდარ?! - მართლა ვიძახები. ვეკითხები.

- კაცო, რომ იძახით, თურქმა ძალით გაამუსლიმანა ძველი ჩვენებურებიო. ერთი ჩაიხედეთ ისტორიებში. პირიქითაა იქ, ჩვენ, ქართველები მერვე საუკუნეში ვიყავით მუსლიმები.

- რომელ ისტორიაშია, თურქეთისაში?!

- თუნდაც... მემრე, რაი, ის, ძალიან დიდებმა, სწორათ დაწერეს. ჰოდა, რატომ არ გინდებიან ჩვენ მათი მასტავლებლები ვიყოთ?!

- კაი, რა, ჰაიდარეფენდი! ბევრი რაცხაის მასწავლებელი იქნებ კიდევ ვართ, მარა ეგ ნამეტანი ტყვილია. აბა, ერთი რა ვთქვით იცი? აი, თურქის ხელში ჩარჩენილი ტბეთი, იშხანი, ოშკი, ხახული, ბანა, ბევრი, ბევრი სხვა იბრეთ-იბრეთი ტაძრები რომაა, მერვე-მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე საუკუნეებში აშენებულები, რაფრათ გამოდის, ჩვენ მუსლიმანები ვიყავით და ქრისტეს ტაძრები ვაშენეთ?

- ნუ მიჯავრდები, მუხამედი ქრისტეს ხომ იცი რამხელა პატივს ცემდა.

- ჩემო ჰაიდარ, შენ ჰაჯი ხარ, თითქმის მუსლიმი-წმინდანი, მარა, ამასთან ერთად, აქაურ ჩვენებურთა შორის, უსაყვარლესი, გულცხელი, გამორჩეული და გამოსაჩენი, გერჩექ, ქართველი ხარ. შენ მაი, რაიც თქვი, მაგრათ რომ არ გჯეროდეს, ვიცი, არც იტყოდი (ავდექი, მოვეხვიე, ლოყაზეც ლოყა ავუხორხიალ-ჩავუხორხიალე), მაგი, ჩემო ჰაიდარ, ნამეტნავაი ეზბერ (ზეპირ) გამოგონილია. ერთი რამენა იცოდენა, ემო ჰაჯი-ჰაიდარ, ქართველობა მუსლიმანობას არ დაგიშლის. იყავი კაი მუსლიმანი, მარა იყავი, კაი ქართველი. ოლონდ, ისტორიებს, ყველას დაწერილს, ნუ ვენდობით. შენი ჭირიმე, ჩემო ჰაიდარ! ძალიან გეხვენები!.. ისევ ვეხვევი. ვიმეორებ: გურამი არ ჩაგვერია. ჩანდა, კამათში გადაპარებული ჩვენი მუსაიფი უფრო აინტერესებდა.

მოზილურები ჯერ არ იყო. გურამი ძველებური ტელეფონით დაელაპარაკა თბილისს. იმდამევე გაგვიცხადა, ხვალ დილაადრიან უკან გავემგზავროთო. ანო, მეო ცალკე, თუ არ მიწყენთ, გავყვები რამესო. რას ჰქვია გაყ-

ვები რამეს-მეთქი, შევიცხადე. დიდო გურამო ფანჯიკიძე, შენ მთელ ისტანბულს მიჩვენებინარ, ძმაო! ესე იგი, აი, დამიჯერე, ნალდათ ასე ვუთხარი. ნამავლო ხელი, იქით მიმაბრუნა, იცი, ისეა საქმეო, ქალბატონ დალის საჩქაროდ ვჭირდებიო და... რაა იცი? - გავახარო მინდა.

მართლაც, იალუნზე დავიძარით. ბოსფორზე ხიდი ისეთი ცარიელი იყო და ისე ცარცით გავლებულ ხაზით გადასამულიყო ზღვისა და ცის გაერთიანებულ ჰორიზონტზე, როცა აღმოსავლეთი ამომავალი მზის ხანძრითაა ამოყირმიზებული, ხოლო ის გიზგიზა სიყირმიზე დედამინიდან შებიჯგინებულ მინარეთების წვერეტებზეა შემდგარი, რალაც იმნაირი, კალამს და სიტყვას დაუმორჩილებელ მშვენიერებად გვეგებებოდა, ვერცერთმა ენა ვერ დავძარით. ჩუმი გაოგნებით შევცქეროდით. ხიდან მისვლამდე, მოუხვია და სერვეთმა „ნოლშვიდი“ შეაყენა. გურამი სანახევროდ მობრუნდა, მუხლზე უხმოდ ხელი წამისვა, მეორე ხელს კი მინარეთებისკენ, ცის სულ უფრო მოყვითალო-მონითალო სიგიზგიზებისკენ იშვერდა.

- ო, უფალო, ნუ მომკლავ ისე, ამ გიჟური გათენების სანახაობა არ აღმანერინო! - (ახლა, ამ ნუთში, ძვირფასო, ემინ, მე რომ იმ დილას ვიგონებ, გურამის წლების შემდგომი საბედისწერო შემთხვევაც მაგონდება. ვფიქრობ, რომელმა წინათგრძობამ თუ სულის რომელმა შორეთულმა ძახილმა ამოაგვენებინა ის სიტყვები?!).

ბოსფორზე ხიდს ჩვენი ავტო მართო გაუყვება. ჩვენს ქვეშ შავი ზღვის მხრიდან სრუტეში შემოსული ხომალდი ვეება სახნისივით მიაპობს წყლის ყამირის წვიტათ ციმციმა მინდორს და მოთეთრო ზვირთ-ბელტებს აქეთ-იქით აფენს.

ხიდის აზიურ ბოლოში ის „პოლიცბუდკა“ ისევ იდგა, მაგრამ პოლიციელი ბიჭები აღარ, ან, ჯერ, არ ჩანდნენ. არცერთს არა გვითქვამს რა, თუმცა, ალბათ, ყოველი ჩვენგანის თვალი იმ ჩვენს ნაცნობ „გურჯ“ პოლიციელს დაექებდა. რამდენიმე ასეული მეტრის მერე, უცებ, სერვეთი მანქანას შეაჩერებს. სარკეში ჩვენი



რეალობას შორის. თავისი თავის კარგად მცნობელი კაცი იყო. როგორც პოეტური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ალბათ ამანაც შესძინა ხასიათის გამოკვეთილი თვისება - სწრაფვა სახალეებისა და მოულოდნელობებისაკენ, რისი თვალსაჩინო შედეგაც არის შემოქმედებითი აქტივობის ბედნიერი გადაციები პოეზიიდან პროზაში, პროზიდან - მემუარებში, მემუარებიდან - პოეზიაში. ბოლოს განსაკუთრებით გაუმართლა მოგონებათა წიგნმა, რომელსაც აჭარულ დიალექტზე ნუთისოფელი - „ომრი“ უწოდა...

„ქალაქურიდან“ გამოსვლისას ხელკავი გამომდო და ყოყმანის კილოთი მითხრა, არ მინდოდა ეს იუბილე, არც ვიცი, როგორ ჩაივლის, მაგრამ იმათ სჭირდებათ, იქ, ჩვენებურებს და ამიტომ დავთანმდით... ტრაგიკული იუბილეს მეორე დღეს დავურეკე. მისი გული მუხრანთან ერთად მომკვდარიყო და ეტყობოდა, ზურგის ქარი უკვე სხვა მხარეს მიაქანებდა. სიცოცხლის უმწეობა - ამაზე უფრო სევდიანი მოტივი ადამიანის არსებობას არ გააჩნია. დაილია, მიინავლა, ჩაქრა მისი სანთელი და იქვე დაინყო სიცოცხლე ღირსსაცნობი ნიშანსვეტისა, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართველობისა და ქართული სიტყვის სამსახურის სიმბოლოდ. ბათუმის ლეთისმშობლის შობის სახელობის ეზოში გაჩნდა საფლავი - ჩვენი დროის საკულტო ნიშანი. პოეტის სული მიეახლა დამბადებულს, სახელი კი დარჩა ნუთისოფელს - ომრი გრძელდება.

ივანე ამირხანაშვილი



ბიჭი დავინახეო, – სიხარულიანი აღელვებით მოგვახსენა. კარიც გახსნა, გარეთ გავიდა. ჩვენც გამოვედით, იმ „პოლიცბუდკასთან“ ის მაღალი „გურჯი“ ბიჭი, საზვინე ყვეროსავით დასობილიყო და ქარის ნისკვილის ფრთებით გრძელ ხელებს გვიქნევდა (ალბათ ჩავლისას მანქანა იცნო ჩვენი).

მაღე ისევ ჩავსხედით და, გურამი, თითქოს ხლაფორთი თავგადასავლების მერე, სამშვიდობოს გასულივით, სულდათქმული, სერვეტს ეუბნება, – აბა შენ იცი ახლა, ისე შაუბერე, ამელამ საქართველოში შემეყვანეო.

მართლაც მაგრად ვირბინეთ, თუმცა ტრაპიზუნამდე მაინც დაგვიღამდა. და, მაღე, გზაზე, ისეთი სერი შეგვემთხვა, ისევი სატირელ-საციინელი დაგვემართა, იმ ამბავს, ალბათ, მხოლოდ ფანჯიკიქე გურამის, მძაფრ სიუჟეტთა დიდოსტატური კალამი აღწერდა ღირსეულად, მარა, რაღანდა ვქნა, ესეც, რავარცხა, მენა შევდლონა.

ტრაპიზუნიდან რიზემდე კაიგაყოლა შეღმართ-შემოღმართებიანი გზებია, ჩვენი ქედა-მახუნციეთის დელედურდნებიან სავალეებში გაჩვეული სერვეთი, არ იბნევა. აწევა და აწევა. ვატყობ, გურამისა ეხათრება. დაპირებულიყო იმღამ საქართველოში შეეყვანა.

წვიმაც დაგვედევნა. ბინდს ნისლე-ბი ასქელებს, გასახედებში ყველაფერი ნაშლილია. ცალი ფარის ნათურაც სადღაც გამოგვრთია. წვიმას ასფალტზე მტვერი სრიპინა ტალახად უქცევია. სისწრაფეში მკვეთრი მოხვევა ყოველად საშინელია. ჩუმი დაძაბვა მოგვეკიდა. არც ხმას არ ვიღებთ არცერთი.

ერთ მორიგ ბექობს შეუყვევით, ვუხვევთ. ბურუსში, წინ, შუაგზაზე, ლანდად, რაღაცნაირი, ხოლხი, მგონი ცხოველია. ამ დროს წინიდან, დაღმა საშინლად დატივრთული გრძელი საბარგო ავტო მოღრაჭუნობს. იმ ცხოველს უნდა შევუაროთ თითქოს, მარა ამ ყროს უშველებელი საბარგო თავისი ვეებერთელა დრუნჩით, შუაში, ზღაზენით მომავალ გრძელყურას ეჯახება და ჩვენი მანქანისკენ ბიძგავს, უფრო ისვრის. მოლიპულზე ცხოველი თავს ველარ იკავებს და ჩვენს საცოდავ „ნოლშვიდს“ მოასკდე-

ბა ისე, რომ ნაქცევიხანს, თავის ვეება თავს, წინა მთავარ ანუ საქარე შუშაზე უროსავით დაარტყამს და მთელი ჩვენი გასახედი თავზე ჩამოგვემსხვრევა.

– ვირი მოვკალით მე მგონია. – ჩაინუნუნებს სერვეთი.

– რამხელა ვირია, ბიჭო! – შეიცხადებს გურამიც. სატივრთო არც შეჩერებულა. ჩვენ ვირი შეგვებრაღა. გავჩერდით. ჩავიკრიბეთ ძირს. ჩვენი ცალთვალა შუქი იმდენს კი ანათებდა, კარგა გაგვეჩრია რა მოხდა. ვირი ფხეებს უშლახუნებს ტალახიან პლიკონს და თვალეების საცოდავი ხუჭვა-ხილებით წამოდგომას ცდილობს. ცოტაზე წამოჩოქილი კი კვლავ ძირს იშხლართება. წავატანეთ ტყლაპებით ყურებში ხელები მე და გურამმა და მთელი ძალღონით გზის სანაპიროსკენ მოვათრიეთ.

– აბა მოვუსვათ ახლა. გადარჩა ვირიც და ჩვენც!.. – თქვა და მიმოსრისა ხელები გურამმა. თავისი ადგილიც დაიკავა.

– რაფერ მოვუსვათ... ა, რას გავს, შეხედეთ. – დახრილა სერვეთი და ხვეტავს ნამსხვრეე-ნაფუნჩხ შუშებს ხელით. – ახლა ამ წვიმას არ ვჩივი, წინ გახედვა რომ არ შეგვიძლია?.. რა ვქნათ, აღარ ვიცი. შევწუხდით. შუალამეა თითქმის. გაჩანაგებულები ერთმანეთს შევაშტერდით. კაცო, უკან, ორ-ამ ვერსში, – ამბობს გურამი, – რაღაც დასახლებასავით იყო მგონი. როგორმე მივბრუნდეთ, იქამდე მივანითო. რამეს გავარკვევთ იქა, ან პოლიცია, ან ვინმე...

შუშის ნატეხები, რაც შევქელით, გადავყარეთ. წვიმა პირდაპირ შუშლებზე გვესხმება. მივფორჩიხობთ უკან. იქ, გზაზე, რა თქმა უნდა, პოლიციამ შეგვნიშნა. ნახეს, დახედეს, ნაშუშარ ჩარჩოზე, ალაგ-ალაგ სისხლის მონითალო ნარჩენებიც რომ შენიშნეს, ერთმანეთს გადახედეს, – ამათ ეტყობა ვილაცა მოუკლავთო. დავაბატიმროთ და, მერე, ხვალ გავარჩევთო... აი, ამნაირი სიტყვა-ფუნჩხები იმათი თურქულად ნათქვამებიდან ამოვკრიფე. შემოგვესიენ, თითქმის შეგვკრეს. აქეთ-იქით გახედვასაც გვიშლიან.

იყოს მანქანა აქა, ჩვენ მიეხედავთ, თქვენ წამოხვალთ ჩვენთან, იქა... აბა, ვნახოთ, ვინ მოკალითო, – გვეუბნება

შავულვაშა ონბაში და ხელით გვბიძგავს, იქით წააბიჯეთო. შევშინდი, ავამუშავე მთელი ჩემი თურქულის შესაძლებლობა. არა-მეთქი, ვუმტკიცებ, – კაცი არ მოგვიკლავს... რა ქვია თურქულად ვირს? ჰო, რაღაცას მოვუყარე თავი, ბავშვობაში მემთიერი ბოშებისაგან გაგონილს (იმათ ცხვართან ერთად, აჭარის იალაღებზე, ზაფხულში, დატვირთული სახედრებიც მრავლად ყავდათ). ეშშეგ. ჰო, ჰო, ეშშეგს ეძახოდნენ, მარა ერთმანეთსაც, ხანდახან, მახსოვს, ეშეგო, დაუძახებდნენ. რა ვქნა? არადა, ვილუპებით. კაცის მკვლელობა გვბრალდება. გურამი მთლად გაირინდა, ხმას აღარ იღებს, მთელი პასუხისმგებლობა ამ უბედურებიდან გამოსხნისა, ეტყობა, მე დამეკისრა, თანაც, ბიძგვა-ბიძგით, სადღაც, ალაგობრივ რაღაც საპყრობილესნაირისაკენ მივყავართ. მოვიკრიბე ძალ-ლონე და, – ყარდაშ (ძმავ) მეთქი, შევემუდარე. ადამ იოქ (ადამიანი არაა) ყარდაშ, ეშშეგ-მეთქი... ვხედავ, პოლიციელები ჩემჩუმიად სიცილს ვეღარ იკავენბენ, მარა, ის, უფროსი, მე რომ მეფიკავება და მეც რომ დასაწყლებული ვეხვეწები, გადაირია, – ნე სოლიერსუნ, ბანა, ეშშეგ?! – (როგორო, მე – ვირიო?) ჰაიდა! (წავიდეთ!) მივყავართ დაჭერილები.

უცებ, ამბავი რომ მოხდა, იქიდან, გზაზე, იმ ღამეზე ბნელი ერთი გლეხი-კაცი მორბის ტირილით. მიშველეთ, მიშველეთ, მარჩენალი ვირი მომიკლესო.

მიმატოვა ონბაშმა და მოტირალე გლეხისკენ გაიწია. გლეხი უფრო ხმამაღლა ანუნუნდა. აი, იქ აღმართზე, ვილაცამ, გზაზე, ჩემი ვირი მომიკლაო. შუშაჩამსხვრეული ჩვენი მანქანა რომ შენიშნა, გლეხი მივარდა მანქანასთან. ამან, ამან მომიკლაო, აყვირდა, თან ჩარჩოზე წაცხობილ სისხლებს თითით თხაპნიდა და აკვირდებოდა, თითქოს თავისი ვირის სისხლი უნდა გამოეცნო. – ჩემი ვირის სისხლია, ჩემი ვირის სისხლია! – ყვირის. აცივდა კიდეც. ახლა, ჩვენ, თითქმის მიტოვებულები, ველოდებით რა გადაწყდება. გაგვიშვენებენ თუ გვაპატიმრებენ.

ბოლოს პოლიციის სადგომში შეგვყარეს. სამივე, კედელზე მიყუდებულები, განაჩენს ველოდებით. მიუჯდა ტელეფონს ონბაში. ღრაჭ-

ღრაჭ, ღრაჭ-ღრაჭ – ატრიალებს ჩარხს, ვილაცას ურეკავს. იმ ვილაცასთან კაიხანს ითათბირეს, იდავეს, იკამათეს. ალბათ ამათი დიდი უფროსი იყო. რა ვქნა, როგორ მოვიქცეო, ახალგაღვიძებულ და, ეტყობოდა, ამიტომ გაჯავრებულ უფროს ელაპარაკებოდა. იმან, იქიდან, ერთ-ორჯერ რაღაც უყვირა კიდეც. ალბათ, ვირის გაცვეთის გამო რატომ გამაღვიძეო. მერე, ბოლოს, ყურმილიდან დავიჭირე იმ უფროსის დაბეჭილი, ძილმღვიძარი სიტყვები, – ვინ არიან, სადაურებიო. ჰელბეთ გურჯისტანლიო, უთხრა ონბაშმა. ე. ი. საქართველოელები არიანო. რა დაუზიანდათ მანქანაზეო, ეკითხება იქიდან უფროსი. წინა საქარე შუშა ჩამსხვრეულია და ფრთაც შეჭეჭყილიო, პასუხობს ონბაში. ჩუმიად გამოიდარა გულმა, ფაქიზად მივჯინქვე იდაყვით გურამს. თვალები დამიხუჭა, კმაყოფილად, – გასაგებია ყოველივეო.


დაგლეჯილი თავფესკიანი მოტირალი გლეხკაცი კარზე მომდგარი ელოდება ვირის საფასურს. ოდნავ უკმაყოფილო ონბაში რატომღაც ყურმილს, ჯახ – აგდებს თავის ალაგას. ფეხზეა. მიადგება კარგს და ვირის პატრონს, – სად აგდია ახლა ვირიო, ეკითხება. იქაა, შუაგზაზე. საცოდავი, რომ ნახოთ, თქვენც იტირებთ, საწყალს, ისე ღია და ცრემლიანი დარჩენია თვალეზიო.

– რას ჰქვია, შუა გზაზე აგდიაო, – უყვირის ონბაში – ახლავე გადაათრიე, მოძრაობას არ შეუშალოს, თვარა ჯარიმას მოგიმატებთო. რატომ გაუშვი იმხელა ტრასაზე ვირი სასეირნოდ. ხომ იცი, მთავარ გზაზე უწყემსოდ მოსიარულე საქონელთან შეჯახებისას, დამნაშავე საქონლის პატრონიაო.

ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა. თქვენ დამტვრეულის საზღაურს ითხოვთ თუ არაო, გვეკითხება. ავუხსენი სიხარულით ჩემს თანაპატიმრებს, ამასა და ამას გვეკითხება-მეთქი.

– არა, კაცო, არ გვინდა არაფერი! – შეიძახებს გურამი. იქვე, სერვეტს, მიუბრუნდება, მე ვყიდულობ „სტეკლოს“ და იმ „კრილოსაც“ მე გავასწორებინებ.

– რავე გეკადრება, ბატონო გურამ!.. – მოეხვევა გახარებული სერვეტი.





ონბაში გვეტყვის, ამელამ ველარ ნახვალთ, აქ პატარ სასტუმროა, მოისვენეთ. დილას, ჩვენ დაგეხმარებით მანქანის შუშის შოვნაში, ჩაგიდგამთ და სალსალამათობით, ხვალ, ნახვალთო.

პატარა სასტუმროს კართან ვილაც ბერეტინი მოხუცი, ფუხზე მდგარი, ჩაის ისე ხმიერად ხვრეპდა, კაი მოშორებულამდე გავიგონეთ. მივლაპარაკობთ ხმამაღლა, ვენებურა და მიგვეცინება კიდეც. ის, კარებთან მდგარი, ფინჯანს დგამს, მოგვეგებება, ჭოვ, ქართველები ჰაიდან მოით აქაო. ხელეგამოშვერილი პირდაპირ ჩასახვევად გვიახლოვდება.

– სადა ვართ, ფრიდონ, თუ კაცი ხარ, მითხარი. – მევედრება გურამი. ეს სასტუმროა, მარა აქ არნა გაგათევიოთნა ღამე, შინნა წაგიყვანო, – დაგვიფინა ენები იქაურმა ჩვენებურმა. გურამი ეხვეწება, შუალამე გადამდგარია, აღარ შეგვიძლია, როგორმე აქ წავიძინებთ, დილას, ძალიან მექარებაო.

ჰოდა, მართლაც, დილა შენი მონონებული გათენდა. იმხელა მზე გადმობრიალდა გორაზე და თანაც ისე ახლო ჩანდა, ჭოზი (მოსველო) ზურგები მიუფიცხეთ. წუხანდელი წვიმის ტბორები ჩვენი მანქანის შუშის ნატეხებივით, აგერ-აგერ, ლაპლაპებდა. თუმცა ახლა იყო ამინდი პირდაბანილი, ღიმილით აყვავილებული ყველგან. ასე იყო გულშიც. კვირადლის მიუხედავად პოლიციამ მონახა დაკეტილი საწყობის მეპატრონე. მოიძებნა სასწრაფოდ „რუსული ნოლსედ-მოის“ საქარული შუშაც. ერთ საათში ჩაგვისვეს, „კრილოც“ ოდნავ გაგვისწორეს და შინისკენ გზასაც მადლობელნი გავუყევით.

ხოფაც რომ გამოვიარეთ და, იქით, სივრცეში სარფის ქართული მთები იცნო გურამმა, მოდიო, თქვა, სადმე დუქანი თუ შენიშნოთ, შევდგეთ ცოტა ხანს, ძალიან მინდა აქედან, ასე, თან ვუყურო, თან დავლოცო აქედან დანახული ჩვენი მთა-ბარებიო.

ფუტში გახვეული ლაზური ფაცხა მართლაც, მალე ვიცანით. დილის

დაჭერილ თევზებს ტაფაზე აჭრიხინებდა წითელწვერა შუახნის ლაზი. ბეირუმ, ბუირუმო, – მობრძანდით, მობრძანდითო. შევედით. დაბალ მაგიდას დაბალი ჯორკოები შემომწერივებოდა. ის, მოჭრიხინეთევზებიანი განიერი ტაფა ლაზმა შუაში ჩადგა. წითელი ჭადის კვერებიც, ნამდვილი ლაზური ეშხით, შემოუწყო ირგვლივ. ერთი თენჯერეთი სავსე ყირმიზი ღვინოც მოათქაშუნა, ესა, აქანაი („აქანაი“, ჩვენგან, ქობულეთურისგან ნასწავლ-გაგონილია, და ჰგონია სწორი ქართული) მალლა, დიდი ლაზური სოფელი გვაქვან, იმ სოფელს ახლაც ძველებურა, ჩვენებურა, ჰალვაში (ე. ი. ხალვაში. ეს ხომ ლაზური გვარია) ჰქვიაო. და, იქაურია ეს ღვინო; კლარჯული ყურძენისაგანო! იმნამს კლარჯული – სახელი მეახლოვა ძალიან. მომაგონდა მაღალ იფენაზე მამის დარგული კლარჯული, კოლექტივობამ რომ გაახმო. და, ის თენჯერე გურამმა და მე ისე დავცალეთ, ჟანქიც აღარ ჩაგვიტოვებია. გურამის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების გახსენებას იმ ხარისხით და იმ ლაზით (სიტყვა ლაზათი ალბათ ლაზურს ნიშნავსო, გაახარა მასპინძელი თამადამ) მე ახლა ვერ გავებედავ.

როცა წამოვედით, გზაზე, გურამი მეუბნება, – ის, ვირის ეპიზოდი, მე უნდა აღვწერო, იცოდე. დამითობ? მაგრა სერიოზული ხუმრობა უყვარდა. ჯერ არ მცალია. ძალიან დიდი სამუშაო მაქვს. ამ მოგზაურობაში რაღაცები გამოსაცალკევებელ-გასააზრებლად წამდვილად ღირსო და ეგა მე და შენ გავაკეთოთო, დაუმატა. თანაც, ხომ იცი, დისტანციის თეორიაც გამოსაყენებელია, დრო, დისტანცია, მომხდარი ფაქტიდან მის აღწერამდე, უნდა გავიდეხ ხანი საკმაო, რომ ამბავი დამნიფდეს, ჩატკებს, ჩაბუდდესო. გვიან დაკრეფილი ნაყოფი უფრო დიდხანს ძლებსო.

დავუთმე, კი... ველოდე კიდეც კაი ხანი, მაგრამ მისმა ნაქებმა, საყვარელმა ზღვამ, ბოლოს... მისი თავი სამუდამოდ წაგვართვა.

ნინო ხოფერია

არისტოკრატიული საბა

(დასასრული. დასაწყისი №7)

ქალბატონ ბაბო დადიანის იკონოთეკაში დაცული ფოტოები გადაღებულია თბილისში, სოხუმში, კონსტანტინოპოლში, პარიზში, სან-ფრანცისკოში, ლონდონში...

ქალბატონ ბაბოს წინაპრები, დედის და მამის მხრიდან, ანუ დადიან-შარვაშიძეთა საოჯახო საგა, უკავშირდება ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვან თარიღებს. შესაბამისად მათ ფოტოებზე აღბეჭდილია დროის ნიშნებიც. ამ უნიკალური იკონოთეკის ექსპონატები გამოხატავს ძნელბედობის პერიოდში, სხვადასხვა მხარეს გაფანტული ქართული არისტოკრატის გენოტიპებს, რომელთა შესახებაც ლადო გუდიაშვილი წერდა: „ისინი ფოტოებიდან გვიმზერენ, როგორც ქტიტორები კედლის მხატვრობის ფრესკებიდან“...

მათი ინდივიდუალობა და ხიბლი არაერთი ლიტერატურული პასაჟის შთამბგონებელი გახდა.

1918 წელს, გაზეთ „საქართველოს“ პირველი მარტის ნომერში დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის ესსეი, მიძღვნილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟის, მწერალ გიორგი შარვაშიძისადმი: „მთელი საუკუნეებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს. უბრალო მიმოხვრაც მოწმობს მისი, რომ მის გვარში ასი წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა... მისთვის ყველა საკითხი მნიშვნელოვანია, თუ მას სილამაზე ახლავს. ნამდვილი არისტოკრატია (ამ სიტყვის რჩეული მნიშვნელობით)“...

მესამე დღეს იმავე რესტორნის ფარულში ვნახე, – ხოლო ესხლა უბრალო, მწვანე „ბლუზით“, მაგრამ ესეც რომ უხდებოდა! არა, ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება.

ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის – მოგვმორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი“.

ოფიცერი, ფრანგული გვარით ტორნაუ, რომელიც დასავლეთ კავკასიის მთიელებთან რუსეთის ხელისუფლების საიდუმლო დავალებით მუშაობდა, ჩანა-

წერებში 1815 წლის ამბებს იგონებს და აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, მიხეილ შარვაშიძეს განსაკუთრებული სიმპატიით მოიხსენიებს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთის დაქირავებულ ოფიცერს, თავადი შარვაშიძის გარეგნული ბრწყინვალეობით და პიროვნულობით მოხიბლულს, „ბიოლოგიური რჩეულობის“ წინაშე საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობა გადაავიწყდა და დაუფარავი სიმპატიით წერს, რომ „მიხეილ შარვაშიძე მაშინ იყო ოცდაოთხი წლის ლამაზი ჭაბუკი, ღონიერი, საუცხოოდ ხმარობდა იარაღს. უბადლო ცხენოსანი, არასოდეს უშინდებოდა საფრთხეს... მიხეილს ესმოდა თავისი ხალხის ყოველდღიური გასაჭირი. ამ ოცდაოთხი წლის ყმანვილს უნარი ჰქონდა მორჩილებაში ჰყოლოდა ყველა, ვისაც მოისურვებდა. რუსეთის მიმართ თავი ეჭირა შესაფერისად: არც განსაკუთრებული ამპარტავნობით, არც პირფერობით. ჩვენს მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებდა თუ აფხაზეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა“.

„ის იყო მნიშვნელოვანი პიროვნება – ვერ მალავდა ანტიქართულად განწყობილი რუსი მოხელე და ლიტერატორი კორნელი ბოროზდინი – თავად მიხეილ შარვაშიძეს ჰქონდა დიდი გავლენა დასავლეთ კავკასიის მთებში... მაღალი ტანის, წერწეტა, სახის სწორი ნაკვეთებით, არნივისებული პროფილით, შავი, გამჭრიახი თვალებით... თავი ეჭირა არაჩვეულებრივი ღირსებით“...

„ვნუხვარ, ერთს კიდევ ვერ გნახავთ, ისე მივდივართ პარიჟში. იმედი მაქვს, იქაც არ დამივიწყებთ... ჩვენ ვაპირებთ 24 ამ თვისას გამგზავრებას ფრანციაში“... – წერილის ბოლოს, დადიანების ღერბიან ქალღმერთზე, საუკუნის წინათ, ხელს აწერს პრინცესა სალომე დადიანი...

ქართული არისტოკრატია მაღალი სტილის დემონსტრირებისთვის ძირითადად „პარიჟს“ ირჩევდა.

ეს ქალაქი ჩვენი ცნობიერებისთვის უკიდურესი დახვეწილობის და, ამავე



იმერელი თავადი



თავადის ქალი სამურზაყანოდან

დროს, ყველაზე თანამედროვე განწყობილებების ავტონომიად რჩებოდა.

სიტყვა „პარიჟი“ ქართველისთვის არა მხოლოდ საფრანგეთის დედაქალაქად, არამედ, ზოგადად, ესთეტიზმის ქვეყნად, ერთდროულად ახლობელ და შორეულ სუბსტანციად აღიქმებოდა.

„საქართველოს მერე უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“... – ქართული ლიტერატურული მოდერნის დეკლარაციებშიც წერდა **პაოლო იაშვილი**...

1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებული მთავრობა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად არისტოკრატია, ნაცნობი მარშრუტით: „თბილისი-ბათუმი-სტამბული-მარსელი“, პარიზში გაიხიზნა... რა თქმა უნდა, უკან დაბრუნების იმედით...

სრულიად საქართველოს აჯანყებებს საბჭოეთის ხელისუფალნი „ხალხის მტრების“ ანუ ემიგრანტების (მათ შორის წამყვანი ძალა არისტოკრატია გახლდათ) ინსპირირებულად თვლიდნენ, ხოლო 30-იან წლებში, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შთამომავლები იყვნენ, უცხოეთში წასულთა ოჯახის წევრებს გაუსამართლებლად ხვრეტდნენ ან შუა აზიასა და ციმბირში ასახლებდნენ. მათ შორის აღმოჩნდა ემიგრანტ **კოკი დადიანის**, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების „ქართლოსის“ დამაარსებლის ქალიშვილიც, ქალბატონი ბაბო დადიანიც...

გასაბჭოების შემდგომ უცხოეთში გახიზნული ქართული ემიგრაცია მიმართავდა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების მთავრობებს. წერდა ერთა ლიგაში გასაგზავნ მემორანდუმებს. მათ ზოგჯერ თანაუგრძნობდნენ, მაგრამ არ ცნობდნენ, როგორც რუსეთის მიერ ანექსირებულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

„ჩვენი ემიგრაციის ტანჯული ისტორია იმის მაგალითია, – უთქვამს 1924 წლის აჯანყების ყოფილ მონაწილეს, ოთხმოცი წლის **ლევან ფაღავას**, – რომ საქართველომ არასოდეს და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქონიოს სხვათა დახმარების იმედი“.

ერთა ლიგამ საქართველოს ბედი რუსეთის პრობლემათა შორის დაასახელა, ხოლო რაც შეეხება ქართველი ემიგრანტების ისტორიულ სამშობლოს, იქ არსებული ოფიციალური ერთმნიშვნელოვნად ებრძოდა მათ.

ყველას, ვინც წავიდა, ანუ ვინც „ფრან-

ციაში“ გაემგზავრა, **სერგო ორჯონიკიძემ**, „ბურჯუაზიულ-ნაციონალისტური კონტრევოლუციური ბანდა“ უწოდა.

საბჭოთა საქართველოში ქართველ ემიგრანტთა სახელების ხსენება ოფიციალურად და არაოფიციალურად აიკრძალა. ქალბატონ ბაბო დადიანის ოჯახს მრავალი ტრაგედია გადახდა ემიგრაციაში წასული ახლობლების გამო.

„ქართველი ემიგრანტების საფლავები გაფანტულია – წერს ემიგრანტთა პირველი ტალღის გულმხურვალე მემკვიდრე **თამარ პაპავა** – მაგრამ მათი სულიერი აკლდამა მაინც ერთია... ის აკავშირებს ამ გაბნეულთ, ფარავს ერთი ქართული გუმბათით...“

საუკუნის წინათ გამოცემული წიგნის „Родовья прозвания и титулы в России“, ავტორი **ე. კორნიევიჩი** სხვადასხვა ისტორიულ წყაროებს იმონებებს და ასკვნის: „Все древнее наше дворянство не русского а иноземного происхождения“, ანუ რუსი არისტოკრატები ფაქტიურად მრავალი საუკუნის წინათ შემოსული ლიტველების, პრუსიელების, გერმანელების, შვედების, ინგლისელების, ბერძნების და სხვათა შთამომავლები არიან. ასახელებს ცნობილ, მისივე მტკიცებით, არარუსული წარმომავლობის არისტოკრატიულ გვარებს, როგორცაა: **შერემეტიევი, მოროზოვი, სოლტიკოვი, გოლიცინი, ტოლსტოი, გოდუნოვი, ლერმონტოვი, პუშკინი** და ა. შ.

ქართული არისტოკრატისთვის არა მარტო წარმომავლობის გენეტიკური საკითხები, არამედ შემდგომი, არისტოკრატის ინტელიგენციაში გადასვლის, ინტეგრაციის პროცესებიც რუსულისგან რამდენადმე განსხვავებული იყო.

„არსებობს არა მარტო ორი გავება, არამედ ორი რეალობაც: ხალხი და ინტელიგენცია... ყველაზე არსებითი მათ ერთმანეთის არ ესმით“... – რუსმა პოეტმა **ალექსანდრ ბლოკმა** ეს „ყველაზე არსებითი“ ბოლომდე არ გაშიფრა, თუმცა იქვე **პუშკინიც** გაიხსენა, რომელმაც რუსეთის ეროვნული ტრაგედიის მიზეზად ამ ორი სოციალური ფენის გამთიშველი „недоступная черта“ დაასახელა.

საქართველოში ასე თუ ისე განსხვავებული რეალობა გახლდათ. მაგალითისთვის: ავტორი, უმნიშვნელოვანეს ფაქტებზე დაყრდნობილი გამოკვლევებისა „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისთვის“ – **არჩილ**

ჯორჯაძე, პარადოქსია და სწორედ ინტელიგენციამ მიივიწყა. სიკვდილის შემდგომ, მისი საფლავისთვისაც მხოლოდ ე. წ. უბრალო ხალხმა, რიგითმა მუშებმა, მწერლისა და მეცნიერის იდეების სრულიად არმცოდნე და ვერგამგებმა ადამიანებმა იზრუნეს...

ფაქტები ყოველთვის არის რაღაც ნიშანი, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ამავე „დაბალი“ სოციალური ფენის განსხვავებული წარმომადგენლები, სიბნელისა და გაუნათლებლობის ნიშნით, ყოვლად უკომპლექსოდ, საკუთარ იმპერატივს აცხადებდნენ საზოგადოების მართვაზე, თვით ინტელექტუალურ სფეროშიც კი...

არსებობდა თუ არა ჩვენშიც ორი დაპირისპირებული საწყისი – ხალხი და ინტელიგენცია?... ლათინური სიტყვა „**ინტელიგენს**“ გონიერს გულისხმობს, მაგრამ ვინაიდან ინტელიგენციის ფენა სხვადასხვა კლასებისგან ყალიბდება, თავის განსაკუთრებულ, მყარ საყრდენებს და ადგილს ვერ პოულობს და ხშირად მის მოქმედებას იმ კლასების ინტერესები განსაზღვრავს, რომელთაც ემსახურება.

ინტელიგენციის, როგორც მსახურის როლმა, ათეული წლების მანძილზე მისი ავტორიტეტი შეარყია. ეპითეტები: „ნითელი ინტელიგენცია“, „უხერხემლო ინტელიგენტი“, „კრიმინალური ინტელიგენცია“, „ანგაჟირებული ინტელიგენცია“ – უფრო მეტად მასასთან გაიგივებული სუბიექტის ნებას გამოხატავს, ვიდრე გონიერი, უკომპრომისო ინდივიდის...

პროლეტარული რევოლუციის გარიჟრაჟზე, 1905 წლის 20 თებერვალს, ისაკის ტაძარში, **ვოლინის ეპისკოპოსმა ანტონმა** ქადაგება წარმოსთქვა, სადაც საშინელი მსჯავრი დასდო რუსულ ინტელიგენციას, ე. წ. რუს განათლებულ საზოგადოებას, რომელმაც „უარპყო ქრისტე“ და რომელსაც „სძულს რუსეთი“, კერძოდ, მდაბიო რუსი ხალხი. განაცხადა: „გახსოვდეთ ისინი: ღვთის მგმობელნი. მკრეხელნი, მეამბოხენი, რომელთაც თქვენი მონყვეტა სურთ მარადიული ცხოვრებისაგან, ქრისტეს მეუფებისგან. მათ სძულთ რუსეთი, მისი დაღუპვა აქვთ განზრახული და თუკი თავის მიზანს მიაღწევენ, მაშინ რუსი ხალხი ყველაზე უბედური ერი იქნება... ისინი შეუპოვარნი და დაუნდობელნი არიან და ბოლოს, განადგურებენ წმინდა ტაძრებს, წმინდა ნაწილებს გარეთ გამოყრიან და ანატომიურ თეატრში გამოფენენ...

რუსეთი მრავალ ნაწილად დაიშლება – დანყებული განაპირა მხარეებით და თითქმის შუაგულით დამთავრებული...”

დიმიტრი მერეჟკოვსკიმ მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღიდან გამოსულ ამ ხმას „რუსული ინტელიგენციის განკითხვის დღე“ უწოდა.

ფასეულობათა აღრევასა და გადაფასებას ყოველთვის ტერმინოლოგიური ქაოსიც ახლავს. ბრბოს წინა პლანზე მოზღვავენას კი „კეთილშობილთა“ და „წარჩინებულთა“ სახელების დეველაცია... იმის გამო, რომ ინტელიგენცია, არისტოკრატისგან განსხვავებით, თავისივე თვისებებიდან გამომდინარე, არ გახლავთ შეუვალი ერთობა, მისი საზღვრები ბრბომ ყოვლად უცერემონიოდ გადალახა და ეს სისხლის აღრევასავით სტიქიური პროცესი უმართავი გახდა.

ქართულ სინამდვილეშიც გამოჩნდნენ ინტელიგენციის სალდაფონები. ქალბატონ ბაბო დადიანის მოგონებათა დღიურში აღწერილია ანალოგიური მაგალითები. მაგალითად, ვინმე **დოცენტი ზერაგია** დაეპატრონება ე. წ. „ხალხის მტრის“ ბინას და პირველ რიგში კედლებიდან არისტოკრატ წინაპართა ფოტოსურათებს ჩამოუყრის... ანუ ცნობიერად თუ არაცნობიერად, მას ამ ქმედებით წარსულის პერსონალიათა განადგურება სურს...

გადის დრო და სიტყვა „ინტელიგენტის“, ისევე როგორც სიტყვა „არისტოკრატის“ ცნებითი მნიშვნელობის სწორად განსაზღვრისთვის აუცილებელი ხდება ეპითეტის თანხლება. მაგალითად, „ნამდვილი ინტელიგენტი“, „ნამდვილი არისტოკრატი“, „ჭეშმარიტი არისტოკრატი“... რომლის ინდივიდუალობა, დახვეწილობა, პასუხისმგებლობა დროის წინაშე, ესთეტიკური ბუნება და თუნდაც, კლანური სიყვარული საკუთარი წრისა, მის მუდმივ გამორჩეულობას გამოხატავს.

ისევე გადის დრო და დაახლოებით საუკუნის გადასახედიდან **სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე** ბრძანებს; „ის როლი, რომელსაც თავის დროზე ასრულებდა სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა, ეკლესიასთან ერთად უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ. იგი უნდა იქცეს ერისთვის ჭეშმარიტი გზის გამკვევად“...

საქართველოს პატრიარქი, ჩვენი სამშობლოს ისტორიული რეალიების და ვერშემდგარი ანმეოს გათვალისწინებით, ჯერ კიდევ 2004 წელს, ამგვარ დასკვნამდე მივიდა: „აუცილებლად უნდა ვიზ-



გურული თავადი



მეგრელი თავადის ქალი

რუნოთ ბაგრატიონთა გვარის ბავშვებზე. ცუდი არ იქნებოდა საქართველოში მცხოვრები ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი ბავშვები ეკლესიასთან აღზრდილიყვნენ. შეიძლება უცხოეთიდანაც ჩამოვიყვანოთ პატარა ბაგრატიონები და აქ, მშობლიურ ნიაღში გაიზარდნონ. მერე ღმერთი თვითონ ამოირჩევს რჩეულსა ერისაგან თვისისა...”

პატრიარქმა მონარქისტული იდეა, როგორც საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ყველაზე ოპტიმალური სახე, 2007 წელს, თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში არსობრივად განმარტა და არისტოკრატიისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა, რითაც ქართული საზოგადოება სერიოზული საფიქრალისთვის განაწყო...

დავუბრუნდეთ წარსულს. 1929 წელი, მაისი. სრულიად საიდუმლოდ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. დოკუმენტი შედგენილია რუსულ ენაზე.

საკითხის არსი: „1924 წლის მენშევიკური ავანტიურის შემდგომ საქართველოს მშრომელმა გლეხობამ სტიქიურად დაიწყო ყოფილ თავადთა და აზნაურთა გაყრა მათივე ბუდეებიდან და მოძრავი და უძრავი ქონების დანაწილება. ეს ძირითადად შეეხო იმ პირებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ მოძრაობაში [...]“

გამოსახლების მასიურ ხასიათის რეგულირებისთვის, ცენტრალური კომიტეტის მიერ 1929 წლის 5 იანვარს მიღებულ იქნა დადგენილება „ყოფილი თავადების და აზნაურების ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“.

დოკუმენტი იუწყება, რომ თავადებს, აზნაურებს, მემამულეებს უნდა ჩამოერთვათ ის მიწები, საცხოვრებელი ადგილები თუ უძრავ-მოძრავი ქონება, რაც მათ ჰქონდათ ოქტომბრის რევოლუციამდე. განკარგულება შემსრულებელს ავალდებულებს გამოსახლება-ჩამორთმევის საქმეები დასრულდეს 1929 წლის აგვისტომდე.

იქვე გამოთქმულია ვერდიქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ არიან დარჩენილი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ყოფილი თავადები და მემამულენი. ისინი აგრძელებენ თავიანთ მიწებზე ცხოვრებას და მავნებლურ გავლენას ახდენენ ადგილობრივ გლეხო-

ბაზე. „ვინაიდან ისინი არ აღმოჩნდნენ სათანადოდ იზოლირებულნი თავიანთი ყოფილი ადგილებიდან, მათი გავლენა ადგილობრივ გლეხებზე გრძელდება“.

დოკუმენტის ბოლოს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია**) ბრძანებს: „პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს დარჩენილი ყოფილი თავადებისა და მემამულეების იზოლაციას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობისგან“ ანუ მათ, თავადაზნაურებს, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოხელეები თვალუნველნი საბჭოთა კავშირის თითქმის დაუსახლებელ რაიონებში, ოჯახებიანად ასახლებენ. მოთხოვნა კონკრეტულია – გადაასახლონ „За пределами Грузии“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 2284, ნ. 3).

რაც შეეხება არისტოკრატიის „მავნებლურ გავლენას მოსახლეობაზე“ ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა პარალელი ქალბატონ ბაბო დადიანის მოგონებასთან: „1946 წელი. მარტვილში ვინახულე ვანო გიორგის ძე კვეციანი, გიორგი შარვაშიძის ყოფილი მსახური (ლაქია), რომელიც ბაბუასთან თორმეტი წელი იყო. ვანო ჩვენს ოჯახში მოვიდა მაშინ, როცა გიორგი შარვაშიძე 60 წლის გახლდათ და სიკვდილამდე არ მოშორებია... ვანო ახლა არის სამოცდარვაწლის, ძალიან გამოცვლილი. მახსოვს იგი, შესანიშნავად გამოწყობილი ჩოხა-ახალუხში. ახლა რაღაც საშინელი შესახედავი იყო, სალდათის ძველ „ბატინკებში“ და ძველ, დაკრებულ შარვალში...“

წავედით, დავსხედით მარტვილის ბაღში. ვანოს მოვყოლე, თუკი რამ ახსოვდა.

– „კნიაზს ძალიან ვუყვარდი და შეჩვეული ვიყავი მასთან. მე ვიცოდი ყველა მისი ჩვეულება – მეუბნება ვანო – ხომ გახსოვთ, კნიაჟნა, რამხელა ოთახი ჰქონდა და მთელი კედლები საესე იყო ნიგნებით... **ბარიატინსკი** რომ გარდაიცვალა, კნიაზი წაბრძანდა პეტროგრადში, სადაც მეც ვახლდი. ვცხოვრობდით სასტუმროში. ფული ყოველთვის მე მეზარა. სასტუმროების გასტუმრებას და სხვა ხარჯებს, ყველაფერს მე ვისტუმრებდი. კნიაზი ანგარიშს არ მთხოვდა...“

რა დღე მინახავს, ბატონო კნიაჟნია, რა დღე და სად ჩავვარდი ახლა!.. – ვანო მიიხედ-მოიხედავდა და მუხლებზე და-

ირტყამდა ხელს – ან რა ხალხი მინახავს ბატონთან!...”

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცემულ კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ლევან ასათიანი ქართველ ბატონიშვილ პოეტებზე წერდა, რომ „ლექსები ბატონიშვილებისთვის ჩამორთმეული ხმლების მოვალეობას ასრულებდნენ“...

მართლაც, ეს იყო უსამშობლოდ დარჩენილი, დამარცხებული არისტოკრატიის პოეზია.

ამგვარი დამარცხებული არისტოკრატიის „ხმლები“ სიმბოლურად გაივლევებენ ბაბო დადიანის ალბომშიც, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გოგიტა ფალავას, მუშნი დადიანის, დიმიტრი ამილახვარის, ვანიჩკა ყარანგოზიშვილის და სხვათა და სხვათა ფოტოებზე...

90-იან წლებში დოქტორმა ჯონ სპელერმა, „ისთ ევროპის“ ყოფილმა რედაქტორმა, ქალბატონ ბაბო დადიანს, დადიანთა საგვარეულო შტოსთან დაკავშირებით, კონსულტაციისთვის მიმართა. აღნიშნა, რომ ეს ძალიან სჭირდებოდა მის მეუღლეს, ქეთრინ შედაქერს, სამეცნიერო ნაშრომისთვის გენეოლოგიური კონცეფციის შესახებ.

დოქტორი სპელერი იმავე წერილში იმედოვნებდა, რომ საქართველო ევროპული გაერთიანებისა და ნატოს სრულყოფილებიანი წევრი გახდება.

„თქვენმა პრეზიდენტმა, რომელიც გამორჩეული პიროვნებაა, ალბათ მხედველობაში უნდა მიიღოს მოთხოვნა 1921 წლიდან ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეული კერძო საკუთრების რეაბილიტაციის თაობაზე.

ეს უნდა შეესაბამებოდეს ახალ, ევროპულ, ლეგალურ ნორმებს, რაც დააჩქარებს საქართველოს განევიანების პროცესს ევროპულ გაერთიანებაში. დარწმუნებული ვარ, ბევრი ძველი ქართული ოჯახი, რომელმაც თავის დროზე საკუთრება დაკარგა, მოხარული იქნება, თუ მათი იმედები გამართლდება, თავის დროზე დაკარგული ზარალი ანაზღაურდება და ისინი მოიპოვებენ გადასახადების შეღავათებს საქართველოში და იმ ქვეყნებში, სადაც დღეს-დღეობით ცხოვრობენ“...

ჩვენი თანამედროვე კლასიკოსის ოთარ ჭილაძის ერთ-ერთ რომანში დიდი, კარადისხელა საათი განუწყვეტილად, ხმამაღლა გუგუნებს, რაც ალბათ დროის შეუჩერებელ მოძრაობას, მის მარად მედინობას გვახსენებს.

მწერალმა მოგვიანებით განმარტა, რომ ეს ერთგვარი გამოფხიზლების მცდელობაა, გაფრთხილება „მათთვის, ვისაც გაგონება შეუძლია... სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ იღონოს რამე, ანუ თავს უშველოს... თუკი საერთოდ, შესაძლებელია ამგვარი რამ“...

იქნებ არც არსებობს აბსტრაქტული, მხოლოდ ქრონოლოგიური დრო. დრო, საკუთარი იმპერატივით, წარსულიდან ანმყოში განუწყვეტილად მოედინება. წარსული ჩვენს ყოფასა და ცნობიერებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობს.

გრიმასებისა და ნიღბების თანამედროვე კარნავალში, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძველ ფოტოებზე აღბეჭდილ წინაპართა ღირსებით სავსე, განუმეორებელ სახეებს, მარადისობაზე შეჩერებულ მათ მზერას.

წარსული არც მხოლოდ გამოცდილებაა და არც მხოლოდ დროის მიღმა მდგარი გაყინული სივრცე... წარსული „განიცდება“, როგორც დღევანდელი დღის ხვალისდელი გაგრძელება, რადგან განმეორადობის კანონი, მისი აუხსნელი საიდუმლოთი („რაც იყო, იგივე იქნება და რაც არის, ის უკვე იყო“...) წინაპრებთან შესახვედრად განგვაწყობს, მათი გენების მომავალშიც გაბრწყინებას გვპირდება.

„წარსული არასოდეს არ გვეტყვის რა უნდა ვაკეთოთ, მაგრამ მას შეუძლია მიგვითითოს რისი გაკეთება არ გვმართებს.“ (ზოსე ორტეგა იგასეტი)

დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილება, რასაც წარსული გვთავაზობს, არჩევანის თავისუფლებასაც გვანიჭებს, როცა შეგვიძლია შინაგან ხმას ვენდოთ – როგორ მოვიქცეთ, მრავალთა შორის დავიკარგოთ, შევუერთდეთ გლობალიზაციის განურჩევლობის ოკეანეს თუ ძველ ფოტოებზე აღბეჭდილ წინაპრებთან ერთად, შინ, საკუთარ სახლში დაგბრუნდეთ...



ბაგრატიონები

სტატიაში გამოყენებულია ალექსანდრე როინაშვილის ფოტოები

კრიტიკა



არჩილ ფირცხალავა

ორი წერილი

ლეო ქიჩაძის ნაწარმოებთა
სათაურების გამო

ნაწარმოების სათაურად სახელისა და გვარის გამოტანა ახალი როდია ქართულ მწერლობაში.

ლეო ქიჩაძეს ამ მხრივ მცირე კორექტივი შეაქვს საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციაში და, როგორც თავად წერის მანერაში, აქაც ხალხურ (ამ შემთხვევაში მეგრულ) ზეპირსიტყვიერებას ესესხება.

გვარი გოლუა საერთოდ არ არსებობს სამეგრელოში. ის შეცვლილი სახეა მეგრული გვარისა „გოლა“. რატომ დასჭირდა ავტორს ნამდვილად არსებული გვარის განმეორებით შეცვლა? ხომ ცნობილია, რომ ტარიელს ნამდვილად ჰყავდა პროტოტიპი და, როგორც მწერლის ჩანაწერებიდან ირკვევა, მესხია იყო სოფელ ოზუჯიდან.

„გოლა“ მთას ნიშნავს მეგრულად და, თუ ტარიელ გოლუას პორტრეტს კარგად ჩაუკვირდებით, ის მართლაც მთა კაცია თავისი შეუვალი ბუნებითა და უტეხი ხასიათით. ამაზე ავტორმა სათაურშივე მიახიშნა (ჰაი, ჰაი, რომ გვარი „გოლუა“ გარეშე მკითხველისათვის ბევრი არაფერის მაუწყებელია და პატივცემულ მწერალს არც უცდია სადმე, ნაწარმოების ტექსტში მიენიშნებინა ამ გვარის წარმომავლობისთვის. ამ შემთხვევაში სათაური მეტ ღირებულებას შეიძენდა).

ასევე ითქმის „გვადი ბიგვაზეც“, თუმცა აქ საქმე შედარებით იოლადაა გადაწყვეტილი. ჯერ ერთი: სახელი „გვადი“ მართოდენ სამეგრელოში იხმარება და ამ შემთხვევაში არა მარტო გმირის წარმომავლობაზე, მის მოსალოდნელ პორტრეტზე წინასწარ, სათაურშივე მიანიშნებს.

გავიხსენოთ გვადის პორტრეტი: „ჯარგვალის კარი შიგნიდან ჭრიალით გაიღო და მომალღობ ზღურბლზე სახებანჯგვლიანმა, ცალმხარეზე ნაბადგადმოგდებულმა, მუცელგამობერილმა კაცმა გადმოალაჯა“.

სახელი „გვადი“ სიტყვა „გვადალადანა“ ნაწარმოები. გვადალა კაცი, გიდელა კაციო, სწორედ მუცელგამობე-

რილ და უსაქმობისგან ქონდადებულ კაცზე იტყვიან ოდიშარები.

გვარი „ბიგვა“ მეგრული წარმოშობისაა. ბიგვაების სოფელიც კია სამეგრელოში და ეს სოფელი სულ რაღაც ათიოდე კილომეტრითაა დაშორებული ლეო ქიჩაძის გამზრდელი სოფლისაგან.

განა არ შეეძლო ლეო ქიჩაძეს ჩვეულებრივად „გვადი ბიგვა“ დაენერა? რა თქმა უნდა, შეეძლო, მაგრამ მან არჩია გმირის სადაურობა სათაურშივე გაეხსნა და ამით რომანი ერთი ზედმეტი შტრიხისათვის, ზედმეტი მტკიცებისათვის აცილებინა.

ფირცხალა, ბიგვა, ლუკა, გარდა, გოლა, – საქართველოს და კერძოდ სამეგრელოს გარკვეული კუთხის გვარებისათვისაა დამახასიათებელი. ქანთარ-ია, დარასელ-ია, შენგელ-ია მეგრულში მხოლოდ მდებარეობის აღმნიშვნელი ფორმით წარმოითქმის – დარასელ-ხე, ქანთარ-ხე, შენგელ-ხე; არის აგრეთვე მესამე ფორმაც პაპასქირი, პაპასქუა, ბერისკუა, კუხალასქუა (სკუა – შვილის აღმნიშვნელი).

ლეო ქიჩაძის გვადი ბიგვა მეგრული გლეხია და ამ შემთხვევაში ავტორმა სწორედ მის კუთხურ წარმომავლობაზე მიანიშნა. დასაინანია, რომ რუსულ თარგმანში, რომელიც ცნობილ მწერალს ვიქტორ გოლცევეს ეკუთვნის, „გვადი ბიგვას“ „ქართველი გლეხი“ ჰქვია. გონივრულად მოფიქრებულმა სათაურმა დაკარგა თავისი კოლორიტი.

ლეო ქიჩაძელმა, როგორც ეტყობა, სპეციალურად შეარჩია გვარი „ბიგვა“ და ამის დასტურია არჩილ ფორიას სიტყვები: „თურმე ნუ იტყვი, შენც სოციალისტი არ ყოფილხარ, შე სახეძალო? გვარში თუ გინერიათ ბიგვებს ეს სოციალისტობა – საკვირველია სწორედ“. გვარი „ბიგვა“ წმინდა გლეხური წარმოშობისაა, რაც შეეხება სოციალისტობას, საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1905 წლის რევოლუციის ჟამს ზუგდიდში მონყობილ აჯანყებაში, რომელსაც თვით ლეო ქიჩაძე თავკაცობდა, ათეულობით წარაზენელი და ჭაქვინჯელი ბიგვა იღებდა მონაწილეობას.

წინა ნომერში მკითხველს არჩილ ფირცხალავას გამოუქვეყნებელი ლექსები შევთავაზეთ. არჩილი საყურადღებო ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსაც წერდა. მათი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა. გთავაზობთ ორ მათგანს ლევან ბრეგაძის არქივიდან. აგრეთვე გაცნობებთ, რომ გამოცემლობა „ინტელექტი“ სერიით „100 ლექსი“ მკითხველს მალე მიანვდის არჩილ ფირცხალავას რჩეულ ლექსების კრებულს.

ასევე გმირის სადაურობას უსვამს ხაზს ლეო ქიაჩელი ნოველაში „ჰაკი აძბა“, დიას, გმირის სადაურობას და ამადაცაა გულდასანყვეტი, რომ რუსულ თარგმანში ამ მშვენიერ ნოველას „კრეისერი შმიდტი“ ეწოდება.

„თავადის ქალი მია“ რუსულ თარგმანში უბრალოდ „მია“ იკითხება. ლეო ქიაჩელი აქაც გმირის წარმომავლობას უსვამს ხაზს – „თავადის ქალი“, თორემ საქართველოში ათასი მია მინც დაითვლება. ფაქტი ეგაა, რომ სიუჟეტი ამ ნოველისა ადვილი მოსალოდნელია მია დადებზე (დადიანზე) დღემდე შემორჩენილი გადმოცემებიდან იყოს აღებული.

ასევე საინტერესოა „მთის კაცი“. აქაც სათაურშივე იხსნება მთავარი გმირის მოსალოდნელი მოქმედება. აქაც „ბათუ“ სუფთა მეგრული სახელია, „ქარდუა“ – მეგრული ქარდას (ქარდავას) შეცვლილი სახეა: ბათუ ქარდუა ლაკადელი გლეხია და ლაკადა მთიან სამეგრელოს ნიშნავს, მისი საპირისპირო შესატყვისია „ოდიში“. მწერლის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ბათუ ქარდუას ნიშან-თვისებათა მეტი ნაწილი მწერალს უშუალოდ ლაკადელი მეჯოგეების ნამდვილი სახეებიდან აქვს აღებული.

დღეკეთილი გზა დედას!

ამ ლექსის დაბეჭდვიდან („ლიტერატურული საქართველო“, 1978 წლის 15 დეკემბერი) ორიოდე თვეც არ გასულა და მკითხველთა წრეებში (სადამდეც ჩვენ სმენა მიგვიწვდება) უკვე საკმაოდ ცხარე კამათია იმის შესახებ, ლექსია თუ პოემა, პოეტური მონოლოგი თუ ნოველა ლექსად. ფაქტი კი ყველა შემთხვევაში ერთია – ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“ თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია.

კარტოფილის ამოღება, სოფლური ყოფის ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი რიტუალი, ამ ლექსში მთელი ადამიანური ცხოვრების შინაგან არსში გარკვევის, ადამიანის სულის იდუმალ რხევათა სამზოვზე გამოტანის, ჩვეულებრივი ყოფითი დეტალის ფსიქოლოგიური ანალიზის ცდაა. ეს ცდა ნიჭიერი ოსტატის ხელში ჭეშმარიტად სასიამოვნო შედეგით დაგვირგვინდა.

„ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ! – მითხარი შენ და საწოლისკე სკამი მიინი“, – ასე იწყება ეს დღე-

ბული ნაწარმოები და ჩვენ ვისმენტ ამ სიტყვებს, ჩვენ ვხედავთ დედის მიერ მიწვეულ სკამს, რომელზეც დანოლის წინ ტანსაცმელი უნდა დააწყოს.

თვით ყველაზე უახლოესი ადამიანის წინაშეც არსებობს გარკვეული დისტანციის (უკეთუ შინაგანი დამორცხვების) გრძნობა (მდინარეს საკუთარ სათავეს უმაღლავენ)... **„მე კვლავ კედლისკენ გადავბრუნდები“**.

ბიჭი თხუთმეტი წლისაა, ხვალისათვის ათასი თავისებური გეგმა აქვს შედგენილი, მაგრამ დედა ამბობს, რომ კარტოფილი უნდა ამოიღონ. ბიჭის გეგმებსა და კარტოფილის ამოღებას შორის არსებული კონტრასტი ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა პირველი გორგალია. თანდათან ეს გორგალი იშლება და ახლოვდება ის საბედისწერო ღერძი, რომელსაც ყველაფრისადმი შეგუების უნარი ეწოდება.

ბიჭს არ შეუძლია წინაღუდგეს ცხოვრების (ამ შემთხვევაში დედის) ყოველდღიურ მოთხოვნილებას. არ შეუძლია იმდენად, რამდენადაც მას ბრძანებითი ტონის – **„ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ!“** – გვერდით **„ძილის წინ კოცნის მსგავსად და თმაზე ხელის გადასმასავით ხმადაბლა უთხრეს: – „ზამთარში ხომ კარგია ხოლმე ნაცარში გახუხული“**.

თითქმის ყველაფერი ითქვა უკვე, მაგრამ პოეტი მარტოოდენ მიწინააღმდეგობით არ კმაყოფილდება.


ნაღდი შემოქმედის ხედვისმიერია: **„ჩვენი ეზო სულ თერთმეტი მეასედია, მაშინ ნახევარზე (!) კარტოფილს ვთესავდით. გვეთესა ლობიოც, სიმინდიც... და მხოლოდ სახლის წინ ერთი ბენო მოლილა იყო დატოვილი, რომ ნაპირისკენ მობრუნებულ საქონელს გომურისაკე მიმავალი ბილიკი ჰქონოდა. ო, როგორი თვალებით უყურებდნენ ხოლმე ისინი თავის განვდენაზე მომდგარ სიმინდებს, რომელთა წინაც მე და დედაჩემი – მკაცრი დარაჯები დღეში ორჯერ ჩავატარებდით“**.

ხომ არ იგრძნობა აქ რაიმე შორეული კავშირი დედის მიერ „გეგმაშეკვეცილ“ ბიჭსა და იმ საქონელს შორის, რომელსაც სავალი ბილიკი განუსაზღვრეს?

ეს ლექსი არაა სამამულო ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოები. არაა და მით უფრო აღსანიშნავია, რომ იმჟამინდელი დღეების სურათს სულ ერთი წინადადებით გადმოგვცემს ავტორი: **„ომის შემდეგ კი კარტოფილის ფართობმა**



ლეო ქიაჩელი



ბესიკ ხარანაული

იკლო“ (შეადარეთ: „მაშინ ნახევარზე კარტოფილს ვთესავდით“).

ჩემი თაობა სწორედ ომის შემდეგ მოვიდა. მამები კი, რომლებმაც თავად იგემეს უპუროდ შეჭმული კატროფილი, უთუოდ დაგვეთანხმებიან ამ სტრიქონების სიმართლეში.

თავიდანვეც აღვნიშნეთ, რომ პოეტისათვის კარტოფილის ამოღება მართოდენ ჩვეულებრივ ყოფით დეტალად არ წარმოიდგინება. ამ აზრს ამტკიცებს თვად ლექსის მეორე ნაწილიც, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი („მაგრამ სულ სხვაა ამოღება, – შედეგი, ძიება, სიხარული“) იმ ფსიქოლოგიურ ნიუანსებზეც, რომელიც ამ ჩვეულებრივი საქმიანობის მიღმაა ჩადებული.

ან უკვე ბიჭი აღარაა ბიჭი, თხუთმეტი წლის ბიჭის მამაა და ათასი ცხოვრებისეული საზრუნავი (თუნდაც სხვათა მხარეთა ნახვა) გამოსჩენია: „ხომ არის ქვეყნად სხვა საქართველოც ვენახების, ლედვისა და ნაბლის ტყეებით“, მაგრამ არა, მან უპირველეს გამზრდელ ეზოში კარტოფილი უნდა ამოიღოს და დედის წერილიც მარ-

ტოდენ მშობლის უბრალო მოკითხვა როდია – მშობლიური ფესვების ყვილია ერთ ჩვეულებრივ ფრაზაში – „კარტოფილი უნდა ამოვიღოთ“ – განსხეულებულ-განსპეტაკებული.

ტკივილამდე შეგვაჯრუოლა ლექსის ფინალმა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთი საუკეთესო ფსიქოლოგიური ნოველის ტოლფასია და რომელშიც არის ასეთი ფრაზა: „რალაცის თქმაც დააპირა (დედამ), დიდი რალაცის, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, ის რალაცა წერწყვეს ჩააყოლა“.

...გააღწევს კი მოხუცი დედა გაზაფხულამდე? დედა, რომელსაც უკვე თვითონ შეიძლება პირდება, რომ „გაზაფხულზე ჩამოვალთ და კარტოფილს დავთესო“. გააღწევს კი? – აი, ის რალაც, რაიც მოხუცმა წერწყვეს ჩააყოლა.

დღეკეთილი გზა დედას, რომელმაც პოეტს ეს მშვენიერი ნაწარმოები შთააგონა.

დღეკეთილი გზა...

1979 წ.

„არტანუჯი“ გთავაზობთ



ალიო ქობალია

„მეგრული ლექსიკონი“

ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ მოიცავს დაახლოებით 90 000 ლექსიკურ ერთეულს და ძირითადად ეფუძნება აფხაზეთში (შუასოფელსა და სამურზაყანოში) და სამეგრელოში (ოდიშსა და ლაკადაში) მოძიებულ საველე მასალებს, აგრეთვე, მეგრულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ მასალებში დაფიქსირებულ, ენათმეცნიერთა მიერ დამოწმებულ და გაანალიზებულ კოლხიზმებს, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს. მასში ცალკე ერთეულებად, სიტყვა-სტატიების სახითაა შეტანილი მეგრული ლექსიკისათვის დამახასიათებელი იდიომატური და სხვა ორ და მეტსიტყვიანი მყარი გამოთქმებიც, მთხრობელთაგან ჩანერილი და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ცნებები, რომელთა საგრძნობი ნაწილი აქამდე არ დაფიქსირებულა, რაც ზრდის მის მნიშვნელობას ქართველური ენებისა და საქართველოს ეთნოგრაფიის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ლექსიკონის ავტორი დაიბადა 1927 წელს, ჩხორონყუს რაიონის სოფელ ლექობალეში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1952-1992 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქციაში. არის ავტორი სოხუმში გამოცემული რამდენიმე პოეტური კრებულისა და რიგი გამოუქვეყნებელი ნაშრომებისა ტოპონიმური, ონომასტიკური, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური ლექსიკოგრაფიის, ეთნოგრაფიის სფეროში.

ოლიგო ჟღენტი

„მრისხანების მტევნები“ 70 წლის შემდეგ

„დიდი დეპრესიის“ დიდი ამერიკული რომანი და მისი ეკრანიზაციის პოლიტიკური დისკურსი

1939 წელს ჯონ სტაინბეკის რომანის, „მრისხანების მტევნების“ გამოცემამ ამერიკაში მასობრივი პროტესტი და მღელვარება გამოიწვია – წიგნის ავტორს მსხვილი მონოპოლისტები (ბანკირები) დაუპირისპირდნენ, მწერალს კომუნისტობა დასწამეს და მარქსისტულ იდეოლოგიაში დაადანაშაულეს. სტაინბეკის რომანს კალიფორნიაში საჯაროდ წვავდნენ და აუტოდაფეს უწყობდნენ¹.

ისევე როგორც რომანის, ასევე მისი ეკრანიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრეს კერძო ამერიკულმა კომპანიებმა და ორგანიზაციებმა (სოფლის მეურნეობის საბჭო, სავაჭრო პალატა, რომლებიც მსხვილ ფერმერებთან იყვნენ დაკავშირებულნი). ცხარე და დაძაბული დებატების მიუხედავად, ფილმის პროდიუსერმა დერილ ზანუკმა მტკიცედ გადაწყვიტა ჰოლივუდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი ფილმის გადაღება, ფილმის რეჟისორობა კი ვესტერნის დიდოსტატს – ჯონ ფორდს მიანიდა.


პარადოქსია, რომ სტაინბეკის რომანიც და მისი ეკრანიზაციაც ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა, როგორც საბჭოთა ცენზურისთვის, ასევე ამერიკის სახელმწიფო იდეოლოგიისთვის – რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ორი რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის პირობებში აზრთა სრულ თანხვედრას ჰქონდა ადგილი.

მაშინ, როცა „მრისხანების მტევნების“ ავტორს „საზიზღარი კაპიტალისტები“ მოკვლით ემუქრებოდნენ, ამავე ნაწარმოებს დიდი ინტერესით კითხულობდა ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი – „დიდ დეპრესიასთან“ მებრძოლი რუზველტი იმასაც აცხადებდა, რომ „მრისხანების მტევნებ-


მა“ მასზე „წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“.

სტაინბეკის სკანდალური რომანის ეკრანიზაცია კლასიკურ ამერიკულ ვესტერნებთან და მიუზიკლებთან ერთად, საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „მოინადავლა“. ჯონ ფორდის ფილმის დრამატული სიუჟეტი – „დიდი დეპრესიის“ ფონზე ვითარდება – მსხვილი ამერიკელი ბანკირების მიერ ფერმერთა ოჯახების მიწიდან იძულებით აყრა, მასობრივი დევნილობისა და უმუშევრობის თემა მეტ-ნაკლებად მიესადაგებოდა ბოლშევიკურ კონიუნქტურას – კლასობრივი კონფლიქტის სქემას და ანტიიმპერიალისტურ პათოსს. თუმცა, კულაკობის მასობრივი განადგურების შემდეგ ამერიკელი მიწის მფლობელი მაინც კერძო მესაკუთრედ მოიაზრებოდა. კერძო საკუთრება კი პროლეტარიატისთვის მიუღებელი და დასაგმობი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, სტაინბეკი მაინც მარქსისტად და „საბჭოთა კავშირის მეგობრად“ აღიარეს. ყოველივე ამან იდეოლოგიურად შეამზადა მწერლის ვიზიტი საბჭოთა კავშირში – 1947 წელს სტაინბეკი მოსკოვს, კიევსა და თბილისს ეწვია. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა, სტაინბეკის, როგორც მარქსისტისა და კომუნისტის სტატუსი მაინც „არ შელახულა“. თავის დროზე „ტირაჟირებული“ მცდარი შეფასება, სტერეოტიპად ჩამოყალიბდა და მისგან პოსტსაბჭოთა კრიტიკა და საზოგადოებრივი აზრი ბოლომდე ვერ გათავისუფლდა.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუზველტის პერიოდიდან მოყოლებული, სტაინბეკი იყო ამერიკული დემოკრატიისა და ღირებულებების ერთგული, შეუპოვარი დამცველი, რასაც მისივე პუბლიცისტური წერილები მოწმობს. ასევე ცნობილია, რომ წლების



ჯონ სტაინბეკი



„მრისხანების მტევნების“ ერთ-ერთი გამოცემის გარეკანი

1. რომანის ეკრანიზაციის დისკურსიული ანალიზის მთავარი პირობა გახდა სტატის ავტორის მიერ დოკუმენტურ ფილმზე – „ჯონ სტაინბეკი და რუსული დღიური“ (2009) – მუშაობა, რომელსაც სამეცნიერო-კვლევითი მიზანიც ჰქონდა.



ჯონ ფორდი

განმავლობაში სტაინბეკი იყო დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატთა მხარდამჭერი და პირადი მეგობარი, და საერთოდ, ამერიკის სახელმწიფო ელიტასთან დაახლოებული პირი (მწერლის პირად მეგობართა სიაში შედიოდნენ პრეზიდენტები: თეოდორ რუზველტი, ლინდონ ჯონსონი, ჯონ კენედი).

რუზველტის აქტიური პოლიტიკური კურსის „გამტარებელი“, სწორედ საბჭოთა კავშირში ესოდენ პოპულარული რომანი – „მრისხანების მტევნები“ გახლდათ. ამ რომანისა და მისი ეკრანიზაციის შექმნის წინაპირობა კი 30-იან წლებში წარმოქმნილი ახალი ეკონომიკური კრიზისი იყო. ამ დროს კრიტიკულად აფასებდნენ პრეზიდენტ რუზველტის რეფორმების ეფექტურობის საკითხს ამერიკაში. დაიწყო „დემოკრატების“ რეიტინგის მკვეთრი ვარდნა. რუზველტის „ახალი კურსის“ მიზანი ხდება დაარწმუნოს „საშუალო ფენის“ ამერიკელი ახალი რეფორმების ეფექტურობაში და მას ოპტიმიზმი „შთაბეროს“. დემოკრატიული პარტიის წამყვანი ძალა არჩევანს სწორედ საშუალო ამერიკელზე აკეთებს, რადგან ძალაუფლებისთვის ორთაბრძოლაში ის ამავე ძალას დაეყრდნობა. რუზველტის რეფორმები მიმართული იყო წვრილი ფერმერების სასარგებლოდ (რომანსა და ფილმში წვრილ ფერმერთა ოჯახის – ჯოუდების სოციალური დრამაა ასახული).

ამ დროს რუზველტის ადმინისტრაცია ღია მხარდაჭერას უცხადებდა მსხვილი მონოპოლიების მიერ მიწიდან მასობრივად აყრილ ფერმერ-ლტოლვილებს (ოკლახომიდან აყრილ ჯოუდების ოჯახს „ოკების“ იარლიყით დევნიან კალიფორნიაში). ისინი მსხვილი ბანკირებისა და მონოპოლისტების გამო მიწისა და თავშესაფრის გარეშე დარჩნენ. ამერიკის სახელმწიფო შეეცადა ფერმერების კონკურენტი ტრესტების ლიკვიდაციასა და მათზე კონტროლის დაწესებას.

რუზველტი ბრძოლას უცხადებდა კორუფციას, უმუშევრობას, უკანონობას და ღიად აცხადებდა, რომ რეფორმების გატარებისთვის მას „წესიერი და პატიოსანი ადამიანების გუნდი“ სჭირდებოდა, ამიტომ გასაგები ხდება, რომ სტაინბეკის რომანის ეკრანიზაციისათვის ჰოლივუდი კონიუნქტურის ჩარჩოებში მოქმედებდა და ღიად აფიშირებდა იმას, რასაც მას ამერიკის პრეზიდენტი კარნ-

ახობდა; „ახალი კურსის“ ნიშნები რომანის ნარატიულ სტრუქტურაში იმდენად მკაფიოდ იკითხება, რომ „მრისხანების მტევნების“ თანაავტორად შეიძლება თვით რუზველტიც დავასახელოთ.

ამ მხრივ ფორდის პოპულარული ფილმი სტალინისა თუ ჰიტლერის ეპოქის კინოპროდუქციას მოგვაგონებს 30-იანი წლების სამი ურთიერთგანსხვავებული სახელმწიფოებრივი სისტემა იდენტურ მითონარმოებისა და პროპაგანდის მექანიზმზე იყო აგებული, რაც ყველაზე სახიერად ისეთ მასობრივ ხელოვნებაში გამოვლინდა, როგორც კინემატოგრაფი იყო.

ჯონ ფორდის „მრისხანების მტევნების“ ეკრანზე გამოსვლას მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია მოჰყვა – 1939 წელს ამერიკის სენატის კომიტეტმა უკვე დაიწყო სეზონური მუშების მდგომარეობაზე საკითხების მოსმენა (სეზონური უმუშევრობის პრობლემა რომანში რევოლუციური ხაზით ვითარდება, „ძველი ალტემის“ ბიბლიური შრეებიდან მესიანისტურ რიტორიკაში გადადის).

1936 წელს რუზველტის მორიგი რადიოგამოსვლა (მისი რადიო გამოსვლების ციკლი „საუბრები ბუხართან“ პოპულარული იყო მასებში), შემდეგ მედია ტექსტს შეიცავდა: „მთავრობა გადაარჩენს მსხვილი ბიზნესისგან შერყეულ ამერიკულ სისტემას და ის შექმნის დემოკრატიულ ეკონომიკას“. შესაბამისად, ამერიკულ კინოკომედიებსა თუ სოციალურ დრამებში ჩნდება პერსონაჟი, რომელიც გარეგნულად მართლაც ჰგავს რუზველტს. ასეთი პერსონაჟი ხან მესიანისტის ნიშნებს ავლენდა, ხან მფარველ ანგელოზად მოეწოდებოდა ვაშინგტონის „თეთრ სახლს“, ხან კი კრიზისით დაზარალებულ უმუშევართა ფენას დახმარებასა და მხარდაჭერას პირდებოდა. დიდი ამერიკელი კინორეჟისორები ფრენკ კაპრა და ჯონ ფორდი ყველაზე მძაფრად რეაგირებდნენ ამერიკის შიდა სოციალურ პრობლემებზე. მათ ფილმებში რუზველტის პოლიტიკური ტექსტები ადეკვატურ კინემატოგრაფიულ ასახვას ჰპოვებდა, მაგალითად, სოციალურად დაუცველ ფენას ექსტრემალურ სიტუაციაში აუცილებლად მოეწოდებოდა ახალი პრეზიდენტი ან ქალაქის გუბერნატორი, რომლის პროტოტიპი ისევ რუზველტი იყო. ერთ-ერთი ფილმის გმირი ზოგადად ამერი-

„მრისხანების მტევნებს“ აუტოდაფეს უწყობენ სტაინბეკის მშობლიურ ქალაქში



კის პრეზიდენტი, რომელიც სასტიკად ანადგურებს განგსტერულ ბანდებს, ებრძვის უმუშევრობას, სამსახურიდან აძევებს უსაქმურ მინისტრებსა და პირადად ეწვევა ლტოლვილთა ბანაკებსა თუ კარვებს, ის აქტიურად ახორციელებს სიღარიბის დაძლევის პროგრამას (ლევ კავას ფილმი „თეთრი სახლის გაბრიელ მთავარანგელოზი“, 1933 წ.); კაპრას გენიალურ კინოკომედიას „ლედი ერთი დღით“ (1933 წ.) ნიუ-იორკის კეთილი გუბერნატორი ბედნიერია და ამაყი იმით, რომ იგი ღარიბებისა და ქუჩის მანანალების ბანდას „უწყინარ“ თაღლითობაში დაეხმარება და მათთან ერთად, მილიონერი მაგნატის „გაცურებაში“ იღებს მონაწილეობას. საინტერესოა, რომ ამ პერიოდის ფილმების სიუჟეტური სპექტრი ისევ და ისევ ქვეყნის ახალ კურსს ასახავდა, მაგალითად, ერთ-ერთ ფილმში კორუმპირებულმა სენატორებმა თანამდებობები დაკარგეს და მათი ადგილები კეთილმა სენატორებმა დაიკავეს, რომლებმაც გაკოტრებულ ფერმერებს მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს („მისტერ დიდის გამოდის ხალხში“, 1936 წ. „მისტერ სმიტი მიდის ვაშინგტონში“, 1939 წ.) ერთ-ერთ ამერიკულ ფილმში რკინიგზის ბოროტი მაგნატები ანგრევენ კეთილ წვრილ ფერმერთა სახლებს, ართმევენ მიწებს და ა. შ. (რეჟ. კონვეის „დაე გუგუნებდეს ზარები“, 1939 წ.).

რუზველტის პროგრესულ და დემოკრატიულ იდეებს დაუპირისპირდა კორუმპირებული, ანტიდემოკრატიული მონოპოლისტური სისტემა, რომლის სიმბოლო ხდება მოქალაქე კეინი – ორსონ უელსის ფილმში „მოქალაქე კეინი“. აღსანიშნავია, რომ ფილმი კომიქსის სტილშია გადაწყვეტილი და მასში გაშარებულია პოლიტიკური არჩევნების ის მოდელი, რომელიც მსხვილ მაგნატებს ამხილებდა. ფილმში ასევე გამარჯვებული იყო არჩევნების პიარკამპანის ფარული თუ ღია მექანიზმი (მასობრივი კომუნიკაციის ქსელი, კინო, პრესა, რეკლამა, სლოგანი). ჯონ ფორდის „მრისხანების მტევნებისგან“ განსხვავებით, ორსონ უელსის ფილმში „მოქალაქე კეინი“ წინა პლანზე გამოდის ინდივიდი – „მეს“ ფაქტორი. კინოს ისტორიის განუყოფელ სლოგანად იქცა მთავარი გმირის მაგიური ფრაზა „მე – ჩარლზ ფოსტერ კეინი!“ ფორდის ფილმისგან განსხვავებით, უელსთან „მე“ ბატონობს კოლექტიურ



კადრი ჯონ ფორდის ფილმიდან „მრისხანების მტევნები“

„ჩვენზე“ – კეინი, მასა – კოლექტივისგან დამოუკიდებლად მოქმედებს (მაშინ, როცა რუზველტი იდენტიფიცირებულია ამერიკელ ხალხთან – იგი ეროვნული ცნობიერების განუყოფელი ნაწილია). „კოლექტიური ადამიანის“ კონცეფციას (ჯონ ფორდი და ჯონ სტაინბეკი) ორსონ უელსთან უპირისპირდება ძლიერი ინდივიდის – კეინის მონოლითური, მონუმენტური ფიგურა, როცა ფილმში „მრისხანების მტევნები“ ხალხის კოლექტივის თითოეული წევრი მთელის განუყოფელი ნაწილია. მათთან არ არსებობს მეორეხარისხოვანი როლი.

ცნობილი ფრანგი რეჟისორისა და კრიტიკოსის ფრანსუა ტრიუფოს გენიალურ რეცენზიაში „უფალო, დალოცე ჯონ ფორდი!“, რომელიც ძალზედ მოკლეა და საგაზეთო ნეკროლოგსაც მოგაგონებთ, ავტორი შენიშნავდა, რომ ჯონ ფორდის ფილმებში „პერსონაჟი არასოდეს დგას უკანა პლანზე, ის მასთან მუდამ უპირატესობით სარგებლობს“.²

ხალხი – კოლექტივისგან განდგომილი ინდივიდის („მოქალაქე კეინი“) ისტებლიშმენტი, პოლიტელიტასთან ინტეგრირება, ამერიკული წარმატების თეორია კრახს განიცდის – მსხვილი მაგნატის სოციალურ აღზევებას დაცემა და მორალური კრახი მოსდევს. საბოლოო ჯამში, „მოქალაქე კეინი“ არის ფილმი – სატირა, პამფლეტი საქმიან ადამიანსა და ამერიკანიზმზე, და ეს კინოსატირა რუზველტის პოლიტიკური კურსის სა-

2. Ф. Трюффо, „Господи Благослови Джона Форда!“, Трюффо о Трюффо, М. „Радуга“. 1987.

სარგებლოდ „მუშაობდა“, თუმცა, ფორდის მკაცრი, ეფექტებს მოკლებული რეალიზმისგან განსხვავებით, უელსის კინოგამომსახველობითი ხერხების რესურსი გაცილებით დიდია და ამოუწურავი.

ფორდის ფილმის – „მრისხანების მტევნების“ პარალელურად იქმნება ჰოლივუდის ისტორიული ფილმი-კოლოსი „ქარნაღებულნი“ (მარგარეტ მიტჩელის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, რეჟ. ვიქტორ ფლემინგი). ნიშანდობლივია, რომ რომანის ეკრანიზაციას დღემდე, მსოფლიო კინოინდუსტრიის ყველაზე პოპულარული ფილმების სიაში წამყვანი ადგილი უკავია. მწვავე ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, გრიფიტის შემდეგ, რუზველტის პერიოდის კინო დაუბრუნდა ამერიკის ხანმოკლე ისტორიას, მასშტაბურ სცენებს და მსხვილბიუჯეტიანი კინონარმოების ტრადიციებს. ფორდის „მრისხანების მტევნების“ ანალოგიურად, ამ ფილმშიც ამერიკული ღირებულებები და ოცნების მითი საფრთხეშია – სოციალური რეფორმებისა და სამოქალაქო ომების შემდეგ, ერთ დროს წარმატებული არისტოკრატია მამულებსა და მიწებს კარგავს, ეკონომიკურმა კრიზისმა გააჩანაგა მისი მატერიალური საკუთრება – კეთილდღეობის ილუზია გაქრა. კეთილშობილი არისტოკრატია ცდილობს დაიცვას წმინდა ამერიკული ღირებულებები – ოჯახი და სამშობლო, თუმცა, იგი პასიურია, სუსტი და უძალი; მისი ალტერნატივა მხოლოდ „სკარლეტიზმია“ – ტერმინი, რომელიც 30-იანი წლების

ამერიკის „დიდი დეპრესიის“ პერიოდში დამკვიდრდა. ეს ტერმინი უკავშირდება ქალის კულტს – ამერიკული საზოგადოების არქეტოპულ მოდელს. „სკარლეტიზმი“ მიანიშნებდა, რომ სოციალური იმიჯის აღდგენა და სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია ზნეობრივი და სულიერი კომპრომისის ხარჯზე – სწორედ ამის სიმბოლოა სკარლეტ ო'ჰარას პერსონაჟი, რომელსაც ცნობილი ინგლისელი მსახიობი ვივიენ ლი ასახიერებდა. ქალის არქეტოპი ამერიკულ სოციუმში იმდენად ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ქალიგმირის აშკარად გამოკვეთილი ნეგატიური თვისებებისა (ეგოიზმი, ცბიერება, პირადი გრძნობების დათრგუნვა მატერიალური ინტერესების სასარგებლოდ, სიჯიუტე, პიროვნული „მეს“ დამკვიდრების ავადმყოფური ჟინი), ეს პერსონაჟი დღემდე არ კარგავს პოპულარობას. ამის ერთ-ერთი ფაქტორი მითოლოგიური ასპექტია: ამერიკის ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში ქალი პოზიტიურ ისტორიულ როლს თამაშობდა – ქვეყნის ხანმოკლე ისტორიული, სოციალური ფორმირების პროცესში ქალი წარმოადგენდა ოჯახური კერის მფარველს, გვარის გაგრძელების სრულ გარანტს, რასაც განსაკუთრებით საჭიროებდა ახალგაზრდა ერი. ქაოსის ნაცვლად საზოგადოებდა წესრიგს საჭიროებდა, ამიტომაც ქალს, თუნდაც ის მორალურად „არამდგრადი“ ან პროფესიონალი მეძავი ყოფილიყო (გავისენოთ ჯონ ფორდის ცნობილი ვესტერნის – „დილიჟანსის“ ქალი პერსონაჟი), ან ჭირვეული და ეგოისტი არისტოკრატია ქალი (კლასიკურ მელოდრამაში „ქარნაღებულნი“), ქაოსისა და ფორმირების პროცესში საზოგადოება ასეთ ქალს მაინც „უფრთხილდებოდა“ და აიდეალებდა.

ვესტერნის ანალოგიურად, ფილმში „მრისხანების მტევნები“ – დედა ჯოუდი ქრისტიანული სათნოების, მიმტევებლობის სიმბოლოა, ის ოჯახური კერის მფარველია, თუმცა, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ქალი აღარ არის კრძალვისა და მოწინების ობიექტი. ვესტერნის ქალი-პერსონაჟებისგან განსხვავებით, დედა ჯოუდი ოჯახის წევრებთან ერთად განიცდის დამცირებას, დევნას, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში მაინც ინარჩუნებს ღირსებასა და მორალურ-ეთიკურ ღირებუ-

ფილმ „მრისხანების მტევნების“ სარეკლამო აფიშა



ლებებს. ნიშანდობლივია, რომ არც ფილმსა და არც რომანში ქალის მთავარ გმირს არ გააჩნია კონკრეტული სახელი (დედა ჯოუდი), იგი ზოგად ქალურის სიმბოლოა, მითარქეტიკული სახე და ოჯახური სიმტკიცის, სოციალური კეთილდღეობის ერთადერთ გარანტიად მოიაზრება (შემთხვევითი, არ არის, რომ ამერიკელი კრიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დედა ჯოუდის შემსრულებელ მსახიობს – ჯენი დარველს 1940 წელს „ოსკარი“ მიენიჭა ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის, მაშინ, როცა „ოსკარის“ გარეშე აღმოჩნდა მთავარი გმირის ნომინაციაზე წარდგენილი, ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი ჰენრი ფონდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჯონ ფორდის სტილის უნიკალურობას – მართლაც, მასთან არ არსებობს მეორეხარისხოვანი პერსონაჟი).

ფორდის „მრისხანების მტევნები“ სრული ანტიპოდია კოსტიუმირებული, პომპეზური, ეთნოგრაფიული რეკვიზიტით დატვირთული ფილმი-კოლოსისა – „ქარნაღებულნი“; ამერიკული არისტოკრატიის ბუტაფორიულ ინტერიერებს ფორდის „ღია“ ანტიესთეტიკა დაუპირისპირდა – ხალხური, ყოფითი, შეიძლება ითქვას, ჭუჭყიანი რეალიზმი (თუმცა, კრიტიკა შენიშნავდა, რომ ფორდის ჭუჭყიანი რეალიზმიც კი ჰოლივუდის ესთეტიკით იყო შექმნილი და კოსმეტიკურად შეფერილი). ფორდთან პიროვნული „მე“ იდენტურია ხალხური „ჩვენ“-ისა (ცნობილია, რომ კრიტიკამ ფილმი იტალიური ნეორეალიზმის წინამორბედად აღიარა), მაშინ, როცა ფილმში „ქარნაღებულნი“ ხალხი მხოლოდ დეკორატიულ ფონსა და სტატისტიკების ჯგუფს წარმოადგენს მის გრანდიოზულ მასობრივ სცენებში.

„დიდი დეპრესიის“ ეპოქაში რუზველტის პოლიტიკური დასაყრდენი მოსახლეობის საშუალო ფენაა, რომელიც უკვე აღარ იკვებება ილუზიებით, ამერიკული ოცნების მითით. მას უკვე სერიოზულად აეჭვებს, რომ „აღქმულ მინაზე“ სოციალურ კეთილდღეობას მოიპოვებს – 20-იანი წლების კინომითი მძლავრად „შეირყა“, საჭირო იყო ახალი მითის ტრანსლირება კინოში. შესაბამისად, ფილმში „მრისხანების მტევნები“ ჯონ ფორდი მიმართავს ვესტერნის დედრამატიზირებას და დემითოლო-

გიზირებას – ვესტერნის მარტოხელა გმირ-რაინდებსა და ინდივიდუალურ თავისუფლებას „ფილმში ჩაენაცვლა „კოლექტიური ადამიანის“ („Group men“) სოციალური კონცეფცია – გმირი იდენტურია ჯგუფის, რომლის განუყოფელი წევრიც ის თავად არის. 30-იან წლებში ვესტერნის ამერიკული ოცნების მითი კრახს განიცდის – ადამიანმა დაკარგა ბუნებასთან – მინასთან კავშირი, თავისუფლების განცდა, მისი ეროვნული იდენტურობა საფრთხეშია. ყოველივე ეს 20-იან წლებში თავის დროზე ვესტერნის ჟანრულ სპეციფიკას განსაზღვრავდა. ფორდის რესპექტაბელურ სამგზავრო ეკიპაჟს (ფილმი „დილიჟანსი“) „მრისხანების მტევნებში“ ცვლის ბიბლიური, „ნოეს კიდობანთან“ სიმბოლურად დაკავშირებული ჯოუდების სატვირთო მანქანა („ძველი ალთქმის“ მოტივი). ჯოუდების სამგზავრო ავტომობილი იმდენად შელახულია და წვრილმანი საოჯახო ნივთებით დატვირთული, რომ კარიკატურულ, გროტესკულ შთაბეჭდილებასაც იწვევს. ჯოუდების მანქანა გარკვეულ კინომითოლოგიამდ ყალიბდება (ასეთივე კარიკატურულია ცირკის მოხეტიალე მსახიობ ძამპანოს მანქანა ფელინის ფილმში „გზა“). ფორდის ფილმში ჭუჭყიანი და ლატაკი გარემო, პირველქმნილი ბუნება, მკაცრი, უდაბური პეიზაჟები, კალიფორნიისკენ – „ალთქმულ მინაზე“ მიმავალი ადამიანებისა და მანქანების უსასრულო კოლონა ბიბლიურ სამყაროსთან ალუზიას ქმნიდა. კალიფორნია, საითკენაც ჯოუდების ოჯახი თავისი „კარიკატურული“ მანქანით მიემგზავრება (კომიქსის ელემენტი), ვერ იქცა ოცნებისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ. ამით ფორდმა ამხილა ამერიკული სამოთხის მითის ფალსიფიკაცია. ჯოუდების ოჯახის ტანჯვისა და წამების გრძელი გზა უდაბნოში მოგზაურობის ალუზიაა. ფილმის კულმინაციურ მომენტში ტომ ჯოუდის ცნობიერებაში მნიფდება აზრი (მსახ. ჰენრი ფონდა) – უდაბნოდან გამოიყვანოს თავისი ტანჯული ხალხი (რემინისცენცია კინოვესტერნში არსებულ ახალმოსახლეთა სამგზავრო ეკიპაჟის კოლონებთან). ტომ ჯოუდი ჩაგრულთა და უპოვართა ქომაგი, „კოლექტიური ადამიანის“ სიმბოლო ხდება და მისი მესიანიზმი კვლავ რუზველტის პერსონასთან და მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსთან ასოცირდებოდა.



ფრანკლინ დელანო რუზველტი



ჯონ სტაინბეკი და მისი ვაჟიშვილი პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონთან მიღებაზე

ვესტერნისგან განსხვავებით, ე. ნ. „კალიფორნიის სამოთხეში“ ჯოუდების ოჯახს დაშლის, სოციალისტური იზოლაციისა და საზოგადოებისგან დეინტეგრირების საფრთხე ემუქრება.

ამერიკული ოჯახის დესტრუქციისა და ემიგრაციის მიმე ხვედრი – ჯონ ფორდის ირლანდიურ ფესვებსა და ოჯახის ისტორიას უკავშირდება. ჯონ ფორდიც ირლანდიელი ემიგრანტების შვილი იყო, ამიტომაც, ფილმში დასავლეთისკენ მოგზაურობა მეტაფორაა იმ გზისა, რაც ირლანდიიდან ამერიკისკენ მიმავალმა ფორდების ოჯახმა გაიარა (ჯონ სტაინბეკის ფესვებიც დედის მხრიდან ირლანდიას უკავშირდება).

სტაინბეკის რომანის ნარატიულ შრეებში ეროვნული იდენტურობის ნიველირების საფრთხეც იკითხება. მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა და „დიდი დეპრესიის“ ფონზე ამერიკაში აქტიურდებიან ახალფორმირებული რელიგიური სექტები, მათ შორის „იელოვას მონმეები“. მძიმე რეალობაში ისინი „ნაყოფიერ“ ნიადაგს პოულობენ თავიანთი

სწავლების გავრცელებისთვის, თუმცა, რომანის ავტორი ფარული ირონიით აღწერს მათ რიტუალებს, მსოფლიო კატასტროფებისა და აპოკალიფსის მოლოდინში მყოფ ადამიანთა ისტერიულ განწყობას. „იელოვას მონმეა“ მშრალი და რიტორიკული დოგმატიკა უნიადაგოა და ყალბი იმ ტრადიციული, ჯანსაღი წილისთვის, რასაც ჯოუდების ოჯახი ჰქვია, მითუმეტეს, ასევე მიუღებელი იქნებოდა პურიტანულ და კონსერვატორულ ტრადიციებზე აღზრდილი ჯონ ფორდისთვის. ამგვარად, თუკი ვესტერნში ახალი საზოგადოებისა და ეროვნული იდენტურობის ფორმირების პროცესი აისახა, „მრისხანების მტევნებში“ უკვე ფორმირებული ოჯახის დაშლისა და ეროვნული ფესვების დაკარგვის საფრთხე იკითხება. ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილი ადამიანთა ჯგუფი – ლტოლვილების ოჯახები, ინდიელების თავდასხმის ნაცვლად ახლა სამოქალაქო სტრუქტურებისგან განიცდიან ძალადობასა და აგრესიას – ინდიელების ძალადობა „კანონის დამცველმა“, „ვარსკვლავოსანმა“ პოლიციელმა ჩაანაცვლა. თუკი, ფორდის გახმაურებულ ვესტერნში „დილიჟანსი“ ტრანსციდენტულ უკიდვანო სივრცეში მიტოვებული, მარტოხელა ეკიპაჟი დაუცველია ნითელკანიან, ველურ ტომთა აგრესიისგან (მხოლოდ უკანასკნელ ნუთებში გამოჩნდება გულად ამერიკელ ჯარისკაცთა მაშველი არმია), სამაგიეროდ, ჯოუდების ოჯახს „მფარველ ანგელოზად“ მოველინება რაფინირებული, ინტელიგენტური გარეგნობის ამერიკელი – სახელმწიფო დაწესებულების (აგროკულტურის დეპარტამენტის) ბანაკების ზედამხედველი, რომელსაც მყურებელი აუცილებლად მიამსგავსებდა პრეზიდენტ რუზველტს. ჯოუდების დაბანაკების ეპიზოდში ოპერატორ გრეგ ტოლანდის კინოკამერა მსხვილი პლანით აფიქსირებდა წარწერას შესასვლელის აბრაზე: „აგროკულტურის დეპარტამენტი“, რომელიც რუზველტის ინიციატივით შექმნილ სახელმწიფო უწყებას განეკუთვნებოდა. ბანაკის ზედამხედველის ინტელექტუალური იერი, სათვალე, თავაზიანი, უშუალო საუბრის კილო, პირდაპირობა და უშუალობა მყურებლის ცნობიერებაში სწორედ რუზველტთან ასოცირდებოდა. ფილმში საკმაოდ გრძელი პლან-ეპიზოდი ეთმობა ბანაკის ზედამხედველის

საუბარს უსამართლობისგან დათრგუნულ და დამცირებულ ტომ ჯოუდთან. ეს საუბარი ზედამხედველის პირად კაბინეტში მიმდინარეობს – სანერ მაგიდასთან მჯდომი, თეთრ კოსტუმში აკურატულად გამოწყობილი ზედამხედველი ტომს დაამშვიდებს და მის ოჯახს დროებით თავშესაფარსა და საცხოვრებელ პირობებს შესთავაზებს; მისი კაბინეტი რუზველტის ცნობილ „ოვალურ კაბინეტს“ მოაგონებდა მაყურებელს. დევნილ და ტანჯულ ჯოუდებს (ფილმში მათ ზედმეტსახელად „ოკებს“ ანუ ოკლახომიდან დევნილებს უწოდებენ) სახელმწიფო უწყების ბანაკში კეთილგანწყობით ხვდებიან. კერძო, მონოპოლური სამსახურების – მუშათა ბანაკი-რეზერვაციებისგან განსხვავებით, აქ დაცულია ჰიგიენური ნორმები, სანიტარული პირობები, კოლექტივიზმის პრინციპი, საზოგადოებრივი წესრიგი. რუზველტიც ასევე ზრუნავდა ღარიბთა და ლტოლვილთა შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის.

ცალკეული კონიუნქტურული პასაჟების მიუხედავად, ფილმი მნიშვნელოვნად დაშორდა ვინრო სოციალურ პრობლემას – ჯოუდების ოჯახის ისტორია ეროვნულ საგად იქცა და ამერიკელთა ეროვნულ სულისკვეთებას მიესადაგა.

„მრისხანების მტევნებში“ ჯონ ფორდი პირადად იზიარებს ამერიკელი ერის ისტორიულ გამოცდილებას; ვესტერნის დიდოსტატი კრიტიკულია და პოლემიკაში შედის სოციალურ რეალობასთან და ამით არღვევს ვესტერნის ფსევდომითს.

70 წლის შემდეგ გაკვირვებას იწვევს სტაინბეკის რომანის ეკრანიზაცია თავისი წინასწარმეტყველური, პროფეტული მოტივებით – ფილმში მინიშნებულია, თუ რაოდენ სახიფათოა ძალაუფლების მონოპოლიზებისკენ და მითვისებისკენ მისწრაფება (ამას თვით პრეზიდენტი რუზველტიც ებრძოდა, როცა მსხვილი კომპანიები წვრილ ფერმერებს მიწიდან აძევებდნენ და მათ ტერიტორიებს მასობრივად „იპყრობდნენ“). კერძო (და არა სახელმწიფო) ბანაკებში მოხვედრილი ჯოუდების ოჯახი რეზერვაციის, ფაშისტური ვეტოს პირობებში აღმოჩნდება. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ 1939 წელს, ჯონ ფორდმა რეალიზმის საოცარი გრძნობითა და დოკუ-

მენტური სიზუსტით მიანიშნა ზოგადად, საკონცენტრაციო ბანაკის ჯოჯოხეთურ მოდელზე, რომლის შესახებ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კინოქრონიკების სახით გახდება ცნობილი. ფორდის ფილმში ლტოლვილთა ბანაკის ეპიზოდი მართლაც წინ უსწრებს საკონცენტრაციო ბანაკების კინოქრონიკებს, რომლებმაც შოკში ჩააგდო პროგრესული საზოგადოება. ფორდის მიერ „დადგმულ“ სცენებში სეზონური მუშების ბანაკებია ნაჩვენები, სადაც მორჩილების პრინციპი ბატონობს და ხალხის ნება დათრგუნულია. ფორდის მიერ კინოს ენაზე ადაპტირებულ რომანში ზოგადად ძალადობის რეჟიმის მეტაფორა აისახა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი – სტაინბეკი და ფორდი არ ლატობდნენ რეალიზმის პრინციპს. კერძო ბანაკში (და არა სახელმწიფო) მოხვედრილი ჯოუდების მრავალრიცხოვანი ოჯახი იძულებულია დაემორჩილოს აქ გამეფებულ ძალადობრივ რეჟიმს. ეს კადრები ასოცირდება როგორც ფაშისტურ გერმანიასთან, ასევე ბოლშევიკურ რეჟიმთან და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. ამგვარად, სტაინბეკისა და ფორდის ფილმში გამჟღავნდა ის ძალადობრივი სისტემა, რომელიც ძალაუფლების მონოპოლიზებასა და ეროვნული იდენტურობის წაშლას ესწრაფვის, და რომელსაც აუცილებლად გაუმკლავდება პრეზიდენტი რუზველტი.

ოლიგო ჟღენტი სტაინბეკის ცნობილ მკვლევართან – სიუზან შილინგლოუსთან ერთად მწერლის აგარაკზე, სადაც დაინერა „მრისხანების მტევნები“



შტრიხები პორტრეტისათვის

მაკა ჯოხაძე

ენდროსფერი სამყარო



სიტყვა წარმოთქმული
ესმა ონიანის ახალი
პოეტური კრებულის –
„100 ლექსის“
პრეზენტაციაზე
საერთაშორისო
კულტურის ცენტრ
„მუზაში“.

მას არ უბანავია მდინარე იორდანეში და არ მიუღია ის სიხარული, რასაც ამ წყალთან შეხება აჩენს.

მას არ გაუვლია მცხუნვარე სანახებში და გალილეის ტბის სიმშვიდე არ ჩაღვრია სულში.

არც კაპერნაუმში უნახავს სასწაულები და არც კანაში შესწრებია წყლის ღვინოდ გადაქცევას.

იგი იმ თაობის წარმომადგენელი იყო, იმ პოლიტიკური რეჟიმების დროს ცხოვრობდა და ისეთი პოეტი იყო, იერუსალიმში უბრალოდ ვერ მოხვდებოდა.

არადა, სიხარულის, სიმშვიდის, სასწაულის მოსაპოვებლად დღეს უკვე, ვინ მოთვლის, რამდენი მშფოთვარე სული ჩადის ამ წმინდა ქალაქში საქართველოდანაც.

ცოტა ხანს კიდევ რომ ეცოცხლა, გაუნევედა გული იქით? ვინ იცის, იქნებ არც წასულიყო, იმდენად იყო თავად მასში სიმშვიდე, სიხარული და სიტყვასთან ზიარების სასწაულიც.

გენიალური სიჯანსაღე – ძალიან მოკლედ ამ ორ სიტყვაში შეიძლება ჩაეტიოს ფენომენი, რომელსაც ესმა ონიანი ჰქვია.

მისი, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი ხელოვანის უპირატესობა უღმერთო საუკუნეშიც სწორედ ისაა, რომ იგი გადაურჩა თავისი ეპოქის მოღურ ტენდენციებს – ყოფილიყვნენ უღმერთოები, მაგრამ გენიალურად ავადმყოფურები და საინტერესოები; დესტრუქციულები, მაგიურები, მისტიურ-დემონურები...


პირიქით, სრულიად საწინააღმდეგოდ, ესმას ფერწერის, პოეზიის თუ ესეისტიკის წამკითხველს, პირველივე სიტყვა ან განცდა, რაც გეუფლება, ესაა ღვთაებრივი. მიუხედავად იმისა, რომ იგი არც წმინდანებს ხატავს და არც ანგელოზებს, არც ქერუბიმებსა და არც სერაფიმებს.

სიხარულზე, სიმშვიდეზე და სასწაულზე უკვე მივიანიშნეთ, მაგრამ არის კიდევ ერთი ძლიერი განცდა – დამახასიათებელი, ნიშანდობლივი კი არა, უბრალოდ, ესმას, როგორც ადამიანის და როგორც შემოქმედის დვრიტა. ესაა მადლიერების უღრმესი გრძნობა უზენაესისადმი, რომ გაჩნდა ადამიანად.

უცნაურია, მაგრამ განსაკუთრებით სანდოა ამის განცდა დღეს, როცა სიდიადე კი არა, ყოველივე ადამიანური დამცრობილი და შერყვნილია.

ეს გამომზიანება ბურუსებიდან, ქაოსიდან, არაფრიდან, მთელი ამ პროცესის, შესაქმის ამ შიშისმომგვრელი ბედნიერების მატარებელია მისი ლექსის ყველა სტროფი, ყველა სტრიქონი, ყოველი სიტყვა, მეტაფორა, ზმნა; მისი ბლონდები, ეს გამჭვირვალე და მაინც ოდნავ შენისლული გარსები, საიდანაც გამოიანათებენ საგნები, ჩიხები, სახეები, თაიგულები – თითქოს გაფრთხილება იმისა, რომ ამ სასწაულს ბოლომდე ვერ ჩანვდები, არცაა საჭირო... ამიტომ დატკბი, დათვერი, გაიხარე ამ უსაზღვროებით, ამ უთვალავი ფერით, სურნელით...

ერთი სიტყვით რომ შეიძლებოდეს მთელი მისი პოეზიისა და მხატვრო-



ბის ფერში გაცხადება, ვიტყვოდი, რომ ესაა ენდროსფერი, სააღდგომი კვერცხის სინთლის ვარიაციები. მენამული ფერის ვიბრაციები, ვარდისა და საკმეველის სურნელში გახვეული.

მას არ უბანავია მდინარე იორდანეში, მას არც გალილეის ტბის სანაპიროზე ჩაუვლია; ესმა არც სოფელ მაგდალაში ყოფილა, მაგრამ როგორც გალაკტიონის სიტყვებში, – რომ მას რუსთაველი ახსოვს ბავშვი, არ შეიძლება ეჭვის შეტანა, ასევე უეჭველია, რომ ესმას ნანახი და განცდილი ჰქონდა, მარიამ მაგდალინელის ხელში როგორ წითლდებოდა სააღდგომო კვერცხი განახლების, სიკვდილის სიკვდილით დამთრგუნველი, უკვდავი სულის, სიხარულისა და რწმენის ფერი.

**მე დავიბადე ადამიანად,
არაფრიდან გამოვმზიანდი,
რა უბრალოა, უღალატო,
როცა იტყვი – მე ვარ დიადი!**

რთულია იყო უბრალო და უღალატო, თვით პოეტებისათვისაც კი. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მათი ჯილდო და სასჯელია უბრალოება და უღალატობა. ამიტომ ესმა ონიანი ღვთის რჩეული პოეტია. ამიტომ ისიც ბუნებრივია, რომ ჯერ ბევრს არ ესმის მისი, შემთხვევითი არც ისაა, რომ, ამ კრებულის ბრწყინვალე წინასიტყვაობის ავტორმა, რენე კალანდიამ, თავის წერილს ესმა ონიანის საოცარი სიტყვები წარუმიძვარა ეპიგრაფად:

„პოეტებო, ვინ არი ჩვენი პატრონი? ჩვენ ერთმანეთით ვარ, ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთით ვმაგრობთ, ვხალისობთ, აღვტაც-ცრემლებით უსაზღვრო ლტოლვით, გაგებით. ახლობლობა – მშობლიურობით საუკუნეთა, წელთა, გადაღმა: ცრემლ-გალიმებული, გამგები მზერით ვამხნევეთ ერთმანეთს“.

დღევანდელი დღეც გამხნევებისაა. გამომცემლობა „ინტელექტმა“ პროექტ „100 ლექსის“ ფარგლებში ამჯერად ესმა ონიანის პოეზიას გვაზიარა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში ჯერ კიდევ ესმით და ენდობიან ჭეშმარიტ პოეტებს.



„არტანუჯი“ ბთავაზობთ

იონა მეუნარგია

ტომი I

გამომცემლობა „არტანუჯი“ იწყებს იონა მეუნარგიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამოქვეყნებას განახლებული სამეცნიერო აპარატით – შენიშვნებითა და კომენტარებით.

იონა მეუნარგიას თხზულებათა პირველი ტომის გამირებს ერთი გამორჩეული თარიღი ამთლიანებს: 1832 წლის შეთქმულება, რომელმაც განაპირობა მათი ცხოვრების გზა, შემოქმედება და ფასეულობები. ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და გიორგი ერისთავი განასახიერებენ მეცხრამეტე საუკუნის რთულსა და წინააღმდეგობრივ საქართველოს – დაპყრობილი, მაგრამ გაუტეხელი ერის სულისკვეთებას.

ამავე ტომში პირველად ქვეყნდება იონა მეუნარგიას „ავტობიოგრაფია“, რომელიც მწერალმა გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დაწერა.

წიგნს ერთვის როსტომ ჩხეიძის წინასიტყვა – „ბიოგრაფიის ხვედრი და ვალი“, სადაც თვალსაჩინოდაა მოცემული იონა მეუნარგიას პორტრეტი და მისი შემოქმედების მნიშვნელობა ქვეყნისათვის.



მწერლის არქივიდან



მაკო საფაროვა

დიდთა სიყვარული

ივანე მაჩაბელი და მაკო საფაროვა

მაკო საფაროვი-აბაშიძის წერილი ვასო აბაშიძისადმი

4 აგვისტოს

ნუ აღელდები. ეს წერილი დამშვიდებით წაიკითხე ბოლომდე, რადგან ჩვენი შვილის მდგომარეობა მოითხოვს ჩვენგან ცრემლებს და ლევას კი არა, არამედ შველას და შველას საფუძვლიანს. რაც საშიში და სავაგლახო იყო, ეგ ყველა მე მარტოს დამატყდა თავზედ, როგორც ყოველთვის და ყველაფერში უბედურს ადამიანს. გაუმკლავდი მეც ამ მწუხარებას რამდენადაც ღონე შემწევდა და აი ხედავ დღესაც ცოცხალი ვარ. არაფერი არ ავიტყე, რადგანაც ჩემის სიკვდილით ჩემს შვილს ის შველაც მოესპობოდა რაც მე აღმოუჩინე. გიმეორებ საშიში აღარ არის რა, იმდენათ კარგათ არის, რომ დოხტურებს ნება მიუცია საავადმყოფოდან გამოვიდეს და ამ რამდენიმე დღის შემდეგ შეგიძლიანთ ზღვით გაემგზავროვო. ეხლა მთელი ჩემი არსება იმითაა გამსჭვალული რა ვქნა და როგორ მოვიწყო შემდეგში იმისი ცხოვრება, რომ სიცოცხლე განუგრძო, მართალია სიკვდილს გადურჩა, მაგრამ ხომ იცი რა საშინელი გაფრთხილება უნდა ერთი წლის განმავლობაში მაინც, რომ სიჭლექეთ არ გადაექცეს, რადგან მარჯვენა ფილტვი დაზიანებული აქვს (ტასო აბაშიძე ფილტვების ანთებით იყო ავად. – ნ. გ.) ჯერჯერობით ორმოცი თუმანი მივაშველე დრამატული საზოგადოების და განსაკუთრებით ჯაბადარის წყალობით, რომელთაც ალუთქეი ჩემი გარდერობის მიცემა. ამაზედ მეტის გამომტნავი, ვგონებ გამიჭირდება, რადგან თვითონაც არა აქვთ. ჩემთან იყვნენ ჯაბადარი, („ქართვ. ამხ. წიგნების გამოც.“ დამაარსებელი ჟურნალისტი მთარგმნელი – ნ. გ.) და შაქრო ერისთავი, რომელთა

წყალობითაც მივიღე ეს ფული, როცა ნახეს ჩემი განწირული მდგომარეობა – ძალიან მხურვალე მონანილეობა მიიღეს. სახლიც გამოვაცხადე გასასყიდად, მაგრამ ხომ იცი ასე უცებ არ გაიყიდება და ან რას მომცემენ იმდენს, რომ ვალს გადარჩეს. რაც ეხლა დავაგირავე. ტასოს ბილეთები მოექციათ ტორგში, რომლის სარგებელიც კი არ შეეტანა ახმეტელს, ისიც გადაუფირავე. ქუთაისის ბანკს თხოვნა მივართვი, რომ რაც იმის სახელზედ შეგროვილი ნედლიმკა არის, ე. ი. ქირა მაპატიონ თუ ეს შეინყნარეს ოც თუმნამდი არის. მაგრამ, ყველა ეს ცოტა იმისთვის საჭიროა ერთი წელიწადი მაინც იცხოვროს ზღვის ნაპირას, როგორც ექიმები ამბობენ, მაშასადამე, თუ დამიჯერა იმისი მუშაობა შეუძლებელი არის ერთი ზამთარი მაინც. გუშინ მომივიდა წერილი ჩემი ძმისწული ვალოდისა, რომელიც მივამშველეთ ტასოს პატრონად. მიზეზს ჭრილობისას არც ის იწერება, გვწერს მხოლოდ რომ მარჯვენა მხარში არის დაჭრილი. ტყვიას ბეჭში გაუვლია და ცოტათი ფილტვი დაუზიანებია, სწორედ ისე დაჭრილები რამდენიმე მაჩვენეს და დიდს იმედს მძღვევენ ექიმები, არაფერი უშავს. იქნება ღმერთმა შემობრალოს და სრულიად განთავისუფლდეს, მხოლოდ ხელის შეწყობა უნდა. რაც ეს ამბავი მოხდა წერილი არა მქონდა ტელეგრაფების მეტი. აი სწორედ გუშინ მივიღე ჩემი ძმისწულის წერილისაგან, ისიც იწერება აქამდე იმიტომ ვერა გწერდით რომ ექიმები გადანყვევით არას მეუბნებოდნენ აქამდინაო. ახლა კი უთქვამთ არაფერი უჭირსო. მხოლოდ მოვლა და ხელის შეწყობა უნდა და აი სწორედ ეხლა ეს უნდა იყოს ჩვენი საზრუნავი საიდან ვიპოვოთ ეს ფული, ვფიქრობ, რომ ჩამოხვალ იქნება წარმოდგენა მოვახერხოთ როგორმე. მე გონება და გული დამელალა ფიქრი-

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდში დაცულია მასალები **მაკო საფაროვი-აბაშიძის** არქივიდან. საყურადღებოა მაკო საფაროვი-აბაშიძისა და **ივანე მაჩაბლის** მიმოწერა, მაკო საფაროვისა და ივანე მაჩაბლის წერილები **ვასილ აბაშიძისადმი**, **გაბრიელ სულხანიშვილისა** და **ილია ზურაბიშვილის** წერილები მაკო საფაროვისადმი.

ივანე მაჩაბლის, მაკო საფაროვი-აბაშიძისა და ვასილ აბაშიძის ცხოვრება-შემოქმედებაზე, მათ დიდ ღვაწლზე ქართული კულტურის წინაშე მრავალი წერილი და ნაშრომი გამოქვეყნებული. მნიშვნელოვანია ი. გრიშაშვილის ნარკვევი ი. მაჩაბლის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. იოსებ გრიშაშვილის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვასილ აბაშიძესთან, მაკო საფაროვი-აბაშიძესთან, ილია ზურაბიშვილთან, ივანე მაჩაბლის შვილებთან და ეს გამოხატა მათდამი მიძღვნილ ლექსებსა და წერილებში.

დედით ადრე დაობლებული პატარა მაკო ახლო ნათესავის, **სოლომონ ჭავჭავაძის** ოჯახში იზრდებოდა. **ილია ჭავჭავაძის** დანიშნული **ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძე** სოლომონ ჭავჭავაძის ქალიშვილი იყო არაჯვარდანიწერილ ცოლისაგან. სოლომონ ჭავჭავაძე ილიას პეტერბურგში სწავლის ფულს უგზავნიდა. რადგან ელისაბედ და ილია ჭავჭავაძის ქორწინება ჩაიშალა, ილიას წერილები დანვეს. მაკო საფაროვმა მოახერხა, მალულად გადაეწერა ილია ჭავჭავაძის წერილები, შეინახა და გადაარჩინა ოთხი წერილი. ერთი წერილი ილია ჭავჭავაძის ავტო-

საგან. შენ როგორც კაცს უფრო მეტი ენერჯია და მოსაზრება უნდა გქონდეს, თუ რამე მოიფიქრო, მომწერე, ეხლა როდესაც ჩვენი შვილი ამისთანა დღე-შია და გაჭირვების წინა ვდგევარ, იმისი სიყვარულით უნდა პირადი ანგარიშები დავიწყოთ და უნდა ვიზრუნოთ როგორ უშველოთ ორივემ. ეს საზრუნავი ერთნაირი სავალდებულო არის როგორც ჩემთვის, აგრეთვე შენთვის. თავის მინებება არ იქნება, კატაც კი უვლის თავის კნუტს და ის ხომ ადამიანია, არ ვიცი ამ წერილს მიიღებ თუ არა. სწორე ადრესი არ ვიცოდი აქამდინ და დღეს კი კოტე შათიროვმა. (კოტე შათიროვილი. მსახიობი – ნ. გ.) მითხრა. ყური დამიგდე კარგათ, ყველა ეს ამბავი ისეთი გამოურკვეველი და დახლართულია, რომ ლამის ტვინი გამილაცდეს. აი თუნდა ეს გარემოება. ვალოდი იწერება ტელეგრაფით, რომ ბალნიციდან გამოინერაო. თუ ეს ასეა და ისიც არა სტყუის, უკანასკნელი ფული თვით ტასოს სახელზედ გადავიყვანე, რადგან შინ მეგულეობდა. იქ ისეთი წერია, რომ ფულს სახლში მოუტანენ. იქიდან კი მოვიდა დეპეშა ხელმოუწერელი, თხოულობდნენ იმ დეპეშით, რომ ადრესი ისევ ვალოდის სახელზედ გამომეცვალა. ეს რასაკვირველია უმიზეზო არ იქნება, რადგან იციან რომ თითო ფულის გადაყვანა ექვს-შვიდ მანეთზედ ნაკლები არა ჯდება. რა მიზეზით მოითხოვეს გამოცვლა და ან ტასო თუ ბალნიციდან მართლა გამოვიდა, რატომ ერთ სიტყვას არ იწერება. თუ ისე სუსტათ არის რომ წერა არ შეუძლიან, ბალნიციდან არ გამოუშვებენ. აქ ხმა დადის ვითომც ეს ყველა მოგონილი ამბავი იყოს, ნეტავი მართლა მოგონილი იყოს, ჯანმრთელათ მოვიდეს და ჯანდაბას ჩემი თავი. ეხლა იქნება შენ მაინც მოგწერა ავადმყოფობის შემდეგ და შენ მაინც შემატყობინო რამე. მე თუმცა აუარებელი ტელეგრაფები მიწყვია წინ, მაინც არ მესმის რა. რას ნიშნავს ის რომ ეს მომვლელებიც არაფერს არ იწერებინან. აი ამ თვის ექვსიდან ვარ ამ გაუნელებელ ტანჯვაში. ერთის მხრით ეს იჭვები და მეორეს მხრით ეს წერილი მიხეთქავს გულს, რომელსაც გიგზავნი. თუ შენ მაინც მიიღე რამე საწუგეშო

ამბავი, ეს წერილი და ტელეგრაფები ისევ უკან დამიბრუნე, უკაცრავად რომ ამოდენა წერილს გწერ. კიდევაც ბევრი წერილმანია რაც შეეხება ამ ამბავს, მაგრამ წერილით ვერ ვახერხებ, თუ კიდევ გავიგე რამე საჩქაროთ შეგატყობინებ. ეს წერილი დიდი ხნის დაწერილია და დღემდის ვერ გამოგიგზავნე, რადგან მოსამსახურე არა მყავს სწორედ ეხლა და ფორტაში ვერვისა ვგზავნი. ამის მიზეზით ვერა ვგზავნი როგორც ზაკაზნოს და ველარც ტელეგრაფებს და წერილებს გიგზავნი. ძალიან დიდი პაკეტი გამოდის, და თითქმის იმათ შინაარსაც გწერ. ამ წერილში, ეს არის ეხლა დუმბაძემ მომიტანა ამბავი, ვილაც ვაჩნაძე ჩამოსულა იქიდან და უთქვამს ოთხი დღის მეტი არა წოლილა ბალნიცაშიო. კარგათ არის და ვნახე კიდევო. თუ ასეა, მიკვირს, რატომ თითონ არას იწერება. ეს წერილი უკანვე დამიბრუნე, ხელს საკმაოდ იცნობ და ამიტომ გვარის მონერა მეტია.

წერილის დასასრულს წერია: „ჩემი წერილი ვასოსთან ტასოს შესახებ“.

ვანო მაჩაბლის წერილი
ვასო აბაშიძისადმი
27 ოქტომბერი
თბილისი

ძვირფასო ძმაო ვასო. მე შენთან დიდი დამნაშავე ვარ რომ წასვლის დროს დაპირებისამებრ ვერ მოვედი შენთან, მაგრამ თუნდა მოვსულიყავ კიდევ მაინც არა მგონია დალაგებით ლაპარაკი მოგვეხერხებინა; შენ მეტისმეტად აღელვებული იყავ რომ გეთქვა რამე და მეც ისეთი თავბრუ მესხმოდა, რომ ვინ იცის რამდენი მწარედ ნათქვამი სიტყვა ტკბილად მომჩვენებოდა და ტკბილი მწარედ. სიტყვიერად კი ვერ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ მგონი სიტყვით იმდენი ვერ გეთქვა, რაც წერილში გამოსთქვი, როგორც შენ არ მიმაღავ შენს გულის პასუხს და ყოველისფერს მეუბნები, ისე მეც წმინდის გულითა გწერ ყოველისფერს და ეს წერილი ჩემს სრულს აღსარებად მიიღე. ნუ იტყვი იმას, რომ მე კიდევ გატაცებული ვარ და არ მესმის



ივანე მაჩაბელი

გრაფით და სამი წერილი მაკოს ხელით გადაწერილი ინახება ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

მაკო საფაროვ-აბაშიძეზე ი. გრიშაშვილი წერდა: „მაკო საფაროვი ერთი უშესანიშნავესი არტისტი-თავანი იყო ქართულ სცენაზე, რომელსაც ბადალი არცა ჰყავდა. მართლაცდა მაკოს მიმიკა განსაცვიფრებელია. უბრალო ამბავს ისე მოგიყვებათ, რომ გაგაოცებთ!“.

ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია მაკო საფაროვი-აბაშიძის ფოტოსურათი ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსით.

გაგაცნობთ ი. გრიშაშვილის 1912 წლის 27 მარტის წერილს, მოწერილს ქუთაისიდან მაკო საფაროვი-აბაშიძისადმი:

„პატივცემულო მარიამ მიხეილის ასულო: მე ეხლა ქუთაისს ვარ. ზარდალიმევილი ჩამოვიდა თბილისს და ნამომართია. გული კი არ მიდგება ამასთან, მინდა გამოვიპარო. საქმე აი რაშია: აქ კვირაცხოვლობის კვირაც და შაბათიც უკვე სამი კვირით ადრე დაკავებული ყოფილა. ასე რომ თქვენ ქუთაისს მოხვალთ აპრილის ბოლო რიცხვებში. აქაურ ამხანაგობას სურს იუბილე გადაგიხადოთ. ამის შესახებ ცალკე წერილს გამოგიგზავნიან. აქ სამი დღეა გამუდმებით წვიმს. ასეთი წვიმები ქუთაისს თურმე არ ახსოვს. წუხელ თოვლიც კი მოვიდა. თქვენი „საქმისა“ რა ისმის? უმეხნივლოდ აპირებთ მოგზაურობას თუ არა?! მომწერეთ რაც გსურთ და ყოველისფერს შეგისრულებთ. ადრესი: Кутанс, до востребования. Гришашвили. თქვენი პატივისმცემელი ი. გრიშაშვილი.“



ვასო აბაშიძე

ბიბლიოთეკა-მუზეუმში არის ვასილ აბაშიძის შემდეგი წერილობითი თხოვნა (ფონდის II, დოკუმენტის 337):

მის ბრწყინვალეობას თავმჯდომარეს ქართული დრამატული საზოგადოების კომიტეტისას თავად თუმანიშვილს (გიორგი მიხეილისძე. - ნ. გ.) ქართული დრამატული დასის არტისტის ვასილ აბაშიძის თხოვნა.

დღევანდელი უკიდურესი მდგომარეობა ქართული დრამატული დასის არტისტთა ამა უსაქმურ ზაფხულის თვეებში საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩემი მდგომარეობა კერძოდ, რადგან გარდა ამა საქმისა არა რას ვაღგეგვარ, მაძიებლებს მოგმართოთ თქვენ თქვენო ბრწყინვალეობა, უმორჩილესის თხოვნით, რათა ზემორე სსენებულ საზოგადოების კომიტეტი, რომელსაც ვალად უღია დახმარება ამგვარ შევინროვებულ არტისტთა, დამეხმაროს ხუთი თუმნით და დამიხსნას ამ უკიდურესობიდან, ვიდრე მომავალ სეზონამდე და მაშინ მხოლოდ ნაწილ-ნაწილ ყოველ თვე-და-თვეს გამოიმირიცხოს კუთვნილი თვისი ხუთი თუმანი.

ვასილ ალექსის-ძე აბაშიძე
2 ივლისს 1891 წ.
ქ. ტფილისი

გაგაცნობთ ვასო აბაშიძის ოთხ ბარათს მაკო საფაროვი-აბაშიძისადმი (ფონდის I, დოკუმენტის 2859):

1.

მარია მიხაილოვნა!
გუშინ თქვენ და გუნისას რაღაცა უსიამოვნო ლაპარაკი მოგსვლიათ. დღეს რეპეტიციის დროს ყველაფერი გამოაცხადა გუნამ: ან მე უნდა ვიყო და ან საფაროვის ქალი. დღეს მე იმისთანა ძვირფას არტისტად მიმანხიხართ, რომ უთქვენოთ თეატრი არაფრად ემსგავსება და ამიტომ მეც უარს გამოვაცხადე. იმედი მაქვს არც

რას ჩავდივარ. შენი წასვლის შემდეგ ბევრიგად გამოვიცვალე ჩემი მდგომარეობა: ცალკეც ვადმოვედი, სამოგზაუროდაც წავედი სოხუმი-ბათომისკენ, შინაც დავყავ ათიოდ დღეც. თუ მართლა ჩემს ქცევას გაგრილება და ან მზეზედ გაფენა ეჭირებოდა, დროცა და გარემოებაც მაძლევდა ამის შემთხვევას. ერთის სიტყვით დრო მქონდა დაცხრომისა, მაგრამ კი ვერ დავცხერ, რაც გრძნობა მაღელვებდა, ეხლა უარესად მაღელვებს. შენ მეუბნები გონება შემოიკრიბე და დააკვირდი შენს მდგომარეობასო, შენისთანა კაცები მაგალითს უნდა უჩვენებდეს საზოგადოებასო. შენგან არ მიკვირს ვასო. ნუ თუ ეს კარგი ზნეობა იქნება ჩემის მხრივ, თუ ეხლა ყოველისფერს ჩავიკლავ გულში, შემდეგ ჩემის ნადილის შესრულებისა, მივიღებთ გამარჯვებულის მებრძოლის სახეს და ქვეყანაშითავი მაღლა აღებული გამოვალ-შემომხედეთ, რა მამაცი გული მაქვს. რომ არც ერთს გრძნობას არ ვემორჩილები მეთქი. ჯერ ერთი ესა ჩემთვის ამისთანა ქცევა ყოველად შეუძლებელია და თუნდა შესაძლებელიც იყოს, ასე თუ მოვიქცევი ჩემს თვალში ჩემისთანა ზნე-დაცემულს და გულჩამყაყებულს ადამიანს ქვეყანაზედ ვერა ვნახავ შემდეგ იმისა, რაც მოხდა მე და მაკოს შიაც. სხვის თვალში იქნება გამარჯვება დამეტყოს, სთქვან აი რა ყოჩაღად მოიქცა, როგორ არ გაუტყდა თავის გულის ნადილს და ჩვეულებრივს გზას არ გადაუხვიაო, მაგრამ მგონი შენც დამემონმო, რომ კაცი ქცევას თავის სინიღისით უფრო სამართლიანად განსჯის, ვიდრე სხვისა. ერთის სიტყვით ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, პირდაპირ გეტყვი და ნურც გამიკიცხავ ამ მართლის თქმისათვის. მე ახლა მაკოს თავის დანებება აღარ შემეძლიან, შენ მეუბნები, რომ თუ მაკოს თავი არ დავანებებ, ყოველისფერი იმას უნდა შევნირო მსხვერპლად. არ ვიცი საიდან წარმოგიდგა შენ ესა. მე როგორც მაკოს ვიცნობ ამასთან კავშირი ერთი ათად უფრო გამაცოცხლებს და ღონეს მომიმატებს; ჩემს მოქმედებასაც უფრო მეტი ნაყოფიერება დაეტყობა. მართალია, შენ შეგიძლიან მითხრა მა-

გას იმისთანა წარსული აქვს, რომ არ შეიძლება მომავალშიც არ გამოჩნდეს და მაშინ შენი სიცოცხლე მონამლული იქნებაო. ამაზედ აი რას გეტყვი: ამგვარ სიცოცხლის მონამელისაგან არავინ ჩვენგანი თავისუფალი არ არის, თუნდა ციდანაც ანგელოზი ჩამოიყვანოს; ნუ ჩამთვლი ოპტიმისტად, თუ გეტყვი რომ დღეის შემდეგ მაკო ბევრად უფრო სანდოა სხვა გამოუცდელს ქალებზე. ეს არც ისე უგუნურია და არც ისე გულ-მოთხრილი რომ არ დააფასოს ჩემი ქცევა და ჩემი უსაზღვრო გრძნობა უმადურობით გამიშავოს. მაგრამ რას ვლაპარაკობ მეტსა? ან სად დაიჯერებ ჩემგან წარმოთქმულს სიტყვებს და დროებით სიბრმავეს არ დააბრალებ! რა ექნა, ძმაო, დრო ბევრი მქონდა შენის წასვლის შემდეგ. ბევრიც ვიფიქრე და იმაზედ მეტი ვერა გამოვიფიქრე – რა, რასაც გწერ.

ორშაბათს შენ წახვედი და ხუთაშბათს მე ვადმოვედი ცალკე. გახსოვს, რა იმედს მაძლევდი, ცალკე რომ გადახვალ, დამშვიდდებო. დავმშვიდდი კი არა ეხლა ვწყევლი ჩემს ბედის წერას. მომიტევე შედარება, ეს მეღანი კიდე შევია იმისთანა, რა შავი ფიქრებიც მომანვება ხოლმე მარტო ყოფნის დროს, როცა მაკო ჩემთან არ არის და მაკო ჩემთან ხშირად არის, თითქმის ყოველდღე ვხედავ, მაგრამ რა გამოვიდა, მე მინდა რომ ყოველთვის ჩემთან იყოს, საუკუნოდ, სამუდამოდ. ჩემი კავშირი მართალია რომ მხოლოდ გულის ნადილის შესრულების ნაყოფი ყოფილიყო, მაშინ სხვა რაღა მინდოდა, არაფერი არ მაკლია-რა, მაკოს ნახვაც დაძვირებული არა მაქვს, მაგრამ ეხლა ხომ ხედავ რომ სცდებოდი, როცა მეუბნებოდი შენ მხოლოდ დროებით გატაცებული ხარო. როგორც გითხარი სამის კვირით მომიხდა მგზავრობა ბანკის საქმეების გამო. ვიყავ სოხუმში, ბათუმში და მას უკან შინ შევბრუნდი რთველისთვის, გზაზედ კიდეც ციება გადამეყარა, მაგრამ ვერ წარმოიდგენ რა ძნელი იყო ჩემი ყოფნა შინ დედიჩემისა და აქაურ საზოგადოებაში. შინ დავრჩი ათი დღე და ეს ათი დღე ათი წელიწადი კატორღაში მუშაობით მეჩვენა. რომ მოგიყვე რისთვის და რადა, ეს შენთ-

ვისაც ბევრად საინტერესო არ იქნება და ვაი თუ ამდენის წუწუნით თავი შეგაბეზრო. გეტყვი მხოლოდ იმას, რომ ძალიან ძნელი ყოფილა, როდესაც სულ სხვა საგანზედა ჰფიქრობ და ათასი წვრილმანი საქმე კი თავზედა გაქვს დახვეული. ნუ კი იფიქრებ რომ შინაური საქმეები ცუდად მიდიოდეს რამე. სრულებითაც არა, რასაცა გწერ მხოლოდ ჩემის თავის მდგომარეობაა. გიორგის მართალია იანვრამდის არ ეშვებოდა, მაგრამ მაინც იმ დრომდის თითქმის სულ ჩვენსა იქნება და მას უკან კი არ მოგვშორდება. ღვინოებიც სამოც კოკაზედ მეტი ჩავასხით და ოცი კოკა გავყიდეთ ექვს-ექვს მანეთად. სხვა ყველაფერი რაც მომწერე გიორგის ჩავაბარე და იმედი მაქვს საქმე კარგად წავიდეს.

შენი ვანო.

მარიამ (მამკო) მიხეილის-ასული
საფაროვი-აბაშიძის
წერილები ივანე მაჩაბლისადმი
14 აგვისტო

ვანო!

ეს არის ახლა კალამი ავიღე ხელში შენთან წერილის მოსაწერათ და რასაკვირველია პირველთავე აზრათ მომივიდა თავში თელავის ბუნების ქება. მაგრამ მერე მომაგონდა რომ შემ ძალიან გძულს და ამიტომ ვჩუმდები, აღარას მოგწერ აქაური ბუნების შესახებ, რომ უფრო არ გამიცხოველდეს თელავისადმი სიძულვილი. მაშ ისევ დავიწყებ იმ ამბავს, რომელიც შენ მუდამ საინტერესოთა გქონია, გქონდა და ახლა კი არ ვიცი კიდევ გექნება თუ არა, რადგანაც ამ ბოლო წელიწადში ერთობ ხშირათ გაჯავრებ. მე მშვიდობით ჩამოვედი, თუმცა ძალიან ცუდათ ვიმგზავრე, პირველი ორი დღე კი არაფერი და მესამეს დღეს კი სუყველანი ისე გამომეცხადდნენ როგორც მაზრის უფროსს. დიდის ბოდიშით რომ პირველ დღეს ვერ მოვიდნენ „არ გვინდოდა თქვენი შენუხებაო“. აი ჩემო ვანო რანაირი პაჩოტით მიმიღებენ ხოლმე აქაური საზოგადოება და შენ კიდევ გიკვირს რათ მიყვარს თელავი, როდესაც გაუგია ანდრონიკოვის

(ქეთი ანდრონიკაშვილი. მსახიობი. – ნ. გ.) ქალს ჩემი თელავისაკენ გამომგზავრება, მოუწერია ჩემი ქმრისათვის წერილი, აქ ჩამოდი წარმოდგენები გავმართოთ და ამასთანავე თურმე მიპირებს ტასოს წართმევას. ეხლა არ ვიცი ეგ ვაჟბატონი წამობრძანდება აქა თუ არა. თუ აქ მოვიდა მე მაშინვე სილნალში წავალ დეიდაჩემთან. მაგრამ არა მგონია კი რომ აქ მოსვლა გაბედოს. ასე ჩემო ბატონო. სხვა აქაურობის შესახებ ვერც არას მოგწერ, რადგანაც ჯერ არ გავსულვარ არსად, არც არა ვიცი რა და ვიცი არც საინტერესოთ გექნება. მომწერე ვანო იმ სახლის შესახებ ხომ არა გაგირიგებიათ რა ჯერჯერობით ან ყიფიანმა დაცალა თუ არა. ხვალზევით ვაპირებ ტასოს მიღებაზედ თხოვნა შევიტანო ზავედენიაში და არ ვიცი რა პასუხს მივიღებ. მომწერე ხშირად წერილები და მადაური ამბები. მე კარგად მიგულე.

მაკო

ვწერ წერილსა და ჯერ არ ვიცი დღეს ფორტის დღე არის თუ არა. ჯერ აქაურ წესებს არ შეეჩვეულვარ.

ვანო შენი ჭირიმე ეს წერილი შენი ბიჭის ხელით ილიკოს მალაზიაში (ილიკო საფაროვი, ძმა მ. საფაროვი-აბაშიძისა. სასახლის ქუჩაზე მამაკაცების ტანსაცმლის მალაზიის მეპატრონე. – ნ. გ.) გაგზავნე შენი ძმა გიგოს გადასცენ. თუ გიგო არ იყოს ილიკოს გადასცენ, სულ ერთია ის გადასცემს. შენი ადრესი რუსულათ მომწერე, როგორ უნდა მოგწერო ხოლმე.

2

ვანო!

შენი წერილი მივიღე რომ იტყვიან თავში მწარე, ბოლოში ტკბილი. ეს მიკვირს შენ რათა ცდილობ რომ მე მაჩვენო ხოლმე შენი ნიჭი, მაშინ როდესაც მე ისეც დარწმუნებული ვარ შენს ნიჭში, ეგ ტაკტი რუსები რომ იტყვიან სხვასთან გამოიჩინო ხოლმე? მე ისეც ვიცი რომ რაც უნდა გაჯავრდე ჩემზედ ბოლოს მაინც გამარჯვება მე დამრჩება და ისეც დამიტკბები. ვიცი ამ სიტყვებზედაც ჯავრი მოგივა, მაგრამ ამასაც დარწმუნებული ვარ მაპატიებ, რადგანაც შენ თითონ მომინახავ ხოლმე ყოველთვის ბოდიშისათვის საპატიო



ტასო აბაშიძე

თქვენ თავს შეირცხვენთ და არც მე შემარცხვენთ.

ვ. აბაშიძე

2.
მაკო, ხომ იცით დღეს ჩემი დღესასწაულია და თეატრში მობრძანდით, დირექტორის ლოჟაში გექნება ადგილი.

ვ. აბაშიძე

3.
Мария Михайловна, не будете-ли так добр, одолжить мне на короткое время несколько рублей. Как только получу жалованье, сейчас же верну с большую благодарностью. У меня сильный ревматизм, надо лечиться.

В. Абашидзе

4.
მარია მიხაილოვნა, ოთხშაბათს, 6 აპრილს წარმოდგენის გამართვას ვაპირებ „ვეტცელის“ თეატრში და დიდათ დამავალებთ მონაწილეობას თუ მიიღებთ, რასაკვირველია ფასით. მონაწილეობას მიიღებ მხოლოდ „ბიძიასთან გამოხუმრებაში“. დიდათა გთხოვთ დღესვე შემატყობინოთ პასუხი, რადგანაც აფიშა მინდა დავებეჭდო.

1922 წლის 14 იანვარს ვასო აბაშიძეს გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ამ თარიღს მიეძღვნა ი. გრიშაშვილის სტატია „ჩვენი ვასო“, გამოქვეყნებული გაზეთ „ტრიბუნაში“ 1922 წლის 15 იანვარს „უჯავრელის“ ფსევდონიმით და ლექსით „ხნიერი დროშა ვასო აბაშიძის იუბილეზე“, რომელიც გამოირჩევა პოლიტიკური სიმძაფრით და არსებული ხელისუფლების მწვავე კრიტიკით. 1955 წლის 11 აპრილს ვასო აბაშიძის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაწერილ ი. გრიშაშვილის ნარკვევში მშვენივრად არის ასახული, ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების ფუძემდებლის – ვასო აბაშიძის როლი



იოსებ გრიშაშვილი

და ადგილი ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

ერთ ბარათში (ფონდის II, დოკუმენტის 1565) ვასო აბაშიძის შემდეგი თხოვნაა:

გრიშაშვილის იოსებს სოსოჯან!

შენი ჭირიმე ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. ამაღამ წარმოდგენა მაქვს და უნდა სუფილიობა გაგვიწიო. იმედი მაქვს უარს არ მეტყვი.

შენი ვასო აბაშიძე

ი. გრიშაშვილი ცნობილ გამოკვლევაში „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი“ წერდა: „...როცა მაჩაბლის თარგმანებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ქართულად მოლაპარაკე შექსპირი იდგეს ჩვენს წინაშე... ივანე მაჩაბელს შექსპირიანაში ყველაზე მაღალი და საპატიო ადგილი უჭირავს“.

მოგვაქვს ადგილი ვალერიან გუნიას წერილიდან: „ივანე გიორგის ძე მაჩაბელი პირველად რომ მოვიდა ქართულს თეატრში, იგი უკვე სახელით იყო შემოსილი. უნივერსიტეტდამთავრებული, საზღვარგარეთ ნამყოფი და ევროპული ენების მცოდნე... ამას ზედ დაუმატეთ ვანოს ახალგაზრდული გარეგნობა, მისი მაღალი ახოვანი ტანი, ჯანღონით და სიცოცხლით აღსავსე იერი, იშვიათი გულწრფელობა და უმნიკვლო, უზადო ხასიათი“.

ივანე მაჩაბლის შვილის – ელენე მაჩაბლის წერილი იოსებ გრიშაშვილისადმი (ფონდის II, დოკ. 2564):

15.V.57 წ.

ძვირფასო სოსო!

გუშინ ბედნიერი საღამო დამიდგა – თქვენი წერილი მივიღე. სრულეზობით არ ველოდი... ვერ წარმოიდგინებ როგორ გამახარა თქვენმა

საგნებს, აი როგორც მაგალითად იმ წერტილში ყველაფერი ჩემი გულმავინჯობისათვის მიგინერია. მაგრამ დავანებოთ ამას თავი ამ გულმავინჯობაზე. იმედი მაქვს დრო და შემთხვევაც მექნება რომ მოგელაპარაკო. ეხლა კი ვილაპარაკოთ ჩემზე, რადგანაც ვიცი ეს საგანი შენ თავს არ მოგანყენს. მე კარგათა ვარ, მაგრამ წლებულს ის გავლენა ვერ იქონია ჩემზედ ლამაზმა კახეთმა. როგორც შენ ეძახი ხოლმე. იმ დღეს ისეთი სისუსტე მომივიდა, რომ ასე მეგონა ნახევარ საათს ვეღარ გაუძლებდი, მაგრამ ამ შემთხვევასაც ჩემებურათ თავი დავახსნიე. ეხლა ვოლოხოვს მივმართე და დიდ იმედებს მადღევს. თუმცა ჯერ დანვრილებით არ გაუშინჯივარ, მაგრამ როგორც მე აუნერე ჩემი ავადმყოფობა იმან მითხრა ეგ არის (ნერვნი ბალეზნ სერდცაო). ხედავ რუსულად არ დავნერე, რომ არ დაგეცინა. ვოლოხოვს იმიტომ არ გავესინჯე აქამდის, რომ მე თვითონ არ მინდა მითხრას რამე ვაი თუ უფრო საშიში იყოს, ვიდრე მე ვფიქრობდე და ამიტომ იმან რომ ერთი წარბი შეიჭმუხნოს მე ეჭვი მომკლავს. მაინც და მაინც ჯერჯერობით არა მჭირს რა. ტკივილი მხოლოდ მაშინ მომივა ხოლმე, როცა გულს გავიანჩხლებ (ამიტომ გირჩევ არ გამაანჩხლო ხოლმე). სწორედ დღეს მეორე წარმოდგენა გვაქვს. ვთამაშობ ცხოვრების თანამოგზაურს. წარმოიდგინე საღამოზედ ყაზბეგის (ალექსანდრე ყაზბეგი, მწერალი. – ნ. გ.). სლოკინი. ასე ჩემო ვანო ეხლა მე მთელი ოჯახობითა ვცხოვრობ შეიძლება ასე ითქვას რამდენიმე ოჯახით. ილიკოს ცოლი თავის შვილებით. აქ არის აგრეთვე ჩემი სამივე ძმები, ვანო შენგან მოწერილი სიტყვები კანონებიდან რომ ამოგიკითხავს ზეპირათ შევისწავლე, რომ უპასუხო თუ ვინიცობაა მომიკითხა ჩემმა ქმარმა. ჯერ კი მგონია არაფერი ქაღალდი არ გამოუგზავნია. მე მაშინვე შევიტყობ რომ რამე ქაღალდი იყოს უპრავლენიაში. ნოდარ ჯორჯაძე იქა მსახურობს და ყოველდღე მოდის ჩვენსა. ის მაშინათვე მეტყვის და თუ ეტაპით წამომიყვანეს, ჯანი გავარდეთ, ხარჯი აღარ მომივა ჩამოსვლაზედა. ვანო ილიკოს მაღაზიას აცლევინებენ თუ არა. მე მგონია რაკი

მაღაზიას დააცლევინებენ მაგ სახლიდანაც გადავა. მომწერე ნამდვილათ აცლევინებენ თუ არა, რომ სახლის თაობაზედ მოგწერო რამე. თუ არ დააცლევინეს, მაგის ცოლშვილი წამოვლენ და ისევ ესენი დაიჭერენ მგონია სახლსა. თუ ესენი დაიჭერენ რასაკვირველია ამათ ვერ შევეცილები. და თუ არა უნდა ვიცოდე, რომ სხვამ არ დამასწროს. ასე ჩემო ვანო აქ ახალი ამბავი არა არის რა გარდა ლოტობისა, ლოტოზედ ხშირად კარგ სცენას შეხვედება ხოლმე კაცი, ტასომ მოგიკითხა, მე მიგულე კარგად. სამშაბათს მივდივარ მამაჩემთან და მგონია დიდი უსიამოვნება მოგვივა. ილიკოს ცოლი ისე უსინდისოთ გამოუსტუმრებია, რომ თითქოს გამოუგდია სახლიდან. რამდენს გაიცინებ რომ ამ გარეშე ამბებსა გწერ, რადგანაც შენ არ გიყვარს იმის გაგონება ჩემგან, რაც მე არ შემეხება. ეხლა სულ ჩემზედ მოგწერ. მე კარგადა ვარ. მე გასუქებული ვარ, მე გაღამაზებული ვარ, მე გაანჩხლებული ვარ. გეყოფა თუ არა? ჩემი ადრესი განა არ იცი, რომ მისაყვედურებ რატომ ადრესი არ მომწერეო. მე ისეთი შესანიშნავი პირი გახლავართ, რომ შეგიძლიანთ პირდაპირ ჩემი სახელით მომწეროთ. აქ ქუჩა და ნომრები არ იციან. ფოტის უპრავლენიამ ისიც იცის სახლში რამდენი ძაღლი მყავს, არამც თუ ჩემი ადრესი იცოდეს. თბილისის ქართული დრამატიული დასის არტისტკას კი დანერ და მაშინვე მომიტანენ. (ეს ჩვენი ტიტული გახლავთ).

23 აგვისტო

3
28 აგვისტოს. [1885 წ.]

ჩემო კარგო ვანო!

ეს არის ეხლა ჩემი ქმრის წერილი მომივიდა, რომელიც მწერს მაჩაბელს „დროება“ ჩამოართვესო და ილია ჭავჭავაძეს გადასცესო. მომწერე შენ გენაცვალე დანვრილებით ეგ საქმე. რას ნიშნავს ეს. ნუ თუ ეგ მართალია, თუ მართალია იმედი მაქვს თავს შეიმარებ და მტერს არ გაახარებ ჩვენზედ იმითი რომ შენ ეგ ამბავი ძალიან შეგანუხებს უმეტესად იმ შემთხვევაში თუ მართლა იმისთვის გადაუციათ.

ჭირში უნდა თავი შეიმაგრო და ჭირს უნდა გაუძლო. ვანო ისე ვარ ამ ამბით აღელვებული, რომ აღარა მესმის რა – რას გნერ და რას არა. შენმა გაზრდამ ეგ არ იფიქრო, რომ „დროება“ ჩამოგართვეს, იმიტომ, იქნება ეგ ერთის მხრით კარგიც იყოს შენთვის, მუდამ ჯაფას და გულის ბრუნებას მაინც ასცდები, რაც ვალი დაგრჩა იმისთვის ნუ იდარდებ, ღმერთი მოწყალე არის, მაგასაც ჩქარა მოვიშორებთ. პირველ საქროებას შეადგენს შენთვის ეხლა მხნეობა და იმედი მაქვს, რომ ამას შენ მოკლებული არა ხარ. ასე ჩემო ვანო სხვა რალა მოგწერო. ამ ორიოდ დღეზედ მანდ ვიქნები და პირისპირ უფრო დანვრილებით მოვილაპარაკებთ. მე კარგად მიგულებ, ჩემს ამბავს დანვრილებით არა გნერ, რადგანაც ეხლა ამის ნაკითხვისთვის არ გეცლება. შენ გენაცვალე მომწერე ყოველისფერი დანვრილებით, რადგანაც შემდეგი ფორტა კიდევ მომისწრობს და მეტს კი ნუ მომწერ. ასე გენაცვალე ვანოჯან. იყავი კარგად და მხნედ. **შენი საუკუნოდ მაკო.**

ივანე მაჩაბლის წერილები
მარიამ (მაკო) მიხეილის-ასული
საფაროვი-აბაშიძისადმი

ივნისი 1, 1885 წ.

მაკო დღეს დილით ისეთი სასიამოვნო ამბავი გავიგე, რომ სიხარულით ცას ვენი, მაგრამ სალამოზე ამ სულელმა შაქრომ (მსახიობი შაქრო საფაროვი, მაკოს ძმა. – ნ. გ.) ჩამიშალა ყველაფერი: მაკო ძალიან ავად არის და თუ ასეა, მართალია, რატომ არ იწამლებ? გაგონილა ასე დაუდევრობა? გენაცვა, მაკო, თუ მართლა აგრე ხარ ავად, ბალნიცაში გადადი უეჭველად და შემომითვალე, რამდენი დაგჭირდება პირველში ფული რომ გამოგიგზავნო. იქ შეიძლება მაინც შენი ნახვა, თორემ ეხლა ლამის გავგიჟდე ჯავრისაგან. გაგონილა ამისთანა უბედურება, – ავადა ხარ და ერთ კვირა კია, რაც ნახვის ნება არა მაქვს მოცემული: სწორედ შენ გენაცვა მაკო, რიგიანად მომწერე, დააბარე რამ ამ შაქროს, თორემ აღარ

ვიცი რა ვქნა. ხუმრობებსა და ყვედრებებს თავი დაანებე, მე ეხლა ამისი თავი აღარა მაქვს.

ახლა ისიც უნდა გიამბო, თუ რა იყო სასიამოვნო ჩემთვის დღეს დილას. შენს ქმარს გამოეგზავნა ჩემთან სვიმონ ნერეთელი, – თუ მართლა ჩემი ცოლი უყვარს, ნაიყვანოს, მე, დამშეული არა ვარ, მხოლოდ სრულებით ერთად კი იცხოვრონო. სვიმონმა ამბები ერთხელ კი არ მითხრა ეს, ჩამაცივდა რომ უეჭველად გადმომეცა შენთვისო. ეტყობა, ღმერთისათვის შეუხედნია და იქნება ეხლა მაინც გვეშველოს, ეხლა მაინც გული მაგრად იქონიე, სვიმონს უნდა ამ საგანზედ შენი ნახვა. მიიღებ თუ არა? კარგი იქნება მიიღო, შემომითვალე და მე ვეტყვი, გენაცვა მაკო, ყველაფერი დანვრილებით შემატყობინე და შემაძლებინე როგორმე შენი ნახვა, თორემ აღარ ვიცი, რასა ვნერ და რას ვაკეთებ.

შენი და კიდევ შენი ვანო.

3 აგვისტო

მაკო

შენის ავადმყოფობის ამბავი მომივიდა ნესტორ მესხისაგან და მიზეზსაც მატყობინებს. დრო არ არის ჩემგან საყვედურისა, მგონი შენ თითონაც მიხვდები აქამდის, რომ მეც რომ თავი დაგანებო რამდენიმე ხანი, შენ მაგისაგან მაინც მშვიდობით თავს ვერ იხსნი, წარმოსადგენადაც კი მეზიზღება მაგ კაცის ქცევა. ავადმყოფს გტანჯავს იუდასავით. მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ეხლა მინდოდა ჩამოსვლა. მაგრამ ჯერჯერობით არა იქნებოდა. ენკენისთვის დამდეგს კი უნდა გაათავო როგორმე. აგვისტოს გასულს ჩემი ძმა მიდის, მე და დედაჩემი ვრჩებით მარტო. თუ მართლა ჩემთან ცხოვრება გინდა ჩამოვალ თბილისში ენკენისთვეში და უნდა უარის უთქმელადვე ჩამოხვიდე. აქ ნურაფრის ფიქრი ნუ გაქვს; ვერაფერ ვერ შეეხება შენს თავისუფლებას. თუ თანახმა ხარ ამაზედ მომწერე, თუ არა და ისიც მომწერე, რომ ჩემს საქმეს სხვა მხრივ



მარიამ ერისთავი-მაჩაბლის, ტასო და ივანე მაჩაბლები

წერილმა... ძვირფასია ჩემთვის ის, რასაც წერთ დედაჩემზე... რამდენა შემთხვევა როცა წერენ მოგონებებს, თეატრის ისტორიას და ერთი სიტყვითაც არ იგონებენ დედაჩემს... ან კიდევ მამაჩემის სახლზე, სადაც ცხოვრობდა და საიდანაც დაიკარგა, არ უნდა იყოს მემორიალური დაფა? არ იყო ამისი ღირსი?! ეს ნორმალურია? ბოდიში, რომ განუხებთ, მაგრამ თქვენი კი ბრალია, თქვენმა მშვენიერმა წერილმა საღერღელი ამიშალა.

1960-1990-იან წლებში სახლზე, სადაც ცხოვრობდა ვანო მაჩაბელი, იყო მემორიალური დაფა. სამწუხაროდ, დღესდღეობით არ არის.

ივანე მაჩაბლის შვილი **შალვა ქართველიშვილი** და იოსებ გრიშაშვილი სიყრმის მეგობრები იყვნენ. ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია ახალგაზრდობის დროინდელი მათი ერთად გადაღებული სურათი და შალვა ქართველიშვილის წერილი იოსებ გრიშაშვილისადმი მონერილი ქალაქ ტრაპიზონიდან 1916 წლის 22 ნოემბერს. 1914 წელს მოსკოვში გამოცემული **ალექსანდრე პუშკინის** თხზულებათა კრებულს ფურცელზე აწერია: „ქართული პოეზიის დიდს იმედს ი. გრიშაშვილს შ. ქართველიშვილისაგან. 1913. 2 დეკ.“ ი. გრიშაშვილის ხელნაწერებში (ფონდის I, დოკ. 33) არის ლექსი სათაურით „შ. ქართველიშვილს“, დანერილი 1915 წლის ნოემბერში.

მნიშვნელოვანია მწერლის, მთარგმნელის, ხელოვნებამცოდნის **ილია ზურაბაშვილის** და იოსებ გრიშაშვილის მიმონერა. პოეზიის 1920 წლით დათარიღებულ ლექსის სათაურთან „ელექტრონი ფოთლებში“ მინერილია „ილია ზურაბიშვილს“.

საინტერესოა ი. გრიშაშვილის შემდეგი ჩანაწერი (ფონდის I დოკუმენტის 2888) „მასალები მაკო



მაკო საფაროვა

საფაროვი-აბაშიძეზე რომანის დასაწერად“:

მაკო საფაროვი-აბაშიძემ კარგად გაატარა ცხოვრება და როგორც უნიჭიერეს მსახიობს და ლამაზ სანდომიან ქალს, ბევრი თავყვანისმცემელი ჰყავდა. ჩამოვთვლი იმათ, ვისი საყვარელიც იყო ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით:

1. მაკო **ვასო აბაშიძეზე** გათხოვდა 1879 წელს, მაგრამ ჩქარა დაანებეს ერთმანეთს თავი. გაყრით არ გაყრილან. ძველად არც ისე ადვილი იყო გაყრა. ამიტომ როცა მაკომ სხვასთან გადაინაცვლა საცხოვრებლად, ვასო გაყრის ნებას არ აძლევდა. მას როგორც ქმარს, თავის მოსაზრება ჰქონდა. უყვარდა კიდევ და თან ამით სურდა შური ეძია. ის ოფიციალურად სიკვდილამდე არ გაყრია მაკოს.

2. მეორე საყვარელი შეიძლება ჩაითვალოს **დავით ერისთავი**. „სამშობლოს“ ავტორი.

3. დავით ერისთავი შესცვალა **ივანე მაჩაბელმა**, მაჩაბელს გადანეტელი ჰქონდა მაკოს შერთვა. ივ. მაჩაბელი თავის წერილებში სთხოვს მაკოს, რომ გაეყაროს ქმარს და მას შეუერთდეს ოფიციალურად. ვასო თითქმის თანახმა კიდევ. ამათი შუამავალი (ვასოსა და ივ. მაჩაბლის შორის) იყო ვინმე **სიმონ წერეთელი**, მაგრამ თითონ მაკოს საქმროდ არ მოსწონდა ივ. მაჩაბელი, რაღაც სხვანაირიაო. შაქრო, ილიკო და გოგი იყვნენ მაკოს ძმები. ვანო წერილებს ამით ატანდა მაკოსთან (ვანო ლირიკი იყო). ვაჟკაცური ნაკლებია მასში, სულ ფეხქვეშ მივარდება, სიყვარულზე მენუნუნება და სხვ. ქალებს არ უყვართ, რომ ნამეტანი მოგწონთ. ქალი უნდა აათამამო და არც გულწრფელი იყო.

ივ. მაჩაბელი ეჭვიანობს მაკოზე, რომელთანაც დადიოდა გაბო სულხანიშვილი და ყველა წერილში სწერს, რომ „ეს წერილი უკანასკნელია“, მაგრამ თავი ვერ დაუნებ-

მოვულო ბოლო. გარნმუნებ მაკო, დავილაღე, ვეღარ შევძლებ მეტს. სამი დღეა, დამერნმუნე, ყელში რიგიანად საჭმელი არ ჩამსვლია. ვცოხნი, მაგრამ ლუკმის ყლაპა მეზარება.

ველი შენს პასუხს მოუთმენლად
ვანო

11 აგვისტო, თბილისი

მაკო, ამ წერილს მელნითა გწერ, რადგან შენახვა დაგჭირდება. ეს იმის საბუთად გამოგადგება, რასაც შენი თავმოყვარეობა დიდი ხანია ეძებს – ე. ი. რომ შენ დამანებე თავი და არა მე. ნუ გეგონება რომ მე შენ გისაყვედურო რამე, დრომ მოიტანა და უნდა გავეყარნეთ ერთმანეთს სამუდამოდ. უიმისოდ, აბა იფიქრე, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე. მე რომ ყოველ საათს მინდა შენ გიყურებდე და შენთან დროს ვატარებდე, შენ მოწყალეობასავით ერთ კვირაში ერთს საათსაც არ მარგუნებ ხოლმე და მაშინაც სულ ეს უნდა მქონდეს ფიქრად, რომ შენი აქ ყოფნა ნაძალადეგობაა. მეყოფა ამდენი ტანჯვა. მეყოფა რომ სოფელში მთელი ერთი თვე ყოფნის დროს, ერთის თვის განმავლობაში სულ ოთხჯერ არ მინახავხარ და ეხლა კიდევ თელავში აპირებ წასვლას, როდესაც ეს შენ სრულიად არ გეჭირვება. მაგრამ დაკარგულს ვეღარ დავაბრუნებ და ამ წერილს სრულიად იმიტომ არა გწერ რომ გული გაგიჩვილო და თვალზედ ცრემლი მოგგვარო. ესეც რომ იყოს რა გამოვა აქედამ, გაჩვილურული გული ხვალვე ისევ გარკინდება და სიბრალულით მოგვრილი ცრემლის მომწმენდნი ბევრი გამოჩნდებიან.

მაკო, კიდევ და კიდევ გთხოვ, რომ ნურც ამ წერილს მასხრად აიგდებ და ნურც საყვედურს ჩამომართმევ, ამის დასამტკიცებლად, რომ ეს უკანასკნელი წერილია, შენ პასუხსაც არ ვითხოვ. შენ ბევრს რასმე იფიქრებ ამაზედ, მაგრამ გეფიცები, რაც კი მიყვარს და მყვარებია ოდესმე იმას, რომ ერთიც არის ყალბი სიტყვა არ არის ამ წერილში. მე დღეს შენ ისე მიმანხიხარ ჩემთვის, როგორც ამ ხუთი წლის განმავ-

ლობაში მიმანხი, მაგრამ ძალიან კარგადა ვგრძნობ, რომ შენ ჩემთვის დიდი ხანია ის აღარა ხარ, რაც იყავ...

მშვიდობით. იყავ ბედნიერი და ღმერთმა ქნას, რომ შენ სიცოცხლეში ჩემისთანა მეგობარი ერთიც არის შეგახვედროს.

ვანო

თქმა არ უნდა, რომ არა გარემოებაში მე ჩემს სიტყვას არ გადავალ. რაც კი მექნება, ნახევარი ყოველთვის შენი უნდა იყოს, რადგან შენმა გაცნობამ ნახევარი ჩემი არსება შენთან შემოაერთა.

წერილის ბოლოს გვიანდელი მიწანწერი: „საწყალი ვანო ყოველ წერილში მეთხოვებოდა და იმავე დღეს კი იხდიდა ბოდის“. იქვე: „ეს წარწერა ეკუთვნის მაკოს. ი. გრ.“

14 აგვისტო
თბილისი

მაკო, შენს წერილში სამმა საგანმა ძალიან გამაკვირვა: პირველი ესა, რომა, მწერ, წერილი მომწერეო და ადრესს კი არ იწერები. თუ არ გინდოდა რომ პასუხი მომწერა, პირდაპირ მეტყოდი, ან სრულიად არ მოიწერებოდი, რად ჩამაყანე იმისთანა მდგომარეობაში, რომ მამიდაების ადრესი მეძებნა. მეორე ესა, იწერები ვაზიანის სტანციაზედ რომ მივედით, იქ შაქრო ვახვახოვი დაგვხდა, რომელიც ალბუ-ლაღში მიდიოდა დასთანო. მე კახეთში მივლია და კარგად ვიცი რომ ვაზიანზედ ომნიბუსი არ გაივლის და პირველ ორხევის სტანციამდე აუხვევს ხოლმე და ამას გარდა ალბულაღში მისასვლელად რომ კაცმა ქალაქიდან კახეთის გზა ამოირჩიოს ეგ იმასა გავს კუკი-იდან ავლაბარში წასვლას ვაპირებდე და მუშტაიდზე გავიარო. მაგრამ ეს ყველა არაფერი, შეიძლება მართლა ასეც მომხდარიყო და იმ ვაჟბატონს სწორედ იმ დღეს მონდობოდეს თავის დასთან ღვინოების საყიდლად წასვლა, როცა შენც გახვედი ქალაქიდან; შეიძლება გულმავინყობით შეგცდა და ორხევის მაგივრად ვაზიანს ამბობ, ან

ყარაბულახის მაგივრად აღბუღალს. შეიძლება და მჯერა კიდევაც, რომ ყოველისფერივე რასაც შენ იწერები მართალია და მხოლოდ შენი „კაი ნაც-ნობების“ უსინდისობის ბრალია, რომ არ ერიდებიან შენის თავის მოჭრას და სწორედ იმ დღეს ირჩევენ ღვინოების საყიდლად, როდესაც შენ ქალაქიდან გადიხარ; მაგრამ ამის კი ვეღარა გამოგია-რა, რა საჭირო იყო, რომ ბოდისა-ვით ცდილობ და თავსა მართლულობ, რომ შაქრო ვახვავოვს მხოლოდ ვაზი-ნის სტანციაზე შევხვდით. შენ კარგად გახსოვს, რომ ორი წლის წინად იმავე ყმანვილი კაცის მფარველობის ქვეშ და იმისვე ეკიპაჟით მოხვედი თელავიდან და თუ კი მაშინ არ მიგაჩნდა ეგ სათ-აკილოდ ეხლა რაღად მიგაჩნია? ან რა ნება მაქვს რომ ანგარიში მოგთხოვო როგორც შენ გესიმოვნება, ისე მო-ქცევა დაგიშალო, ერთის სიტყვით ეს ყოველისფერი მოდი გულმავინყობას დავაბრალოთ, ესე იგი შენს გულმავინ-ყობას და არა ჩემსას, რადგან შენ კარ-გად იცი მე კარგი მეხსიერება მაქვს და ეს მეხსიერება შენ შესახებ უფრო გავი-ვარჯიშე. მაშ დაგუბრუნდეთ ისევ იმას, რაც შენს სამწუხაროს და საფიქრებ-ელს შეადგენს:

იმ დღეს ილიკომ მითხრა, რომ შენ ქმარს ვითომ რაღაც ქალაღდი გამოეგ-ზავნოს, მეცა ელდა, ვტაცე ხელი კანონებს, წავიკითხე ყველაფერი რაც ქმრის უფლებას შეეხება ცოლზედ და აღმოჩნდა, რომ იმას არავითარი უფლება არა აქვს თავისთან მოგიხმოს პოლიციის ძალით. თუ ეს უნდა, უთუოდ სასამართლოში უნდა მისცეს ქალაღდი და ისპოლნიტელნი ლისტი გამოიტა-ნოს და სუდებნი პრისტავმა სთხოვოს ჩაბარება. სამამართლოს შეუძლიან ქმარს უარი უთხრას ამ თხოვნაზედ, თუ ქმარს არა აქვს გადანვეტილი სამსახურის ალაგი და არ სცხოვრობს რომელსამე დანიშნულ ადგილას. შენც შეგიძლიან ამ გარემოებაზედ მიუთითო, თუ საქმე სასამართლომდის მივიდა; მაგრამ, სასამართლომ უნდა გადან-ყვიტოს იმასთან გადასვლა, ამ გადან-ყვიტილებამდე ერთ წელიწადზე მეტი გაივლის და ეს გადასვლაც მხოლოდ ფორმაა, რაკი პრისტავი მოაწერინებს

ხელს ჩაბარებაზედ, ცოლს შეუძლიან მაშინვე გამოეცალოს ქმარს და ისევე სასუსოდ გაუხადოს საქმე, რომელიც კიდევ ერთ ორ წელიწადს მაინც გასტანს. ერთის სიტყვით ეს ისეთი თავში საცემი საქმეა, რომ არც ერთი ქმარი არა ჰკისრულობს ამ გვარად ცოლის მორჯულებას და თუ შენმა ბნედიანმა ქმარმა ეს გზა აირჩია, შენ შეგიძლიან სრულიად არხეინად იყო და იუდასავით გასწვალო. თუ გახსოვს შარშან წინაც იმიტომ მოიგონა, ვითომ ნივთები წაგელო იმისი, რომ სხვა გზა არა ჰქონდა. ეტაპით რომ დაუშინებინ-ართ, ნუ გეფიქრება, ეს მხოლოდ შენს „შესაშინებლად“ მოუხდენიათ, რო-გორც ადამ ჩუბინოვი (ადამ ჩუბინიშ-ვილი. მსახიობი, სცენარიუსი, ადმინის-ტრატორი. – ნ. გ.) ამბობს ხოლმე.

ჩემი ამბავი რა მოგწერო: სიცხეები საშინელი დაიჭირა, მაგრამ მე ვე-რას ვატყობ, რადგან ბევრ საქმეებში ვარ გართული; თან მიხარია, რომ ამ სიცხეებს თავი დროით მოაშორე და ლამაზ კახეთს მიმართე, რომელიც არ მოგაკლებს არც თავის სიგრილეს და არც „პაკლონიკებს“; ეჰ, მახლას! ჰხედავ, მაკო, ამ წერილმა როგორ ჩვენს ლაპარაკსავით ჩაიარა. თავიდან თითქო ჩხუბის გუნებაზედ ვიყავ, მა-გრამ შენთან ლაპარაკს შორიდანაც კი ის ძალა ჰქონია, რომ კაცს კაი გუნება-ზედ აყენებს და საჩუბარ საგანს სამშ-ვიდობოდ გადააქცევს ხოლმე. ყველანი მომიკითხე, ვისაც შენი წერილის დროს მოვგონებოვარ. სხვა რაღა მოგწერო. ქალაღდიც გათავდა. თუ ჩემთან კიდევ წერილის მოწერას მოისურვებ პირდა-პირ გამოგზავნე: ზეითაა ადრესი.

ვანო

ჩემო უწყალო მაკო

არ მეგონა, ისე გაუკითხავი იყავ, რომ შორიდანაც კი მიკიჟინებდი შენს ჩვეულებრივს გამარჯვებას ჩემზედ და თავს ამით გამოიდედდი; არ მეგონა მოინდომებდი ჩემს ეგრე დამცირებას, მაგრამ რა გაეწყობა. ბევრი ამიტანია და ეს ცოტაც უნდა ავიტანო, მაგრამ ერთი რამ კი ნუ დაგავინყდება, თუ მართლა ტაქტი შეამჩნიე რამე ჩემში და ეგ დაცინვა არ არის, ეს ტაქტი შენის



ივან მაჩაბელი

ბია. ვანოსაგან მაკო ფულად დახ-მარებასაც იღებდა. ვანომ სახლიც უყიდა. ეტყობა ძალიან უყვარდა ვანოს მაკო. ბოლოს სწერ ვიტან-ჯებო, ან თავი უნდა მოვიკლა ან ცოლი უნდა შევიერთო.

ვანო მაჩაბელი მაკოსთან ცხოვ-რობდა 6 წლის განმავლობაში.

4. ვანო შესცვალა ვინმე **გაბო სულხანიშვილმა**, ეს ყოფილა ყვე-ლაზე ხანგრძლივი სიყვარული. „15 წელიწადს ცხოვრობდნენ ერთად. მე გაბოს ხელში გავიზარდე“, – მითხრა ტასო აბაშიძემ. ვასო აბა-შიძე ხშირად უწიოდა მაკოს, ჩემი ცოლი გარყვნილია, ჩემი ასული იქ კარგს რას ისწავლისო და შვილის წართმევა უნდოდა, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა. სამაგიეროთ ქარ-თული დრამატიული დასი ორად გაიყო. ვასოს მომხრეები დაი-ჭირდნენ ქუჩაში სასაერნოდ გამო-ყვანილ პატარა ტასოს და მიჰგვრ-იდნენ მამას. ახლა მამის ოჯახი-დან მაკოს მომხრე არტისტები მოტყუებით გაიტაცებდნენ ტასოს და მიჰგვრიდნენ მაკოს. იმას ვამ-ბობდი, მაკოს უყვარდა დიდხანს გაბო სულხანიშვილი, ეს გაბო სულხანიშვილი მაჩაბელს ცინიკუ-რად უამბობდა მაკოსთან საურთ-იერთებო პიკანტურ ამბებს და ამით ჭრილობას აყენებდა შეყვა-რებულ ვანო მაჩაბელს. ვანო მაჩა-ბელი ერთ წერილში სწერს მაკოს, რა დავუშავე ამ კაცს, რომ ასე მტანჯავსო. გაბო სულხანიშვილი მსახურობდა ბანკში. ტასო ამბობს, სულხანიშვილი შორეულ ნათესა-ვად ერგებოდა დედაჩემსო [ი. გრ.]. ეს გაბო იყო მხოლოდ მოგვარე და არა ნათესავი რეჟისორ **ვასო სულხანიშვილისა**, გაბო მოსქო კაცი იყოო. ლამაზი, ინტელიგენტი, ერთი სიტყვით ყველაზე დიდხანს დედაჩემს გაბო სულხანიშვილი ჰყავდა. ამაზე წინ თუ ამაზე შემ-დეგ მაკოს ჰყავდა:

5. **ვასო თუმანიშვილი**, „ნოვოე ობოზრენის“ რედაქტორი და **გი-ორგი თუმანიშვილის** (პირველი რეჟისორის და საზოგადო მოღ-



მაკო საფაროვა

ვანის) ძმა: წერილში ხშირად იხსენიება „ვასო“ და ეს ვასო და აბაშიძე ვასო არ უნდა აიროოს.

6. შაქრო ვახვახიშვილი.

7. ბოლო წლებში შეუყვარდა დავით მიქელაძის-მეველეს ახალგაზრდა ვაჟი ივერიკო მიქელაძე, სულ ბოლოს მაკოს არაოფიციალური ქმარი იყო.

8. ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), როცა ილია ზურაბიშვილმა შეიყვარა მაკო, მაშინ ჯარისკაცის ტანისამოსი ეცვა ილიკოსო. მამბო ტასომ. ტასო მეუბნებოდა რა ნახა დედაჩემმა იმის დაჯენჯილ ცხვირში, მე უთხარი: ილიკო მეტად საინტერესო კაცია. იმისი ლაპარაკი, იმისი ხმის ტემბრი (მღერის), იმისი ქართული მეტყველება, იმისი არტისტობა, იმისი გემოვნება და სხვა განსაცვიფრებელია-მეთქი. ილიკო ეხლაც დიდის გატაცებით ლაპარაკობს მაკოს ფენომენალურ ნიჭზე. ერთი სიტყვით, მაკო და ილია სიბერემდე ერთად ცხოვრობდნენ ერთ ბინაზე. ყოველ კვირა მე მაკოსთან სადილად ვიყავი დაპატიჟებული. ერთხელ მაკომ მითხრა: მე სექსუალური ცხოვრებით მხოლოდ 45 წლამდე ვცხოვრობდიო (რედაქცია სხვანაირი იყო). ი. გრ. 1947. 4/IV“.

მაკო საფაროვი-აბაშიძისადმი მიწერილი ივანე მაჩაბლის, გაბრიელ სულხანიშვილის და ილია ზურაბიშვილის წერილების გაცნობისას დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ გულწრფელად უყვარდათ ეს მშვენიერი მანდილოსანი, მაგრამ ჩვენი აზრით უფრო საგრძნობია ცხოვრებისეული დრამატიზმით აღსავსე მოვლენების დროსაც კი ივანე მაჩაბლის დიდსულოვნება, უანგარობა და შთაბეჭდავად გამოხატული და ტრაგიკულ ფორმებში გამოვლენილი ძლიერი, თავდავიწყებული სიყვარული საყვარელი არსებისადმი.

ნომარ გრიგორაშვილი

მონყალბითა მაქვს; ექვსი წელიწადია ამ საგანში შენი შეგირდი ვარ და არც მართლა ისე უნიჭო ვარ, რომ შენთვის გამოსაყენებელი თვისება არ შემეძინა; მაშ, მიფრთხილდი, მაკო რომ შეგირდმა ოსტატს არ გადააჭარბოს და ბოლოს თავგასულობა არ შეინანოს.

ეჰ, დავესხნათ ხუმრობას, თორემ შენ მართალი არ გეგონოს და მართლა არ გააჩნხლდე. გააჩნხლებას კი რომ დაანებო თავი, მართლა არ იქნება ურიგო; არც ის იქნება ურიგო, სილაჩრესაც თავი დაანებო და მართლა საფუძვლიანად ინამლო, ან რისა გეშინიან? ხომ იცი, რომ რაკი საქმე შენ შეგვხება, ბიბლიოთეკებს გადავაქოთებ ხოლმე და ხან საექიმო წიგნებსა ვსინჯავ, ხან კანონებისას, იმ დღეს არ გითხარ, რომ რაც ელიავამ ავადმყოფობა დაასახელა, ის წიგნებში ვიპოვე და საშიში არაფერი არ აღმოჩნდა მეთქი. ეხლა ვოლოხოვსაც ეგვევ უთქვამს და თუ ერთს არ დაუჯერებ, ორს ხომ დაეჯერება და წიგნის მოწმობაც ხომ შენი სასარგებლოა. მაშ, გენაცვა, დაანებე, თავი ლაჩრობას და საფუძვლიანად ინამლე, რომ კახეთის ჰავამ მართლა და კარგად იმოქმედოს შენზედ. აქ როცა მოხვალ, მაშინ კი სწორედ არ მოგეშვები, ვიდრე თავს სრულიად არ მოიჩრენ. მართლა, მაკო, რა მიხარია, რომ სწორედ იმ დროს დაანებე თავი ქალაქს, როცა აქ დიდი სიცხეები დაიჭირა, ეხლა თუმცა აგრილდა, მაგრამ თითქოს მთელი აგვისტო პაპანაქება სიცხეები იდგა და შენც შენუხდებოდი.

ილიკოს ჯერ არ ვაცლევინებთ მაღაზიას და ვგონებ არც დავაცლევინებთ. მე მგონია შეიძლება მაინც შენი იქ მოთავსება, თუ ხანგრძლივად არა, დროებით მაინც. თუ ვინცობაა იქ არ მოგნონს, მომწერე და მე მოგიმზადებოთახებს. ილიკო ამბობს, იქნება მე და ერთმა ამხანაგმა მთელი ის ეტაჟი ავილოთ იჯარით და მებლიანათ და ვმართოთ ოთახი გასაქირავებლად. თუ ეს მოხერხდა, მაშინ შეიძლება ორი ოთახი შენთვის ძალიან კარგად გაიმართო და კუნხაც იქვე მოიწყო.

დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ პირველ წარმოდგენიდან 2 მან და 19 კაპ. დაგრჩენიათ. არ კი უნდა გიკიჟი-

ნო მაკო, მაგრამ, ვგონებ ეს ერთხელ კიდე გიმტკიცებს ჩემს სიტყვებს და რჩევას, შენ ისეთი არტისტკა არ ხარ, რომ თავი აგრე აბუჩად გეჭიროს და პროვინციებში ბალაგნური წარმოდგენები ჰმართო, შენ შენი თავი უფრო მეტად უნდა დააფასო და პროვინციულ წარმოდგენებიდან შემოსულ ფულზედ არ დაემყარო.

ვიცი ამ წერილზედ გაჯავრდები, მაგრამ, ამაზედ დამერწმუნე, მას შენს გასაჯავრებლად არა გწერ. შენ ისე გამწვრთენი, რომ ეხლა ნება მაქვს ხანდისხან ჩემს ოსტატს სამაგიერო გადაუხადო და როცა შეცდომა მოუვა, სწორე გზაზე დავაყენო ხოლმე; მაგრამ, თუ შეგირდი მორჩილი გყავდი, ოსტატი მეტის-მეტად ჯიუტი მყავხარ.

ბარაქალა, მაკო, რომ ადრესი ისე კარგად დაგიწერია, წარმოდგინე, ერთი შეცდომა არ იყო. მაღლობელი ვარ რომ შენ ამბავს ისე დანვრილებით მწერ, მიამა, რომ კარგადა ხარ, რომ გალამაზებული ხარ, რომ განებივრებული ხარ, რომ გასუქებული ხარ, მაგრამ ის არ მეთამა რომ ამისთანავე გააჩნხლებული ხარ და ან რადა ხარ გააჩნხლებული? თუ ფული შემოგაკლდა, რატომ არ მატყობინებ, მაშინვე გამოგიგზავნი; ფოსტის ადრესზე ისე დავწერ, ვითომ ილიკო გიგზავნის. შემატყობინე, გენაცვა, მაკო, რა წამს მოგივიდეს ეს წერილი, რამდენი გჭირდება, რომ ბარემ ერთბაშად გამოგიგზავნო რაც საჭიროა. არ დამზოგო, თორემ ან მე და ან შენ. წარმოდგენების შემოსავლის იმედი ნუ გაქვს, ყაზბეგს (ალექსანდრე ყაზბეგი. - ნ. გ.). მოუხდება თუ შემოვა რამე. გამლანძღავ, ვიცი, ბაიყუმის ენა გაქვსო, მაგრამ ჩემს კისერზედ იყოს შენი წყრომა.

ჩემი ამბავი რა მოგწერო. მე კარგადა ვარ, გასუქებული ვარ, გალამაზებული - უკაცრავად გალამაზებული არ გახლავართ და გააჩნხლებული კი ძალიან ვარ, რაზედ შენ თითონ მიხვდები, მაგრამ, მე მაინც გეტყვი... თუ ილიკოსა სწერ მოსვლის ამბავს, არ შეიძლება ჩემთვისაც შეგეტყობინებინა. ტასო დამიკოცნე.

შენგან აბუჩად აგდებული ვანო

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უკანასკნელი ინტერვიუ

მუხრან მაჭავარიანი

ჩემი ყველა ლექსი ექსპრომტია!

ბატონო მუხრან, როგორია თქვენი აზრი თანამედროვე ქართულ პოეზიაზე?

თანამედროვე ქართულ პოეზიას რომ არ ვიცნობ?!.. რა გითხრა, რა ვთქვა... მართლა არ ვიცნობ, მაგრამ, სამწუხაროდ, რასაც ვხედავ, მაინც და მაინც არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას ჩემზე. არა იმიტომ, რომ მე ჩამორჩენილი ვარ, – ჩამორჩენილობის ბრალი არ არის ეს. რა ვიცი, ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე. საერთოდ ძველ თაობას ახლის მიმართ ყოველთვის ეჭვი აქვს, – ასე ვიყავი მეც. მაგრამ მე ძველმა თაობამ, მიუხედავად ეჭვისა, მაინც მიმიღო. ისე მიმიღო, ისე გამიყადრა თავი, რომ გაოცებული ვიყავი. ჩემთან, როგორც ტოლი ტოლთან, ისე იყვნენ მაშინდელი კორიფეები: გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვებიც, ყველა, – გალაკტიონიც. გალაკტიონი უცნაური კაცი იყო (ილიმება).

საიდან მოდის, ძირითადად, თქვენი უკმაყოფილება თანამედროვე ქართული პოეზიის მიმართ? თუ ანიჭებთ უპირატესობას ვერლიბრს ან კონვენციურ ლექსს?


რაშია, იცი, საქმე? მე არ მიყვარს უცხო და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკი. ვერლიბრი იქნება, თავისუფალი თუ კლასიკური ლექსი, ერთი კრიტერიუმი მაქვს, – ეს არის სიტყვის გრძნობა. ახლა წავიკითხე მუსოლინიზე წიგნი, რობაქიძის, და რაც იქ ეწერა, მენიშნა: დანტე სიტყვებს ცოცხალ არსებებად თვლიდაო, როგორც ცოცხალ არსებებს, ისე ეპყრობოდაო. და, რაშია საქმე, იცი? ახლა რომ პოეტები არიან, ახლაც და ჩემი თაობისაც, – ცოტა უმცროსიც, ცოტა უფროსიც, – ასეთი ცოტა იყო, რომელსაც ჰქონდა სიტყვის გრძნობა, სიტყვის თითქმის ფიზიკური გრძნობა. ასეთ პოეტებად მიმაჩნია მე ანა, მურმანი, შოთა ნიშნიანიძე; ისინი სიტყვას გრძნობდნენ მეტ-ნაკლები დოზით. გალაკტიონი, რა თქმა უნდა, სიტყვას გრძნობდა. ლეონიძე სიტყვას გრძნობს. სხვებიც გრძნობენ, მაგრამ გრძნობა არის ძლიერი ან სუსტი.

თანამედროვე პოეტებში, მე მგონი, სიტყვის გრძნობა ატროფირებულია. არ დგას ეს საკითხი. არადა, ქართულ ლექსზე თუა ლაპარაკი და ქართული ლექსი თუ გინდა დანერო... საერთოდ ქართული მეტყველება და ქართული ცხოვრება არის ლამაზსიტყვაობა. აი, ჩვენი სუფრა რომ აიღო, თამადა, – სიტყვის ლამაზად გამოთქმა არის მთავარი! ხალხური ლექსები აიღე! ლამაზად უნდა იყოს ნათქვამი, – მეტი არაფერი არ არის ხელოვნება, დანარჩენი ერთი და იგივეა ყველაფერი. ესთეტიკა... რა თქმა უნდა, კარგია, როცა იცი ინგლისური, იტალიური, ფრანგული, მაგრამ ჩემთვის სხვადასხვა ენა არის სხვადასხვა ხმა, აზრი – ერთია, ხმა არის სხვადასხვა. შექსპირს თუ იტყვი, ან გოეთეს, ესე იგი მაგარი ხარ. მაგრამ გლეხი, რომელიც არც კი გასულა სოფლიდან, მზის ამოსვლას და მთვარის ამოსვლას რომ არის შესწრებული, – რამდენი სიბრძნე აქვს! ამას რად უნდა გერმანული და ფრანგული! თუმცა, სულაც არ ვარ წინააღმდეგი ენების, – ფრანგულიც უნდა იცოდე და გერმანულიც, მაგრამ პოზიორი და მანერული არ უნდა იყო.

მე ვფიქრობ, ისე ხედავს ადამიანი გარემოს, როგორც მას ამის საშუალებას ენა აძლევს...

ჰო, ეგ კარგი აზრია! მე, მაგალითად, მიწერია ლექსში, რომ ქართული ენა რომ არ ყოფილიყო, რუსთაველი ვერ დანერდა „ვეფხისტყაოსანს“! მე ამის მჯერა! ენას დიდი მნიშვნელობა აქვს, სიტყვას... აი, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდია ძალიან მაგრად გრძნობდა სიტყვას, ნამდვილი პოეზიაა მისი ნაწერები, პოეზიაზე მაღლაც კი დგას. აი, ეს არის სიტყვის გრძნობა. რაც წავიკითხავს, ყველაფრის ჩატენა არაა კარგი... მიხეილ ჯავახიშვილს ვისზე ნაკლები ჰქონდა წაკითხული, ან ვაჟა ფშაველას? მაგრამ ყველაფერის დანერა სად არის, კაცო?! იმიტომ, რომ ის თავს კი არ აწონებს ვინმეს...

ბატონო მუხრან, თქვენი პოეზიისათვის დამახასიათებელია უცნა-



როდესაც სადოქტორო თემის წერა დავასრულე, სათაურით – „მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ძირითადი ასპექტები“, მე და ჩემმა ხელმძღვანელმა – პროფესორმა სოსო სიგუამ – გადაწყვიტეთ, თვითონ პოეტს შევხვედროდით. სულაც არ იყო იოლი ცოცხალ ქართველ კლასიკოსთან შეხვედრა, ოდნავ ვლელავდი კიდეც. თუმცა კარის გაღებისთანავე ეს ლელვა უკვალოდ გაქრა, – იმდენად უშუალოდ და თბილად შეგვეგება მუხრან მაჭავარიანი. „ეს რა კარგი გოგო მომიყვანე, სოსო!“ – ღიმილით გადახედა ბატონ სოსოს. ჩვენი საუბარიც ხანგრძლივი და საინტერესო აღმოჩნდა.

ური რიტმი, რომელსაც მე ხაზი გავუსვი ჩემს სადოქტორო ნაშრომში, და პარალელი გავავლე მაიაკოვსკის პოეზიასთან...

ეგ ვიზუალური ამბავია... მაიაკოვსკი რომ წერს, იმას მაიაკოვსკი არ ფიქრობს, იქ არ არის თანმიმდევრობა. დატეხილი ლექსი მურმანსაცა აქვს. იმათ კი არ იციან, რატომ ტეხენ. მე როცა ვტეხ, ის დატეხვა საჭიროა რიტმისათვის.

როგორ წერთ ლექსს?

მე გეტყვი... ექსპრომტი რასაც ჰქვია, ექსპრომტის განმარტება რაც არის, ასეა ყველა ჩემი ლექსი დაწერილი. ექსპრომტის განმარტება თუ სწორია, მაშინ მე ექსპრომტები მქონია სულ ყველა; იმიტომ, რომ ჩემი ლექსები გასწორებული არ არის ფურცელზე, გასწორებულია თვითონ შექმნის პროცესში. ეს პროცესი ქალაქში კი არ ხდება, არამედ ზეპირად. ამიტომ ჩემი ლექსი თვალთა ნაკითხული იმდენ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, რამდენადაც მოსმენილი. მე ვამბობ და ისე ვწერ, და ამ ხმას ვცვლი. ყველაფერი ძირითადად ზეპირადაა გაკეთებული. სწორედ ამიტომ, რომ თითქმის ყველა ჩემი ლექსი ზეპირად ვიცი. ახლა ასე არ წერენ ლექსებს. შეიძლება ასე წერდა შიგადაშიგ მაიაკოვსკი, მაგრამ არც ის. პოეტები, ახლა რომ პოეტები ჰქვიათ, დასხდებიან და წინასწარ მოფიქრებული შინაარსით წერენ. მე მაქვს რამდენიმე ლექსი, ვერაფრით რომ ვერ დაიჯერებ, რომ ის არ არის წინასწარ მოფიქრებული და მერე დაწერილი. არადა, პირველ სტრიქონს რომ ვამბობ, მე არ ვიცი, მეორე რა იქნება...

ეს შეხვედრა ამა წლის მარტის ბოლო დღეებში შედგა, პოეტი უჩვეულოდ სიტყვაუხვი გახლდათ. დამპირდა, თუ ჯანმრთელობა ხელს შემინჯობს, დისერტაციის დაცვას დავესწრებო, – გახარებული ჩანდა. რთულია მუხრან მაჭავარიანის შესახებ წარსულზე საუბარი, რადგან მისი ბოლო ფრაზა, – „ახალგაზრდობა ჯობია, მაგრამ ზოგი კაცი არ კარგავს მუხტს“, – სწორედ მასზე იყო ნათქვამი... სცენაზე სიკვდილი პოეტის სიცოცხლის ბუნებრივი, ლოგიკური დასასრული იყო და მისი პოეზიის ლოგიკური გაგრძელება... მან დატოვა მინისა და მზის სადიდებელი ლექსები, ეპოქალური ქარიშხლებით სავსე ფრაზები, ქართული ლექსის არაორდინარული, ინოვაციური ვერსიფიკაციის უამარავი მაგალითი, ქართული ენის საგალობლები... მუხრან მაჭავარიანის პეგასი შეკაზმულია, მიარღვევს წლების ბარიერებს და მისი „დუმბილი(ც) რეკავს“!

ანუ, სიტყვა იწვევს ასოციაციას და აზრს?

მე უცნაურ რალაცას გეტყვი, – ზოგიერთი პოეტი ამას დამალავდა. დასამალი რა არის? მე მაქვს ერთი ლექსი (იმას ძალიან კარგად კითხულობდა გიზო სიხარულიძე) – „იმერული ქელები“. ვერაფრით ვერ წარმოიდგენთ, როგორაა ეს ლექსი დაწერილი. „სირცხვილი არ გვაჭამო, თუ ძმა ხარ, კონია! კაცო, ქელებია, რამ გააქორწილა“, – ასეთი ფრაზაა ლექსში. აი, ეს – „კონია-გააქორწილა“, – ამ რითმამ დაწერა მთელი ლექსი. რომ დაჯდები და დაწერ, ეს უკვე სხვა არის. მე ლექსებთან ერთად დაწერილი მაქვს წერილებიც – ლიტერატურული, მეცნიერული, – ისინიც ზეპირად, ნაწილ-ნაწილ. ამ ტიპის კაცი ვარ მე. და ამ ტიპის კაცს რომ არ მოეწონოს ახლანდელი პოეზია, ნაკლად არ ჩათვლება.

მერე, რითმა, კაცო... მე ურითმოც ბევრი ლექსი მაქვს. იშვიათად, რომ ურითმო და თეთრი ლექსი ზეპირად ისწავლოს ხალხმა. ჩემი ურითმო ლექსი კი, ვითომ არაფერი, თითქოს რითმიანი იყოს... ზოგიერთი პოეტი, სულაც არა აქვს რითმა, ერთი საკუთარი რითმა არა აქვს! ვალერიან გაფრინდაშვილს ბრწყინვალე რითმა აქვს, მაგრამ მე არ მომწონს. პაოლო ნათესავად მეკუთვნის, ნიჭიერი კაცი კი იყო, მაგრამ უფრო თავისი ბიოგრაფიით წარმოჩინდა. ტიცინი უფრო მომწონდა. მე რომ პირველად ტიცინი წავიკითხე, სკოლის მოსწავლე ვიყავი, – ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ასაკთან ერთად ქრება პოეტური მუხტი?

მე დაკვირვებული ვარ, – 10, 20, 30 წლისას, – ყველა ასაკში მაქვს დაწერილი ლექსი. გიორგი ლეონიძესა აქვს – „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“! ახალგაზრდობა მაინც სხვა არის, შემართება! მაგრამ გემოვნებას გააჩნია, – გოეთეზე, მაგალითად, მაგას ვერ იტყვი. ახალგაზრდობა ჯობია, მაგრამ ზოგი კაცი არ კარგავს მუხტს!

ესაუბრა
ნუციკო დეკანოზიშვილი



ჩანაწერები

გიორგი გოგოლაშვილი

მინირეცენზიები

აკაკი განწერელის უთქვამს, „გაიგე? „მავანს“ ამხელა წიგნი გამოუციაო“ და ფეხი იატაკიდან საკმაოდ მაღლა აუწევია: წიგნის სისქეზე ამით მიუნიშნებია... (სოსო ჭუმბურიძის ნაამბობი).

აკადემიკოს აკაკი შანიძეს პროფესორმა კორნელი დანელიამ იოსებ ყიფშიძის შესახებ დანერგილი წიგნის ხელნაწერი მიუტანა ნასაკითხად. ერთი კვირის შემდეგ ელოდა პასუხს და მეორე დღესვე დაურეკავს ბ-ნ აკაკის, ხელნაწერი წაიღეო.

– ნეტა ვინმე ჩემზეც დაწერდეს ასეთ წიგნსო!.. – მხოლოდ ეს უთქვამს...

კორნელი დანელიამ აკაკი შანიძეს სამეცნიერო გამოკვლევა მიუტანა გასაცნობად. ნაშრომში კ. დანელია არ იზიარებდა დიდი მასწავლებლის თვალსაზრისს. ორიოდე დღის შემდეგ ა. შანიძემ წერილი ამგვარი მინაწერით დაუბრუნა ავტორს: „თქმულა სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ეს ბრძნული აზრი რუსთველისა ვერ გავითვალისწინე, ავჩქარდი და შეცდომა მომივიდა „მსხორ“ სიტყვის ახსნისას. მაგრამ, სასიამოვნოა, რომ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა გაირკვა და ეს ჩემი შეცდომა ჩემმავე მონაფემ პროფ. კ. დანელიამ გამოასწორა. ა. შანიძე. 1 აპრილს 1981 წ.“.

უშანგ სახლთხუციშვილი მიყვებოდა: აკაკი შანიძე ლექციას კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენის შესახებ. უცებ შეჩერდა, მზერა ჭერს მიაპყრო, მერე ხელი შუბლზე დაიკრა და თქვა: ბიჭობა ის იქნებოდა, მე აღმომეჩინაო...

აკაკი შანიძეს არც აღმოჩენები აკლდა და, რაც მთავარია, უერთგულესი მონაფე და მეგობარი იყო ივანე ჯავა-

ხიშვილისა. ამით, ფაქტობრივ თქვა, ეს ის აღმოჩენაა, ყველა რომ ინატრებდაო...

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ლენინგრადში სამეცნიერო სიმპოზიუმზე ერთ-ერთი მოხსენების გამო გამართულ კამათში უთქვამს: მომხსენებელი მე მაგონებს ტურისტს, რომელსაც ხელში უჭირავს ერთი ქალაქის რუკა და ცდილობს ორიენტირებას მეორე ქალაქში (გ. თოფურიას ნაამბობი).

არნოლდ ჩიქობავას აზრი ჰკითხეს ახლადგამოსულ წიგნზე.
– უღრანი უვიცობაა... – იყო პასუხი.

არნოლდ ჩიქობავას ძალიან უყვარდა თურმე ჩეხოვი, იტყოდაო: ყოველგვარ ამინდში წაიკითხება...

პროფესორმა ივანე ქავთარაძემ უნივერსიტეტის წიგნის ჯიხურში გვერდიგვერდ დადებული „მავანის“ ორი ახალი სექლტანიანი წიგნი შენიშნა, უსიამოვნოდ გაიხედა გვერდზე და ჩაილაპარაკა: – ამ კაცს წიგნის ფალაჩათი სჭირს...

ჩემმა მეგობარმა წიგნი გამოსცა – „სახიფათო ჩანაწერები“. წიგნის გამოსვლას „გამოეხმაურენ“ დახვდნენ ავტორს და ფიზიკურად გაუსწორდნენ... ესეც „რეცენზიაა“...

გიორგი ქუჩიშვილს ანიკო ვაჩნაძისათვის (ლადო ასათიანის მეუღლისათვის) უთქვამს: ანამ ისეთი ლექსი წაიკითხა ლადოზე, რომ იმ ლოდის ქვეშ ბევრი ინატრებდა ყოფნასო.



რეცენზია ლექსიკონებში ასე განიმარტება: „ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის, სპექტაკლის, კინოსურათისა და მისთ. კრიტიკული შეფასება“. რეცენზია შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი... ის, რასაც მე გთავაზობთ, რეცენზიებია, მინირეცენზიები... ზოგი ლიმილიანი, ზოგიც – ულიმილო...

ნობელიანტი

ანრი ბერგსონი

სანობელლო სიტყვა



ამ სიტყვას წინ უსწრებდა პროფესორ იესტა ფორსელის შემდეგი მოკლე განცხადება: „ანრი ბერგსონმა მოგვცა ფილოსოფიური სისტემა, რომელიც შეიძლება თავად ალფრედ ნობელის ჩანაფიქრის საფუძველი და დასაყრდენი გამხდარიყო; ეს ჩანაფიქრი გულისხმობდა მისი სახელობის პრემიებით არა ადამიანთა ქმედებების, არამედ ახალი იდეების გამორჩევა-დაფასებას, იმ იდეებისა, რომელიც ჩნდება და სორცს ისხამს გამორჩეულ ადამიანთა მეშვეობით. კეთილშობილებით გამსჭვალული ნაშრომებით, ბერგსონი ცდილობს ადამიანის ცნობიერებას ხელახლა დაუბრუნოს ის ღვთიური საჩუქარი, რომელსაც ინტუიცია ჰქვია, და გონებას თავისი კუთვნილი ადგილი დაუმკვიდროს, ანუ იდეათა მსახურებისა და კონტროლის ფუნქცია დაუბრუნოს“.


ვინაიდან ანრი ბერგსონი ვერ დაესწრო 1927 წლის 10 დეკემბერს სტოკჰოლმში, „გრანდ-ოტელში“, ნობელის პრემიის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტს, მის მიერ გამოგზავნილი წერილი ნაიკითხა ფრანგმა დესპანმა არმან ბერნარმა

მსურს ვისარგებლო შემთხვევით, რათა შორიდან მაინც სიტყვიერად გადმოგცეთ ის გრძნობები, რომელსაც განვიცდი. ნება მომეცით, ჩემი ხმა ფრანგი დესპანის, ბ-ნ არმან ბერნარის მეშვეობით მოგანვდინოთ, რომელმაც თავაზიანად იკისრა ამ მისიის შესრულება. მთელი გულით ვუხედი მადლობას შევდეთის აკადემიას, რომელმაც უდიდესი პატივი მომაგო, პატივი, რომელსაც არათუ არ ველოდი, ამაზე ფიქრსაც ვერ გავბედავდი. მე მით უფრო ვხვდები მის მნიშვნელობას და, ამასთან, მით უფრო მეტად ვღელავ, როდესაც ვაცნობიერებ, რომ აღნიშნული ჯილდო, რომელიც, ჩემი სახით, ფრანგ მწერალს მიანიჭეს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საფრანგეთის მიმართ სიმპათიისა და კეთილგანწყობის ნიშანი.

პრესტიჟი ნობელის პრემიისა აიხსნება მრავალი მიზეზით, მაგრამ უპირველეს ყოვლისა – მისი ორმაგი თვისებით, იდეალისტური და ინტერნაციონალური: იდეალისტურით, რამეთუ იგი მაღალი იდეებით შთაგონებული ნაწარმოებებისთვისაა განკუთვნილი, და ინტერნაციონალურით, რადგანაც მისი მინიჭება ხდება სხვადასხვა ქვეყნის მიღწევათა საგულდაგულო შესწავლისა და მთელი მსოფლიოს ინტელექტუალური მოღვაწეობის შეჯამების შემდეგ. ყოველგვარი მეორეხარისხოვანი მოსაზრების უარყოფით, – აქ მნიშვნელობა მხოლოდ სულიერ ღირებულებებს ენიჭება, – მსაჯულნი გონებით გადადიან იმ სფეროში, რომელსაც ფილოსოფოსები „გონის საზოგადოებას“ უწოდებენ, რითაც მათ ზედმინევენით მოჰყავთ სისრულეში ფონდის დამაარსებლის ჩანაფიქრი. თავის ანდერძში ალფრედ ბერნჰარდ ნობელი აცხადებს, რომ სურს ემსახუროს იდეალიზმსა და ხალხთა შორის ძმობის დამკვიდრების საქმეს. მან ზუსტად განსაზღვრა თავისი მიზანი, როდესაც ლიტერატურისა და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დანესებულ ჯილდოებთან ერთად დაანესა „მშვიდობის პრემიაც“.

ეს დიდი ჩანაფიქრი იყო იმ გენიალური გამომგონებლისა, რომელიც, როგორც ჩანს, არ იზიარებდა თავისი დროის ერთ ძალზე გავრცელებულ ილუზიას. XIX საუკუნეში, რომელმაც ტექნიკურ გამოგონებათა სფეროში არნახული აღმავლობა მოიტანა, ძალზე ხშირად გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ამ გამოგონებებს, მატერიალურ მიღწევათა უბრალო დაგროვების გზით, უნდა აემალლებინა კაცობრიობის ზნეობრივი დონეც. მაგრამ ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საზოგადოების ტექნიკური პროგრესი ვერ კიდევ არ უზრუნველყოფს ამ საზოგადოების წევრთა ზნეობრივ სრულყოფილებას, ხოლო იმ მატერიალურ რესურსთა გამრავლებას, რომელსაც ფლობს კაცობრიობა, თან სდევს დიდი საფრთხეებიც, თუკი ამ პროცესს არ ახლავს შესაბამისი სულიერი ძალისხმევანი. ჩვენს მიერ შექმნილი მექანიზმები ხელოვნური ორგანოებია, რომელიც ბუნებრივ ორ-

განოებს ერწყმის, მათ გაგრძელებას ქმნის და, ამგვარად, ადამიანის, კაცობრიობის სხეულს აფართოებს. იმისათვის, რათა მთლიანად ამოივსოს სხეული და მოხდეს მისი მოძრაობების მართვა, აუცილებელია, რომ თავის მხრივ სულიც გაფართოვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წონასწორობა დაირღვევა და ჩვენ სერიოზულ პრობლემებს შევეჯახებით, როგორც სოციალურს, ასევე პოლიტიკურს, ეს პრობლემები კი სხვა არაფერია, თუ არა ანარეკლი იმ დისპროპორციისა, რომელიც არსებობს ადამიანის სულსა – რომელიც ისეთივე დარჩა, როგორც იყო – და კოლოსალურად გაზრდილ სხეულს შორის. აი, ყველაზე განსაცვიფრებელი მაგალითიც: თითქოს ისე ჩანდა, რომ ორთქლისა და ელექტრობის გამოყენებას, მანძილის შემცირებასთან ერთად, თავისთავად მოჰყვებოდა ხალხთა ზნეობრივი დაახლოება. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არაა და რომ ანტაგონიზმი არათუ არ გამქრალა, არამედ შეიძლება უფრო გაღრმავდეს კიდევ, თუკი არ იქნა სულიერი პროგრესი და მგზნებარე სწრაფვა ძმობისკენ. სულთა დაახლოებას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელნიც თავიანთი არსით ინტერნაციონალურია და რომელთაც იდეალისტური სულისკვეთება აერთიანებს. სწორედ ასეთად მესახება ნობელის ფონდი.






გასაკვირი არაა, რომ ალფრედ ნობელის ჩანაფიქრი დაიბადა და განხორციელდა ისეთი მაღალი ინტელექტუალური კულტურის მქონე ქვეყანაში, როგორც შვედეთია, იმ ხალხის წიაღში, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ზნეობრივ საკითხებს, რომელიც მიხვდა, რომ მათ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ყველა სხვა პრობლემის გადაჭრა, ხალხისა, რომელმაც – თუნდაც ერთი მკაფიო მაგალითით რომ ცხადვყოთ – პირველმა გააცნობიერა, რომ პოლიტიკური პრობლემები მეტწილად აღზრდის პრობლემებიდან იღებს სათავეს.

ამგვარად, ნობელის ფონდის მნიშვნელობა მით უფრო გრანდიოზულ მასშტაბს იძენს, რაც უფრო ღრმა აზრს დავინახავთ მის ამოცანებში და ამიტომ პატივი, რომელიც წილად მხვდა ნობელის პრემიის სახით, მით უფრო ღირებული და წონადია. ამ პრემიის მნიშვნელობას მე მთელი სიგრძე-სიგანით ვაცნობიერებ. აი, ეს გახლდათ, რაც მსურდა მემცნო ფრიად პატივცემული აუდიტორიისათვის, ახლა კი ნება მიბოძეთ იმით დავამთავრო, რითიც დავინწყე და კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი თქვენდამი ღრმა მადლიერება.

თარგმნა ილია გასვიანმა

„ინტელექტი“ ბთავაზოპთ



ახალი თარგმანები



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ნოველა

გოეთეს „ნოველა“ პირველად 1828 წელს გამოქვეყნდა. იმხანად მხოლოდ მისი მეგობრების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა თუ იცოდა ამ უჩვეულო ნაწარმოების შექმნის ისტორია, რადგან გოეთეს არ სჩვეოდა თავისი შემოქმედებითი გეგმების გამხელა და არც უკვე შექმნილ ნაწარმოებებზე უყვარდა მსჯელობა. იგი მხოლოდ დროდადრო თუ მიანიშნებდა ხოლმე მეგობრებს საკუთარ ჩანაფიქრზე, რაც მას შემდგომში ეხმარებოდა, უკეთ შეეგრძნოთ პოეტის ბრწყინვალე აზრთა ნყოფის მნიშვნელობა. ეკერმანის მოგონებებიდან ჩანს, რას ფიქრობდა გოეთე ამ ნაწარმოებზე. 1827 წელს, როდესაც სიტყვა მის სათაურზე ჩამოვარდნილა, გოეთეს უთქვამს: „მოდით ამ ნაწარმოებს უბრალოდ „ნოველა“ დავარქვათ, რადგან აბა სხვა რა შეიძლება ეწოდოს ასეთ უჩვეულო, გაუგონარ ამბავს. რაც გერმანიაში ნოველა ჰგონიათ, მე იმას მოთხრობას ან სხვა, რასაც გინდა, იმას დავარქმევდი“-ო.

შემოდგომის იმ ადრიან დღით სქელი ნისლის პირბადეში გახვეულიყო მთავრის დიდებული სასახლე. სასახლის ეზოში სანადიროდ გამზადებული მხედრები და მსახურები ირეოდნენ. ყველა თავისი საქმით იყო გართული: ერთნი ცხენებს უზანგებს უგრძელებდნენ თუ უმოკლებდნენ, მეორენი – თოფებსა და პატრონტაშებს დასტრიალებდნენ და ზურგჩანთებს აბინავებდნენ. მწვერები ადგილს ვერ პოულობდნენ, აწყვეტას ლამობდნენ და მსახურები ძლივს ამაგრებდნენ თავაშვებულებს. იქვე სცემდა ფლოქვებს საკუთარი ცეცხლოვანი ჯიშის წყალობითა თუ მხედრის ნაქეზებით აბორგებული ცხენი: ამ დილა უთენია, პატივმოყვარეობით შეპყრობილი მხედრები საკუთარი რაინდული ღირსების მიჩუმათებას ლამობდნენ და ყველანი მთავრის მოლოდინში იყვნენ, რომელიც ახლა თავის ახალგაზრდა მეუღლეს ემშვიდობებოდა, და, ერთობ აგვიანებდა.

სულ ცოტა ხნის წინ, ჯვარდანერილ ქალ-ვაჟს სულიერი ერთობა ეპოვა და ხალისითა და სიამოვნებით უზიარებდა ერთმანეთს თავის ფიქრებსა თუ გულის-ნადებს.

მთავრის მამა იმ დროებას მოსწრებოდა, როცა საკუთარი თვალით შეეძლო ეხილა, როგორი მუყაითობით ირჯებოდა მის ქვეყანაში ყველა, რათა დაულაღვი შრომით მოეპოვებინა პური თვისი არსობისა, მერე კი თავისი მონაგრით დამტკბარიყო. თუ რა ნაყოფი გამოელო თავდადებულ შრომას, ამაში ხალხის თავშეყრის ადგილას, იმ დღეებში დარწმუნდებოდა კაცი, ბაზრობას რომ ეძახიან.

მთავარს წინა დღით ცხენით ჩამოეტარებინა მეუღლე საქონლით დახუნძლულ დახლებს შორის, რათა ეჩვენებინა მისთვის, როგორი სასიკეთო ერთობა სუფევდა აქ მთასა და ბარს შორის, რა ნაყოფი გამოელო ხალხის შრომა-გარჯას.

მთავარი ამ დღეებში ხელქვეითებს მხოლოდ გადაუდებელ საქმეებზე თუ ეთათბირებოდა, უფრო დიდხნობით

კი სასახლის მეჭურჭლეთუხუცესთან სჩვეოდა საუბარი. მონადირეთუხუცესმა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო ცდუნებას, თავისი უფლებებით არ ესარგებლა, შემოდგომის ამ უჩვეულო დღეებში, ერთხელ უკვე გადადებული ნადირობა არ გაემართა და უამრავი უცხოელი სტუმარი საგანგებო ზემით არ დაეტკბო.

მთავრის მეუღლე შინ დარჩენის ამბავს არც თუ დიდი კმაყოფილებით შეხვდა, მონადირეთა გუნდს შორეულ მთებში გადაენციტა ნადირობა, რათა ტყის ფერდობებზე შეფენილ სოფლებში მოსახლე მთიელები ამ მოულოდნელი ლაშქრობით აენრიალებინა და გაეოცებინა.

ნასვლის წინ მთავარმა მეუღლეს ურჩია, ბიძია ფრიდრიჰის თანხლებით ესეირნა ხოლმე, მერე უთხრა: „შენს განკარგულებაში იქნება ჩვენი ჰონორიოცი; ის მეჯინბეთუხუცესის და სასახლის დიდებულის მოვალეობასაც შეასრულებს და ზრუნვას არ მოგაკლებსო“. ეს თქვა თუ არა, მთავარი უმალ ცხენს მოახტა, საჭირო მითითებები მისცა მავან მშვენიერად აღნაგობა და, სტუმრებისა და ამაღლის თანხლებით სასწრაფოდ გაუჩინარდა.

ქალი ერთხანს სასახლის ეზოში იდგა და ხელმანდღოს უქნევდა მეუღლეს, მერე სასახლის უკანა პალატებს მიამურა, საიდანაც მთების მხარეს ფართო ხედი იშლებოდა. ეს სანახაობა მით უფრო მშვენიერი იყო, რომ თავად სასახლე მდინარესთან აღმართულ გორაკზე იდგა, რის წყალობითაც მის წინა თუ უკანა მხრიდან ნაირფერი ლანდშაფტი მოჩანდა. ქალმა ხელში კოხტა ჭოგრიტი აიღო, სტუმრებს აქ რომ დაეტოვებინათ; გუშინ ისინი აქედან ბუჩქნარის, მთებისა და ტყის კენწეროებს მიღმა აღმართულ ძველ საგვარეულო ციხე-კოშკის ნანგრევებს ათვალეერებდნენ და თან საუბრებით შეიქცევდნენ თავს. სადამოჟამს, დაისის პირზე, ნანგრევები უჩვეულოდ იკვეთებოდა სივრცეში, დღისით კი, ძველი დროების ამ საპატიო ძეგლს, მძაფრი შუქ-ჩრდილი საოცრად შთამბეჭდავს ხდიდა.

ახლა, ამ ადრიანი დილით, საკმაოდ თვალნათლივ მოჩანდა შემოდგომისეული ფერადოვნება ნაირ-ნაირი ჯიშის ხეებისა, წლების მანძილზე, ნანგრევებს შორის, პირველქმნილი სილამით რომ აჭრილიყვნენ ცაში.

მშვენიერმა ბანოვანმა ჭოგრიტი შორი დაბლობისკენ მიმართა, სადაც მონადირეთა გუნდს უნდა გაეგლო; მერე ერთ ნერტილში მოთმინებით შეაჩერა მზერა, და, არც შემცდარა, რადგან გამადიდებელი ხელსაწყოს წყალობით მისმა მახვილმა თვალმა მკაფიოდ შეიცნო მთავარი და მისი მეჯინიბეთუხუცესი. ქალმა თავი ველარ შეიკავა და ხელმანდილი ააფრიალა, თუმცა უფრო ანდე-გუმანით მიხვდა, ვიდრე დაინახა, რომ მთავარი თითქოს შედგა და უკან მოიხედა.

მთავრის ბიძა, სახელად ფრიდრიჰს რომ უხმობდნენ, ქალს ცოტა ხანში სასახლის კარის მხატვართან ეახლა, რომელსაც უზარმაზარი საქალაქე დაეილლიავებინა.


– ჩემო საყვარელო რძალო, – მიმართა ჭარმაგმა ბერიკაცმა მთავრის მეუღლეს, – მინდა თქვენი მზერა საგვარეულო ციხე-კოშკის ჩანახატებს მივაპყრო, რათა თვალნათლივ დაგანახოთ, როგორ გამოიყურება ეს დიდებული საბრძოლო ნაგებობა სხვადასხვა მხრიდან; მინდა, წარმოიდგინოთ, ოდითგანვე როგორ ეურჩებოდა იგი დროის მდინარებს, თუმცა მისი კედლები ნელი-ნელ მაინც იყანთრებოდა და აქა-იქ უკაცრიელ ნანგრევებად იქცა. ჩვენის მხრივ მცდელობა არ დაგვიკლია და დიდი შრომაც გავწიეთ, რათა ამ უდაბურ ადგილას კაცს გავლა შესძლებოდა. ესეც კმარა იმისათვის, რომ მოგზაური თუ უბრალოდ, ცნობისმოყვარე მნახველი, გაცეცხამ შეიპყროს და ალაფრთოვანოს.

მთავრის ბიძა ქალს ნახატებს ათვალიერებინებდა და თან განაგრძობდა:

– მთის ვიწრობს რომ გადავიღო და გარე გალავანზე გახვალ, თავად ციხესიმაგრეს მიადგები; აქ შენს პირისპირ სწორედ ამ მთას შედუღაბებული ეს სალი კლდე აღიმართება. დიახ, ამ კლდეზე აღმართული დგას ამჟამად ეს გალავან-შემოვლებული კოშკი, და, ძეხორციელი ვერ მიხვდება, სად მთავრდება ბუნების სასწაული და სად იწყება კაცის ხელით შექმნილი მშვენიერება. უფრო შორს, ქვემოთ, ბაქან-ბაქან გადაჭიმული, ერთმანეთზე მიჯრილი გალავნის კედლები

და ციხე-კოშკის კარიბჭეები მოჩანს, ისე კი, კაცმა რომ თქვას, ეს უფამო მწვერვალი მთიანად, ტყეშია ჩაფლული და უკვე საუკუნენახევარი იქნება, ამ არემარეზე ნაჯახი არ ახმაურებულა; ირგვლივ მხოლოდ ტანძლიერი ხეებია აღმართული; გალავანს საიდანაც არ უნდა შემოუარო, ყველგან ნახავ მტკიცედ ფესვებგადგმულ, რტოხშირსა და ტანკენარ ნეკერჩხალს, დაკორძილ მუხასა თუ წერწყა ფიჭვს. აი ამ ადგილას კი, კაცმა მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით უნდა იაროს, და ხეებს შორის უნდა გაიკვალოს გზა, რის შემდეგაც დიდი ალლო და მოხერხება სჭირდება. ზევითამდე რომ ააღწიოს. ერთი შეხედეთ, რა შესანიშნავად გადმოუცია ჩვენს მხატვარს ქალაქზე ამ ადგილისთვის ნიშნული ყველა წერილმანი, რა ოსტატურად გამოუსახავს ხეები თუ ხის ფესვები, გალავნის კედლებთან რომ გადახლართვიან ერთმანეთს და ლიობებშიც შეუღწევიათ, ეს განუმეორებელი ადგილი შემთხვევის პირმშო გახლავთ: აქ შეგიძლიათ იხილოთ, ადამიანის გარდასული ძლიერების ნიშნები როგორ ეურჩებიან მარად ცოცხალსა და ცხოველმყოფელ ბუნებას.

ახლა კი ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ ეზო, სადაც უხსოვარი დროიდან კაციშვილს არ დაუდგამს ფეხი, რადგან ძველი კარიბჭის კოშკი ჩამონგრეულია; მოვახერხეთ და, გვერდიდან როგორღაც შევალწიეთ შიგნით, გავანგრეთ გალავანი, ავაფეთქეთ კედლები და გავჭერთ სავალად სახერხო, საიდუმლო გზა. შიდაეზოს განმენდა-დასუფთავება არ დასჭირვებია. აქ ბუნების ნებას აღუმართავს თხემისთავიანი კლდე, მაგრამ ტანძლიერ ხეებს შიგადაშიგ აქაც არ დაუშურებიათ ძალ-ლონე და ლაღად ამოუყრიათ ფესვები. ხეები, თუმცა ნელა, მაგრამ ჯიქურ იზრდებოდა და მათი ტოტები ამჟამად უკვე გალერეებს სწვდება, სადაც ოდესღაც რაინდები დააჯირითებდნენ ცხენებს. ზოგი ხე თაღებიანი დარბაზის კარებსა და ფანჯრებშიც შეჭრილია და მათი ამოძირკვა დღესდღეობით ჩვენს ძალ-ლონეს აღემატება. დიახ, ეს ხეები დაუფლებიან ახლა ამ ადგილებს და თავს აქაურობის ბატონ-პატრონად გრძნობენ. ეს საოცარი, გადასწორებული მოედანი კი, რომლის ბადალსაც ალბათ ამქვეყნად ვერსად იხილავთ, მაშინ აღმოვაჩინეთ, მინას ფოთლების სქელ ფენას რომ ვაცლიდით. ასევე მინ-



ნოველის გოეთესული განსახლურების შემართებას მკითხველი უთუოდ დაინახავს, რადგან მასში ჩვეულებრივი, ყოფითი ამბები მართლაც გადაიქცევა ხდომილებების უკიდვანო ველად, ხოლო ადამიანური ურთიერთობები თუ საგმირო საქმეები მშვენიერ, ჰარმონიულ ფინალად წარმოგვიდგება. „ნოველაში“ გოეთე იცავს ტრადიციულად დამკიდრებულ ლიტერატურულ წესებსა და კანონებს, რათა პერსონაჟთა „სამყაროსეული სურათი“ ფაბულის, სიუჟეტისა და ლაიტმოტივის საშუალებით გამოიკვეთოს. ეს არის „გაშიფრული“ ტექსტი, რომელშიც როგორც მსოფლმხედველობრივი, ასევე ენობრივი თვალსაზრისით, ყველაფერი აშკარა და ხილულია.



და, საკუთარი თვალთ ნახოთ, მთავარი კოშკის კიბეზე უცნაურად ფესვებგადგმული ნაკერჩხალი, დიდებულად რომ აჭრილა ცაში, მას კაცი ვაი-ვაგლახით თუ აუვლის გვერდს, რათა ქონგურზე ავიდეს და უკიდევანო სივრცეს შეავლოს თვალი. ეს ცაში ატყორცნილი ხე მთელ მიდამოს ფარავს, ისე, რომ შეგიძლია, მის ჩრდილქვეშ მოიკალათო და სული მოითქვა.

მაშ მოდი, მაღლი შევნიროთ გამრჯე ხელოვანს, რომელიც ისე სანაქებოდ და დამაჯერებლად გადმოგვცემს ამ სურათებს, თითქოს საკუთარი თვალთ გვენახოს ეს ყველაფერი. ჩვენმა მხატვარმა თავის ცხოვრების საუკეთესო დღეები და წლები იმ არე-მარეში ხეტი-ალსა და ბუნების ჭვრეტას მოანდომა. სწორედ. აი აქ, ამ ადგილას მივუჩინეთ მას და მის მცველს პატარა, მაგრამ კობხა სადგომი! ჩემო კარგო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა შესანიშნავად დაგვისურათხატა მან მთელი ეს მიდამო, ციხე-კოშკის ეზო თუ ვალავანი. ჰოდა, რაკი თავის ნატეხებზე ასე ოსტატურად აღბეჭდა ამ ადგილისთვის ნიშნული ყოველი წვრილმანი, ახლა შეუძლია დანარჩენი სამუშაოები აქ, ქვემოთ უფრო მოხერხებულ პირობებში შეასრულო. ჩვენი სურვილია, ამ ნატეხებით დავამშვენოთ სასახლის დარბაზი. აბა, ისე რა ფასი აქვს აქ, ქვემოთ, ჩვენი წარწერები ყვავილნარების, ფანჩატურებისა და მოჩრდილული ტალავნების ხილვას, თუ კაცი მზერას ზემოთაც არ აღაპყრობს, და არ მოინდომებს, საკუთარი თვალთ იხილოს, როგორ შერწყმია ერთურთს ძველი და ახალი, როგორ გვერდიგვერდ თანაარსებობს ერთის მხრივ, ურჩობა, სიჯიუტე და პირველქმნილი ბუნება, ხოლო, მეორე მხრივ, სინორჩე, სინარწარე და მორჩილება.

ამ დროს ოთახში ჰონორიო შემოვიდა და ცხენები გაახელითო, იქმყოფთ მოახსენა.

– ახლა ცხენებით ავიდეთ ზევით, და, რაც ამ ნატეხებზე მიჩვენეთ, საკუთარი თვალთ ვნახოთ! – მიუბრუნდა მთავრის მეუღლე ბიძას. – რაც სასახლეში ფეხი შემოვდგი, მას მერე მესმის იმაზე ლაპარაკი, რომ იმ ადგილების მონახულებას აპირებთ. ჰოდა, ახლა, ნამდვილად დროა, ვიხილო ის, რაც, თქვენი ნაამბობის მიხედვით, დაუჯერებლად მეჩვენება და წარმოსახვის ნაყოფი მგონია. – არა, ჩემო ძვირფასო.

მაგის დრო ჯერ არ დამდგარა, – მიუგო ქალს ბიძიამ. – ის სურათები, თქვენ რომ მიხილეთ, თავდაპირველად რეალობად უნდა ვაქციოთ და, ასეც მოვიქცევით! ჯერჯერობით ზოგი რამ გვაფერხებს. ხელოვნებას მხოლოდ მაშინ ეთქმის სრულქმნილი, როდესაც მას ბუნების წინაშე არ ერცხვინება.

– მაშინ იმ მთის ძირში მაინც ავიდეთ! სულით და გულით მინდა, დღევანდელ დღეს, იქიდან გადმოვხედო ქვეყნიერებას! – უთხრა ქალმა.

– ნება თქვენია! – მიუგო მთავრის ბიძამ.

– მოდი, ჯერ შუა ქალაქში გავი-ართო, – განაგრძო ქალმა, – და იმ მოედანზე გავიდეთ, სადაც უამრავი ფარდული დაუდგამთ, რის გამოც მთელი ბაზრობა პატარა დასახლებას თუ დაცემული ბანაკს დამსგავსებია, კაცი იფიქრებს, ამ ქვეყნის ყველა ჯალაბს თავისი საზრუნავი თუ საქმეები დღის სინათლეზე გამოუტანია და გასამზერებლად ერთ ადგილას გამოუფენიაო, რადგან დაკვირვებული თვალი იქ ნახავს ყველაფერს, რაც კი კაცის ხელს ამქვეყნად რამ შეუქმნია. ჰოდა, შეჰყურებ ყოველივე ამა და გეფიქრება, ნეტავ რაღა საჭიროა ფული, თუკი საქონლის გაცვლა-გამოცვლა გარიგებით შეიძლება?! დიახ, ეს მართლაც ასეა, და, გუშინ მთავარმა ამ სანახაობის მოწმე გამხადა. სიამეს მგერის იმის გაფიქრება, რომ ქვეყნის მთა და ბარი ერთმანეთს მხარში ამოსდგომია და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებს. აქეთ მოემართებიან მთიელები, რომლებიც დაუფლებიან ხეზე ჭრის ხელოვნებას, იციან, დანიშნულებისამებრ როგორ უნდა გადაადნონ რკინა. მათ შესახვედრად კი გაღმადან მოეშურებიან ერთნაირ ტანსაცმელში გამონყოფილი, ნაირ-ნაირი საქონლით დატვირთული ადამიანები, რომელთა მიზნები ხშირად ძნელი ამოსაცნობია.

– ვიცი, ჩემი ძმისწული დიდი მეოხია ამ საქმისა, რადგან იცის, რომ ადამიანი წელიწადის ამ დროს უფრო მეტ დოვლათს მიიღებს, ვიდრე გასცემს. ამ საქმის მეოხება ხომ, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ხაზინის შევსებას და წვრილი საშინაო მეურნეობების გამდიდრებას უწყობს ხელს! ჩემო ძვირფასო, მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ ბაზრობაზე გავლას ვერიდები, რადგან ყოველ ნაბიჯზე ფერხდები და სიარული გიჭირს. ესეც არ იყოს, ბაზრობის დანახვაზე ყოველთ-

ვის ის უზედურება შემახსენებს ხოლმე თავს, როდესაც საკუთარი თვალთ ვიხილე, როგორ ნთქავდა გამოფენილ საქონელს ცეცხლის ენები. მე ძლივს...

– ნუ დაგვაკარგვინებთ ძვირფას დროს! – გაანწყვეტინა ბიძიას სიტყვა მთავრის მეუღლემ.

ეს ღირსეული ადამიანი აი, უკვე მერამდენედ ჰგვრიდა შიშს ქალს თავისი ნაამბობით, როდესაც ხანძართან დაკავშირებულ ამბებს იხსენებდა; ერთხელ შორეულ მოგზაურობაში მიმავალ ბიძიას გადაუწყვეტია, ღამე ბაზრის მოედანზე, ფუნდუკში გაეთია, რაკილა დაღლილი ყოფილა, მაშინვე ძილს მისცა თურმე თავი. შუალამისას საშინელი წივილ-კივილი ამტყდარა, ბიძიას გაღვიძება და დაუნახავს, რომ ცეცხლის ენები უკვე ფუნდუკისკენ მოინეცდა.

ეს ამბავი რომ გაიხსენა, თავის საყვარელ რაშზე ამხედრებულმა მთავრის მეუღლემ აღარ დააყოვნა და სახლის უკანა კარიბჭიდან ზემოთ, მთებში მიმავალი გზის ნაცვლად, ქვემოთ ქალაქისკენ დაადგა გზას. ქალს თავისი უკმაყოფილო, მაგრამ ხათრიანი თანამგზავრიც მიჰყვა უკან, რადგან აბა ვინ გაუძლებდა ცდუნებას, გვერდით არ ხლებოდა ამ მშვენიერ ბანოვანს, ვინ მოიკლებდა სიამოვნებას, მის მხარდამხარ არ ეჯირითებინა ცხენი?! მხედრები წინასწარ შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ბაზრობაზე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაეკვლიათ გზა, და ახლა, ყოველ შეფერხებაზე, მშვენიერი, მახვილგონიერი ბანოვანი ხალისიანად შესძახებდა ხოლმე: „ახლა კვლავინდებურად გავიმეორებ ჩემ გუშინდელ მოგზაურობას, რაკი განგებამ ჩვენი მოთმინების გამოცდა იწებო“.

და, მართლაც, ბრბო ისეთი ძალით აწყდებოდა მხედრებს, რომ ისინი ზოზინ-ზოზინით მიინეცდნენ წინ. ხალხი აღფრთოვანებული შესცქეროდა ახალგაზრდა ქალს და კმაყოფილებას ვერ მალავდა, რადგან ხედავდა, რომ ქვეყანას პირველი ბანოვანი, ამასთან უმშვენიერესი და მომხიბლავი არსებაც გახლდათ.

ერთ ადგილას შექუჩებულიყვნენ ნაძვნარი ტყეებისა და სალი კლდეების ბინადარი მთიელები. ბარის მცხოვრებნი მოსულიყვნენ გორაკებზე თუ ველმინდვრებზე შეფენილი სოფლებიდან. აქვე ნახავდით პატარ-პატარა ქალაქებიდან ჩამოსულ ხელოსნებს და რაგ-

ინდარა ხალხს.

მთავრის მეუღლემ მშვიდად შეეგლო თვალი ამ სურათს და თავის თანამგზავრს მიმართა:

– ამ ხალხს იმდენი საქონელი ჩამოუზიდავს, თავზესაყრელად რომ ეყოფა ყველას, აბა, რა მუშტარი აუვა ამოდენა ფართალს, მაუდს, მიტკალს თუ ყაითანს! უყურებ ამ ფაშფაშა დედაკაცებს და ფაფუკლოყება კაცებს და ფიქრობ, რომ ალბათ მხოლოდ ასეთ ჯანლონით სავსე ადამიანებს შეუძლიათ ასეთი თავდავინწყებით მიეცნენ მხიარულებასა და დროს ტარებას.

– ჩვენი ვალია, ზრუნვა არ მოვაკლოთ და მხიარული გუნება-განწყობილება არ მოვუშალოთ ხალხს. დოვლათის პატრონი თავს მაშინ გრძნობს ბედნიერად, როცა კოხტად მოირთვებ-მოიკაზმება, – მიუგო ბიძიამ ქალს და მშვენიერმა ბანოვანმა კვერი დაუკრა მას.

მერე ის იყო, ნელ-ნელა ვრცელ მინდორზე გავიდნენ, ქალაქის სანახებს რომ ეკვროდა. ამ ადგილას პატარ-პატარა ფარდულები ჩემქრივებიანთ, მწკრივების ბოლოს კი ფართო ფიცარნაგი აღემართათ, რომელსაც მხედრები ალბათ ვერც შეამჩნევდნენ, ამ დროს იქიდან გამაყრუებელი ღმუილი რომ არ შემოსმოდათ. ეტყობა ხალხის გასართობად გალიაში გამომწყვდეული მხეცები საკვების მოლოდინში ბორგავდნენ, ლომი ველური, უდაბნოსეული ხმით ღრიალებდა, ისე რომ ცხენები ცახცახს აეტანა; იქ მყოფთ თვალში უმაღლესათ, რა შემზარავი სანახავი იყო უდაბნოს მეფე ამქვეყნიური წყნარი და მშვიდობიანი ყოფის ფონზე. ფიცარნაგთან რომ მოვიდნენ, ვეღარ გაუძლეს ცდუნებას, თვალი არ შეეგლოთ იმ დიდებული სანახაობისათვის, გალიებში გამომწყვდეული მხეცები რომ ქმნიდნენ; მათი ხილვა გულარხინი ბიურგერისათვის ერთი სიამოვნება უნდა ყოფილიყო! აი, აქეთ, უზარმაზარი ვეფხვი დააცხრა ზანგს თავზე; იქით, ლომი ისეთი დარბაისლური დიდებულებით წამომართულიყო, თითქოს ამბობდა, აქ ჩემ საკადრის ნადავლს ვერსად ვხედავო. ამ ძლევამოსილი მხეცების გვერდით ცხოველთა სამყაროს უამრავი წარმომადგენელი ადამიანთა ყურადღებას ნაკლებად იქცევდა.

– უკანა გზაზე ამ ადგილას ისევ შევჩერდეთ და ეს უცხო სტუმრები უფრო გულდასმით დავათვალიეროთ! –





განაცხადა მთავრის მეუღლემ.

– პირდაპირ საოცარია, – თქვა ბიძია ფრიდრიჰმა, – ყველაფერი შემზარავი რატომ იზიდავს ხოლმე აგრერიგად ადამიანს?! აი, ის ვეფხვი, გალიაში ასე მშვიდად რომ განოლილა, ეს-ესაა გამძვინვარებული ეკვეთა ზანგს, თითქოს უნდა კაცს აფიქრებინოს, ხედავ, რა საშინელების ჩადენა შემოძლიაო?! თითქოს ის არ კმაროდეს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება: კაცთკვლა, ხანძარი და უბედურება. მოხეტიალე ჯამბაზები ამგვარ სანახაობას ყოველი ფეხის ნაბიჯზე წარმოგვიდგენენ; კეთილშობილ ადამიანს კი ყოველივე ამის ხილვა ისე თრგუნავს, რომ უჭირს ხელახალი ძალით შეიგრძნოს მშვენიერება. როგორც კი ქალაქის კარიბჭეს გასცდნენ და ხალისიანი ბუნების ნიაღში გავიდნენ, მხედრებს უმალ გადაავიწყდათ ეს შემზარავი სურათები; თავდაპირველად მდინარისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ამ ადგილას კალაპოტი ვინრო იყო და წყალზე მხოლოდ პატარა ორჩხომელები დაცურავდნენ; მერე მდინარე თანდათან ფართოვდებოდა და ძლევა მოსილ ნაკადად იქცეოდა, რომელსაც უკვე ნათლობის სახელი ჰქონდა; ახლა იგი რუდუნებით მოვლილ ბალ-ვენახებსა და ნაკრძალებს მიუყვებოდა და შორეულ ქვეყნებს მაცოცხლებელ იმედად ევლინებოდა.

ამალამ ნელი-ნელ ხშირ დასახლებას მიაღწია, რის შემდეგაც მხედრები კორომში შევიდნენ? და აქაური ბუნებით სრულიად მოხიბლული დარჩნენ: თვალწინ ფიანდაზად გადაეშალათ ცოტა ხსნის წინ ხელმეორედ გათიბული, ხავერდოვანი ველი, რომელსაც ზემოდან გადმოსხეტილი წყლის ნაკადი რწყავდა და ანაყოფიერებდა, აქედან გზა უკვე ზევით მიემართებოდა; მერე ტყე რომ აათავეს, ხალისიანად გადაიარეს ვინრო ბილიკი და მთის თხემზე ავიდნენ, საიდანაც მათ თვალწინ, კარგა შორს დაბურული ტყის თავზე, ძველი ციხე-კოშკი აღიმართა. მათი მეროჭიკეობის მიზანიც სწორედ ეს კოშკი იყო, ზეცაში აჭრილ კლდის ქიმს თუ ხის კენწეროს რომ ჰგავდა. აქ ამოსული კაცი ვერ უძლებდა ცდუნებას, არ შეტრიალებულიყო და ქვევით არ გადაეხედა. ჩვენი მგზავრებიც შეტრიალდნენ და ხელმარცნივ, უზარმაზარ ხეებს შორის ლიობებში, მზის სხივებით განათებული სასახლე დაინახეს; მერე ამალელებული ადგილზე ნისლში გახ-

ვეული, მკვიდრადნაგები ზედა ქალაქიც შენიშნეს; მხერით ჩაუყვინნ ხელმარჯვნივ გაშენებულ ქვედა ქალაქს, ფართო ველებზე გადაჭიმული მდინარის კლაკნილ ზოლს, ნისქვილებს და თვალწინ გადაშლილ უკიდევანო სივრცეს.

ამ სანახაობით გული რომ იჯერეს და, როგორც მაღლობი ადგილიდან ბუნების ჭვრეტისას ხდება ხოლმე, თვალი დაეღალათ უკიდევანო ხედით ტკობით, მხედრებმა ცხენები ქვა-ლორიან, ტრიალ მინდორზე გააქანეს. ახლა მათ წინაშე ძლევა მოსილი ციხის ნანგრევი წამოიმართა, მწვანე გვირგვინით შემკული მწვერვალივით რომ მოჩანდა სივრცეში. ნანგრევის ძირში ნორჩ ხეებს ამოეყარათ ყლორტები. მერე ეს გზაც რომ აათავეს, გაუვალ ადგილს მიადგნენ და ციცაბო კლდეებს შორის ამოყვეს თავი. ამ უჟამო კლდეებს ვერ შეხებოდა დროის მსახვერელი ხელი, და, ახლაც უძლეველად და მედიდურად გადმოსცქეროდნენ, ციხე-კოშკს ზემოდან. შუაგულ ადგილას ერთმანეთზე მიყრილი უზარმაზარი ქვის ლოდები მოჩანდა; ციხე-კოშკი ამ მხარეს ჩამონგრეულიყო და ამ ნანგრევების გადალახვა თვით უმამაცეს რაინდსაც კი გაუჭირდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდობას ანდამატივით იზიდავს ყოველივე სასტიკი და მძლე, მის ხელით შეხებას, იერიშით ალებას და დაპყრობას ნატრობს. მთავრის მეუღლეც სწორედ ამგვარ ჟინს შეეპყრო ახლა. ჰონორიო უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას, მთავრის ბიძასაც, თუმცა უგულოდ, მაგრამ მაგრამ მაინც აუბა მხარი ქალს, რადგან სულაც არ უნდოდა, მისთვის სიმხალე დაებრალეზინათ. მხედრებს ახლა ცხენები ხეებქვეშ უნდა დაეტოვებინათ, თავად კი იმ ადგილას უნდა ასულიყვნენ, საიდანაც ძლევა მოსილი ქიმიანი კლდის მიღმა, ფართო ხედი იშლებოდა. და, თუმცა ეს სურათი თვალწინდენელ სივრცეს შერწყმოდა, მაინც უჩვეულო მხატვრულ სანახაობას ქმნიდა.

მზე თითქმის შუბის ტარზე იდგა და ნათელ სხივებს ჰფენდა არე-მარეს. დიდებულად მოჩანდა მთავრის სასახლე თავისი ფლიგელებით, გუმბათებით და კოშკებით. სივრცეში გადაჭიმულიყო ზემო ქალაქი. ჭოგრიტს მოხერხებულად თუ დაუმიზნებდით, აქედან ქვემო ქალაქს და ბაზრობაზე ჩამომწკრივებულ ფარდულებსაც დაინახავდით. ჰონორიო ამ საჭირო ხელსაწყოს მუდმივად

მხარზე გადაკიდებულს დაატარებდა. აი, ახლაც, მხედრები შუდაშუ გასცქეროდნენ ჭოგრიტში მდინარის ზემო და ქვემო დინებას. მათ თვალწინ იშლებოდა ხვავრიელი მიდამო, რომლის გაღმა ბორცვები და გორაკები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. გამოვლა კი – ბაქან-ბაქან აღმართული უნაგირა მთები.

ქვემოთ ერთიმეორეზე მიჯრილი სოფლები მოჩანდა. ეს დასახლებები იმდენად ხშირი იყო, რომ აქაურებს უკვე წესად ჰქონდათ სანაძლეოს დადება, ვინ უფრო მეტ სოფელს დაითვლიდა ზემოდან.

ირგვლივ, კარგა მანძილზე, საამური სიჩუმე გამეფებულიყო, შუადღის პირზე რომ იცის ხოლმე, ისეთი. სწორედ დღის ამ დროზე იტყოდნენ ხოლმე ძველები, პანი თვლემს და ბუნებაც გარინდებულა, რათა მას ძილი არ დაუფრთხოსო.

– თვალუნვდენელ სიმაღლეზე მდგარი, ხშირად ვყოფილვარ აი, ასეთი ფაქიზი და უწყინარად ნათელმოსილი ბუნების მხილველი; ამის შემყურეს ბევრჯერ მიფიქრია, არ შეიძლება ამქვეყნად ბოროტება ზეობდეს-მეთქი. მაგრამ ადამიანთა სადგომებში რომ შეიხედავ, პატარა იქნება ისინი თუ დიდი, ვინრო თუ ფართო, ისევ და ისევ დაინახავ, რომ ვიღაცა ვიღაცას ებრძვის და ექიმპება, ვიღაცას დაშოშმინება სჭირდება, რაღაც-რაღაცეები მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელია. – თქვა მთავრის მეუღლემ.

ჰონორიომ, ჭოგრიტით რომ გასცქეროდა ქალაქს, სწორედ ამ დროს შესძახა:

– შეხედეთ, შეხედეთ, ბაზრობაზე ხანძარმა იფეთქა!

მხედრებმა იქით გაიხედეს და, მართლაც შენიშნეს კვამლი. ცეცხლის ალს დღის სინათლე ახშობდა. იქ მყოფნი ჭოგრიტით გაჰყურებდნენ ქალაქს.

– ეტყობა ცეცხლი უკვე ბოზოქრობს! – წამოიძახა ვიღაცამ.

მთავრის მეუღლე ამ საშინელებას შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ხედავდა. მის მზერას დრო და დრო სწვდებოდა გავარვარებული ცეცხლის ენები, გრძნობდა, საშინელი ბული რომ ტრიალებდა ჰაერში.

– მოდი უკან გავბრუნდეთ! – თქვა მთავრის ბიძამ, – ეს ამბავი სიკეთეს არ გვიქადის! ერთთავად იმის შოშში ვიყავ, ერთხელ კიდევ არ მომიხდეს ასეთი უბედურების ხილვა-მეთქი; ჰოდა, აკი არც

ამცდა.

დაბლა რომ დაეშენენ და ცხენებთან მივიდნენ, მთავრის მეუღლემ ბიძიას უთხრა:

– იჩქარეთ და მსახურის თანხლებით მიაშურეთ ქალაქს, მე კი ჰონორიოსთან ერთად უკან გამოგყვებით.


ბიძიას ჭკუაში დაუჯდა ქალის გონივრული, და, სწორედაც რომ საჭირო რჩევა, და, რამდენადაც ეს ამ ოღრო-ჩოღრო გზაზე შესაძლებელი იყო, სწრაფად დაეშვა ცხენით ხრიოკსა და ქვა-ლორლიან ფერდობზე.

მთავრის მეუღლე ცხენს რომ მოახტა, ჰონორიომ უთხრა:

– თქვენო ბრწყინვალევა, უმორჩილესად გთხოვთ, ფრთხილად იაროთ! ქალაქისა და სასახლის სახანძრო დაცვა სრულ მზადყოფნაშია, ისე, რომ ეს მოულოდნელი უბედურება არ დააბნევთ. ამ ადგილას გზა ერთობ სახიფათოა. ასე კი ვფიქრობ, ვიდრე ქვევითამდე ჩავალწევთ, ცეცხლი, ასე თუ ისე, განელდება.

მთავრის მეუღლემ ყური არ ათხოვა რაინდის სიტყვებს; ქალი ხედავდა, როგორ სქელდებოდა კვამლი, მერე ანაზდად ისიც მოეჩვენა, თითქოს ცეცხლოვანი ელვა გაკრთა და გრუხუნიც გაისმა; უმალ გაახსენდა, ღვანღმოსილმა ბიძიამ, აი უკვე მერამდენედ რომ აღუწერა ბაზრობაზე ხანძარი, და, ახლალა მიხვდა, მისი ნაამბობი რა ღრმად ჩაბეჭდოდა გონებაში. ის საშინელი ხანძარი კი ალბათ მართლაც ისეთი მოულოდნელი და თან თვალნათლივი უნდა ყოფილიყო, რომ არ შეიძლებოდა, კაცს არ აკვიატებოდა ხელახალი უბედურების მოლოდინი და შიში.

მთავრის ბიძის მონაყოლიდან ქალმა იცოდა, რომ იმ ღამით, უზარმაზარ ბანაკად დაცემულ, ფარდულებით მოფენილ ბაზრობაზე ხანძარს უფეთქია, და, ვიდრე ფარატინა ხუხულებში თუ ღია ცის ქვეშ მიძინებული ხალხი გონს მოვიდოდა, ფარდულებს მოსდებოდა. დაღლილ-დაქანცული, ეს-ესაა ჩაძინებული ბიძია, ხმაურზე ლოგინიდან წამოვარდნილა და ფანჯარას სცემია. ირგვლივ მიდამო ცეცხლის ალით ყოფილა განათებული. ალი თურმე ყოველი მხრიდან მოიწვედა წინ და მალე ალბათ ფუნდუკამდეც მოაღწევდა, რადგან უკვე ბურბურებდნენ ცეცხლში გახვეული ბაზრის ნაგებობები. შესაძლოა, ირგვლივ ყველაფერი წამიერად აბრიალებულიყო და ცეცხლში შთანთქმულიყო.





ქვემოთ სტიქიონი მძვინვარებდა, ფიცრებს ლანა-ლუნი გაუდიოდა, ძელები ღრჭიალით იწვოდა. ფარდულის თავზე აფრიალებულ ჩარდახს ცეცხლი ნაპკიდებოდა და მისი ალანძული, ნვეტიანი ნაგლეჯები ჰაერში ფრიალებდა. ამ სურათის მხილველი იფიქრებდა, ბოროტი სულები წამოშლილან, ყოველი მხრიდან როკვა-როკვით მოემართებიან, რათა საკუთარი თავი შთანთქან, შემდეგ კი აქა-იქ, გაგარვარებული ცეცხლიდან ზემოთ აიჭრნენო.

ხალხი თურმე წივილ-კივილით გარბი-გამორბოდა და ცდილობდა გადაერჩინა, რაც ხელთ მოხვდებოდა. მსახურები და ყმები თავიანთ პატრონებთან ერთად მიათრევდნენ აღმოდებული ფართლეულის თოფებს, უნდოდათ, ხანძარში გახვეულ ფიცარნაგზე დახვავებული საქონლიდან, ცოტა რამ მაინც გადაერჩინათ, მაგრამ ამაოდ, რადგან ცეცხლის ენები წამოენეოდათ ხოლმე და ხელიდან გლეჯდა ყველაფერს. ვაი იმას, ვინც წამით თავს დაიმშვიდებდა და გაიფიქრებდა, ხანძარი ოდნავ მინელდაო; მოხედვას ვერ ასწრებდა, რომ ცეცხლს მისი ავლადიდება უკვე შთანთქმული ჰქონდა. ბაზრობის ერთ მხარეს თურმე ხანძარი მძვინვარებდა, მეორე ჯერაც უკუნეთ წყვდიადში გახვეულიყო. მამაცი, შეუპოვარი ადამიანები გააფრთხილებით ებრძოდნენ გამძვინვარებულ სტიქიონს და ზოგ-ზოგი რამის გადარჩენასაც ახერხებდნენ თურმე დაბუგრულ-შეტრუსული წარბებისა და თმის ფასად.

მთავრის მეუღლის მგრძობიარე წარმოსახვას, სამწუხაროდ, დროდადრო აეკვიტებოდა ხოლმე ამგვარი დაბურდული სურათები.

ამ ადრიანი დილით, ცის კაბადონი ნისლს დაებინდა, ქალს სახე მოღრუბლოდა, ხოლო ტყე-ველს უჩვეულო, შიშნეული იერი დასდებოდა.

მხედრებმა ჭენებ-ჭენებით ისე გადაიარეს მიყუჩებული ველი, რომ ვერც კი იგრძნეს მისი მასალბუნებელი სიგრილე, და აი, რამდენიმე ნაბიჯილა დარჩენოდათ მაცოცხლებელ წყარომდე, იქვე ახლოს, მოდგაფუნე ნაკადულში რომ იღებდა სათავეს; სწორედ ამ დროს მთავრის მეუღლემ დაბლა ბუჩქნარში უჩვეულო რამ არსება შენიშნა და, უმაღ

მიხვდა, რომ ეს ვეფხვი იყო. იმავე წუთს, ნადირმა ზუსტად იმ ვეფხვივით შეკრა ჰაერში კამარა, ქალმა სულ ცოტა ხნის წინ ნახატზე რომ იხილა. ისედაც ფიქრებით დამძიმებული მთავრის მეუღლე ამის დანახვაზე მთლად გაოგნდა.

– მოწყალეო ქალბატონო, თავს უშველეთ, გაიქეცით! – შესძახა ჰონორიომ.

ქალმა ცხენი კვლავ ციცაბო მთისკენ მოატრიალა, ეს-ესაა რომ ჩამოიარეს, ჭაბუკი კი ნადირისკენ გაემართა, დამბაჩა იძრო და როდესაც გაიფიქრა, საკმაო მანძილზე მივუახლოვდიო, ისროლა, მაგრამ, საუბედუროდ, ააცდინა. ცხენი დაფრთხა, ვეფხვმა კი განზე ისკუპა, ზევით აუყვა გზას და მთავრის მეუღლეს კვადაკვალ დაედევნა. ქალმა ქვა-ლორღზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გააჭენა ცხენი, აინუნში არ აგდებდა, რომ ეს სათუთი პირუტყვი შეჩვეული არ იყო ამგვარ მკაცრ მოპყრობას და მალე მის ტარებას ველარ შეძლებდა. ჰოდა, ცხენმა, გაგულსიებულმა შეჭირვებული მხედრის ჟინიანობით, ოღროჩოღროზე ერთი-ორჯერ ნაიფორთხილა და ისევ გაჭენდა, მაგრამ ბოლოს თავი ველარ შეიმაგრა და ძალაგამოლეული მიწაზე დაენარცხა. მშვენიერი ბანოვანი არ დაბნეულა და ელვის სისწრაფით წამოიჭრა ფეხზე. ამასობაში ცხენიც წამოფართხალდა, ვეფხვი უკვე უახლოვდებოდათ, თუმცა კი ჩვეული სისწრაფით ველარ გამოიბოდა, რადგან, ეტყობა, ოღროჩოღრო გზა და პირწვეტიანი ქვები აბრკოლებდა მის თავგანწირულ რბოლას. მაგრამ რაკილა ჰონორიო მას ჯერ ფეხდაფეხ მისდევდა, მერე კი გაუსწორდა და ცხენი მის გვერდით გააჭენა, მხეცი ხელახლა აღიგზნო და გახელდა. მეტოქეებმა ერთდროულად მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ცხენთან ერთად მთავრის მეუღლე იდგა. ჰონორიო უნაგირზე გადაიხარა და ისროლა, მერე მეორე ტყვიაც მიაყოლა და ნადირს პირდაპირ თავში მოარტყა. ვეფხვი უსულოდ დაენარცხა მიწაზე და იქ მყოფთ ახლა უკვე აშკარად დაანახა ის ძლიერება თუ საშიშროება, რომლისგანაც მხოლოდ მისი მიწაზე გართხმული, უსულო სხეულილა დარჩენილიყო. ჰონორიო ჩამოქვეითდა და ვეფხვის წინ ჩაიშუხლა. იმ წუთში ჭაბუკი ისეთი მშვენიერი სანახავი იყო, რომ კაცი თვალს ვერ მოსწყევტდა. მთავრის მეუღლეს ხშირად ენახა, ასპარეზობებსა და შეჯიბრებებზე მო-

ჯირითე ჰონორიო როგორ ზუსტად აჭედებდა ტყვიას შუბლში თურქის ძელზე წამოცმულ ჩაღმან თავს, ან ცხენზე ამხედრებული, ასევე ელვისსინრაფით როგორ წამოაგებდა ხოლმე მოლაპლაპე ხმლის ნვერზე ზანგის მიწაზე დაგდებულ თავსაც. ბედნიერი ჭაბუკი ახლა უკვე სიხარულს ვეღარ მალავდა, რომ ხელოვნება, რომელსაც ასე ოსტატურად ფლობდა, ამჯერად დიდად გამოადგა.

– ბარემ გამოუყვანეთ წირვა და მოათავეთ! – შესძახა მთავრის მეუღლემ. – ვშიშობ, ბრჭყალი არ გამოვკრათ და არ დავტოვოთ.

– მაპატიეთ კადნიერება, – მოუგო ქალს ჭაბუკმა, – მაგრამ მხეცს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა; ამიტომ, აღარ მინდა დაეუზიანო ტყავი, რომელიც მერმისს, ზამთარში, თქვენს მარხილს დაამშვენებს.

– ნუ მკრეხელობთ, – თქვა მთავრის მეუღლემ, – განა არ იცით, რომ, სწორედ ასეთ წუთებში უნდა გაიღვიძოს ადამიანის გულში ღრმად ჩამარხულმა ღვთისმოსაობამ?!

– ამ წუთში რომ ვგრძნობ, ამგვარი ღვთისმოსაობა არასოდეს განმიცდია, – შესძახა ჰონორიომ, – მაგრამ სიხარულს ვერ ვმალავ, როდესაც წარმოვიდგენ, როდენ დიდი სიამოვნება შეიძლება მოგანიჭოთ ამ ტყავმა.

– ეს ტყავი ხომ ჩემთან მარად ამ საშინელი წუთების მოგონებად დარჩება?! – მიუგო ქალმა.

– განა ის იმ ფარხმალდაყრილი მტრის იარაღს არ ჰგავს, გამარჯვებულს ნადავლის სახით რომ მიართმევენ ხოლმე?! – თქვა ჰონორიომ.

– არასოდეს დამავიწყდება თქვენი სიმამაცე და გამბედაობა, და ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩემი მადლიერებისა და მთავრის წყალობის იმედი უნდა გკონდეთ. ახლა კი წამოდექით ფეხზე! ნადირს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა! მოდი, მოვიფიქროთ, რა გზას უნდა დავადგეთ ახლა, მანამდე კი წამოდექით!

– ამის თქმას ალბათ ვერასოდეს გავბედავდი, მაგრამ რაკი ახლა უკვე მუხლმოდრეკილი ვდგევარ თქვენს წინაშე, ნება მიბოძეთ, თხოვნით მოგმართოთ, რათა დავრწმუნდე, რომ, როგორც ეს-ესაა თავად ბრძანეთ, ნამდვილად ჩემი მფარველი ბრძანდებით და წყალობას აღარ მომაკლებთ. მის მად-

ალკეთილშობილებას, თქვენს მეუღლეს, აი უკვე მერამდენედ ვთხოვე, ჩემთვის შორეულ მოგზაურობაში წასვლის ნება დაერთო, ვისაც ბედმა გაუღიმა და ნადიმზე თქვენს გვერდით ჯდომა არგუნა წილად, ვისაც პატივი აქვს, თქვენი უდიდებულესობა საუბრებით შეიქციოს, მას ქვეყნიერებაც მოვლილი უნდა ჰქონდეს. როდესაც ლაპარაკი ქვეყნიერების რომელიმე მხარეზე ან ქალაქზე ჩამოვარდება, ჩვენთან ჩამოსულ სტუმრებს აუცილებლად ებადებათ კითხვა, თქვენს მონა-მორჩილს ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ უნახავს თუ არა, არავინ ირწმუნებს შენს გონიერებას, თუ თავად არ მოივლი ქვეყანას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ადამიანს ემსგავსები, სხვების თავშესაქცევად ყურმოკრულ ჭორებს რომ აპყოლია.

– წამოდექით ფეხზე! – გაუმეორა მთავრის მეუღლემ, – სულაც არ ვაპირებ მის უდიდებულესობას ისეთი რამ ვთხოვო, რაც მის სურვილს აღუდგება წინ, მაგრამ ვფიქრობ, დღეიდან აღარ უნდა არსებობდეს მიზეზი, რის გამოც აქამდე გვერდიდან არ გიშორებდათ, მთავარს სურდა, ენახა, როგორ დავაჟაკადებოდი, როგორ დადგებოდა თქვენგან ღირსეული ჭაბუკი, რომელიც უცხოეთში ისევე ასახელებდა თავის ქვეყანას, როგორც ეს სასახლის კარზე სჩვეოდა. ახლა კი, თქვენი დღევანდელი გმირობა ის თავდების ბარათი იქნება, ყმანვილკაცს შორეულ მოგზაურობაში რომ შეუძლია თან წაიღოს.

ჭაბუკს სიხარულის ნაცვლად სევდა რომ აღებეჭდა სახეზე, ამის შემჩნევა მთავრის მეუღლეს აღარ დასცალდა, და, თავად რაინდმაც ვერ მოასწრო საკუთარ გრძნობებში გარკვევა, რადგან მთის ფერდობზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ქალი გამოჩნდა, რომელსაც ხელჩაკიდებული ბიჭუნა მოჰყავდა, ფიქრებში წასული ჰონორიო ფეხზე წამოდგა; უცნაურ ჭრელა-ჭრულა კაბაში გამოწყობილი, თუმცა კოპნია გარეგნობის ქალი ნივილ-კივილით მივარდა ვეფხვის გვამს. საქციელზე ეტყობოდა, მინაზე უსულოდ გართხმული ვეფხვის პატრონი უნდა ყოფილიყო, შეძრწუნებული ჩანდა გრუზათმიანი, შავთვალა ბიჭუნაც, რომელსაც სალამური ეჭირა ხელში. მერე ისიც, ტირილ-ტირილით მიიჭრა ვეფხვთან და მის გვერდით ჩაიმუხლა. თუმცა დედასავით ხმამაღლა მითქმა-მოთქმა არ დაუწყია.





დამწერებული ქალი წარღვნასავით თავსდამტყდარ უბედურებას ხმალი გოდებით ამცნობდა ქვეყნიერებას; გოდებას ვაი-ვიში მოჰყვა, რასაც დროდადრო სიტყვების ნიაღვარი ენაცვლებოდა კლდიდან მოვარდნილ ჩანჩქერს რომ მოაგონებდა კაცს. ამო იქნება ყოველგვარი მცდელობა, ჩვენს ენაზე ზუსტად გადმოგვცეთ ეს სიტყვები, თუმცა უფლება არა გვაქვს, დავფაროთ და დაახლოებით მაინც არ გავიზიაროთ, რას მოსთქვამდა ქალი:

– საბრალო არსებავ! ნეტავ რატომ მოგისპეს სიცოცხლე?! რას გერჩოდნენ, ვის რას უშავებდი? დარწმუნებული ვარ, შენთვის, სადღაც თვინიერად მინოლილი ელოდებოდი ჩვენს გამოჩენას, რადგან თათები გტკიოდა და ბრჭყალებში ძალა გამოლეული გქონდა! იარების მოსაშუშებლად ხომ ასე გაკლდა მცხუნვარე მზის სხივები! ნადირთა შორის უმშვენიერესო ქმნილებავ! კაცის თვალს ჯერ არ უხილავს ესოდენ მშვენიერი, დიდებულად მიძინებული ვეფხვი! უსულოდ გართხმული ხარ მიწაზე, რათა ვერასოდეს ველარ ნამოდგე! გამთენიის ჟამს თვალს რომ გაახელდი, ხახას დააღებდი და ალისფერ ენას გამოაჩენდი, გვეგონა, ღიმილით გვეგებებოდი, მერე კი, მართალია ღმუილით, მაგრამ ანცად სტაცებდი ხელიდან საკვებს დიდსა და პატარას! რამდენი გვიმოგზაურია ერთად, როგორ გვჭირდებოდი, რამდენი სიკეთე გვახსოვს შენგან! მუცელმერთა ხალხისაგან საკვები უზვად გქონდა. ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავის მაღლისა და წყალობას არ გვაკლებდნენ! ამიერიდან ყველაფერი დასრულდა! ვაი ჩემს თავს, ვაი!

ქალი კვლავაც განაგრძობდა მოთქმა-გოდებას, როცა მთის შუა ფერდობზე, ციხე-კოშკის ქვემოთ, ჭენებ-ჭენებით მომავალი მხედრები გამოჩნდნენ. იქ მყოფებმა მაშინვე შეიცნეს მონადირეთა გუნდი, რომელსაც წინ თავად მთავარი მოუძლოდა. ეტყობა მონადირეებმა მთებს გადაღმა ნადირობისას თუ შენიშნეს ცეცხლოვანი ღრუბლები, ველმინდვრებსა და ხეობებს რომ გადაფარებოდა თავზე. და ამ სავალალო ნიშნისკენ გეზი ისევე ჯიქურ აიღეს, როგორც ეს დაგეშილი ნადირის დევნისას სჩვეოდათ. მხედრები ხრიოკსა და ქვალორღიან ფერდობზე მოაჭენებდნენ ცხენებსა და შემკრთალები უეცრად შედგენენ, რადგან ამ უკაცრიელ ადგილას ამდენი

ხალხის ნახვას არ მოელოდნენ. მხედრები ერთხანს გაოგნებულები იდგნენ და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ, თუმცა გარეგნულადაც აღელვება არ დასტყობიათ, როდესაც მათ ორიოდ სიტყვით ამცნეს საქმის ვითარება. მხედრებითა და შემოსწრებული ამალით გარშემორტყმული მთავარი ერთხანს გაოგნებული იდგა, მაგრამ, მალე გონს მოეგო და გადაწყვეტილება მიიღო, რა უნდა მოემოქმედებინათ. ყველანი მისი ბრძანების შესასრულებლად მოემზადნენ; სწორედ ამ დროს მავანმა ბრვე ვაჟკაცმა გაარღვია ამაღა და მთავრის წინ გაჩერდა. ქალისა და ბავშვის მსგავსად, მასაც ჭრელი სამოსი ეცვა; მერე ის იყო, მთელი ოჯახის დარდმა და მწუხარებამ უცბათ ამოხეთქა. კაცი, ეტყობა, საამისოდ შემზადებული იყო; მან საკმაო მანძილზე დაიხია უკან, რითაც მთავრისადმი კრძალვა და რიდი გამოხატა და თქვა:

– ჩემო მბრძენებელო, დიდებულო მონადირე! მოთქმა-ვაების დრო არ არის! ახლა ლომიც გამოგვექცა და აქეთ, მთებისკენ გამოემართა, მოიღეთ მონყალება, და, ის მაინც დაინდეთ, რათა ამ უდანაშაულო ნადირით ისიც არ გამოგვეცალოს ხელიდან!

– რაო, ლომიო? – ჩაეკითხა მთავარი. – მის ნაკვალევს გამოყევით?

– დიახ, დიდო მთავარო! ვილაც გლესს დაუნახავს ამ მიდამოებში, შეშინებია და ხეზე ამძვრალა, თუმცა არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. სწორედ მან აჩვენა ის გზა, ხელმარცხნივ, ზევით რომ ადის, მხედრების რაზმი რომ დავინახე, ცნობისმოყვარეობამ მძლია და აქეთ გამოვეშურე, თან ვიფიქრე, დახმარებას ვთხოვ-მეთქი.

– რაკი ასეა, მონადირეები აი, ამ გზით ნადით! – ბრძანა მთავარმა. – თოფები დატენეთ და ფრთხილად იმოქმედეთ! მხეცს უღრან ტყეში თუ შეიტყუებთ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის. მაგრამ იცოდეთ, კეთილო კაცო, იმ თქვენს ლომს, ბოლოს და ბოლოს, აღარ დავინდობთ! კი მაგრამ, რატომ არ გამოიჩინეთ სიფხიზლე, და, რატომ მიეცით ნადირს გაქცევის საშუალება?

– ბატონო ჩემო, ხანძარმა რომ იფეთქა, არ დავბნეულვართ და მაშინვე მასთან ბრძოლაში ჩავებით. ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა, მაგრამ ჩვენგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო, თან, მის ჩასაქრობად წყალი სამყოფად

გვექონდა და თავის დაცვა შეგვეძლო; სწორედ ამ დროს თოფის წამლის კასრები აფეთქდა და ცეცხლმა უმალ ჩვენსკენ გადმოინაცვლა, მერე კი, სიჩქარესა და ალიაქოთში, ეს უბედურება დაგვატყდა თავს. – მიუგო კაცმა.

ის-ის იყო, მთავარი მორიგ ბრძანებას გასცემდა, რომ ამ დროს ძველი ციხე-კოშკის მხრიდან ჭენებ-ჭენებით მომავალი მხედარი გამოჩნდა, წამით ყველა გაყუჩდა, მაგრამ მალე მასში იქაური მზირი შეიცნეს, რომელსაც ციხე-კოშკში დაედო ბინა და მხატვრის სახელოსნოს დარაჯობდა. აქოშინებული მხედარი მთავარს მიეახლა და გულამომჯდარმა მოკლედ მოახსენა, ზემოთ, მაღალი გალანის უკან, ასწლოვანი ნიფლის ძირში, მზის გულს არხინად მიფიცხული ლომი ენახეო; მერე ბრან-მორეულმა დასძინა: „რა ჯანდაბად წავილე გუშინ ჩემი თოფი ქალაქში გასანმენდად?! იარაღი რომ მქონოდა, ნადირს იქვე მივასიკვდილებდი, ტყავიც დამრჩებოდა, და, მერე ეს ამბავი მთელი სიცოცხლე სატრაბახოდ მექნებოდა, რადგან ამით, მართლაც რომ შეიძლება, კაცმა თავი მოიწონოს“.

მთავარს გამოცდილი მხედარი ეთქმოდა და ამკარა საფრთხის წინაშეც პირისპირ არაერთხელ მდგარა, ამიტომაც ახლა უცნობ კაცს მოუბრუნდა და უთხრა:

– ვთქვათ, ლომი დავინდეთ და არ მოვკალით, თავდებად დაგვიდგებით, რომ ხალხს არ ერჩის და უბედურებას არ დაატრიალებს?

– აი ეს ქალი და ბიჭუნა იქნებიან ამის თავდები! – უმალ მიუგო მამამ. – ამ საქმეს ისინი აიღებენ თავის თავზე და ნადირს ისე დააშოშმინებენ, რომ იგი კაციშვილს ზიანს არ მიაყენებს. მე კი მანამდე რკინის გალიას ამოვიტან, ლომს უვნებლად მოვათავსებთ შიგ და უკან გავაბრუნებთ.

პატარა ბიჭუნას, ეტყობოდა, ხალხში თავის გამოჩენა უნდოდა, ამიტომაც მოამზადა ჩიბუხივით ოდნავ გალუნული, სალამურის მსგავსი საკრავი, რომელიც დიდოსტატი ხელოვანის ხელში ნაზსა და ნეტარ ჰანგებს გამოსცემს ხოლმე. სწორედ ამ დროს მთავარმა მზირს ჰკითხა, როგორ მოიახერხა ლომმა იმ სიმართლეზე ამოსვლაო.

– კლდეში გაჭრილ ხეობას თუ ამოუყვავა, – მიუგო მზირმა. – უხსოვარი დროიდან მხოლოდ ამ გზით ამოაღწევს

კაცი ციხე-კოშკამდე, ადრე ორი საცალ-ფეხო ბილიკიც ადიოდა ზემოთ, მაგრამ ისინი ჩაფხერგეთ, რათა კაციშვილს ვერსაიდან ვერ ამოეღნია ჯადოსნურ ციხე-კოშკამდე. ამ საქმეს ბატონი ფრიდრიჰის ჭკუა-გონებისა და გამჭრიახობის წყალობით დავადგით თავი.

ჩაფიქრებული მთავარი ერთხანს ბიჭუნას გაჰყურებდა, რომელიც სალამურს არაკრავებდა, მერე ჰონორიოს მიუბრუნდა და უთხრა:

– მართალია, დღევანდელ დღეს დიდი ჯაფა დაგადგა, მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო, ახლა თოფები ჩახმახზე შეაყენე და ნადირს ვინროებში ჩაუსაფრდით, ოღონდ არ ესროლოთ! იარაღი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენეთ, თუ ლომი არ შეგეპუებათ და იერიშზე გადმოვა, ქვევით ჩასვლა თუ დააპირა, შესაშინებლად კოცონი დაანთეთ! დანარჩენები აქ დარჩენენ!

ჰონორიო სწრაფად გატრიალდა ბრძანების შესასრულებლად; ბიჭუნა კი უკრავდა და უკრავდა. მართალია, სალამური მწყობრ ჰანგებს არ გამოსცემდა და მსმენელებს მხოლოდ უწესრიგოდ ახმიანებული ბგერები ჩაესმოდათ ყურში, მაგრამ ალბათ სწორედ ეს უჩუყებდა მათ გულს ყველაზე მეტად და მონუსხულებივით სწორედ ამიტომ უსმენდნენ ბგერათა ამ საოცარ მონაცვლეობას. მერე ის იყო, ბიჭის მამამ დარბაისლურად, თუმცა ოდნავ მღელვარე ხმით წამოიწყო:

– უფალს ჩვენი მთავარი სიბრძნით დაუჯიღილოებია და მისთვის იმის გაგების უნარიც არ მოუკლია, რომ ღვთის ნებით შექმნილი ყოველი არსება თავისებური გონიერებით გამოირჩევა. აბა, თვალი შეავლეთ ამ კლდეს, რა შეურყევლად დგას ერთ ადგილას, როგორ ეურჩება ავდარსა თუ მზის სხივებს! თავგვირგვინდამშვენებული რა ამაყად გასცქერის მიდამოს! მაგრამ, საკმარისი, ერთი პატარა ნატეხი ჩამოეშალოს, და, უწინდელი კლდე იერსახეს შეიცვლის, მერე კი მთლიანად ჩამოინგრევა და ეს ფერდობი კლდის ნატეხებით მოიფინება; თუმცა ნატეხები ერთ ადგილზე არ გაჩერდებიან, ხრიგინ-ხრიგინით ჩაგორდებიან დაბლა და ნაკადულს შეერთებიან, რომელიც მათ მდინარეში ჩაიტანს. მერე კი წვეტიანი, მრგვალი და სლიპინა ლოდები გზას განაგრძობენ, და, ასე ივლიან მდინარიდან მდინარემდე, ვიდრე ბოლოს ოკეანეს არ მიაღწევენ, სადაც





გოლიათები ჯგროდ ამომართულან წყლის ზედაპირზე, ქონდრისკაცები კი მის სილმეში სახლობენ.

და მაინც, აბა ვის ძალუძს ისე განადიდოს ღმერთი, როგორც ვარსკვლავთა გუნდი ამბობს მის სადიდებელს უკუნითი უკუნისამდე! ხალხო, რატომ მიაპყრობთ ხოლმე მზერას შორეთს? აი, აქვე, ამ ფუტკარს შეხედეთ! გვიან შემოდგომითაც კი მუყაითად ირჯება და შვეულ-თარაზულად ბინას ისე იშენებს, ოსტატ-შეგირდის ნახელავი გეგონება. ახლა ამ ჭიანჭველასაც შეავლეთ თვალი! მას ხომ გზა არასოდეს აერევა; აგროვებს თავისთვის ბალახ-ბულახს, მინის ნაფხვებსა და წინვებს, იშენებს სახლს და მერე გადახურავს კიდეც. მაგრამ ამაოა მწერის შრომა-გარჯა. აი, სად არის და სად არა, უეცრად საიდანაც ცხენი გამოჩნდება და წამში გადაუთქვრავს და მოუსრავს ყველაფერს! აბა ახლა იქით გაიხედეთ! ცხენი ფლოქვებით როგორ ანგრევს და ანადგურებს ძვლებსა და ღობეებს, როგორ ხვიხვინებს დაუოკებელი და ვერ დამცხრალა?! ეს იმიტომ ხდება, რომ ღმერთს რაში ქარის მოციქულად და ქარიშხლის თანამგზავრად შეუქმნია, რათა მან თავისი მხედარი, რაინდი იქნება ის თუ ბანოვანი, მისი სურვილისამებრ გააჭენოს.

ეს ლომი პალმის ჭალების მკვიდრი გახლავთ; მედიდურად დააბიჯებდა უდაბნოში და მას ნადირთა მეფეს უხმობდნენ; ურჩობას ვერავინ გაუბედავდა, მაგრამ ადამიანმა მოახერხა მისი მოთვინიერება; ჰოდა, ამ უმძვინვარეს ქმნილებასაც კი გაუჩნდა მონინების გრძნობა იმის მიმართ, ვინც შექმნა ღმერთმა სახედ თვისად და ხატად თვისად იმ ანგელოზთა მსგავსად, ღმერთსაც რომ მსახურებენ და მის ქვეშევრდომსაც. გამოქვებულში ლომის პირისპირ, განა შეიპყრო შიშმა დანიელი?! ის დინჯად და მხნედ განაგრძობდა სიმლერას მაშინაც კი, როდესაც ლომი ბრდღვინავდა და მძვინავრებდა.

მამის სიტყვებს ბიჭუნა დროდადრო საამურ ჰანგებს აყოლებდა; მერე კი, როდესაც კაცმა თავისი სათქმელი თქვა, ბავშვმა წკრიალა ხმით სიმღერა წამოიწყო; მამამ მას სალამური გამოართვა და ჰანგი შეუწყო, ბიჭმა კი სიმღერა განაგრძო:

**„ანგელოსთა დასი დაფარფატებს ცაში,
წინასწარმეტყველი ამო ჰანგით
გვატკობს,**

**ეს სიმღერა მისი აქ ჩამესმა ხევში.
მთხრებლში მყოფ კეთილ კაცს რა
შეაკრობს მარტოს?!**

**გალურსულან იქვე ძუ და ხვადი ლომი,
წინასწარმეტყველის ხმა სიმშვიდეს
ბადებს,
მხეციც მოხიბლულა მის ნაზი ხმებით,
ეს რა შეძლებიათ ტკბილსა და მშვიდ
ჰანგებს!**

მამა ბიჭს სალამურს აყოლებდა, დედა კი დროდადრო მეორე ხმას აღლევდა შვილს, ყველზე შთამბეჭდავი ამ დროს ის იყო, რომ ბიჭუნა ლექსის სტრიქონებს გადააადგილებდა ხოლმე, თუცმა ახალს არაფერს ამბობდა; ეს კი მსმენელებს ერთობ აღლევებდა და გულს უჩუყებდა:

**„ანგელოსთა დასი სიმღერებით
გვატკობს,
სიხარულით სავსე დაფარფატებს ცაში,
ამ ჰანგის გამგონეს, თუნდ ხევში, თუნდ
მთხრებლში,
განა რამეს ძალუძს შეაშინოს ბავშვი?!
.....**

**უკეთურს და უგვანს სძლევს ჰანგები
წყნარი,
ახლოს არ მიუშვებს აეშავს და ბოროტს;
ანგელოსთა დასი დაფარფატებს ცაში,
ასეთია ქველი სიმღერების ბოლო!“**

შემდგომ ამისა სამივემ, აღმაფრენით შემოსძახა:

**„არსთ-არსება არის სამყაროს მეფე,
შორით ზღვებს გასწვდება მისი ლალი
მზერა,
და ტალღები უმაღ დაიხვევენ უკან,
ლომის კრავად ქცევას დაინახავს ყველა.
მოქნეული ხმალი გაქვავდება წამით,
რწმენას, იმედს ჩვენსას, თავს
გვირგვინი მოსავს,
საოცრებას სწადის კაცის სიყვარული,
როს გაკრთება მასში იდუმალი ლოცვა“.**

ირგვლივ სიჩუმე ჩამომდგარიყო. იქ მყოფნი სულგანაბული უგდებდნენ ყურს სიმღერას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუსიკის ჰანგები მიწყდა, აშკარად ჩანდა როგორ აჩუყებოდა გული ყველას.

მთავარმა, რომელიც ახლალა მიხვდა, რა უბედურებას გადაურჩნენ სულ ცოტა ხნის წინ, მის მხარზე მიყრდნობილ მუღლეს შეხედა. ქალმა ანაზდად მოქარგული ხელმანდილი ამოიღო და თვალებზე მიიფარა; იგი ახლა თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან გაჰქრობოდა შიში, რომელსაც, აი უკვე რახანია,

შეეპყრო. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამომდგარიყო. იფიქრებდით, ყველას გადაავიწყდა ქვემოთ ხანძარი რომ მძვინვარებს, ზემოთ კი მშვიდად მიწოდებული ლომი არხეინად თვლემსო.

მთავარი მალე გამოერკვა ფიქრებიდან და მსახურებს ხელით ანიშნა, ცხენი მომგვარეთო; დანარჩენებიც აჩოჩქოლდნენ. მერე მთავარი უცნობ ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

– მამ თქვენ ამბობთ, რომ სალამურის ჰანგებითა და სიმღერით შეძლებთ ლომი დააშოშმინოთ და, შემდგომ ამისა, უვნებლად და უხიფათოდ შეიტყუოთ გალიაში, არა?

მთავარს სამივემ ერთხმად მისცა დასტური. მერე ის იყო, ოჯახს მეგზურად მზირი გააყოლა; მთავარი მცირე ამალით მაშინვე მოსწყდა ადგილს, მეუღლე-ქალბატონი კი მსახურების თანხლებით მის კვალდაკვალ ნელ-ნელა გაუყვა გზას. მზირი, რომელსაც თოფი ეშოვნა სადღაც, დედა-შვილთან ერთად აუყვა ციცაბო მთას. ვიდრე ხეობაში შევიდოდნენ, ციხე-კოშკისკენ მიმავალი გზა დაინახეს; იქვე მონადირეები შემოხვდათ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, კოცონის დასანთებლად კაჭაჭს აგროვებდნენ.

– ცეცხლის დანთება არ დაგჭირდებათ! – უთხრა მათ ქალმა, უმაგისოდაც მშვიდობიანად ჩაივლის ყველაფერი.

ზემოთ ასულებმა, იქვე შორიასლო, გალავნის ნანგრევზე ჩამომჯდარი ჰონორიო შენიშნეს; ორლულიანი თოფი მუხლზე ამოედო, და როგორა სჩვეოდა, ახლად შემართული ელოდა, როდის დასჭირდებოდა საქმისთვის თავის გამოდება; ამასთან ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა და დაბნეული მზერა ჰქონდა, ამიტომაც მოახლოებული ხალხი ვერ შენიშნა. ქალი რაინდს გამოელაპარაკა და სთხოვა, კოცონს ნუ დაანთებთო, მაგრამ რაკი ჭაბუკმა მისი ნათქვამი არაფრად ჩააგდო, ქალს აღელვება დაეტყო და უთხრა:

– პირმშვენიერო ჭაბუკო, ვეფხვი რომ მომიკალი, ხომ არ შემიჩვენებინარ?! ახლა ეს ლომი მაინც დაინდე და ნუ მოკლავ! კეთილი ჭაბუკო, იცოდე, შენზე მლოცველი ვიქნები მარად!

ჰონორიო სივრცეს გაჰყურებდა, სადაც მზე ჩვეულ გზას მიუყვებოდა და ნელ-ნელა შორეთში იძირებოდა.

– ჭაბუკო, ვხედავ, ნეტარებით გასცქერი დასავლეთის მხარეს! იქ საგმირო საქმეები გელის! ნულარ დააყოვნებ,

იჩქარე! მჯერა უთუოდ გაიმარჯვებ, მაგრამ მანამდე გამარჯვება საკუთარი თავზე გმართებს!

ამ სიტყვებზე ჭაბუკს ჩაელიმა, ქალი კი კვლავ შეუდგა ფერდობს და გზა განაგრძო, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და რაინდს უკანასკნელად შეავლო თვალი: ჩამავალი მზის სხივებს გაენათებინა ვაჟის პირისახე და ქალმა გაიფიქრა, ასეთი მშვენიერი ჭაბუკი არასოდეს მინახავსო.

– თუ თქვენმა ბიჭუნამ, როგორც გვარმუნებთ, ლომი გამოიტყუა, მის დაჭერას სულ ადვილად მოვახერხებთ, რადგან მძვინვარე ნადირი გამონგრეულ თაღთან მოკალათებულა, სადაც მთავარი კარიბჭე ქვა-ლორღითაა ჩახერგილი. ჩვენ ამ ადგილას პატარა შესასვლელი გავთხარეთ, სასახლის ეზოში რომ გადის; თუ ბიჭი ლომს ეზოში შეიტყუებს, ლიობს ადვილად გადავკეცავ; მერე კი, ბავშვიც თუ დავითანხმეთ, მას იქვე კუთხეში მდებარე პატარა, ხვეული კიბით გამოვავარებთ; ჩვენც იქვე ახლო-მახლო დავიმალდებით; მე კი ისე ვიქნები ჩასაფრებული, რომ ყოველ წამს შემედლება გასროლა და ბავშვის გადარჩენა – უთხრა ციხის მზირმა ქალს, – სულ ზედმეტია თქვენი ლეღვა და ფორიაქი, ღმერთისა და ხელოვნების ძალა და სიკეთე თუ ბედსვიანობა თავისას გაიტანს და შემწეობას არ მოგვაკლებს! – ნეტამც ასე იყოს, – მიუგო მზირმა, – მაგრამ, მე ჩემი მოვალეობა მაინც უნდა შევასრულო. თავდაპირველად, საცალფეხო ბილიკით გალავანზე ავიყვანთ. როგორც მოგახსენეთ ეს გალავანი კარიბჭის პირდაპირაა აღმართული, ბიჭუნა ქვემოთ რომ ჩავა, სასაპარეზო მოედანზე ამოჰყოფს თავს, საიდანაც შესძლებს დამცხრალი ნადირის გამოტყუებას.

ასეც მოიქცნენ. დედა და მზირი ზემოდან ადევნებდნენ თვალყურს, ბიჭი ხვეული კიბით როგორ ჩავიდა დაბლა, მზის სხივებით განათებულ ეზოში და მოპირდაპირე ბნელ ლიობში გაუჩინარდა. მალე იქიდან სალამურის ხმა მოესმათ; მერე ნელ-ნელა ეს ხმაც მიიკარგა და ბოლოს მთლად მიწყდა.

დრო გადიოდა. ფათერაკებს მიჩვეულ მონადირეს უკვე მოუსვენრობა დაეტყო და გულში გაიფიქრა, ნეტავ თავად ჩავსულიყავი ლომთან და პირისპირ შევეყროდიო.

დედა კი წინ გადახრილიყო, ნეტარი სახით გასცქეროდა მიდამოს და აღელ-





ვების ნიშანწყალი არ ეტყობოდა, და, აი კვლავ გაისმა სალამურის ხმა და ქვაბურიდან სახეგაციისკროვნებული, კმაყოფილი ბიჭუნა გამოვიდა, მას უკან ნელი ნაბიჯით ლომი მიჰყვებოდა. ეტყობოდა, ნადირთა მეფეს სიარული უჭირდა და დროდადრო ცდილობდა სადმე მიწოლილიყო, მაგრამ ბიჭი არ ანებებდა; აი, მან ახლა ლომი ეზოში ნახევარ წრეზე შემოატარა და ჭრელ-ჭრელი ფოთლებით შემოსილ, ოდნავ გამეჩხერებულ ხეებს შორის გამოიტანა. ბიჭი იმ ადგილას დაჯდა მინაზე, ნანგრევის ღობეებში შემოჭრილი მზის უკანასკნელ სხივებს რომ გაენათებინათ, და მშვიდად წამოიწყო სიმღერა, რომლის სიტყვების გამეორებას ჩვენც არ დავიზარებთ:

**„ანგელოსთა დასი დაფარფატებს ცაში,
წინასწარმეტყველი ამო ჰანგით
გვატკობს,
მე სიმღერა მისი აქ ჩამესმა ხევში,
მთხრებლში მყოფ კეთილ კაცს რა
შეაკრთობს მარტოს?!“**

...
**გალურსულა იქვე ძუ და ხვადი ლომი,
წინასწარმეტყველის ხმა სიმშვიდეს
ბადებს,
მხეციც მოხიბლულა მისი ნაზი ხმებით,
ეს რა შესძლებიათ ტკბილსა და მშვიდ
ჰანგებს!“**

ამასობაში ლომი სულ ახლოს მივიდა ბიჭუნასთან და ფერთხით დაუნვა, მერე წინა მარჯვენა თათი მძიმედ ჩაუდო კალთაში. ბიჭი სალამურს უკრავდა, თან კი ცალი ხელით ნაზად ეფერებოდა ნადირს; უეცრად შენიშნა, რომ ლომს თათში ეკალი შესობოდა, ბავშვმა მზრუნველად ამოუღო ეკალი, მერე ღიმილით მოიხსნა ჭრელი აბრეშუმის ქალაღია და მხეცს ნატკენი თათი შეუხვია.

ამ სურათის დანახვაზე ბიჭის დედამ ორივე ხელი წინ გაიშვირა, და, ალბათ აღფრთოვანებას ხმამაღლა გამოხატავდა და ტაშსაც შემოჰკრავდა. ციხე-კოშკის მზირს დროზე რომ არ ეტაცა მისთ-

ვის ხელი და არ შეეხსენებინა, საფრთხეს ჯერ არ ჩაუვლიაო.

ბიჭუნა კი ხან სალამურს უკრავდა, ხანაც საზეიმო ხმით მღეროდა:

**„არსთ-არსება არის სამყაროს მეფე,
შორით ზღვებს გასწვდება მისი ლალი
მზერა,
და ტალღები უმაღ დაიხვევენ უკან,
ლომის კრავად ქცევას დაინახავს ყველა
...
მოქნეული ხმალი გაქვავდება წამით,
რწმენას, იმედს ჩვენსას, თავს
გვირგვინი მოსავს,
საოცრებებს სჩადის კაცის სიყვარული,
როს გაკრთება მასში იღუმალი ლოცვა“.**

ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი, რომ ამ საშინელ ქმნილებას, ტყეთა ტირანს და ცხოველთა სამყაროს დესპოტ მბძანებელს, მადლიერებისა და კმაყოფილების გამოხატვის უნარი შესწევდა; მაგრამ ახლა ამას აშკარად შეამჩნევდა კაცის თვალი.

სახეგაციისკროვნებული ბიჭუნა კი, მართლაც, მამაც მძლევებს ჰგავდა, თუმცა დამარცხებული არც ლომს არ ეთქმოდა, რადგან ძლევა მოსილება შეენარჩუნებინა და მხოლოდ საკუთარი ნების კარნახით გამხდარიყო მორჩილი და თვინიერი.

ბიჭუნა სალამურს უკრავდა და დროდადრო სიმღერასაც ჩაურთავდა ხოლმე, თან, როგორც სჩვეოდა, სიტყვებსა და ახალ სტრიქონებს უნაცვლებდა ერთმანეთს:

**„და სიამით დადის ანგელოსი სათნო,
კეთილი ბავშვების ნუგეშად და რჩევად,
რათა ამოძირკვოს ბოროტი ვნებები
და ზნეკეთილ საქმეს გამოუჩნდეს
მცველად.“**

...
**გამოუხმობს ნადირს ჰანგი საამური,
სიკეთე და სათნო გრძნობა უწყინარი,
რომ საყვარელ ბავშვთან მორჩილად და
მშვიდად,
მიიტყუეს იგი, ტყის დიდი ტირანი“.**

გერმანულიდან თარგმნა
ნანა გოგოლაშვილმა

ანტონიო მაჩადო ი რუისი

სუან დე მაირენა

სენტენციები, აზრები, შენიშვნები და მოგონებები ერთი აპოკრიფული პროფესორისა (ფრაგმენტები წიგნიდან)

სერვანტისი

ჩვენს სერვანტესს რაინდული რომანი კი არ მოუკლავს, – რადგან ის უკვე მკვდარი იყო, – პირიქით, მკვდრეთით აღადგინა და ისე ჩაალაგა გიჟის გონებაში, ვითარცა ლა მანჩის მირაჟებია უდაბნოში. რაინდული რომანებისგან, ამ გადაგვარებული ეპოსისგან – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, – მან შექმნა თანამედროვე რომანი. იმ მარტივი და უბრალო ჩანაფიქრისგან, ლიტერატურული პაროდის შექმნის მაგივრად – მანც ბედისა რა ირონიას! – იშვა ყველაზე ორიგინალური წიგნი, თუ რამ შექმნილა ლიტერატურაში. რამეთუ ამ დიდებაში ჩვენ, ესპანელებს, ვერავინ შეგვეცილება, რადგან ეს ჩვენია, ერთიანად და მთლიანად ჩვენია, არავის და არაფერს რომ არ შეედრება.

უცნაურია და სასწაულებრივია სერვანტესის ფანტაზიით შექმნილი სამყარო თავისი ორმაგი დროითა და ორმაგი სივრცით, სახეთა ორმაგი რიგით – რეალურითა და ჰალუცინაციით, – ადამიანის ორმაგი შემეცნებით – ორი გმირით, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ, მოგზაურობენ და საუბრობენ. ადამიანის გონების ამ უკურნებელი სოფისტიკის წინააღმდეგ აღსდგენ არა მარტო პლატონი და ქრისტე, არამედ სერვანტესისეული იუმორიც, მთელი მისი სულიერი სამყარო მისი იუმორით სავსე წიგნით, რითაც დღემდე ვსულდგმულობთ. გასაგებია, თუ რატომ იგვიანებს აქამდე მეორე დიდი და ახალი რომანი, რომელსაც ჩვენ ყველა ველოდებით.

შექსპირი

ჩვენთვის რომ ვსთქვათ, გინდათ თუ არა, დაასახელებთ ერთი, ერთადერთი პოეტიო, შექსპირს დავასახელებთ, ამ ბუმბერაზ შემოქმედს, უებრო გულ-

თამხილველს. იმასაც დავეხედით, რომ შექსპირი ახალი დროის ერთადერთი პოეტიო, ვინც ანტიკურ ოსტატებზეც უპირატესია. მისი თარგმნაც კი ძნელზე ძნელია თუნდაც მისი ლექსიკის წარმოუდგენელი სიმდიდრის გამო, თავისუფალი სინტაქსის, ირიბი ელიფსური გამოთქმების გამო თუნდაც, რადგან მათში გაცილებით მეტი იგულისხმება, ვიდრე ნათქვამია. ესოდენ ცოცხალი, ესოდენ გაუგებარი... ქმნილებები, რაც შექსპირმა შექმნა, მართლაც რომ არ არის ადვილი სხვა ენაზე ითარგმნოს. ამისთვის მარტო ის ენაა, რომელზეც წერდა. ფრანგები ხომ ისედაც ყველაფერს აღარბებენ, თითქოს აწესრიგებენ. ის კი არადა ლამის დააუთოონ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; ასე გეგონებათ, უნდათ გაგიმარტონ: „აი, რისი თქმა სურდა ამ საწყალ შექსპირსო“. შექსპირი იმდენად თავისებურია, ფრანგულ პოეტურ გენიაშიც კი არ მოიძებნება შექსპირისეული შესატყვისები, ეგებ ჩვენ, ესპანელები გავეუგებდით უკეთესად, მაგრამ არც ჩვენ ენაზე იქნება ადვილი მისეული ღრმა სკეპტიციზმის, აგნოსტიციზმის თუ ნიჰილიზმის გაგება და მით უმეტეს, ამასთან ერთად პოეტის უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი. ამ დიდებული ინგლისელის ქმნილებები რომ ითარგმნოს, – მაგრამ შექსპირია ინგლისელი, თუ ინგლისია შექსპირისეული, – იმის გარდა, რომ უნდა ვიცოდეთ ინგლისური ინგლისელებზე უკეთესად, ესპანური უნდა ვიცოდეთ იმაზე უკეთესად, ვიდრე დღეს ვიცით. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ არ მომწონს ბოლოდროინდელი თარგმანები, რომლებიც შეიძლება საუკეთესოთა რიცხვს მივაკუთნოთ. უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ნამდვილად გაგიჭირდებოდა მისი გაუმჯობესება – სრულყოფა.




„პოეზია არის დიალოგი ადამიანისა, საერთოდ ადამიანის, თავის დროსთან!“ „დრო არის პოეზიის მთავარი მოტივი!“ – ეს არის ანტონიო მაჩადოს, ესპანეთის „მეორე ოქროს საუკუნის“ თვალსაჩინო პოეტისა და პროზაიკოსის ეტიკური და ესთეტიკური კრედი, თითქმის იმპერატივიც. 1956 წელს, როდესაც ხუან რამონ ხიმენესს ნობელის პრემია მიანიჭეს, საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს პრემია თანაბრად ეკუთვნოდა სიკვდილის შემდგომ ანტონიო მაჩადოსა და ფედერიკო გარსია ლორკას, რადგან სამივე ერთად წარმოადგენს ესპანეთის ბრწყინვალე პოეზიის უბადლო ოსტატს.

20-იანი წლებიდან მოკიდებული ანტონიო მაჩადო, ამ დროისათვის უკვე სახელგანთქმული პოეტი, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა აუმბლიცისტურ წერილებსა და ფილოსოფიური ხასიათის ციკლებს აბელ მარტინისა და ხუან დე მაირენას ფსევდონიმით, რაც 1936 წ. გააერთიანა კრებულში „ხუან დე მაირენა. სენტენციები, აზრები, შენიშვნები და მოგონებები ერთი აპოკრიფული პროფესორისა“. ამ ორიგინალური ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებში გაიხსნა ამ ორი ფსევდონიმის საიდუმლო, მისი აზრი და შინაარსი, შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა მაჩადომ მათ საკუთარი ბიოგრაფიებიც კი შეუთხზა და ათქმევინა თავისი ყველაზე სასუკავრი შეხედულებები; აბელ მარტინი არის ზოგადი, მარადიული სახე, მოაზროვნე, პოეტი და ფილოსოფოსი; ხუან დე მაირენა, მისი მოწაფე, უფრო ლიტერატურული და პოლიტიკური სახეა, მაჩადოს ორეული თუ თავისებური ნიღაბიც კი, რიტორიკის მასწავლებელი; იგი თავის გაკვეთილებზე ხშირად იმონმებს თავისი მასწავლებლის აზრებსა და სხარტ მახვილგონივრულ გამოხატვებებს. მისი გაკვეთილებიც მეტად თავისებურია; იგი თავის მონათხრობთან ერ-



მიგელ დე სერვანტესი



უილიამ შექსპირი

თად ყოფნისას, აზროვნებს და მსჯელობს. ამ საუბრებისა და მსჯელობის გზით იგი ცდილობს მიაჩვიოს ისინი დამოუკიდებელ აზროვნებას, აზიაროს ხალხურ სიბრძნეს, ასწავლოს დაეჭვება, რაც გაუღვივებს მათ ცნობისმოყვარეობასა და ცოდნის წყურვილს; რაკი მაირენა გრძნობს, რომ დგება ჰუმანიზმის კრიზისის ხანა, პრაგმატიზმისა და ტექნიკის დაჩქარებული დრო, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შემოაბრუნოს ისინი სულიერებისაკენ, გადაარჩინოს გაუსახურებისა და უფერულ „მასად“ გადაქცევისაგან. დაეხმაროს, რომ ჩამოყალიბდნენ პიროვნებებად.

ნანარმოებს უმეტესწილად აქვს დიალოგის ფორმა, დანერვილია თავისუფალი კომპოზიციით, შედგება მცირე მოცულობის, ერთმანეთთან იდეურად და თემატურად დაუკავშირებელი თავებისაგან.

მაჩადოს ამ მეტად ორიგინალურმა პროზაულმა ნანარმოებმა უმაღლივი ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკოსების ყურადღება და აღიარებაც მაჩადოს პოეზიაზე არა ნაკლები მნიშვნელობის თხზულებად.

„დონ ანტონიო ესპანელი“ – ასე

უნამუნო

ჟურნალი „ორა დე ესპანიას“ №15-ში დაიბეჭდა დონ მიგელ დე უნამუნოს, დიდი მიგელ დე უნამუნოს, ჩვენი უძვირფასესი მასწავლებლის რამდენიმე გამოუქვეყნებელი ნანარმოები, რომელსაც დართული ჰქონდა ხოსე მარია კირთგა პლას, – დონ მიგელის სიძის, – დიდი სიყვარულით და მონივნებით შედგენილი და ფრიად ყურადსაღები კომენტარები.

დონ მიგელ დე უნამუნოს გარდაცვალების ამბავი დღემდე იდუმალებითაა მოცული და თვით არაჩვეულებრივ მოვლენათა მადევერებმაც კი ვერაფერი შეიტყვეს, მაგრამ ჩვენ, ვინც მართლა ვიცნობდით მას და გვიყვარდა, სულ არ გვაფიქრებს მისი სიკვდილის აქამდე გაურკვეველი გარემოება; ჩვენ ისედაც ვიცით ყველაფერი, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ხოლო ჩვენთვის მთავარია ის, რომ გვწამს, ისევე ღირსეულად მოკვდებოდა, როგორც იცხოვრა და ამაში ეჭვი არავის გვეპარება. დონ მიგელ დე უნამუნოს ცხოვრება ერთიანად იყო გაბმული ფიქრი სიკვდილზე, დიდებული, ნათლითმოსილი აგონია, და არც შეიძლება სხვანაირად მომკვდარიყო, თუ არა საკუთარ თავთან, საკუთარ რაობასთან და საკუთარ ღმერთთან ბრძოლაში.

„ოჰ, სანტა რიტა, ჩვენი მფარველო, გარდაცვალების სულთა ქომაგო, აკი სიცოცხლე ზეციურის საჩუქარია, განა იქნება საჩუქარი უკან ნაიღოს!“

ზღაპრის ნანამძღვარზე განყოფილ ამ ლექსს, რომელსაც ერთიანად მსჭვალავს რელიგიური გრძნობების გულწრფელ აღიარებასთან ღვთისადმი საყვედურიც და ლოცვაც, დიახ, უთუოდ ამ ლექსს ამოაყოლა სული დონ მიგელმა, იქ, თავის ოქროს სალამანკაში, რომლის მარტო ჭვრეტაც კი უდიდესი ნეტარება იყო მისთვის და ესეც აუკრძალეს გენერალ მოლას ჯაშუშებმა.

ოთხ მიგელს, ოთხ ბუმბერაზ მიგელს შორის, რომლებიც აღიქვამენ და გამოხატავენ ესპანეთის უმთავრეს არსს (მიგელ სერვეტი, მიგელ დე სერ-

ვანტესი, მიგელ დე მოლინოსი და მიგელ დე უნამუნო), უნამუნო დროის მიხედვით კი იყო ბოლო, მაგრამ მათზე პატარა არამც და არამც არ ყოფილა.

დადუმდა უნამუნოს ხმა და მათ, ვინც არ გაუგია, რომ მისი სიკვდილი მასშტაბურად ეროვნულ კატასტროფას უტოლდება, ესლა შეგვიძლია ვუთხრათ: „მიუტევე მათ, უფალო, რამეთუ არა უწყიან, ვინ დაკარგეს!“

მართალია, დონ მიგელ დე უნამუნოს ცხოვრება იყო ერთი გაბმული ფიქრი სიკვდილზე, მაგრამ იგი მაინც არ ყოფილა სტოიკოსი, ვინც მორჩილად აღიარებს გარდაუვალ ბედს. პირიქით, იგი გახლდათ სენეკას სრული ანტიპოდი, უნამუნო არის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, ეგზისტენციალისტი, რომელმაც დაასწრო უახლოეს ფილოსოფიურ აზრს (ფრაიბერგის ფილოსოფიას), რამაც უმაღლეს განვითარებას მიაღწია ჰაიდეგერის შრომებში, მაგრამ უნამუნო მივიდა ჰაიდეგერის რადიკალურად სანინალმდეგო დასკვნებამდე: „ცხოვრება დასაბამიდან დასასრულამდე არის ბრძოლა სიკვდილის დეტალურ გარდაუვალობის წინააღმდეგ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, აგონია! ადამიანური სათნოებანი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ღრმადაა ფესვგადგმული ადამიანის ტრაგიკული და აგონისტური შემეცნების ამ უმაღლეს ძალაში. ჩვენი ცხოვრების გმირია დონ კიხოტე, თავისი არსით ანტიპრაგმატიკოსი, მორალურად დაუმარცხებელი და დაუძლველი გმირი, ვინც იცოდა, ან ეგონა რომ იცოდა: ყოველგვარი დაუმარცხებელი გამარჯვება არის მორალური დამარცხება და საბოლოო ანგარიში. გამარჯვების დამსახურება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მოპოვება! დონ კიხოტეს ძირეული იდეა უნამუნოს ყველაზე უფრო ღრმა აზრის ღვიძლი დაა:

„იცხოვრე ისე, რომ სიკვდილი თქვენთვის იყოს უმაღლესი უსამართლობა!“

სუან დე მაირენა და 98 წლის თაობა. პალი-ინკლანი

სუან დე მაირენამ ვალიე-ინკლანი გაიცნო დაახლოებით 1895 წელს. თავად მისგანვე მოისმინა მექსიკაში თავგადახდენილი ამბები და მისი პირველი წიგნის „ქალთა სახეების“

პირველი მყიდველიც თვითონ იყო. „მართალი გითხრათ, – ეტყოდა ხოლმე მაირენა მეგობრებს – დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს კაცი ნამდვილად გამოიჩინდა სიმამაცეს და დაუნანებლად გასწირავდა თავსაც, რასაც ვითომ იჩემებს და შეიძლება კვებნა-ბაქიობაში ჩამოართვა. ეჭვი არ მეპარება, რომ მართლა ზეგარდმო ნიჭი აქვს მომადლებული თავკაცობის; ცხელი მინის ჯარის საპატიო წინამძღოლადაც რომ აერჩიათ – რასაც თვითონვე გვიყვებოდა რაც ისევ მექსიკელების ბრალი იქნებოდა, მთელ დუნაზე ნამდვილად არ მოიძებნებოდა კაცი, მასზე უკეთესი მხედართმთავარი, რომ იქნებოდა. თუმცა კი ქველობის გარდა მას ჰქონდა სინმინდე, მგზნებარე სურვილი თავისი არსებობის გაკეთილშობილებისა და თავისი გადარჩენის ჟინი, ეგებ თვითონ კი ფიქრობდა, რომ ხმალი შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს, მაგრამ ოდენ კალამი იყო მისი გადამრჩენელი, რომ გამხდარიყო ჩვენი სიტყვიერების წმინდანი.“

იყო კიდევ ჩვენი სიტყვიერების წმინდანი ვალიე-ინკლანი, ვინც თავისი ადამიანური ბუნება შესწირა ისეთ ბრწყინვალე ლიტერატურას, უკეთესს რომ ვერ წარმოიდგენს ადამიანი, ჩვენ გაუძღვებით უნდა ვკითხულობდეთ მის წიგნებს, რომლის ფურცლები განუმეორებელ სიამოვნებას განგვაცდევინებს. ხოლო ამ წიგნების ავტორი, გაცილებით ცხადად წარმოგვიდგება მის წიგნებში, უფრო ნათლად იხატება ნამდვილი ვალიე-ინკლანის სახე, ვიდრე ამ წიგნების შემთხვევლი ვალიე-ინკლანი. ხოლო კეთილ დონ რამონ დელ ვალიეზე, ჩვენ სათაყვანო მეგობარზე, ვინც სამარადისოდ დარჩება მისაბად მაგალითად, იმას-ღა ვიტყვით, რომ იგი იყო ის, ვინც მას უნდოდა რომ ყოფილიყო! შეუდრეკელი რაინდი, ვისაც საყვედურს ვერავინ ეტყოდა, მაგრამ ერთი წამით დავივიწყოთ მისი თავგადასავლებითა და ანეგდოტებით მდიდარი ცხოვრება და მხოლოდ ერთი მეტად კეთილშობილური და მისთვის დამახასიათებელი დეტალი მოვიხსენიოთ სიკვდილის წუთებში რომ გამოიჩინა: როდესაც გამაოგნებელი განკარგულება გასცა, თავისიანებს თითქმის უბრძანა, რომ დაესაფლავებინათ სამოქალაქო წესის თანახმად, არავინ ელოდებოდა რომ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი ნება. სამოქალაქო წესის

თანახმად! ისიც ასეთ ქალაქში კომპისტელაში, რომელიც განთქმული იყო სასახელო ტაძრებით და კაპიტლებით, არქივისკოპოსითა და საკურთხევლით, მერე რა ბრწყინვალე დეკორაცია იქნებოდა ბრადომინის დაკრძალვისათვის! მაგრამ ვალიე-ინკლანი თავად ურადომინის წმინდა შემთხვევლი, უწინარეს ყოვლისა, იყო სინამდვილის, რეალობის პირმო, ხოლო მერე თავისი ფანტაზიის ნაყოფი. „როგორ ყოვნებს!“ – ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები სიკვდილის მიმართ, სიტყვები პოეტისა და მეომრისა, მოთმინება რომ გამოლეოდა, ეეჰ, მაინც რა დიდებული იყო დონ რამონი იმ სამწუხარო და ხან ამადლებულ წუთებში, როგორც იხსენებს მანრიკე!


ერიდეთ ლიტერატურულ მანევრულობას, თვითმყოფობის ამ უბოროტეს მტერს; ნუ დაგავინცდებათ, რომ თქვენ წერთ უკვე კარგად დაღვინებულ, ფოლკლორითა და ხალხური სიბრძნით გაჯერებულ ენაზე. აკი სწორედ ფოლკლორი იყო ის წმინდა თიხა, რისგანაც სერვანტესმა გამოძერწა ყველა დროის და ყველაზე თვითმყოფადი ლიტერატურული ქმნილება. ნურც ის დაგავინცდებათ, რომ მანერულობის ტრფიალი, რომლებიც მიდრეკილი არიან ზედაპირული, ანუ მხოლოდ გარეგნული თავისებურებისკენ, შეიძლება საბაბიც მისცეთ შეგედავონ, თუკი თქვენს გონებას და გულს მთლიანად არ ჩადებთ თქვენს ნაღვანში, ხოლო კიდევ უფრო მეტ საბაბს მისცემთ, თუ გადავარდებით უკიდურეს ნაციონალიზმში, თავს იმით რომ იწონებდნენ, მსოფლიო კულტურა მხედველობაში რატომ უნდა მივიღოთ.

არიან მწერლები, რომელთა სიტყვები აზრს ეძებენ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა აზრი სიტყვებს ელოდება, აზრისა და სიტყვის თანხვედრა ოდენ ბედნიერი შემთხვევის წყალობაა, თუმცა არსებობენ საოცარი მწერლებიც, სიტყვის ოსტატებს რომ უწოდებენ, რომლებსაც იმპროვიზირებული აზროვნება აქვთ და შთაგონებას ისღა რჩება, რომ მას დაჰყვეს.

ესპანურიდან თარგმანა
მერი ტიტინიძემ



მიგელ დე უნამუნო



რამონ დელ ვალიე-ინკლანი

უწოდებენ მაჩადოს ესპანელი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები განსაკუთრებული სიყვარული-სა და პატივისცემის ნიშნად. კარგა ხანს მაჩადო, ლორკა, უნამუნო, ბაროხა, ორტეგა ი გასეტი იზოლაციაში ცხოვრობდნენ და აკრძალულიც იყო მათი ნაწარმოებები, მაგრამ დღეს, როდესაც ახალგაზრდები ეძებენ არა მხოლოდ ფოლოსოფიის თუ ესთეტიკის მასწავლებელს და ისევ წარსულისაკენ იმზირებიან, აცხადებენ – „დღეს ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ მეტაფიზიკური ანდა, სავსებით განზოგადებულ-აბსტრაქციული პასუხები, არამედ გაკვეთილი როგორ ვიცხოვროთ და მოვკვდეთ ღირსეულად“. კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების უმრავლესობა დაასკვნის, რომ ასეთი მასწავლებელია ანტონიო მაჩადო თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით და მიგელ და უნამუნო თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით, (ცნობილი კრიტიკოსის როდრიგეს პუერტოლასის ნაშრომი „1898 წლის თაობა და დღევანდელი ესპანელი ახალგაზრდობა“).

ერთი ლექსის ისტორია



1960 წლის 23 აგვისტო – გაგრაში 26 წლის ქართველი მწერალი, გურამ რჩეულიშვილი დაიღუპა. ადიდებულ ზღვაში, სხვების გადასარჩენად შევიდა, ის სხვები გადაარჩინა, თვითონ კი სიკვდილს ხელიდან ვეღარ დაუსხლტა.

ეს ამბავი მას მერე გავიგე, რაც გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები წავიკითხე. ზუსტად მასხოვს: თეთრ-ვარდისფერი ნიგნი იყო, მზე და ცხენოსანი ჭაბუკი ეხატა, რჩეული კრებულში; მე თოთხმეტი წლის ვიყავი და, ისეთი ზამთრის ღამე იდგა, თოთხმეტი წლისა ადვილად რომ შეადარებ ქაჯთა და ავსულთაგან შელოცვილ წყვილად. წყვილადი, ყინვა და აქა-იქ სროლის ხმა. ნაომარი თბილისი და მთელი სამშობლო.

სამშობლო! – ეს სიტყვა იმ ღამით პირველად ვიგრძენი ისევე ბუნებრივად, როგორც დიდხნის უნახავ მამას რომ ჩაეკრები, ან როგორც მთელი დღის თავნამტრევე კითხვაზე უცებ პასუხი მოგაგონდება.

რომ ვკითხულობდი, გარკვევით მესმოდა, ამ მოთხრობების ავტორი როგორ მიყვებოდა მათ, თვითონ მეჯდა ნინ და, მთელი ღამე მომითხრობდა ამბებს თავისუფლებაზე, სიყვარულზე, რაინდობაზე, თოვლზე, ცხენებზე...

და ისეთი ძალის მქონენი იყვნენ ეს ამბები, რომ ავსულთა და ქაჯთა ნაწყველარი ღამის ნაჭუჭიც კი გამოამსხვრიეს და განთიადამდე შეძრეს სამყარო.

ეს ამბები აღმოჩნდნენ ისეთი ძლიერებიც, შთამბეჭდავებიც, რომ დღემდე გაუნელებლად ბრიალებენ არამხოლოდ ჩემს, არამედ ყველა მისი მკითხველის გულში და ხმა, რომელსაც გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება გამოსცემს, ჩემთვის დღემდე ყველაზე მეტად სამშობლოს ხმად რჩება. სამშობლო კი ერთია, ერთადერთია – ის ადამიანიდან ღმერთამდე სავალ გზას მოიცავს.

გურამ რჩეულიშვილი, თავისი პიროვნული და შემოქმედებითი ლეგენდით, ჩემი ყველაზე საყვარელი მწერალია და, ხანდახან წინასწარ ვზეიმობ კიდევ, მასთან ოდესმე შეხვედრით...

წელს მისი გმირული გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნე სრულდება.

ეს ლექსიც მისი მონატრების დღეებიდანაა...

ნინო სადლობელაშვილი

გურამ რჩეულიშვილს

საშენო საქმეა –

ჩამოუარო მარადისობის

დამტვერილ დერეფნებს

და თაროებზე

ნაუკითხავი ქრონიკები ეძებო:

„სახლიდან გავედი და

შეუძლებელს ვეტრფი,

ადრე ვცხოვრობდი

ქალაქგარეთ, იების სანაპიროზე,

ერთხელ ერთი ნიგნი ავიღე და

იმის მერე ყველაფერს

სამყაროში

იმ ნიგნს ვატოლებ,

ერთი ბიჭი შემეყვარდა

რომელიც თვალითაც არ მინახავს,

რადგან,

სანამ დავიბადებოდი,

30 წლით ადრე მოკვდა –

ცალ ხელში მზე ამოეჩარა და

მეორეთი კი ზეცას ფილტვებიდან უღებდა

წყალს...

იმდენი წელი ვიცოცხლე,

რამდენიც იმ ბიჭმა და,

კიდევ ცოტათი მეტი,

მანაც იმის ნილ ღრუბელს

მოვიჩოჩებდი ხოლმე და

ხბოსავით შევეყოფდი თავს,

სადაც წავედი,

ყველგან მარტოობის მათრახით გამომყვა,

იმსიმაღლიდან დამყვიროდა და

ლაჟვარდის ხმა ჰქონდა,

მე ველარავინ მოვატყუე,

ლაჟვარდს ვერ ვუღალატე,

სახლიდან გავედი და

სახლი წყალმა ნაილო.

ევკალიპტები გვედგა ეზოში და

ისინიც წყალმა ნაილო...

ყველანი ქუჩაში გავედით და

ზარების ნაცვლად

საათები დავკიდეთ,

ქარი მოდიოდა და

როცა უნდოდა, რეკავდა...

ველარსად ვნახე მე ის ბიჭი,

ან იქნებ სამუდამოდ წავიდა

ჩემგან,

ან იქნებ სადმე ცხენს აძოვებს და

მანძილს ზვერავს – გამოექანოს,

ან იქნებ გზები აღარ იცის

ან თუ შეგხვდეთ რომელიმეს და

ეგება უთხრათ,

ქალაქის მთავარ მოედანზე ვდგავარ,

(იქ ყოველთვის ვილაცა იდგა!)

მოვიდეს და თავისი სანადირო თოფიდან

მესროლოს.

თოფის ხმა და ზარის ხმა

რამ გაყო,

უთხარით – არ ამაცილოს.“

თვალსაზრისი

ცირა ყურაშვილი

რას ფიქრობთ მაიაკოვსკიზე?

ახალგაზრდა პოეტები პერფორმანსის ჩატარებას აპირებდნენ ქუთაისში დავით კაკაბაძის სამხატვრო გალერეის ღია საექსპოზიციო დარბაზში 19 ივლისს. ამ დარბაზში ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი დგას და რატომღაც სულ მაინც ვიკითხო მის შესახებ, თუ საიდან და როდის გადმოიტანეს იგი აქ. ჩვენს ქვეყანაში ქანდაკებათა მარში, თუ დემარში არავის უკვირს. ამიტომ არც ახლა გაუკვირდება ვინმეს, თუ გიორგი ქვეციშვილის მიერ შესრულებული და ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო ქანდაკება ვლადიმერ მაიაკოვსკისა, ბაღდათის ცენტრში, ახლად აგებულ ივერიის ღვთისმშობლის ტაძართან თავის პოსტამენტს დატოვებს. აქ უკვე პოსტამენტის დაშლა დაიწყო, დაზუსტებით არავინ იცის, სად გადაიტანენ ძეგლს, არის ვარაუდი, რომ პოლიციის შენობასთან, შადრევნის სიახლოვეს. ყოველი შემთხვევისთვის მაიაკოვსკის მუზეუმის დირექტორი ბექა კუჭუხიძე მზად არის ძეგლი მუზეუმის შესასვლელთან, მარჯვნივ, კლდის ფერდობზე, ძველი ძეგლის ადგილზე გადაიტანოს.

ძეგლების გადატანა-გადმოტანის პროცესი დიდ პოეტს თავის სიცოცხლეშიც არ გაუკვირებოდა, აკი ამბობდა: „ამ ვარდებს შორის ვერ მივიჩნევ მე დიდ სახელად, ნამომართული ელვარებდეს ჩემი ქანდაკიო“. ვარდები, არა, მაგრამ ფიჭვები, ოთხი ვეებერთელა სიცოცხლის წყარო, რომელიც ძეგლის დადგამამდე (1973 წელი) გაცილებით ადრე დაირგო ბაღდათის ცენტრში და კიდევ 5 ათეული წელი იშრიალებდნენ, უცებ მოჭრეს და საზოგადოება ფაქტის წინაშე დააყენეს, როგორც ხდება საერთოდ. ფიჭვების შემდეგ ძეგლის რიგია. მე პირადად ვერაფერ შეუსაბამობას ვერ ვხედავ, ტაძრისა და ძეგლის თანაარსებობაში, მაგრამ ეტყობა, ჩვენი პოლიტიკური,

თუ სასულიერო მოღვაწეთა ხასიათი ისტორიულ-სარწმუნოებრივი ბედისწერით ისე არის დაღდასმული, რომ ამ რადიკალიზაციის გადალახვა შეუძლებელია.

„რას ფიქრობთ მაიაკოვსკიზე?“ ეს შეკითხვა მათზე უფროსი თაობის პოეტებს ახალგაზრდა პოეტმა დაგვისვა, როცა პერფორმანსზე დაგვპატიჟა. შეკითხვის პათოსი ისეთი იყო, როგორც ხდება ხოლმე სიმპათიითა დადამონმება თანამოაზრეთა შორის. რაც თავის დროზეც და ახლაც მე თვითონაც ძალიან მაინტერესებს. მახსოვს, პირად შეურაცხყოფასავით განვიცდიდი, როცა მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში ჩამოსული რუსი პოეტები ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, მაიაკოვსკიზე უკეთესი პოეტები გვყავსო. – მერედა რას ჩამოდიან ბაღდათში, კალთაზე ვინ ეჭიდებათ-თქო, ვფიქრობდი წყენით.

არის ერთი მშვენიერი წიგნი ქართულ ენაზე – მოგონებები მაიაკოვსკიზე, რომელსაც აუღელვებლად ვერ ვკითხულობ. მოგონებების ავტორები ქართველი მწერლები და ხელოვნების სხვა დარგის დიდი წარმომადგენლები არიან: აკაკი ბელიაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი გამრეკელი, ნატო ვაჩნაძე, გიორგი ლეონიძე, ტიცციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, მარიჯანი, სხვები... ამ მოგონებებში კარგად ჩანს, ის, რაც დღეს უნებლიეთ თვალთაგან მიფარებულია. მაიაკოვსკისადმი, როგორც დიდი პოეტისადმი და ხელოვანისადმი ჩვენი ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელთა უღრმესი ადამიანური განცდები და კავშირები, პოეტთან თანაზიარების განცდა და პირუკუ, დიდი პოეტის ოცნებები: აი ძალას მოიკრებს და ყველაზე საუკეთესო ლირიკულ ნაწარმოებს თავისი ბავშვობის კუთხეს, ბაღდათს მიუძღვნის, აი,



ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი ბაღდათში



მაიაკოვსკი ქართულ
ხელოვნებთან ერთად
(მიხეილ ჯანაშვილის ნახატი)

ბალდათში ჩავა, ცოტას ნაიმუშავებს, ქართულს კარგად გაიხსენებს და ქართველ პოეტებს ძალდაუტანებლად თარგმნის.

– ხშირად გვადრიან ერთმანეთსო, გალაკტიონი ამბობს, – არადა მე საგანში არსებულ მუსიკას ვუსმენ, ხოლო მაიაკოვსკის თავის თავში არსებული მუსიკა შეაქვს საგანშიო. მაიაკოვსკიზე წერს: „არის ყოველი პოეტის ცხოვრებაში პერიოდი, რომელიც „ცხოვლად სულს დააჩნდების“, არასოდეს მესხიერებიდან არ ამოიშლება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში წითელი ზოლივით თან მიჰყვება: „ვალში ვარ შენთან, ბალდათის ზეცავ!“ – იგულისხმება არამართო ბალდათის ზეცა, როგორც ჩვეულებრივად ხსნიან, აქ იგულისხმება მთელი მისი ყრმობის დღეები, მთელი ის პერიოდი. მაიაკოვსკი დავალებულია მთლიანად იმერეთის ბუნებით, მაიაკოვსკის ტემპერამენტი იმერის ტემპერამენტი, მთელი შემოქმედება მაიაკოვსკისა ტემპერამენტი“.

ძალიან ლამაზი, სიმბოლური და მრავლისმთქმელია გალაკტიონის მოგონება ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობაზე: „ერთხელ ქუთაისიდან მოვდივართ დილიყანსით ბალდათისაკენ, რადგან ადგილები უფროსებს ეკუთვნოდათ, ბავშვები ფეხზე ვიდექით უფროსების წინ, დილიყანსი ძალიან გვანჯღრევდა (რეზინები მას არ ჰქონდა), ცხენებს ეყვინები ჰქონდათ შებმული და ჟღარა-ჟღურით გარბოდა ცხენები, ხან აქეთ გადაგვაქანებდა ბავშვებს, ხან იქით, უფროსების წინ. მე ერთი მანდილოსნის კალთაში მარტყმევივინებდა თავს. ამ დილიყანსში ჩემს გვერდით იდგა ერთი პატარა მონაფე, გიმნაზიელი, რომელსაც დედამისი ხელით ამაგრებდა. ამ ბავშვს ხელში ეკავა ტკბილი კვერი, პური (სლოიკა), შუა გზას რომ გამოვმორდით სიგუნავას დუქანს, პარომით (ბორნით) შემოვუდექით აჯამეთს, ამ ბავშვმა დაიწყო ჭამა ტკბილი კვერის. დედამისმა რუსულად უთხრა გიმნაზიელს: Отломи ему половину! ბავშვმა საშინლად დაირცხვინა, თავი გასწია გვერდზე და თავისუფალი ხელი თვალზე მიიფარა. და მერე აღარ

გაჰკარებია პურს... დედამ კიდეც გაუმეორა: Как тебе не стыдно, что я тебе сказала, ბავშვმა კიდეც დაიწყო შმუშვნა გაუბედავად და კაი ხნის მერე, მე რომ სულ გადამავინყდა ეს ამბავი, გატეხა პურის კვერი, მოატეხა ნახევარი და გაუბედავი ხელით გამომიწოდა „სლოიკა“. ახლა მე აღარ ვიღებ, შეიქნა ერთი ჭიდაობა, მერე იმ ქალმა Возьми, детка, возьми – მომიალერსა, და მაშინ მეც გავბედე პურის აღება, ამ ამბავმა წაილო მთელი გზა აჯამეთის ტყისა, გავიარეთ დაბლა დიმი, ფერსათი. სულ იმას ვფიქრობდი, როდის მივალთ მეთქი, მორცხვი ვიყავი ძალიან, საშინლად, ენის გამოუთქმელად. ამნაირად მოვედით ბალდათში. მოვუყევი დედაჩემს, ის მაიაკოვსკი იქნებოდაო, სხვა არავინ არის აქაურ გიმნაზიაში რუსიო, ბალდათელი. ასეთი იყო ჩვენი ბავშვობისდროინდელი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. გაიხსენა დედაჩემმა ძველი ამბები.

– შვილო, ის გვიცნობს, ის ქალი იცნობს ჩვენს ოჯახს, თუმცა მისვლამოსვლა არ გვაქვს ერთმანეთშიო. ამით რაც მე ის ქალი შემეცვარდა. კარგად იყო ჩაცმული, სუფთად, ლამაზი იყო. რომ გაიხსენოს კაცმა, ნაბლარში, ჩვენს მიდამოებშია გაზრდილი მაიაკოვსკი.

რკინის ჯვარში შეშებს ჭრიდნენ და გამოჰქონდათ. მამამისი მუშებს დაჰყვებოდა ზეკრის აბანოებზე. რამდენი ბულბულეზია იქ, მთებში, შელამდება, თუ არა, ერთი კონცერტი აქვთ, აქეთ მდინარეები!“

გალაკტიონი დიდად არავის ანებივრებდა ტკბილი სიტყვებით, მაგრამ მაიაკოვსკისადმი კეთილგანწყობა ამ პატარა დეტალშიც ჩანს, რომელსაც გალაკტიონის ახლობელი, მაშინ პატარა გოგონა, ბალდათელი ეთერ კვირიკაძე იხსენებს, გალაკტიონი მიხსნიდა, როგორ უნდა დამენერა ლექსიო, მომავიქრებინა რაღაც სიტყვა, მერე ამ სიტყვის რითმა და ისეთი სტრიქონები მიუსადაგა, მშვენიერი ლექსი გამოვიდა, მომენონა ძალიან, გალაკტიონმა კი მითხრა, ამას არანაკლებ აკეთებს ვალოდიაო.

პაოლო იაშვილთან ერთად გიმნაზიელ მაიაკოვსკისაც ვიგონებო,

ტიციანი წერს, – ის იყო ტანმალალი, გამხდარი ყმანვილი. რუსი ბიჭები-საგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ შესანიშნავად ცურავდა რიონში და მუშტი-კრივშიც კარგი დამრტყმელი იყო. ბავშვებში ადვილად შეამჩნევდი, მეტადრე ისეთ ბავშვებში, როგორც იყვნენ მოხელეების შვილები, რომლებიც ერთგვარ ფუფუნებაში იზრდებოდნენ... ბავშვობიდანვე ქართულად ლაპარაკობდა და გამოცდებზე მასწავლებლებს უკვირდათ, მის მიერ რუსულის სუსტად ცოდნაო.

მაიაკოვსკის შემდგომში არამხოლოდ მოყვარულნი, მოშულარნი და ხელისშემშლელნიც არასოდეს აკლდნენ, მათ შორის რაპკი – რუსეთის პროლეტარ პოეტთა ასოციაცია, უპირველესად. ცნობილია, როგორ დაეხმარა ტიციან ტაბიძე სასონარკვეთილ მაიაკოვსკის, რათა ის პარიზში გამგზავრებულიყო. ტიციანმა ინახულა ბესო ლომინაძე, რომელიც მაშინ ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი იყო, დახვეწილი გემოვნების პატრონი, ვინც შესანიშნავი სიტყვებით გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე, ვინც ქართველ პოეტებს პეტროგრადში ბლოკის გარდაცვალების შესახებ მწუხარებით აუწყებდა და ძალიან კარგად იცნობდა მაიაკოვსკის მთელ შემოქმედებას. ტიციანი დიდხანს ესაუბრა ბესოს და დაიყოლია, რათა დახმარებოდა მაიაკოვსკის. მეორე დღეს ბესომ დაურეკა ტიციანს, გადაეცა მაიაკოვსკისთვის, გაეფორმებინა დოკუმენტები და გამგზავრებულიყო პარიზს. ვალოდიას კი თავიდან არც სჯეროდა ტიციანის, როცა არწმუნებდა, ვიზას მიიღებ და პარიზს გაემგზავრებო. შენ გადაათქმევინებ რაპკის, იმათ ვინ დააჯერებს, რომ მაიაკოვსკი ვარ და არა უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილიო. ამგვარი მზრუნველობის და მეგობრობის ფონზე უჩვეულოდ აღარ ჩანს ტიციანის დეპუტა ნინა მაყაშვილისადმი: „ვალოდია გარდაიცვალა, მეც აღარ მინდა სიცოცხლე“. ცნობილია, ამ დეპუტით აფორიაქებული ნინა მაყაშვილი პაოლომ სასწრაფოდ გაამგზავრა სატივროთო მატარებლით სოხუმში, რათა ტიციანს არაფერი აეტეხა

თავისი თავისთვის. მაშინ ხომ პრესამ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის დაბეჯითებული ვერსია გაავრცელა და მხოლოდ ამ ბოლო პერიოდში დაზუსტდა მაიაკოვსკის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი – იგი მოკლეს. ეს ფაქტი მით უფრო საგულისხმო ჩანს, რომ ნინა დღეს მას ნიკოლოზ შენგელაია ესაუბრა ტელეფონით საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით და წერილმანებიც კი ერთად დააზუსტეს.

ცნობილია პარიზში მაიაკოვსკის შეხვედრა ლადო გუდიაშვილთან. ვალოდიამ მიაგებო, იხსენებს ლადო გუდიაშვილი, ნუხელ მთელი ღამე დრო ვატარე, დილით კი, ბიჭო იცი, რა (ეს სიტყვები ქართულად მითხრა), პიჯაკის ჯიბეში საფულე აღარ მქონდა... ლადოს უთქვამს, აენერა მისთვის იმ ფრანგი ქალის გარეგნობა, ვისაც ღამით შეხვდა. ვალოდიას ხატოვანი აღწერით ლადო გუდიაშვილს ქალის იმდენად იდენტური პორტრეტი შეუქმნია, გადაუწვევითა პარიზის პოლიციისთვის ეჩვენებინათ. პოლიციას იმ დღესვე ამოუცვნია ქალი.

პარიზში მაიაკოვსკი საზოგადოებას წარუდგა, როგორც მხატვარ-კარიკატურისტიც და გამოფენიდან მიღებული მთელი ჰონორარით საცოლეს – ტატიანა იაკოვლევას უამრავი ვარდი გაუგზავნა, რითიც ნიკო ფიროსმანის ბუნებასთან ერთგვარი თანაზიარობა გამოხატა. მაიაკოვსკი ჯერ პირადად არც კი იცნობდა ფიროსმანს, როცა ამ მსგავსი ფაქტის შესახებ თქვა: მხატვარი, რომელიც ამდენ ვარდს უგზავნის სატრფოს, არ შეიძლება დიდი მხატვარი არ იყოსო. როგორც ცნობილია, მაიაკოვსკის თბილისში ერთ-ერთი ვიზიტის დროს საშუალება მიეცა ფიროსმანის ნახატები თავმოყრილი ენახა და მოხიბლულიყო.

საინტერესოა თვითონ მაიაკოვსკის დამოკიდებულება იმდროინდელი ცნობილი მხატვრებისა და ხელოვანებისადმი. მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზს ამშვენებს მაიაკოვსკის მიერ შესრულებული რეპინის კარიკატურის ასლი. ამ კარიკატურას ასეთი ისტორია უკავშირდება: რეპინმა მაიაკოვსკი მიიწვია ნატურად, მაიაკოვსკი მას თავგადახოტრილი ეწვია,



რეპინს ეწყინა და უთხრა, მთელი შენი ხიბლი იმ ქორწორში იყო და უკან გააბრუნა. ამის შემდეგ მაიაკოვსკიმ თავად დახატა რეპინის საუცხოო კარიკატურა, რეპინი ქორჩით. ცნობილია, რომ დიდი რუსი მხატვარი მელოტი იყო. მაიაკოვსკის ურთიერთობა ჰქონდა პიკასოსთან. მუზეუმში ინახება ფოტოპორტრეტი, რომელიც პიკასომ მაიაკოვსკის გამოუგზავნა.

ცალკე თემაა მაიაკოვსკის დრამატურგიული შემოქმედება: „აბანო“, „ბალნინჯო“, „მისტერია ბუფი“. ამ უკანასკნელს ხომ კოტე მარჯანიშვილი და ირაკლი გამრეკელი ეჭიდებოდნენ, რათა მთანმინდაზე დაეგდათ და წარმოედგინათ იგი, პიესის მთარგმნელად კი ტიცინი მიიწვიეს, რომელსაც მანამდე ჰქონია დაწყებული პიესის თარგმნა. ასევე ცალკე თემაა მაიაკოვსკის სამსახიობო და კინოსასცენარო სფერო, მაიაკოვსკის – ძალიან კარგ მსახიობს და კინოსცენარისტს ოცამდე სცენარი ჰქონდა და ირწმუნებოდა, რომ ეს სამუშაო ხელს სულაც არ უშლიდა მის ლექსებს. ვნახოთ მისი ერთ-ერთი სცენარის – „ფილმით შებოჭილის“ ლიბრეტოს დასაწყისი და ვიგრძნობთ, როგორი თავისთავადი, განსაკუთრებული და ორიგინალურია აქაც: მხატვარი მონყენილია, ქუჩებში დაეხეტება და არ იცის რას ეძებს. ხეივანში ერთ ქალს მიუჯდება გვერდით,

გაესაუბრება, მაგრამ ქალი უცებ გამჭვირვალე ხდება, გულის მაგიერ მას ქუდი აღმოაჩნდება, ყელსაბამის მაგიერ – ქუდის ქინძისთავეები. მხატვარი ბრუნდება შინ. ხედავს, ცოლიც გამჭვირვალეა: გულის მაგიერ მას ქვაბები აქვს, მეგობარს კი ბოთლი და ბანქო. მერე ბოშა ქალი აეკვიტება მხატვარს, მხატვარიც გადაწყვეტს დახატოს იგი, და ბოშა ქალიც გამჭვირვალე გახდება. მხატვარი ხედავს, მას გულის მაგივრად ფული აქვს... ჰო, სცენარში მხატვარი ნამდვილ ბალერინაზეა შეყვარებული, რომელიც კინოპლაკატზე ცოცხლდება, მერე კი ქრება პლაკატიდან, კედლებიდან, სენდვიჩებიდან, ფურცლებიდან, რომლებიც ხელში უჭირავთ მის თაყვანისმცემლებს და კითხულობენ; ბალერინა ფილმიდანაც ქრება და ა. შ. ბოლოს მხატვარი ვაგონში ზის და კინემატოგრაფიული ქვეყნის საძებნელად მიემგზავრება.

ნელს ბალდათში მაიაკოვსკის დაბადების დღე არ აღნიშნულა, აქ ჯერჯერობით გზებიც კეთილმოუწყობელია. აქამდე გაზისა და წყლის გაყვანილობის სამუშაოები მიმდინარეობს. ამიტომ მუზეუმთან მისასვლელი გზა სამოციანი წლებისას ჰგავს. სამწუხაროდ იმ პერფორმანსზე, რომელიც ახალგაზრდა პოეტებმა მაიაკოვსკის დაბადების დღეს ქუთაისში მოაწყვეს, ვერ მივედი, ამის გამო ერთგვარად უხერხულად და დავალებულად ვიგრძენი თავი. რომ მივსულიყავი, ვეტყოდი, რომ მხოლოდ მაიაკოვსკისთან შემიძლია ნავიკითხო პოემა ლენინზე, ისე, რომ არაფერმა გამაღიზიანოს, პირიქით – მომწონდეს და თან სევდაც მიპყრობდეს ასე ტყუილად გაფლანგული ძალისხმევის გამო. მაგრამ მაიაკოვსკი ხომ მხოლოდ აგიტატორ-პროპაგანდისტი არ არის, ის დიდი ლირიკოსია და ეს ბრწყინვალე, მეტრძოლი ტრაგიზმით აღბეჭდილი პოეზია ყოველთვის მოძებნის გზას სხვადასხვა ეპოქის მკითხველთა გულებისაკენ. ამიტომ ახალგაზრდა პოეტს მის შეკითხვაზე, თუ რას ვფიქრობთ მაიაკოვსკიზე, ასე ვუპასუხეთ: „მხოლოდ კარგს“.

ახალგაზრდა პოეტების – გიორგი ხასაია, ვაკო ნაცვლიშვილი, გიორგი წურწუშია, მირიან გორგოძე – პერფორმანსი ქუთაისში



უკვდავი სახელები

თამაზ ჯოლოგუა

შეთქმული ქალაქი
თამარ ბატონიშვილი

თამარ ბატონიშვილი (1791-1857) იყო ასული იულონ ბატონიშვილისა (1760-1816). ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი იულონ ერეკლე II-ის ძე რუსებმა 1804 წელს შეიპყრეს, ხოლო 1805 წელს ცოლშვილიანად ტულაში გადაასახლეს, საიდანაც 1806 წელს ცოლშვილიანადვე გადაიყვანეს პეტერბურგში. ასე მოხვდა თამარ ბატონიშვილი პეტერბურგში, სადაც მან ახალგაზრდობის წლები გაატარა. სილამაზითა და გონიერებით გამორჩეული თამარი, მიუხედავად ხშირი ავადმყოფობისა, 1811 წელს ფრეილინა გახდა და საიმპერატორო კარის ცერემონიალებში უწევდა მონაწილეობის მიღება.

მამით დაობლებულმა თამარ ბატონიშვილმა, რომელსაც 1827 წელს დედაც (სალომე ამილახვარი) გარდაეცვალა, სამშობლოში ცხოვრების უფლება მოიპოვა – 1829 წლიდან იგი თბილისშია.

პეტერბურგში თამარი თავისი ძმის, შეთქმულების მთავარი ინიციატორის, დიმიტრი ბატონიშვილის (1803-1845), წრეში ტრიალებდა და მოსკოვში მცხოვრებ ოქროპირ ბატონიშვილთანაც (1794-1857) ჰქონდა კავშირი.

1829 წლის შემოდგომაზე კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ ჩასული ოქროპირ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილი, რომელსაც საქართველოში ყოფნა აკრძალული ჰქონდა, მოულოდნელად თბილისში გამოჩნდა. დაბნეულმა ხელისუფლებამ ვითარება აღარ გაამწვავა და არასასურველ „სტუმარს“ აქ 1830 წლის ზაფხულამდე დარჩენის უფლება მისცა. ოქროპირზე საიდუმლო თვალთვალი იყო დაწესებული, მაგრამ მან მაინც მოახერხა შეხვედრები და საუბრები იმ ადამიანებთან, რომლებმაც შეთქმულებისა

და შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება იკისრეს (ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ე. ერისთავი). ოქროპირი თბილისში მყოფ თამარ ბატონიშვილსაც სტუმრობდა ხოლმე [თავის ჩვენებებში ოქროპირ ბატონიშვილი თამარს უწოდებს „ჩემს დას“ (გოზალიშვილი, II: 326) და ამბობს – თბილისში მასთან „დავიარებოდი“ (გოზალიშვილი, II: 322), თუმცა შეთქმულებაში როგორც თავის, ისე თამარის მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს].

საერთოდ, სასურველი იყო, ტახტის აღდგენის მიზნით ამბოხებულ ხალხს აჯანყების სათავეში სამეფო ოჯახის წევრი ეხილა, მაგრამ მამაკაცი ბატონიშვილებიდან არც ერთს არ ჰქონდა სამშობლოში ცხოვრების უფლება. ამიტომაც შეთქმულების ინიციატორებისა და ორგანიზატორებისაგან სწორედ გამჭრიახობით, გაბედულებით, პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭით აღჭურვილ თამარ ბატონიშვილს ჰქონდა დაკისრებული აჯანყების საერთო ხელმძღვანელობაცა და გათავისუფლებული საქართველოს დროებითი მართვაც. ალექსანდრე ორბელიანი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს: „ჩვენ გვსურდა ესრეთ, როდესაც აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგვეყვანა და ხალხისათვის გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი, თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ და რაც გვიბრძანოს, უნდა აღვასრულოთ. ამას უნდა ზარების რეკა მოჰყოლოდა და სიონის სამრეკლოზე სამი კაცი უნდა ასულიყვნენ და იქიდან ეყვირნათ: თავისუფლება და სიხარული ყოველსა ერსა ზედა“ – გოზალიშვილი, I: 365). აჯანყების მეთაურად და საქართველოს მომავალ მმართველად თამარს ასახ-



ოქროპირ ბატონიშვილი



თათრის მოედანი



მთავარმართებელი როზენი

ელეებს ელიზბარ ერისთავიც (გოზალიშვილი, II: 365, 610; III: 15, 17, 23), რომელიც, სხვათა შორის, ნატრობდა ხოლმე – „ნეტავი ეგ მამაკაცად იყოს დაბადებულიო“ (გოზალიშვილი, II: 336; III: 23). იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით, თამარ ბატონიშვილს ელიზბარ და გიორგი რევაზის ძე ერისთავებისა და ვახტანგ ორბელიანისთვის უთქვამს: „როცა აქ აღრეულობა დაიწყება, მამაკაცის ტანისამოსს გადავიცვამ და ხალხს წარვუდგებო“ (გოზალიშვილი, II: 332), ალ. ორბელიანი კი ს. დოდაშვილს ეუბნება: „თამარ ბატონიშვილი იწვის აჯანყების მოხდენის სურვილითაო და თვით დედაკაცები დაიწყებენ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენო“ (გოზალიშვილი, I: 397).

ვფიქრობთ, **თამარ ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნებას ჰქონდა კონკრეტული პოლიტიკური მიზანდასახულობა და იგი დიმიტრი ბატონიშვილის მიერ (შესაძლებელია, ოქროპირ ბატონიშვილის მიერაც) საქართველოში აჯანყების ორგანიზებისა და მეთაურობის სპეციალური მისიით იყო გამოგზავნილი.** ამასვე უნდა ადასტურებდეს ის გარემოებაც, რომ თბილისში მცხოვრებ თამარს კავშირი და მიმონერა ჰქონდა როგორც დიმიტრი, ისე ოქროპირ ბატონიშვილებთან (აგრეთვე, ფარნაოზ და სალომე ბატონიშვილებთანაც) [რუსეთიდან მიღებული წერილების ნაწილს (უნდა ვიფიქროთ, იმ ნაწილს, რომელიც კონფიდენციალურ ცნობებს შეიცავდა) თამარ ბატონიშვილი წვავდა (გოზალიშვილი, III: 37), ოჯახური ურთიერთობის ამსახველ წერილებს კი ინახავდა. შემდეგ ეს გადარჩენილი წერილები საგამომძიებლო კომისიის ხელთ აღმოჩნდა (გოზალიშვილი, II: 514), მაგრამ კომისიამ ამით დიდი ვერაფერი ხეირი ნახა. დიმიტრის წერილები თამარ ბატონიშვილისადმი იხ. გოზალიშვილი, I: 104-109)]. შეთქმულების საგამომძიებლო კომისია, თავის მხრივ, მივიდა დასკვნამდე – თამარს თბილისში დიმიტრი ბატონიშვილის მაგივრობა უნდა გაენიათ („...заместила своего брата и советами своими руководствовала действия заговорщиков“ – აქტები, VIII: 401).

პირველი ჩვენება საგამომძიებლო კომისიამ თამარ ბატონიშვილს 1833 წლის 22 თებერვალს ჩამოართვა (გოზალიშვილი, I: 373-379). ამ ჩვენებაში თამარი უარყოფს შეთქმულებაში რაიმე ფორმით მონაწილეობას და აღნიშნავს: „მიზეზი არა მქონია რა, რათა ვემდუროდე მთავრობასო...“ (გოზალიშვილი, I: 374).

მართალია, შეთქმულთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფდა თამარის მონაწილეობას „ფარული საზოგადოების“ საქმეებში ან მოხერხებულად უვლიდა გვერდს ამ თემას, მაგრამ დანარჩენ პატიმართა ჩვენებებით თანდათანობით სულ სხვა რამ გამოიკვია. კერძოდ:

1. თამარ ბატონიშვილი, სულ ცოტა, იცნობდა ფილადელფოს კიკნაძის „აკტი გონიურს“ (გოზალიშვილი, II: 336), „პირველი ღამის განკარგულებასა“ და აჯანყების ღამის დეტალებს (გოზალიშვილი, II: 365; III: 17), საქართველოს დროებითი მმართველობის პროექტს (გოზალიშვილი, III: 17), კითხულობდა ალ. ბატონიშვილის მიერ სპარსეთიდან გამოგზავნილ წერილებს (გოზალიშვილი, II: 365; III: 15, 35) და სხვ.

2. 1831 წელს თამარ ბატონიშვილს რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად დაგეგმილი ჰქონდა იერუსალიმში წასვლა წმინდა ადგილების მოსალოცავად, თუმცა ნამდვილი მიზანი, როგორც ეს ალ. ორბელიანის ერთ-ერთი ჩვენებით ირკვევა, სხვა იყო – გზად „პილიგრიმები“ ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა შეხვედროდნენ (გოზალიშვილი, I: 364-365). ცხადია, ამ შეხვედრის მიზანი შეთქმულებასა და მომავალ შეიარაღებულ აჯანყებასთან დაკავშირებული გარემოებების განხილვა იქნებოდა. ბოლო მომენტში თამარმა ამ გეგმაზე უარი თქვა – ალ. ორბელიანის იმავე ჩვენების მიხედვით, „ალარ მოგვიხდა წასვლა და ვეღარ გაბედა თამარ ბატონიშვილმა წასვლა ამისთვის, რომ ეჭვს შემოიტანს მთავრობაო და ვაითუ ავად მოგვიხდეს საქმეო“ (გოზალიშვილი, I: 365; საკითხის გარშემო იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი, II: 95, 333; III: 9-10, 36; თამარ ბატონიშვილის განზრახვა,

შეხვედროდა ალექსანდრე ბატონიშვილს, საგამომძიებლო კომისიის მასალებშიც მოხვდა: „Тамара Юлоновна... имела даже намерение отправиться за границу на свидание с царевичем Александром под видом богомолья в Иерусалим, но удержана была от сего опасениями подозрений от правительства“ – აქტები, VIII: 401).

3. ჯერ კიდევ 1831 წელს, პოლონეთის აჯანყების ჩახშობამდე, თამარ ბატონიშვილი დაბეჯითებით ამბობს: „ამაზე უკეთესი დრო საქართველოში აჯანყების მოსახდენად აღარ იქნება“ და შეთქმულებს აცნობს აჯანყების გეგმას, რომელიც ძირითადად ემთხვევა 1832 წელს შედგენილ „პირველი ღამის განკარგულებას“ (გოზალიშვილი, II: 610; აგრეთვე, პაპავა 1990: 47-49; მოსკოვში ანალოგიური გეგმა ოქროპირ ბატონიშვილმა დიმიტრი ორბელიანს გააცნო – გოზალიშვილი, III: 388), მაგრამ რუსებმა პოლონელთა ამბოხება გაანადგურეს და ქართველთა აჯანყების ვადამაც გადაინია (სხვათა შორის, როდესაც 1831 წლის სექტემბერში ვარშავის დაცემას თბილისში ზარბაზნების სროლით ზეიმობდნენ, იასე ფალავანდიშვილთან მყოფი „ოთხი თავადიშვილი“ ტიროდა – გოზალიშვილი, I: 212).

4. შეთქმულთა ჩვენებების მიხედვით, როგორც ზემოთ ითქვა, აჯანყების ღამეს თამარ ბატონიშვილს მამაკაცის ტანსაცმელი უნდა ჩაეცვა და სათავეში ჩასდგომოდა ამბოხებას.

მას შემდეგ, რაც შეთქმულებაში თამარ ბატონიშვილის ადგილი და როლი მკაფიოდ გამოიკვეთა და ეს ყველაფერი ფაქტებით დადასტურდა, იგი უკვე იძულებული ხდება აღიაროს, რომ შეთქმულების კურსში იყო: „მეუბნებოდნენ, თავისუფლება გვინდაო, ყოველთვის უშლიდი და ვამხილებდი, როგორ წინააღმდეგი იყო ღვთისა ამისთანა განზრახვა“ (გოზალიშვილი, I: 437), „სრულებით არაფრად მიმაჩნდა მათი ლაპარაკი... თვით დიდებულმა იმპერატორმა რომ ინებოს საქართველოს სამეფო სახლის აღდგინება, მე არავინ ვიცი, რომ ღირსი იყოს რომელიმე ჩვენი სახლის შვილი მეფობისა და ამისდა გარდა

ამთენს საშინელს გარშემო მტრებს რით აღუდგეს წინ, თუ რუსეთის იმპერატორის საფარველი არ ექნება... მართო ლეკი ეყოფა მოსაოხრებლათ... თუ დამიჯერებთ, კარგია, თუ არადა, თქვენი ნება არის“ (გოზალიშვილი, III: 33-36; საინტერესოა, რომ თამარ ბატონიშვილი, შეთქმულთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ჩვენებებს მაინცდამაინც ქართულად წერს).

თამარ ბატონიშვილი „მმართველობის ევროპულ წესებში გათვითცნობიერებული იყო“ (სურგულაძე 1968: 305) და მისი განზრახვა დასავლეთევროპულ სახელმწიფოებთან (განსაკუთრებით, საფრანგეთთან) კავშირების დამყარებისა უნისონში იყო დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილების ევროპულ ორიენტაციასთან და, რაც მთავარია, 1831 წელს პოლიტიკურ წრეებთან მოსალაპარაკებლად თამარი თვითონაც აპირებდა საზღვარგარეთ (საფრანგეთი, ინგლისი) გამგზავრებას (გოზალიშვილი, I: 365); ამასთან, იგი დარწმუნებული იყო – „სპარსეთი და თურქეთი დახმარებაზე უარს არ გვეტყვიანო“ (გოზალიშვილი, II: 610). ადვილი შესაძლებელია, თამარ ბატონიშვილს რაიმე ფორმით ურთიერთობა ჰქონოდა თბილისში საფრანგეთის საკონსულოს მდივანთან, ვიქტორ ლეტელიესთან, რომლის კავშირიც შეთქმულებასთან ეჭვს არ ინვეს (ლეტელიე, სხვათა შორის, ჩინებულად ლაპარაკობდა ქართულად და ქართულ ხელნაწერთა საყურადღებო კოლექციასაც ფლობდა – ბერძნიშვილი 1983: 79-81).


საერთოდ, თამარ ბატონიშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ შეთქმულების მასალებში მწირი მასალაა წარმოდგენილი, მაგრამ აქა-იქ საინტერესო დეტალებს მაინც ვპოულობთ. ასე, მაგალითად, ელიზბარ ერისთავის ნათქვამზე – კარგი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო ისე მოგვეწყო, „როგორც შვეიცარია არისო და ან სოიუზნი შტატიო“, თამარს უპასუხია: „[ჩვენთან] არც ხალხია იმისთანა და არც გარემოება აქვს, ამთენი საშინელნი მტრები გარს ახვევიან და არ მოასვენებენო“ (გოზალიშვილი, III: 33).

თამარ ბატონიშვილი იყო მართლ-



ფარნაოზ ბატონიშვილი





ბერი ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი საიდუმლო ანბანი

მორწმუნე, ჰქონდა ლტოლვა ასკეტური ცხოვრებისაკენ და ამქვეყნიური პატივიც არაფრად მიაჩნდა, ახალგაზრდობაშივე აღთქმა ჰქონდა დადებული, არ გავთხოვდებიო („Kavkaz“ 1857) და ეს აღთქმა შეასრულა კიდევაც და, ზოგი ცნობით, მონაზვნად აღკვეცაც კი სურდა (გოზალიშვილი, II: 333). ჩანს, ეს გარემოებებიც იყო მიზეზი იმისა, რომ იგი მხოლოდ დროებითი მმართველის ფუნქციაზე თანხმდებოდა – მანამ, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ხოლო მისი უარის შემთხვევაში, ოქროპირ ან დიმიტრი ბატონიშვილები (გოზალიშვილი, I: 366; II: 610; III: 15, 17 23, 224). ამ მხრივ, საინტერესოა ოქროპირ ბატონიშვილის ერთ-ერთი ჩვენებაც – „ჩემი და თამარ ბატონიშვილი... ადამიანთა ყოველგვარ დიდებას არარად თვლისო“ (გოზალიშვილი, II: 326).

თამარ ბატონიშვილი დააპატიმრეს 1833 წლის 24 თებერვალს (გოზალიშვილი, I: 436), იმავე წლის მაისში კი იგი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო მუხროვანში გადაიყვანეს – 11 მაისს მთავარმართებელი გრ. როზენი რუსეთის სამხედრო მინისტრ ა. ჩერნიშოვს სწერს: „მისი (თამარ ბატონიშვილის – თ. ჯ.) ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არის და მისთვის საჭიროა სუფთა ჰაერით სარგებლობა. ამიტომ მე მას ვგზავნი მუხროვანში, თბილისიდან 30 ვერსტით როა დაშორებული, გრენადერთა ქართული პოლკის შტაბ-ბინაში, სადაც იგი იქნება სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ...“ (გოზალიშვილი, III: 461). 1833 წლის აგვისტოში თამარს „მისი სქესისადმი შემწყნარებლობის გამო“ თბილისში ცხოვრების ნებას აძლევენ „იქამდე, ვიდრე მის მიმართ საბოლოო განაჩენი იქნება გამოტანილი“ (გოზალიშვილი, III: 398). განაჩენის გამოტანამდე კი დადგა საკითხი – ბატონიშვილების თბილისში გასამართლება ხომ არ გააძნელებდა ვითარებას. ამის თაობაზე როზენი სწერს იმავე ჩერნიშოვს: „ყოფილ სამეფო სახლის წევრთა თვით თბილისში გასამართლებასთან არა თუ არ არის დაკავშირებული რაიმე არსებითი უხერხულობანი, არამედ, პირიქით, ეს სასარგებლოა, რადგან

ეს გააღრმავებს ჭკუის სასწავლო მაგალითის ძალას, რაც საჭიროა საქართველოს მომავალი კეთილდღეობისათვის. ამას შეუძლიან შთააგონოს თვითონ ყოფილ სამეფო სახლის წევრთ, რომ უნდა გამოეთხოვონ ფუქსავაცსა და დამლუპველ იმედებს, რომლებსაც ისინი დღემდე ამკარად ატარებენ მათი საქართველოში სამფლობელოდ დაბრუნების შესახებ და დაედება საბოლოოდ ზღვარი ესოდენ უტიფარ, მაგრამ ამ ქვეყანაში ჭეშმარიტად უკვე მავნე ოცნებას ბატონიშვილთა მეტოქეობაზე იმპერატორის ხელისუფლებასთან“ (გოზალიშვილი, III: 456).

საგამომძიებლო კომისიამ თამარ ბატონიშვილი მიაკუთვნა „დამნაშავეთა“ მესამე კატეგორიას („ვინც შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და ეთანხმებოდა აჯანყების იდეას“) და სიმბირსკში გადასახლება მიუსაჯა (გოზალიშვილი, III: 428), მანამდე კი მას ბატონიშვილის („Царевна“) ტიტული ჩამოართვეს (აქტები, VIII: 216-217). საბოლოოდ, ნიკოლოზ I-ის ბრძანებით თამარ ბატონიშვილი, – უნდა ვიფიქროთ, მისი ავადმყოფობის გამო, – აღარ გადასახლეს სიმბირსკში და სამშობლოში დატოვეს. ამის შემდეგ იგი განმარტოებულად ცხოვრობს თბილისში, ანჩისხატის ქუჩაზე (ბერძნიშვილი 1983: 31). თამარ ბატონიშვილს ალექსანდრე ჭავჭავაძე უძღვნის რამდენიმე ლექსს და ეს ლექსები „ადამიანის სულთა ძვრის ერთ-ერთი უდიდესი გამომხატველია“ (გრიშაშვილი 1952: 89).

მოგვიანებით ხელისუფლებამ თამარს აღუდგინა ბატონიშვილის შესაფერისი პენსია, რომელსაც იგი მთლიანად სულის სარგო საქმეებს ახმარდა – ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების მორთვა-შემკობაზე (მათ შორის, საკუთარი ნაქარგობებითაც – „Kavkaz“ 1857), 1840 წელს ანჩისხატს შესწირა „ბარძიმი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, ფინიკტებით გარს ციმბირის ქვებით“ (კარბელაშვილი 1902: 34), ორჯერ იყო იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცავად (პალესტინის ჯვრის მონასტერში წამყოფი ერთი უცხოელი პილიგრიმის ჩანაწერის მიხედვით, 1847 წელს „ნათესავი

¹ 1838 წელს „იმჟამად მოსკოვში მცხოვრები“ თამარ ბატონიშვილის („Грузинская царевна Тамара“) ინიციატივითა და შეწევნით მოსკოვის მახლობლად აშენდა წმ. სამების ქალთა მონასტერი (Троице-Одигитриевский женский монастырь – <http://www.pustin2000.ru/material.php?id=16>; <http://www.pravenc.ru/text/200057.html>). ვინაიდან 1830-იან წლებში თამარ იულონის ასულის მოსკოვში ცხოვრება დოკუმენტურად არ დასტურდება, უნდა ვიფიქროთ, „Грузинская царевна Тамара“ არის თამარ გიორგი XII-ის ასული ბატონიშვილი (1788-1851), რომელიც დედასთან – მარიამ დედოფალთან – და

მრავალნაქები ქართველი მეფის ერეკლესი, დედოფალი თამარ მოვიდა საქართველოდან, რათა ელოცა წმინდა ადგილებში“ – ფერაძე 1995: 68)¹

უკანასკნელად თამარ ბატონიშვილი იერუსალიმში იყო 1856 წლის გაზაფხულზე, მოილოცა მაცხოვრის საფლავი და სხვა წმინდა ადგილები, იქიდან დაბრუნებულს კი ავადმყოფობა გაურთულდა: უჩიოდა სისუსტეს, შემდეგ კი ღრძილები დაუსივდა, საშინელ ტანჯვას განიცდიდა და ამ ტანჯვაში დაღია სულიო, – წერს გაზეთ „კავკაზში“ უცნობი ავტორი („Kavkaz“ 1857).

თამარ ბატონიშვილი გარდაიცვალა თბილისში, 1857 წლის 6 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 საათზე. 8 ოქტომბერს მისი ცხედარი დაასვენეს სიონის ტაძარში და წირვა-პანაშვიდის შემდეგ მცხეთაში წაასვენეს. უკანასკნელ გაზეთ ბატონიშვილი გააცალა უამრავმა ადამიანმა, რომელთა შორის იყვნენ მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვი და ეგზარქოსი ისიდორე (ნიკოლსკი).

თამარი დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში პაპის (ერეკლე II), ბიძისა (გიორგი XII) და ნათესაების გვერდით („...подле царственных могил деда, дяди и других родственников – „Kavkaz“ 1857), საფლავის ქვაზე კი ამოკვეთეს ეპიტაფია, რომელიც, სხვათა შორის, ფაქტობრივ შეცდომებს შეიცავს (თამარი გარდაიცვალა 6 და არა 5 ოქტომბერს, გარდაცვალებისას იგი 65 წლისა იყო):

„მეფის ერეკლეს ძის იულონის ასულმან თამარ შემწირველმან თვისის ქვეყნიურის ცხოვრებისა ქალწულობისასა და მყუდროებისა ღვთის მსახურებისადმი განისვენა წუთისოფლით საუკუნოდ ძდ[64] წლისამან ჩყნზ[1857]-სა წელსა ოქტომბრის ე[5]-სა დღესა“ (დოდაშვილი 1961: 414).

და-ძმებთან ერთად 1803 წლის აპრილში გადაასახლეს ბელგოროდში, უღელტეხილის გადალახვისას ფეხები მოეყინა და სამუდამო ხეიბრად დარჩა. თამარ გიორგი XII-ის ასულმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი მოსკოვში გაატარა, 1850 წელს საქართველოში ცხოვრების უფლება მოიპოვა, მაგრამ გზაში (ვორონეჟის ქალთა მონასტერში) გარდაიცვალა და მის ძელებს მხოლოდ 1851 წლის ივლისში ეღიროსა სამშობლოს მიწა (დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში – ბერძნიშვილი 1983: 29-30).

² თამარ ბატონიშვილის დაბადების თარიღის შესახებ სხვადასხვა წყარო სხვადასხვა ცნობას იძლევა. ჩვენ ვეყრდნობით თვითონ თამარის მონაცემს: 1833 წელს იგი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს – 42 წლისა ვარო (გოზალიშვილი, I: 374; ამავე თარიღს უჭერს მხარს მას. ბერძნიშვილი – ბერძნიშვილი 1983: 31).

„ინტელექტი“ გთავაზობთ

„ასი ლექსის“ სერიით გასრულდა ქართული პოეზიის გამორჩეული ნაკადის – ცისფერყანელთა – გამოცემა. მკითხველისთვის უკვე ხელმისაწვდომია:

ტიციან ტაბიძის 100 ლექსი – შეადგინა და წინასიტყვა დაურთო ნოდარ ტაბიძემ. პაოლო იაშვილის 100 ლექსი – შეადგინა ნინო ყულოშვილმა, წინასიტყვა დაურთო ბელა ნიფურიამ.

ნიკოლო მინდანიძის 100 ლექსი – შეადგინა და წინასიტყვა დაურთო მანანა ჩიტიშვილმა.

ცისფერყანელთა 100 ლექსი – კრებულში შესულია პოეტური ორდენის წარმომადგენლების (გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, ნიკოლო მინიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, ლელი ჯაფარიძე) რჩეული ლექსები. შეადგინა და წინასიტყვა დაურთო მაია ჯალიაშვილმა.

გიორგი ლეონიძის 100 ლექსი – შეადგინა თინათინ ლეონიძემ, წინასიტყვა დაურთო ზაზა აბზიანიძემ.

კოლაუ ნადირაძის 100 ლექსი – შეადგინა და წინასიტყვა დაურთო ნინო ჩხიკვიშვილმა. კრებულს ერთვის როსტომ ჩხეიძის წერილი.

ვალერიან გაფრინდაშვილის 100 ლექსი – შეადგინა და წინასიტყვა დაურთო თამაზ ვასაძემ.



საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
ვლადიმერ პერანიძე
ბადრი ტალახაძე
მართა ნიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

www.intelekti.ge info@intelekti.ge

რედაქტორი: 8(99) 90-37-22